

K 191 326
3

საქართველოს
საბავშვო ლიტერატურის
ცენტრი

საბავშვო ლიტერატურის ცენტრი

ქველი
ქარცხელი
საიღყებო
ღამე
ღამე



« ბავშვთა »

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი



დიდი ათენადიშვიდი

ქველი ქართული საიდუმლო დაეწერა



გამომცემლობა „მცნიერება“

თბილისი

1982

003.26



კრიპტოგრაფია (საიდუმლოება)

49

ББК 81.8 (2 Г).1

003.26—(99.462

• 372

წიგნი წარმოადგენს მონოგრაფიულ გამოკვლევას ძველი ქართული საიდუმლო დამწერლობის ანუ კრიპტოგრაფიის შესახებ. გამოკვლევაში X—XIX საუკუნეების ხელნაწერებიდან მოპოვებული მასალის საფუძველზე განხილულია ძველ ქართულში არსებული საიდუმლო დამწერლობის ყველა სისტემა, მოცემულია მათი ყოველმხრივი დახასიათება, გარკვეულია მათი წარმოქმნისა და გამოყენების საკითხები, აგრეთვე კრიპტოგრაფიათა ამოხსნის მნიშვნელობა ქართული ხელნაწერების შესწავლის საქმეში. ნაშრომში წარმოდგენილი მასალა და ანალიზი შეუქს ფენს ქართული ენის, ლიტერატურისა და პალეოგრაფიის მთელ რიგ საკითხებს.

გამოკვლევას ერთვის ქართული კრიპტოგრაფიების ერთიანი სრული კატალოგი გაშიფრული ტექსტებით, ძველი ქართული კრიპტოგრაფული ანბანები. კრიპტოგრაფიაში მოხსენიებულ პირთა და კრიპტოგრაფიიდან ხელნაწერთა საძიებლები.

K 191.326

რედაქტორები: ელენე მეტრეველი, ცილა ქურციკიძე

70202
 633-2000
 საიდუმლოება

M 607 (06)

დ. შანთაძე
 სსრ სსრფსრ
 რესპუბლიკის
 მცნ. ლ. მ. მ. მ.

„საიდუმლოება“, 1982

წინასიტყვაობა

ძველმა ქართულმა საიდუმლო დამწერლობამ ანუ ქართულმა კრიპტოგრაფიამ ჭერ კიდევ გასულ საუკუნეში მიიქცია მკვლევართა ყურადღება. დღემდე გამოქვეყნებულია ქართული კრიპტოგრაფიის მხოლოდ ცალკეული ნიმუშები. ჩვენს ნაშრომში თავმოყრილი და შესწავლილია ყველა ქართული კრიპტოგრაფია, რომლებსაც ჩვენთვის ხელმისაწვდომ ქართულ ხელნაწერთა სხვადასხვა კოლექციაში მივაკვლიეთ.

ძველი ქართული საიდუმლო დამწერლობა, საბერძნეთისა და სხვა ქვეყნების საიდუმლო დამწერლობათა მსგავსად, თავიდანვე გარკვეულ სისტემებად ჩამოყალიბებულია. ამ სისტემათა შესწავლამ წარმოგვიდგინათა წარმოშობისა და განვითარების საინტერესო სურათი. კრიპტოგრაფული მინაწერების ამოხსნამ საგულისხმო ცნობები მოგვანჭოდა ქართულ ხელნაწერებზე: გამოავლინა დღემდე უცნობი მრავალი ხელნაწერის გადაწერილი თუ მფლობელი. დაახუსტა ამ ხელნაწერთა გადაწერის ადგილი თუ თარიღი და სხვ. ამ მინაწერთა ამოხსნამ რიგ შემთხვევაში დაადატურა ამა თუ იმ ხელნაწერის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული ვარაუდები, ანდა ახლებურად გადაწყვიტა ისინი.

ძველი ქართული საიდუმლო დამწერლობის ნიმუშებს ცალკეული სისტემების მიხედვით განვიხილავთ. ყოველი სისტემის განხილვისას, პირველ რიგში, ყურადღებას ვამახვილებთ ამ სისტემის წარმოშობის საკითხზე, შესწავლილი გვაქვს კრიპტოგრაფული გასაღები. შემდგომ განხილულია გადაწერა და მფლობელთა კრიპტოგრაფები და სხვა ხასიათის კრიპტოგრაფული მინაწერები.

გამოკვლევას ერთვის კრიპტოგრაფების კატალოგი, რომელშიც ნიმუშები გაწყობილია სისტემების მიხედვით. ყოველი სისტემის შიგნით კრიპტოგრაფები დალაგებულია ქრონოლოგიურად. კრიპტოგრაფების უმრავლესობასთან მოცემულია ამოხსნა, შენიშვნები და ლიტერატურა. შენიშვნებში მითითებულია, კრიპტოგრაფია გადაწერის ეკუთვნის თუ გვიანდელია, გარკვეულია კრიპტოგრაფებში მოხსენიებულ პირთა ვინაობა და სხვ. თუ კრიპტოგრაფია გამოქვეყნებული იყო, დასახელებულია ლიტერატურაც.

ქართული კრიპტოგრაფების სრული, ერთიანი კატალოგის შესადგენად გადაეცინაჩეთ ხელნაწერები ფურცლობრივ, რის შედეგადაც გამოვ-

ლინდა და ამოიკრიბა ხელნაწერებში გაბნეული საიდუმლო წარწერები. ამ მიზნით შევისწავლეთ კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის, საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური არქივის, საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის, კ. მარქსის სახელობის საქართველოს სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკის და ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა კოლექციები¹. რაც შეეხება საზღვარგარეთის წიგნთსაცავებში არსებულ ქართულ ხელნაწერებს, სინური და იერუსალიმური ქართული ხელნაწერების კოლექციები შევისწავლეთ კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული ფოტოპირების მიხედვით, ასევე პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერთა კოლექცია ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული მიკროფირების მიხედვით, ამასთანავე, ვისარგებლეთ ოქსფორდის უნივერსიტეტის უორდროპისეული ფონდის „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერის ფოტოპირით, რომელიც ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში.

კრიპტოგრაფიის კატალოგში წარმოდგენილია საიდუმლო ანბანებით შესრულებული ის მინაწერები, რომლებიც მხოლოდ ქართულ ხელნაწერებში გვხვდება. საიდუმლო მინაწერები დასტურდება აგრეთვე ისტორიულ დოკუმენტებსა და ეპიგრაფიკულ ძეგლებში, ოღონდ ძალზე იშვიათად; მათი ნიმუშები ერთეულები ჩანს. ეპიგრაფიკული ძეგლებისა და ისტორიული დოკუმენტების კრიპტოგრაფიები ცნობილია სამეცნიერო ლიტერატურაში². ეს კრიპტოგრაფიები ჩვენ მიერ მიმოხილული სისტემების მსგავსი სისტემებითაა შედგენილი. აღნიშნული კრიპტოგრაფიები ჩვენს კატალოგში არ ჩაგვიერთავს. ეპიგრაფიკულ ძეგლებსა და ისტორიულ დოკუმენტებში საიდუმლო მინაწერების არსებობა, თავის მხრივ, იმის დამადასტურებელია, რომ ძველად საქართველოში საიდუმლო დამწერლობა ძალზე გავრცელებული ყოფილა.

გადამწერნი ან ხელნაწერთა მფლობელნი რომელიმე სისტემის მათთვის საჭირო საიდუმლო ანბანს ზოგჯერ ჩაწერდნენ ხოლმე ხელნაწერში.

¹ რაც შეეხება გორის, ზუგდიდისა და თელავის მუზეუმების ქართულ ხელნაწერთა კრიპტოგრაფიებს, ისინი ვაღმოგვცეს ამ მუზეუმების ქართულ ხელნაწერთა აღმწერლებმა — კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის მეცნიერმა თანამშრომლებმა: თ. ბრეგვაძემ, ც. კახაბრიშვილმა და გ. კიკნაძემ, რისთვისაც დიდ მადლობას მოვასხენებ.

² Sd—1342; Sd—1532 გამოქვეყნებულია გ. შიქაძის მიერ: ზურაბ და ვრიგოლ წერეთლების კრიპტოგრაფიული წერილები, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგად. მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, 1960, № 2, 251—254; ვარდა ამისა, დაიძებნა შემდეგი კრიპტოგრაფიული წერილები: Sd—1533, Sd—1534, Hd—11940, Hd—7007, ასევე კრიპტოგრაფიული მინაწერი Hd—12355-ზე. ამ წერილების შესახებ იხ. ჩვენი სტატია: „რამდენიმე კრიპტოგრაფიული წერილის შესახებ“, მაცნე, ენისა და ლიტ. სერია, 1980, № 2); თ. ბარნაველი, ატენის სიონის წარწერები, 1957, გვ. 57, 59. მისივე, კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები, 1961, გვ. 129.

ასე შემოგვინახა ხელნაწერთა ერთმა წყებამ კრიპტოგრამული ანბანები, რომელთა რიცხვი რაოდენაზბრევად არც თუ ისე დიდია. ეს ანბანები სისტემების მიხედვით დავალაგეთ და ნაშრომს დავურთეთ. კრიპტოგრამების დამუშავება-ამოხსნის შემდგომ შესაძლებელი გახდა თითოეული კრიპტოგრამისთვის ე. წ. „კრიპტოგრამული გასაღების“ შედგენა. ჩვენ მიერ შედგენილი ეს ანბანებიც შევიტანეთ „კრიპტოგრამულ ანბანებში“. ყოველი სისტემის შესწავლისას, პირველ რიგში, განხილულია ამ სისტემის კრიპტოგრამული ანბანები: შეძლებისდაგვარად გარკვეულია მათი წარმოშობის დრო, აგრეთვე ზოგი ანბანის განვითარების საფეხურები და სხვ.

ქართული კრიპტოგრამები ძირითადად გადამწერებისა და ხელნაწერთა მფლობელების ნამუშავევია. ამიტომაც, რომ ხშირად გადამწერთა და მფლობელთა ვინაობა მიუზარული კრიპტოგრამებში. ამათ გარდა, კრიპტოგრამებს შემოუნახავს სახელები მომხატავეებისა, მთარგმნელთა და სხვ. ჩვენ შევადგინეთ ამ პირთა საძიებელი, რომელიც დავურთეთ ნაშრომს. ნაშრომს ერთვის აგრეთვე კრიპტოგრამებიან ხელნაწერთა საძიებელი, რომელშიც ხელნაწერები დალაგებულია კოლექციების მიხედვით.

რედაქტორებისაგან

ლილი ათანელიშვილმა წინამდებარე წიგნი მისთვის ჩვეული მაღალი პასუხისმგებლობით დაწერა. გამომცემლობას ვადასცა, როცა უკვე მძიმე ავადმყოფი იყო. იგი ვერ მოეხწრო თავისი ნაშრომის გამოსვლას, რედაქტორებმა გამომცემლობა „მეცნიერებისა“ და სტამბის მუშაებთან ერთად შეძლებისდაგვარად იზრუნეს ამ წიგნის სათანადო დონეზე გამომცემისათვის. თუ, მიუხედავად ამისა, წიგნში ხარვეზები მაინც აღმოჩნდება, იმედია, მკითხველი მოგვითხულებს.

შესავალი

ძველი ქართული დამწერლობის ჩამოყალიბების შემდგომ, სხვა კულტურულ ერთა მსგავსად, საქართველოში იქმნება მთელი რიგი ანბანებისა, რომელთაც განსაკუთრებული დანიშნულება ჰქონდათ. მათ მხოლოდ ისეთ შემთხვევებში იყენებდნენ, როცა არ სურდათ ყველასათვის გასაგები ყოფილიყო ტექსტი¹. ეს ანბანები საიდუმლო დამწერლობის ანბანებია. მაშასადამე, ძველ ქართულ დამწერლობასთან ერთად არსებობდა ქართული საიდუმლო დამწერლობა, ანუ ქართული კრიპტოგრაფია².

უძველესი ქართული კრიპტოგრაფიები X ს-ით თარიღდება, თუმცა ქართული კრიპტოგრაფიის წარმოშობა უფრო ადრეა სავარაუდებელი. ანჩინური და ანჯანური სისტემების ანბანთა შესწავლამ გამოავლინა, რომ ეს სისტემები ქართული კრიპტოგრაფიის უძველესი სისტემებია და მათი წარმოშობა X ს-ზე ადრე ჩანს სავარაუდებელი. ქართული კრიპტოგრაფია რომ X ს-ზე უფრო ადრეა წარმოქმნილი, ამას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ უკვე X ს-ში კრიპტოგრაფიის რამდენიმე სისტემაა გავრცელებული საქართველოში, კერძოდ, ანჩინური, სათვალავადი, სარკისებრი, სხვადასხვაობისა და აკროსტიქული, რომელთა ნიმუშებს ჩვენამდე მოუღწევიათ. ამასთანავე, საქართველოში საიდუმლო დამწერლობა ანუ კრიპტოგრაფია ამ პერიოდში უკვე იმდენად პოპულარული ყოფილა, რომ ქართველებს ქართული კრიპტოგრაფიების გარდა ბერძნული კრიპტოგრაფიებიც უწერიათ (გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ქართულ ხელნაწერებში დაცული ბერძნული კრიპტოგრაფიები X ს-ზე უფრო ადრეული ჩანს, კერძოდ, IX ს-ისა).

საქართველოში საიდუმლო დამწერლობა საუკუნეთა მანძილზე იზმარებოდა. XIX ს-ის დასასრულამდე მას არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა³.

თავდაპირველი და ერთ-ერთი ძირითადი დანიშნულება ძველი ქართული საიდუმლო დამწერლობისა, სხვა ქვეყნების კრიპტოგრაფიის მსგავ-

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, 1949, გვ. 131.

² „კრიპტოგრაფია, კრიპტოპროგრამა“ ბერძნული სიტყვებია და ნიშნავს საიდუმლო დამწერლობას, საიდუმლო წარწერას: κρυπτογράφω—საიდუმლო, γράφω—წერ, κρυπτα—წარწერა.

³ ამის დადასტურებაა Q—243 ხელნაწერი 1864 წლისა, „სამკურნალო წიგნი“, რომელიც მთლიანად კრიპტოგრაფული ანბანითაა შესრულებული.

სად, უთუოდ პოლიტიკური უნდა ყოფილიყო, მაგრამ პოლიტიკური შინაარსის არც ერთ უძველეს კრიპტოგრამას ჩვენამდე არ მოუღწევია.

ჩვენამდე მოღწეული უძველესი კრიპტოგრამები ძირითადად ხელნაწერთა გადამწერებს ეკუთვნით. ასეთი კრიპტოგრამები უმეტესად ანდერძებია. ცნობილია, რომ გადამწერები დიდი მოკრძალების გამო ხშირად ანდერძსაც არ ურთავდნენ ხელნაწერებს. მათ მიაჩნდათ, რომ მათი შრომა და ღვაწლი, რომელიც ხელნაწერის შესამზადებლად იყო საჭირო, უნდა ყოფილიყო დაფარული და ამიტომ ცდილობდნენ თავისი თავის იგნორირებას. გადამწერთა მიერ ხელნაწერებზე თავისი სახელის მიწერა კრიპტოგრაფულად, რაც შემდეგ საუკუნეებშიც ტრადიციულად გრძელდებოდა, მათ დიდ განსწავლულობაზეც მიუთითებს. რაც მთავარია, ზოგჯერ გადამწერნი ფლობდნენ არა მხოლოდ ერთ რომელიმე კრიპტოგრაფიულ სისტემას, არამედ რამდენიმეს. მაგალითად, X ს-ის ცნობილ პიმნოგრაფს, მიქაელ მოდრეკილს, შეუდგენია სათვალავადი, აკროსტიქული და სხვა დაწერილობის სისტემების კრიპტოგრამები. XVI ს-ის გადამწერს მანოელ ინანიკაშვილს სცოდნია სამი კრიპტოგრაფიული სისტემა. როგორც კრიპტოგრაფული ანბანების შესწავლამ დაგვანახვა, გადამწერები ზოგჯერ ამ სისტემებს გადაამუშავებდნენ ხოლმე და წარმოგვიდგენდნენ მათ ნაირ-ნაირი სახეობებით.

შემდგომში საიდუმლო დამწერლობა უფრო პოპულარული გამხდარა. გადამწერთა გარდა, იგი საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებს შეუსწავლიათ და ხელნაწერებზე მრავალი კრიპტოგრაფიული წარწერა მოუთავსებიათ⁴. ეს წარწერები შინაარსის მიხედვით სხვადასხვა ხასიათისაა: გარდა ანდერძებისა, ვხვდებით აგრეთვე გამოცანათა ამოხსნებს, ტექსტის კომენტარებს, ლექსებს, წერილებს და სხვ. შინაარსობრივად მეტად საინტერესო ამ მინაწერებს ქვემოთ განვიხილავთ.

კრიპტოგრამებს ხელნაწერებში ნებისმიერ ადგილას წერდნენ. ჩვეულებრივ ისინი გვხვდება ხელნაწერის საცავ ფურცლებზე ან ყდებზე, ფურცლის კიდეებზე, ხელნაწერის დაუწერელ გვერდებზე, ტექსტის ბოლოს, ზოგჯერ კი თვით ტექსტშიც. მაგ., „მირიანის“ ტექსტის ერთ-ერთი ქვესათაური დაწერილია კრიპტოგრაფული ანბანით (S—234, გვ. 38). ხელნაწერებში, რომლებშიც ტექსტი თავებად ან მუხლებადაა დაყოფილი, კრიპტოგრამები ჩაწერილია შიგნით ტექსტში — მუხლის დასასრულს ანდა ქვესათაურში. მაგ., A—4, A—144, A—365 და სხვ. შეგვხვდა აგრეთვე თავისებურად შესრულებული კრიპტოგრამები, რომლებიც ხელნაწერის ე. წ. „ჩამონაჭერზე“ მიუწერიათ. მაგ., S—4809, Q—816, Q—824.

საკითხის ისტორიისათვის. ძველი ქართული საიდუმლო დამწერლო-

⁴ ზოგ ხელნაწერში ორ ათეულამდეა მათი რაოდენობა, მაგ., S—3708, Q—1346 და სხვ.

ბის შესწავლას დასაბამი მიეცა XIX ს-ის დასაწყისში. ძველი ქართული კრიპტოგრაფიის პირველი მკვლევარი იყო ფრანგი მეცნიერი მარი ბროსე. ცნობილია, რომ მარი ბროსემ ქართული ენის შესასწავლად იტალიელი მისიონერის ფრანცისკო მარიო მაჯიოს „ქართული ენის გრამატიკისა“ და სტეფანო პაოლინისა და ნიკიფორე ირბახის „ქართულ-იტალიური ლექსიკონის“ გარდა გამოიყენა პარიზის სამეფო ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები⁵. ხელნაწერებზე მუშაობისას, როგორც ჩანს, მას უზრადლება გაუმახვილებია ძველი ქართული საიდუმლო დამწერლობის ნიმუშებზე. ამ საკითხის შესახებ მარი ბროსემ გამოაქვეყნა სტატია ეურნალ „სააზიო მუზეუმში“⁶.

XIX ს-ის დასასრულიდან იწყება ქართულ ხელნაწერთა ცალკეული კრიპტოგრამების პუბლიკაცია. 1896 წ. მ. ჯანაშვილმა გამოსცა ფარსადან გორგიჯანიძის „ჯამი აბასზე“ დამატებად დართული ანჯანური ანბანი⁷.

1898 წ. გ. წერეთელმა ყვირილის ხეობაში არქეოლოგიური ექსპედიციის დროს სავანის წმ. გიორგის ეკლესიაში ნახა XVI ს. სახარება⁸, რომელსაც მისი შემკავზმავის ანდერძი ერთვის. ანდერძში ხუთი სიტყვა საიდუმლო ანბანითაა დაწერილი. გ. წერეთელმა ეს ანდერძი მთლიანად დაბეჭდა, იქვე დაურთო რუსული თარგმანიც. კრიპტოგრამის შესახებ კი აღნიშნა, რომ ეს ხუთი სიტყვა სომხურია, ნაწერი ქართული ხუცური ასოებით, რომლის გადმოთარგმნა მას ვერ მოუხერხებია⁹.

1898 წელსვე პ. კარბელაშვილმა გამოაქვეყნა მიქაელ მოდრეკილის X ს-ის კრიპტოგრამა¹⁰.

საეკლესიო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობაში თ. ჟორდანიამ და მ. ჯანაშვილმა რამდენიმე კრიპტოგრამის შესახებ ასეთი ხასიათის შენიშვნები გააკეთეს. A—246 ხელნაწერის შესახებ თ. ჟორდანიას წერს: „Попадаютъся буквы неизвѣстнаго алфавита на полях¹¹. ასეთივე შენიშვნაა A—538 ხელნაწერის შესახებ: „... Там-же приписки буквами

⁵ რ. დოდაშვილი, მარი ბროსე — ქართული მწერლობის მკვლევარი, 1962, გვ. 11.

⁶ მარი ბროსე, Note Supplémentaire, Journal Asiatique, 1834, September, t. 14, p. 244—248.

⁷ მ. ჯანაშვილი, ფარსადან გორგიჯანიძე და მისნი შრომანი, 1896.

⁸ ხელნაწერი ამჟამად ინახება კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში, H 1721.

⁹ Г. Церетели, Археологическая прогулка по Квирильскому ущелью. Саванская базилика: Материалы по археологии Кавказа, вып. VII, 1898, М., с. 104.

¹⁰ პ. კარბელაშვილი, ქართული საერო და სასულიერო კილოები, 1898, 44—45.

¹¹ Ф. Жордания, Описание рукописей Тифлисскаго Церковнаго Музея, кн., I, 1901, с. 260.

неизвестного (тайного?) алфавита¹². მ. ჯანაშვილმა A—824 ხელნაწერის აღწერილობაში კრიპტოგრამა დაბეჭდა შემდეგი შენიშვნით: „На последнем 131 листе рукою текста надпись, в которой скрывается какая-то загадочная мысль автора-переписчика... Слова эти, видимо, мингрельския и автор их без сомнения есть Габриель Цгува, рукою котораго переписана минея за № 827“¹³.

მ. ჯანაშვილს კრიპტოგრამა მიუჩნევია მეგრულად და მის ავტორსაც ასახელებს. ამავე კრიპტოგრამაზე მ. ჯანაშვილი მიუთითებს, რომ იგი „გაუგებარი ქარაგმიანი სიტყვებია“. მას იგი „იეროგლიფებს“ უწოდებს და მათი შესწავლის აუცილებლობაზე მიუთითებს: „საჭიროა საერთო ძალით გამოიკვდეს, რას აღნიშნავენ ეს იეროგლიფები“¹⁴. ასევე სხვაგვარად ახსნა მ. ჯანაშვილმა A—911 ხელნაწერის კრიპტოგრამა¹⁵. ბოლო სიტყვა კრიპტოგრამისა „ჩ“ფ“, რაც ანჩინური სისტემით ნიშნავს „ამენ“-ს, ნიიჩნია რიცხვით სახელად და გახსნა ასე: 1500. მ. ჯანაშვილი XVIII ს. ფსალმუნის (A—913) აღწერილობაში მიუთითებდა, რომ „текст заканчивается загадочною записью в четыре слова“¹⁶. გაიჩვენა, რომ ეს უცნობი სიტყვები პირობითი ნიშნების სისტემის კრიპტოგრამაა. მ. ჯანაშვილმა „ბარამგულანდამიანის“ S—1746 ხელნაწერის აღწერილობაში შენიშნა, რომ „ბოლოში რაღაც გაუგებარი წარწერაა“¹⁷. ეს „გაუგებარი“ წარწერა კრიპტოგრამული მინაწერია, რომელიც ამ ნუსხის გადამწერს ანა ეგნატეს ასულ თუმანიშვილს ეკუთვნის.

1914 წელს კ. კეკელიძემ ნ. მარს პეტერბურგში გაუგზავნა გელათის (ამჟამად ქუთაისის მუზეუმის) № 4 ხელნაწერის კრიპტოგრამების ნიმუშები. ნ. მარმა ამოხსნა ეს კრიპტოგრამები და იმავე წელს გამოაქვეყნა¹⁸.

ა. შანიძემ 1920 წელს დაბეჭდა სტატია „ქართული კრიპტოგრაფიის ახალი ნიმუშები“¹⁹, რომელშიც პირველადაა გამახვილებული ყურადღება ქართული კრიპტოგრაფიის სისტემებზე. რეცენზია ამ შრომაზე გამოაქვეყნა პ. მირიანაშვილმა 1923 წელს²⁰.

¹² მ ი ს ი ე ე, Описание, кн. II, 1902, გვ. 74.

¹³ М. Джанашвили, Описание, кн. III, 1908, с. 18.

¹⁴ მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, იოანე ბოლნელ ეპისკოპოსის ქადაგებანი, 1911, გვ. V.

¹⁵ მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, Описание, III, 1908, გვ. 189.

¹⁶ იქვე, გვ. 191.

¹⁷ მ. ჯანაშვილის არქივი, № 52, გვ. 29.

¹⁸ Н. Марр, Один вид грузинского криптографического письма, Христианский Восток, III, вып. I, 1914, с. 205—207.

¹⁹ ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული კრიპტოგრაფიის ახალი ნიმუშები, საქართველოს მუზეუმის მოამბე, I, 1920, გვ. 63—68.

²⁰ პ. მ ი რ ი ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ბიბლიოგრაფიის შავიერ, „ტრიბუნა“, 1923, 15. VIII, № 547.

1926 წელს ა. შანიძემ კვლავ გამოაქვეყნა რამდენიმე კრიპტოგრაფიკული ნაშრომი.

ივ. ჯავახიშვილი თავის „ქართულ პალეოგრაფიაში“ მიმოიხილავს ძველ ქართულ საიდუმლო დამწერლობას, მის მიმართებას ბერძნულ კრიპტოგრაფიასთან, განიხილავს ზოგ ქართულ კრიპტოგრაფიულ ტერმინს და ა. შ.²¹

ძველი ქართული კრიპტოგრაფიის შესწავლის ისტორიისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ე. თაყაიშვილის წიგნს „პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები და იგი ქართული საიდუმლო დამწერლობის ნიშანი“ (პარიზი, 1933 წ.). როგორც აღვნიშნეთ, მარი ბროსე პირველი იყო, რომელმაც პარიზულ ხელნაწერებში შენიშნა ქართული საიდუმლო დამწერლობის ნიშნები. ე. თაყაიშვილმა კი ამ წიგნში ქართულ ხელნაწერთა აღწერილობასთან ერთად მოათავსა ქართული კრიპტოგრაფიის ისტორიისათვის. მეტად მნიშვნელოვანი და საინტერესო ტაბულები, რომლებიც № 1 ხელნაწერშია დაცული (კრებული, 1725 წ., გვ. 165—167). ე. თაყაიშვილი ვრცლად მიმოიხილავს ტაბულებში წარმოდგენილ თითოეულ კრიპტოგრაფიულ სისტემას.

საყურადღებოა აგრეთვე რ. ორბელის შრომა, რომელიც ეხება თეიმურაზ ბაგრატიონის ლენინგრადში დაცული ავტოგრაფული ნუსხების კრიპტოგრაფიას.²²

ბოლო წლებში ქართული კრიპტოგრაფიის ცალკეული ნიმუშები შესწავლა და გამოაქვეყნა გ. მიქაძემ.²³

²¹ ა. შანიძე, კრიპტოგრაფიული მასალები, მიმოიხილველი, I, 1926, გვ. 237—243.

²² ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, 1926, გვ. 129—133; (შდრ. 1949 წ. გვ. 131—136).

²³ P. P. Орбели, Из криптографированных записей Теймураза Багратиони, Ученые записки Института востоковедения, XVI, 1958, с. 393—403. ამ ნაშრომზე იხ. რეცენზია: შ. ძიძიუჯური, თეიმურაზ ბაგრატიონის კრიპტოგრაფიული ხანაწერები, „მნათობი“, 1959, № 6.

²⁴ გ. მიქაძე, ძველი ქართული საიდუმლო დამწერლობა, „დროშა“, 1951, №3; მისივე, ქართული კრიპტოგრაფია, „დროშა“, 1953, № 6; მისივე, ერთი კრიპტოგრაფიული მინაწერისათვის, ვახ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1956, № 95, 9. VIII. მისივე, ძველი ქართული საიდუმლო დამწერლობის უცნობი ნიმუშები (საიუბილეო კრებული გ. კეკელიძის დაბადების 80 წლისთავზე, უნივერსიტეტის გამოცემა, 1959). მისივე, ზურაბ და გრიგოლ წერეთლების კრიპტოგრაფიული წერილები (ახალი ცნობები იმერეთის 1810 წ. აშლილობაზე), საქართ. მეცნიერებათა აკადემიის საზ. მეცნ. განვ. მოამბე, 1960, № 2, გვ. 251—254. მისივე, ქართული ხელნაწერების შესწავლა და აღწერა, 1957, გვ. 10—17. მისივე, ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა კრიპტოგრაფიები, შოთა რუსთველი, საიუბილეო კრებული, შოთა რუსთველის საზ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი, 1966. მისივე, „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერების შესახებ, ლიტერატურული ძიებანი, XII, 1959 წ., მისივე, ძველი საქართველოს პოეტიკა, ძვ. ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები, IV, 1973, გვ. 35—47; მისივე, ვეფხისტყაოსნის მუხბათუნისეული ხელნაწერისათვის, ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები, VI, 1974, გვ. 114—147.

ძველი ქართული კრიპტოგრაფიული სისტემები

ძველი ქართული საიდუმლო დამწერლობა, როგორც აღენიშნეთ, წარმოშობისთანავე ცალკეულ სისტემებს შეიცავდა. ჩვენს ხელთ არსებული მასალის მიხედვით გამოვლინდა შემდეგი კრიპტოგრაფიული სისტემები: ანჩინური, ანჯანური, ანრეური, ანპოეური, სათვალავადი, უკუდაწერილობის სისტემა, სარკისებრი დაწერილობის, სხვადასხვა დაწერილობის, აკროსტიქული, ერთი და იმავე ასოს განმეორებით მიღებული სისტემა, სიტყვათა დაქარაგმებით მიღებული სისტემა, სიტყვებში ასოების გამოტოვებით მიღებული სისტემა, პირობითი ნიშნების სისტემა, კომპილაციური სისტემები: ა) ანჩინურ-უკუდაწერილობის, ბ) სარკისებრ-უკუდაწერილობის, გ) პირობითი ნიშნებისა და უკუდაწერილობის სისტემა. ამ სისტემათაგან ზოგი უფრო ადრეულია, ხოლო ზოგი შედარებით გვიან ჩამოყალიბებული ჩანს.

ქართულ საიდუმლო დამწერლობაზე ერთგვარი გავლენა მოუხდენია ბერძნულ კრიპტოგრაფიას¹. ზოგი სისტემა ბერძნულის ანალოგიურია, მაგრამ ქართულში ასეთი სისტემებიც კი გადამუშავებული და შეცვლილი სახით მკვიდრდებოდა.

ბერძნულში კრიპტოგრაფიული სისტემები წარმოიშვა ასოთა განლაგების ან მათი ურთიერთმონაცვლეობის თავისებური ვარიაციების შედეგად.

უძველესი ბერძნული კრიპტოგრაფია ემყარებოდა ანბანის ასოთა თავისებურ განლაგებას, ასოთა რიგის შეცვლას აკროსტიქის მსგავსად, რომლის წაკითხვა წერის ამ მანერის ცოდნის გარეშე შეუძლებელი იყო².

ძველ ბერძნულშივე არსებობდა ისეთი სისტემა, რომელიც შედგენილი იყო ჩვეულებრივი ბერძნული ანბანით, ოღონდ აქ ერთი ასო მეორის მაგიერ იხმარებოდა და, მაშასადამე, ცალკეულ ასო-ნიშნებს სხვა მნიშვნელობა ჰქონდა მინიჭებული. ეს სისტემა ყველაზე უძველესია და იგი აღმოსავლეთიდან უნდა მომდინარეობდეს. ამ სისტემას ატბაში (Atbasch) ეწოდებოდა³. ატბაშური სისტემით ურთიერთს ენაცვლებოდ-

¹ ა. შანიძე, ქართული კრიპტოგრაფიის ახალი ნიმუშები, საქართველოს მეცნიერების მოამბე, I, 1920, გვ. 68, 267. 1.

² V. Gardthausen, Griechische palaeographie, II, 1913, გვ. 300—301.

³ V. Gardthausen, დასახ. ნაშრომი, გვ. 301.

ნენ ბერძნული ანბანის პირველი და უკანასკნელი ასოები: α და ω , β და ψ და დანარჩენი ასოებიც ასე თანმიმდევრულად ერთიმეორის მაგიერ იხმარებოდა⁴. ატბაშური ანბანი ასეთია:

$\alpha \beta \gamma \delta \epsilon \zeta \eta \theta : \kappa \lambda \mu$
 $\omega \psi \chi \varphi \sigma \tau \rho \pi \omicron \xi \nu$

ბერძნულშივე არსებობდა ისეთი სისტემაც, რომელიც გულისხმობდა ასოთა შენაცვლებას შემდეგი წესით: β -ს ხმარობდნენ α -ს ნაცვლად, γ უხმარიათ β -ს მაგიერ, δ ენაცვლებოდა γ -ს და დანარჩენი ასოებიც ამ წესით მონაცვლეობდნენ (ე. ი. $\beta = \alpha$, $\gamma = \beta$, $\delta = \gamma$ და ა. შ.)⁵. რომაელებსაც ძირითადად ამ მეთოდით უსარგებლიათ, ოღონდ ნაწილობრივ შეუცვლიათ იგი; თითოეული ასოს მნიშვნელობა გადაწეული იყო ოთხი ასოთი: D უხმარიათ A-ს ნაცვლად, E უხმარიათ B-ს ნაცვლად და ა. შ. ასეთი კრიპტოგრაფიული გასაღებით შედგენილი წერილები გაუგზავნია ცეზარს ციცირონთან და სხვებთან⁶.

ამრიგად, უძველესი ბერძნული კრიპტოგრაფიული სისტემები ძირითადად ასოთა ურთიერთშენაცვლებით იყო შედგენილი⁷.

ვ. გარდტჰაუზენი ბერძნულ კრიპტოგრაფიულ სისტემებს ორ ჯგუფად ყოფს: Kryptographie des Schreibens (წერის კრიპტოგრაფია) და Kryptographie des Rechnens (სათვალავადი კრიპტოგრაფია). ასოთა შენაცვლების პრინციპით შედგენილ ზემოაღნიშნულ სისტემებს ვ. გარდტჰაუზენი ე. წ. წერის კრიპტოგრაფიის ჯგუფს მიაკუთვნებს.

ანბანის ასოთა ურთიერთმონაცვლეობით შედგენილია ერთი უძველესი სისტემაც ბერძნული კრიპტოგრაფიისა, ოღონდ აქ ფაქტიურად

⁴ ე. გარიტი ამ გასაღებით შედგენილ სისტემას „ენვერსიულს“ უწოდებს. მან გამოაქვეყნა ამ სისტემის ერთი კრიპტოგრამა, რომელიც დაკული აღმოჩნდა პარიზში, ბერძნულ ხელნაწერში (gr. 531). G. Garitte, Le cryptogramme du Paris gr. 531. Scriptorium, V, 1951, Bruxelles, გვ. 299, 300.

⁵ V. Gardthausen, დასახ. ნაშრომი, გვ. 301. ბერძნულში დადასტურებული ეს სისტემა კოპტურშიც გამოუყენებიათ. მიუთითებენ XII ს-ის საიდურ-კოპტური ხელნაწერის ასე შედგენილ კრიპტოგრაფიულ ანდერძზე: M. Jean Doresse, Cryptographie copte et cryptographie grecque, Bulletin de l'Inst. d'Egypte, t. 33, Session 1950—51, გვ. 217, 1952.

⁶ ვ. გარდტჰაუზენი, დასახ. ნაშრომი, გვ. 301.

⁷ ეს მეთოდი გამოუყენებიათ რუსულშიც კრიპტოგრაფიული სისტემის «Литорея»-ს შედგენისას. მას «простая литорея»-ს უწოდებდნენ, რომელშიც მხოლოდ თანხმოვნები მონაცვლეობდნენ, გარდა Зело და Фита-სი. ეს სისტემა XIII ს-დანაა ცნობილი. შემდგომში, XVI—XVII საუკუნეებში «простая литорея»-სთან ერთად იხმარება აგრეთვე «мудрая литорея», რომელშიც თანხმოვნებთან ერთად მონაცვლეობდნენ ხმოვნებიც (Черепнин Л. В., Русская палеография, 1956, с. 264—265; 390).

ანბანის რიცხვითი მნიშვნელობებია გათვალისწინებული, ამიტომ ვ. გარდტჰაუზენი ამ სისტემას სათვალავადი კრიპტოგრაფიის ჯგუფის სხვა სისტემებთან ერთად განიხილავს. ამ სისტემას იგი უმეტესად ჩვეულებრივ *gewöhnlichste kryptographie*-ს ან ერთმნიშვნელობიან კრიპტოგრაფიას (*einstellige zahlenkryptographie*) უწოდებს⁸. მან დიდი გავრცელება პოვა საბერძნეთში და საუკუნეების მანძილზე ბატონობდა⁹. ატბაშურის მსგავსად, ამ სისტემაშიც ასოები მონაცვლეობდნენ, მაგრამ აქ მონაცვლეობა სხვაგვარად იყო წარმოდგენილი: ასოთა მონაცვლეობისას გათვალისწინებული იყო მათი რიცხვითი მნიშვნელობაც, უკეთ რომ ვთქვათ, აქ საქმე გვაქვს რიცხვითი ანბანის მონაცვლეობასთან. ბერძნული ანბანი დაყოფილი იყო ერთეულებად, ათეულებად და ასეულებად: α-დან θ-მდე რიგს ენაცვლებოდა შებრუნებული რიგი θ-დან α-მდე. ერთეულების ამ რიგში 4-ის აღმნიშვნელი θ ამოღებული იყო. ათეულების რიგს ისევ ათეულების შებრუნებული რიგი ენაცვლებოდა (10-ის აღმნიშვნელი ι-ს გამოკლებით), ხოლო ასეულების რიგს — ასეულებისა (100-ის აღმნიშვნელი ρ-ს გამოკლებით). ამრიგად, კრიპტოგრაფული ანბანიდან ამოუღიათ θ, ι, ρ ასოები და მათ ნაცვლად კრიპტოგრაფულ ანბანში შეუტანიათ ζ, Γ და Ξ. კრიპტოგრაფულ ანბანში ε, ν და φ სხვა ასოებით არ იცვლებიან: კრიპტოგრაფის ε უცვლელად გადმოიღება ε-დ, ასევე ν და φ.

gewöhnlichste kryptographie-ს ანბანი ასეთია¹⁰:

ერთეულები

9	8	7	6	5	4	3	1
θ	η	ζ	ε	δ	γ	β	α
α	β	γ	δ	ε	ζ	η	θ

ათეულები

90	80	70	60	50	40	30	20
Γ	π	ο	ξ	ν	μ	λ	κ
ι	κ	λ	μ	ν	ξ	ο	π

⁸ ვ. გარდტჰაუზენი, დასახ. ნაშრომი, გვ. 311.

⁹ ბერძნული მსგავსად, კოპტურშიც გამოუყენებიათ ეს სისტემა. უმეტესად კოლოფონებში, შელოცებში, აგრეთვე დიდ კოპტურ სამედიცინო პაპირუსში — M. Jean Dorese, *Cryptographie copte et cryptographie grecque*, Bulletin de l'Inst. d'Egypte, t. 33, Session 1950—51, 1952, გვ. 217—219.

¹⁰ ვ. გარდტჰაუზენი, დასახ. ნაშრომი, გვ. 311—314.

ასე უ ლ ე ბ ი



900	800	700	600	500	400	300	200
ჰ	ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ
რ	ს	ტ	თ	ყ	ჩ	ც	ძ

ამრიგად, ბერძნულში ორივე კრიპტოგრაფიული სისტემა — ატბაშური და *gewöhnlichste kryptographie* — ძირითადად ასოთა შენაცვლების პრინციპითაა შედგენილი. ასოთა ურთიერთშენაცვლება დაედო საფუძვლად ძველი ქართული საიდუმლო დამწერლობის რამდენიმე სისტემასაც. ეს სისტემებია: ანჩინური, ანრეური, ანჯანური და ანჰოეური.

ბერძნული ატბაშური სისტემის გავლენით უნდა იყოს შედგენილი ძველი ქართული ანჯანური და ანჰოეური სისტემები. რაც შეეხება ანჩინურ და ანრეურ სისტემებს, აქ სხვაგვარი ვითარებაა. ბერძნულთან მსგავსება ძირითადად გამოიხატება შემდეგში: ასოთა მონაცვლეობის დროს ფონეტიკურ მნიშვნელობასთან ერთად გათვალისწინებულია მათი რიცხვითი მნიშვნელობაც. ეს არის ბერძნული „*gewöhnlichste kryptographie*“-სა და ქართული ანჩინურ-ანრეური სისტემების შედგენის საერთო პრინციპი. მაგრამ ანჩინური და ანრეური სისტემები, თავის მხრივ, რიგ თავისებურებებს შეიცავენ, რითაც განსხვავდებიან ბერძნული კრიპტოგრაფიული სისტემისაგან და რის გამოც ანჩინური და ანრეური სისტემები ქართულ ორიგინალურ სისტემებს წარმოადგენენ. ე. თაყაიშვილი ოთხივე ქართულ სისტემას — ანჩინურს, ანჯანურს, ანრეურსა და ანჰოეურს — მიაკუთვნებს ბერძნულ ატბაშურ სისტემას¹¹, რაც არ არის მართებული. ოთხივე ქართული სისტემის გასაღებების მიმოხილვისას ქვემოთ გარკვეული გვაქვს ამ სისტემათა ბერძნულთან მიმართების საკითხი.

ანჩინური სისტემა

ანჩინური სისტემის პირველი მეცნიერული ანალიზი ეკუთვნის ა. შანიძეს¹². მან ამოხსნა და გამოაქვეყნა გ. წერეთლის¹³ და მოსე ჯანაშვი-

¹¹ ე. თაყაიშვილი, პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები და ოცი ქართული საიდუმლო დამწერლობის ნიმუში, 1933, პარიზი, გვ. 7—8.

¹² ა. შანიძე, ქართული კრიპტოგრაფიის ახალი ნიმუშები, საქართველოს მეზღუდის მოამბე, I, 1920, გვ. 63—68.

¹³ Г. Церетели, Археологическая прогулка по Квирильскому ущелью. Саванская базилика: Материалы по арх. Кавказа, вып. VII, М., 1898, с. 104.

ლის¹⁴ სომხურ და მეგრულ სიტყვებად მიჩნეული კრიპტოგრამები. როგორც ა. შანიძემ გამოარკვია, ეს კრიპტოგრამები ანჩინური სისტემისა ყოფილა, ოღონდ ამ სისტემის ანბანს „შიფრისანი ანბანი“ უწოდა¹⁵. ხოლო შემდგომში მანვე ასეთ სისტემას „ანჩინური“ უწოდა ფარსადან გორგიჯანიძისეული „ანჯანური“ სისტემის სახელწოდების ანალოგიით¹⁶. ტერმინი „ანჩინური“ ხელნაწერებშიც დადასტურდა: H—1283 (XVIII ს.), S—3652 (XVIII ს.) და პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის № 15 ხელნაწერი (XVIII ს.)¹⁷. H—1283 და S—3652 ხელნაწერებში ანჩინური სისტემის ანბანს შემდეგი შენიშვნა ახლავს: „ამას უკუჲ ანჩინური ეწოდება“. ასევე პარიზულ № 15 ხელნაწერშიც მითითებულია, რომ „ამას ანჩინური ეწოდების“ და იქვე აღნიშნულია ანბანის შესახებ, რომ „ესენი ერთმანერთის ნაცვლად დაისმის“.

ანჩინური სისტემის კრიპტოგრამული ანბანის შედგენის დროს ბერძნული „gewöhnlichste kryptographie“-ს მსგავსად ასოთა ფონეტიკურ მნიშვნელობასთან ერთად გათვალისწინებულია ასოთა რიცხვითი მნიშვნელობაც, ოღონდ ქართულში ეს მონაცვლეობა ორიგინალურადაა გადაწყვეტილი: ბერძნულისაგან განსხვავებით, სადაც ერთეულები ერთეულებს ენაცვლებოდნენ, ათეულები — ათეულებს და ასეულები — ასეულებს, ქართულში ასოთა რიცხვითი მნიშვნელობა ისეა გათვალისწინებული, რომ ერთეულებისა და ათასეულების აღმნიშვნელი ასოები მონაცვლეობენ, ერთი მხრივ, და ათეულებისა და ასეულების აღმნიშვნელი ასოები, მეორე მხრივ: ე. ი. ერთის აღმნიშვნელი ა ასოს მაგიერ გვხვდება ჩ, რომელიც უდრის 1000-ს, ორის აღმნიშვნელი ბ ენაცვლება ც-ს, რომელიც 2000-ს აღნიშნავს და ა. შ. ასევე ათის აღმნიშვნელ ი-ს ენაცვლება რ (=100), ასო კ-ს (=20) ენაცვლება ხ (=200) და ა. შ. ამ სისტემას სახელწოდებაც ანჩინური ამ მონაცვლეობის მიხედვით შერქმევია: ანჩინური ქართული ანბანის ან-ისა და ჩინ-ისაგან არის მიღებული.

ამრიგად, ანჩინური სისტემის კრიპტოგრამულ ანბანში ერთეულებს ენაცვლება ათასეულები, ხოლო ათეულებს — ასეულები. ამის მიხედვით აღნიშნული ანბანი ამგვარად წარმოგვიდგება¹⁸:

¹⁴ М. Джанашивили, Описание рукописей церковного Музея, кн. III, 1908, с. 18.

¹⁵ ა. შანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 64.

¹⁶ ა. შანიძე, კრიპტოგრაფიული მასალები, მიმოხილველი. I, 1926, გვ. 237.

¹⁷ Q—1459 ხელნაწერში (XVIII—XIX სს.) კრიპტოგრამულ ანბანს აწერია „ანჩინურისათვის“, მაგრამ ფაქტიურად იგი ანჯანური ანბანია (იხ. ანჯანური სისტემა).

¹⁸ ანჩინური სისტემის ანბანი ხელნაწერებშიც აღმოჩნდა ჩაწერილი, ოღონდ გარკვეული სახეცვლილებებით (ამის შესახებ იხ. ქვემოთ).



აჩ — 1:1000
 ბც — 2:2000
 გძ — 3:3000
 დწ — 4:4000
 ეშ — 5:5000
 ვხ — 6:6000
 ზყ — 7:7000
 მჭ — 8:8000
 თბ — 9:9000

ირ — 10:100
 კს — 20:200
 ლტ — 30:300
 მუ(*მუ) — 40:400
 ნფ — 50:500
 ძქ — 60:600
 ოლ — 70:700
 პყ — 80:800
 ეშ — 90:900

ანჩინური სისტემის ანბანში მტკიცედ არის დაცული მისი შედგენის პრინციპი — მონაცვლეობა ერთეულებისა ათასეულებთან, ათეულებისა ასეულებთან. ეს პრინციპი არ ირღვევა არც უძველეს, X საუკუნის, კრიპტოგრამებში, და არც ყველაზე ახალ XIX საუკუნის, კრიპტოგრამებში. მაგ., აჩ, ბც, გძ, დწ და ა. შ. კომპლექსები ერთმანეთს ენაცვლებიან როგორც უძველეს, ასევე გვიანდელი საუკუნეების კრიპტოგრამებში, მაგრამ ეს არ ითქმის ანბანის ყველა კომპლექსზე. ჩვენი ყურადღება მიიქცია რამდენიმე ურთიერთმონაცვლე კომპლექსმა, რომელთაც გარკვეული მიზეზების გამო განუტედათ ცვლილებები და თავისებური, ახალი მონაცვლეობა წარმოუქმნიათ. ეს კომპლექსებია მჭ, თბ, მუ, ძქ. ამათგან მუ კომპლექსი გარკვეული კანონზომიერების ამსახველია, ხოლო მჭ, თბ და ძქ კომპლექსებში ცვლილებები ერთ საერთო მოვლენას უკავშირდება.

მუ კომპლექსი: ანჩინური სისტემის ანბანით მ-ს, რომლის რიცხვითი მნიშვნელობაა 40, ენაცვლება უ (რიცხვითი მნიშვნელობა 400). ვინაიდან უ (Q4) ასო ძველ ქართულში რთული ბგერაა, შედგება ორი ნიშნისაგან, ამიტომ კრიპტოგრამებშიც გვაქვს მრავალფეროვნება. კრიპტოგრამების შემდგენელთ მ-ს ნაცვლად უხმარიათ როგორც რთული Q4, ასევე მისი შემადგენელი Q ან 4, იმის გათვალისწინებით, თუ ქართული დამწერლობის რომელი სახეობით იწერებოდა კრიპტოგრამა: ასომთავრულით, ნუსხურით თუ მხედრულით.

1) მ — უ. როგორც კრიპტოგრამების შესწავლამ დაგვანახა, მათ ავტორები ჩვეულებრივ მ-ს ნაცვლად იყენებდნენ უ-ს. ასეთი შენაცვლება ძირითადად დასტურდება ნუსხურსა და მხედრულ კრიპტოგრამებში: მ — უ გვხვდება XI—XVII საუკუნეების ნუსხურით ნაწერ კრიპტოგრამებსა და XV—XIX საუკუნეების მხედრულით ნაწერ კრიპტოგრამებში (დასტურდება ამის ორმოცზე მეტი ნიმუში). ანჩინური სისტემის კრიპტოგრამების დიდი ნაწილი სწორედ ნუსხური და მხედრული დამწერლობისაა.

რაც შეეხება Q4-ს შემადგენელ კომპონენტებს:



2) მ—ო. მ-ს ნაცვლად მხოლოდ ო გვხვდება ასომთავრულით და ნუსხურით ნაწერ კრიპტოგრამებში: ასომთავრულითაა ნაწერი A—911 ხელნაწერის XVIII ს. კრიპტოგრამა, ხოლო XV—XVI სს. ერთ კრიპტოგრამაში (S—4958), რომელიც ნუსხურადაა ნაწერი, საზედაო ასოდ ჩაუწერია მის ავტორს ასომთავრული ო, რაც მ-ს ნაცვლია. ასევე მ-ს ნაცვლად ო გვხვდება ერთ ნუსხურით ნაწერ კრიპტოგრამაშიც (XVII ს.; A—1516)¹⁹.

3) მ—ვ. მ-ს ნაცვლად ვ გვხვდება XII—XVIII სს. ნუსხურით ნაწერ კრიპტოგრამებში და XVIII ს. ერთ მხედრულით შესრულებულ კრიპტოგრამაში (H—1027).

აღნიშნული მონაცვლეობა სქემის სახით ასე წარმოგვიდგება:

- შ—ჟ: ნუსხურითა და მხედრულით ნაწერ კრიპტოგრამებში.
- შ—ღ: ასომთავრულსა და ნუსხურ კრიპტოგრამებში.
- შ—ღ: ძირითადად ნუსხურ კრიპტოგრამებში, ერთ მხედრულ კრიპტოგრამაში.


K 191-326
3

როგორც ვნახეთ, მ-ს ნაცვლად ჩვეულებრივ გვაქვს უ, ხოლო შედარებით იშვიათად ო ან ვ. ნუსხურ და მხედრულ კრიპტოგრამულ ანბანებში ო-სა და ვ-ს ხმარება მ-ს მაგიერ, ცხადია, ასომთავრულის გავლენით აიხსნება, კერძოდ, ასომთავრული ოჟ-ს რთული შედგენილობით. მართალია, ამჟამად მცირე რაოდენობით შემოგვრჩა ანჩინური სისტემის ასომთავრულით ნაწერი კრიპტოგრამები, მაგრამ უძველესი ნიმუშები, რა თქმა უნდა, ასომთავრულით იქნებოდა შესრულებული.

ქართულ ანბანში თავდაპირველად 400-ის რიცხვით მნიშვნელობას ჯადმოსცემდა ო²⁰. ვინაიდან ანჩინური კრიპტოგრამული ანბანის შედგენის დროს მთავარი ყურადღება ექცეოდა ასოთა რიცხვით მნიშვნელობას, ცხადია, ო (=400) იქნებოდა მ-ს (=40) მონაცვლე იმ უძველეს, თავდაპირველ ანჩინურ ანბანში. ჩვენს ვარაუდს, ვფიქრობთ, მხარს უჭერს ო ასოს არსებობა ანჩინური სისტემის კრიპტოგრამებში, რომლებიც შედარებით გვიანდელია (ძირითადად XVII—XVIII სს. ნუსხური და ერთი მხედრული კრიპტოგრამაც), მაგრამ ძველი ვითარების ამსახველი

¹⁹ XI ს. II ნახევრის ერთ ნუსხურ კრიპტოგრამაში (Jer—73, 84r) ო-ს ნაცვლად მოსალოდნელი მ-ს მაგიერ გვაქვს ღ. ჩანს, მის ავტორს კრიპტოგრამაში (-ქოთათელი) ო მიუჩნევია არა რთული ოჟ-ს შემადგენელ კომპონენტად, არამედ დამოუკიდებელ ასო-რომლის მონაცვლე ანჩინური სისტემით გვაქვს ღ.

²⁰ ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, 1976 წლის ვარიანტი, გვ. 17.



ჩანს. ცნობილია, რომ შემდგომ „უ-ნმა მხედრულ ანბანში 4 ასოს ათვი-
ლი დაიკავა და 400 აღნიშნა“²¹. ქართული ანბანის გავლენით ანჩინურ
ანბანშიც 4-ს ადგილს იჭერს უ.

ამრიგად, შ-ის მეწყვილედ სხვადასხვა დროს 4, Q და Q4 ასოების
არსებობა ანჩინურ კრიპტოგრაფულ ანბანში აიხსნება, ერთი მხრივ, Q4
ბგერის რთული შედგენილობით, ხოლო, მეორე მხრივ, ასეთი მონაცე-
ლეობა საგულისხმო ჩანს, ვინაიდან 4-ს არსებობა ანჩინურ კრიპტოგრა-
ფულ ანბანში უთუოდ უნდა მიანიშნებდეს ამ სისტემის სიძველეზე.

ამრიგად, შესაძლებელი ხდება უძველესი ანჩინური კრიპტოგრაფუ-
ლი გასაღების აღდგენა (ივარაუდება ასომთავრული დამწერლობით შეს-
რულებული): ამ ანბანში შ-ის მონაცვლე იქნებოდა 4, ხოლო შემდგომ
Q4 (ან მისი კომპონენტი Q).

ფჷ, თჷ და აქ კომპლექსების შესახებ: ფჷ, თჷ, აქ—, ქჷ, ჭჷ და მთ
(კომპილაციური), მთ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ანჩინური კრიპტოგრაფული ანბანი მთე-
ლი ათი საუკუნის განმავლობაში საკმაოდ სტაბილურია. მაგრამ XIV—
XV და XVI სს. რამდენსამე კრიპტოგრაფიაში შეეცინა ერთი თავისებუ-
ლება — თ ბგერას (რიცხვითი მნიშვნელობა 9), რომელსაც ჩვეულებრივ
ენაცვლებოდა ჰ (რიცხვითი მნიშვნელობა 9000), შეენაცვლა მ (რიცხვი-
თი მნიშვნელობა 8), ე. ი. ერთეულის აღმნიშვნელ თ-ს (=9) შეენაცვლა,
ერთეულის აღმნიშვნელი მ (=8). ასევე, გვიანდელ XVII—XVIII სს. რამ-
დენსამე კრიპტოგრაფიაში ჭ-ს (რიცხვითი მნიშვნელობა 600) შეენაცვლა
ჯ (რიცხვითი მნიშვნელობა 8000), ე. ი. ასეულს შეენაცვლა ათასეული.

ისმის კითხვა: რამ შეუწყო ხელი ანჩინური კრიპტოგრაფული ანბანის
ამ განსხვავებული ტიპების ჩამოყალიბებას და რატომ დაირღვა ზემოაღ-
ნიშნული პრინციპი ანჩინური კრიპტოგრაფული ანბანის შედგენისა?

ანჩინური სისტემა და ყველა სხვა სისტემა, რომლებიც ბგერათა მო-
ნაცვლეობაზე არიან დამოკიდებული, ე. ი. რომელთაც ქართული ანბანი
უდევთ საფუძვლად, ანგარიშს უწყევენ ქართულ ანბანში მომხდარ ცვლი-
ლებებს. ქართულ კრიპტოგრაფიაში, როგორც სარკეში, ისე აისახება
ქართულ ანბანში მომხდარი ცვლილებები, გრაფიკული იქნება ეს თუ
ორთოგრაფიული.

ქართულმა ანბანმა რომ მოხაზულობის თვალსაზრისით სამი საფე-
ხური განვლო, ეს კარგად აისახა ქართულ კრიპტოგრაფიაშიც. ჩვენამდე
შემორჩენილი უძველესი კრიპტოგრაფები ნაწერია ასომთავრულით, ნუს-
ხურით და გვიანდლები — მხედრულით. ქართული კრიპტოგრაფია ქარ-
თულ ანბანში მომხდარ ძვრებს მოხაზულობის თვალსაზრისით მაშინვე
გამოხმაურებია. მხედველობაში გვაქვს Sin—11 ხელნაწერის X ს. ნუსხუ-

²¹ იქვე, გვ. 13.

რით ნაწერი კრიპტოგრამა, რომელიც ამ ხელნაწერში დამახინჯებული ფორმითაა შემორჩენილი და რომელიც სწორი ფორმით, რა თქმა უნდა, მის დედანში იქნებოდა ჩაწერილი. მისი დედანი კი ჩვენ IX საუკუნისად მივიჩნით²², რადგან ამ საუკუნეში იწყება ქართული ანბანის ნუსხური მოხაზულობის გამოყენება. მაშასადამე, ირკვევა, რომ ქართულ ანბანში მომხდარი გრაფიკული ცვლილება იმავე საუკუნეში ასახულა ქართულ კრიპტოგრაფიაშიც.

ძველ ქართულ კრიპტოგრაფიაში, კერძოდ, იმ სისტემებში, რომლებიც ასოთა მონაცვლეობას ემყარება, ნათლად ჩანს აგრეთვე ქართული ანბანის შემდეგი ცვლილება: მხედრული ანბანიდან **მ, მ, ჯ** ასოების ამოღება. ანჩინური სისტემის კრიპტოგრამული ანბანი ქართულ ანბანში შექმნილ ამ ვითარებას ასე ასახავს: მარტივად გადაწყდა მ-ის (=40) მონაცვლე ჯ-ს (=400) ამოვარდნა. მხედრულით ნაწერ კრიპტოგრამულ ანბანში ჯ-ს მაგიერ გვაქვს **ჟ, ე, ი. მუ** კომპლექსი (ამის შესახებ იხ. ზემოთ).

ანჩინური სისტემის ანბანში მკვეთრად გამოჩნდა **მ** და **მ-ს** ამოვარდნა ქართული მხედრული ანბანიდან. ეს არის გვიანდელი საუკუნეების (იგულისხმება XVII ს.) ის დიდი დარღვევა, რაც მოხდა ანჩინური სისტემის ანბანში. დარღვევაო, ვამბობთ იმიტომ, რომ ანჩინური სისტემის შედგენისას ხომ ასოებში ერთდროულად იგულისხმება ასოთა რიცხვითი მნიშვნელობებიც. და, რა თქმა უნდა, ანჩინური სისტემის ანბანიც ამ თვალსაზრისით უკვე დაირღვა: **მ-ს** ანბანიდან ამოვარდნის გამო ანჩინური სისტემის გასაღებში თავისუფალი დარჩა მისი მონაცვლე **ჟ** ასო (=8000-ს). მეორე მხრივ, **მ** (=60) ამოვარდა ქართული ანბანიდან და ანჩინური სისტემის ანბანში ცალად დარჩა მისი მონაცვლე **ქ** (=600-ს). მოხდა ორიგინალური შეერთება ამ ორი თავისუფალი ასოსი — **ჟ** და **ქ-სი**, რომელთაც შესაბამისი ასოები ანჩინურ სისტემაში აღარ გააჩნდათ. კვლავ შეიკრა ერთგვარად ანჩინური სისტემის ანბანი: ყველა ასოს თავისი მონაცვლე ასო გაუჩნდა, მაგრამ ამ სახეცვლილ ანბანში ასოთა რიცხვითი მნიშვნელობების თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, ყველაფერი რიგზე არ იყო: **ქ** ასო, რიცხვითი მნიშვნელობით 600 შეენაცვლა **ჟ-ს**, რომელიც 8000-ს აღნიშნავს.

ქ კომპლექსიანი ტიპის ანჩინური კრიპტოგრამული ანბანი ამგვარია:

აჩ. ბც. გძ. დწ. ეჭ. ვხ. ზვ. თშ.

აჩ ბც. გძ. დწ. ეჭ. ვხ. ზვ. თო. (8:9). ჰჭ (9000:8000).

მხედრულით ნაწერი კრიპტოგრამებისათვის შექმნილი ეს ანჩინური ანბანი ნუსხურით ნაწერ კრიპტოგრამებშიც გამოუყენებიათ (შემორჩე-

²² Sin—11 ხელნაწერის კრიპტოგრამა განხილული გვაქვს აქვე. იხ. ანჩინური სისტემა—გადამწერები. გვ. 32—34

ნილია სამი ასეთი კრიპტოგრამა XVII—XVIII სს-ისა: A—444, H—1738, Q—100).

როგორც ვნახეთ, ქჳ კომპლექსიანი ტიპი შეიქმნა მხედრული ანბანის გამარტივების გამო. მართალია, ანჩინური სისტემის შედგენის პრინციპი დაირღვა, ასეული შეენაცვლა ათასეულს, მაგრამ აქაც ერთგვარი გამოსავალი უპოვიათ მის შემდგენლებს. ისეთი შთაბეჭდილება შეუქმნიათ, თითქოს ეს ასოები იმიტომ ენაცვლებიან ერთმანეთს, რომ მსგავსი გრაფიკული მოხაზულობა აქვთ (იგულისხმება (XVII ს. გვიანდელი ნუსხური: X †). ალბათ, ამიტომაც, რომ პარიზულ № 1 ხელნაწერში (1725 წ.) ოცი ქართული კრიპტოგრაფიული გასაღებიდან რამდენიმე გასაღებში (№ 6, 9, 13) დასაწყისში ქანწილის ნაცვლად (+), რა თქმა უნდა, არა შემთხვევით, ზის X (ეს გასაღებები პირობითი ნიშნების სისტემის ანბანებია). აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ პარიზულ № 1 ხელნაწერში წარმოდგენილი ტაბულები არის პირველი ცდა ქართულში არსებული სხვადასხვა კრიპტოგრაფიულ სისტემათა ანბანების ერთად თავმოყრისა. ამიტომ ამ ხელნაწერს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული კრიპტოგრაფიის ისტორიისათვის. რალა თქმა უნდა, ამ გასაღებების შემგროვებელს ანჩინური სისტემის აქ წარმოდგენილი ანბანიდანაც უკვე დაუნახავს, რომ ჭ და ჳ ერთმანეთს ენაცვლებიან და შეუტანია იგი ზემოთ აღნიშნულ რამდენსამე გასაღებში ქანწილის ნაცვლად.

ამრიგად, ქჳ ასოების ურთიერთმონაცვლედ წარმოდგენა ქართულ ანჩინურ სისტემაში იმან გამოიწვია, რომ ეს ორი ასო ქართული ანბანიდან G-სა და E-ს ამოღების შემდგომ ცალად დარჩა. საჭირო შეიქმნა კრიპტოგრამული ანბანის შეკვრა და ასე წარმოიქმნა ახალი კომპლექსი ქჳ, თუმცა ეს გზა ანჩინური სისტემის შედგენის პრინციპისათვის სწორი არ იყო.

აქვე ისმის საკითხი, გაბატონდა თუ არა ქართულ კრიპტოგრაფიაში ეს ანბანი? რა თქმა უნდა, არა. ქართული ანჩინური სისტემის ის ძირითადი გასაღები, რომელიც ადრეულ საუკუნეებში იხმარებოდა, კვლავ ბატონობს... ხოლო ჩვენ მიერ აღწერილი ეს გასაღები იშვიათი ხმარებისაა. დადასტურდა ამ ტიპის გასაღებით შედგენილი 10 კრიპტოგრამა, რომლებიც შემდეგ ხელნაწერებშია ჩაწერილი:

A—444, XVII, ნუსხური. H—599, XVII, მხედრული. H—1738, XVII, ნუსხური. A—679, XVII, მხედრული. A—1342, XVII, მხედრული. Q—100, XVIII, ნუსხური. ზუგდიდ. მუზ. № 13, XVII—XVIII, ასომთავრული. ქუთაისის მუზ. K—199, XVIII ს. I მეოთხ. მხედრული. A—646, XVIII, მხედრული. A—1114, XVIII, მხედრული.

ამრიგად, ქართულ ხელნაწერებში ჩვეულებრივ იხმარება ანჩინური სისტემის ძირითადი ანბანი, რომლითაც შედგენილია კრიპტოგრამების დიდი უმრავლესობა, ამავე დროს, ამ გასაღების პარალელურად, XVII—

XVIII სს-ში თავს იჩენს ამ სისტემის ანბანის სახეცვლილი ტიპი (ქკ კომპლექსიანი), რომელიც შედარებით იშვიათად იხმარება.

ანჩინური სისტემის განვითარება აქ არ ჩერდება და იქმნება ისეთი ტიპიც ამ სისტემისა, რომელიც თავისი ხასიათით კომპილაციურია. XVIII ს. ოთხ ქართულ ხელნაწერში დატულია ანჩინური სისტემის გასაღებები²³. ეს ხელნაწერებია: S—3652 (1762 წ.), H—1283 (XVIII ს.), პარიზ. № 15 (გადაწერილია 1769 წ. და გამართულია დავით რექტორის მიერ 1788 წ. ანბანიც დავით რექტორს ჩაუწერია 1788 წ.). პარიზ. № 1 (გადაწ. 1725 წ.).

ეს გასაღებები საინტერესოა თავისი შედგენილობით. სამ ხელნაწერში (S—3652, H—1283 და პარიზ. № 15) ისინი აბსოლუტურად ემთხვევიან ერთმანეთს:

აჩ, ბც. გძ. დწ. ეჭ. ვხ. ზჯ. შთ. ირ. კხ.
ლტ. მუ. ნფ. ქკ. ლო. ყპ. შუ.²⁴

პარიზულ № 1 ხელნაწერში გასაღები შედგენილობის თვალსაზრისით იგივეა, რაც დანარჩენ სამივე ხელნაწერში, ოღონდ ქკ კომპლექსი ანბანის სულ ბოლოსაა გადატანილი. ამასთანავე, გვაქვს ოდ, პუ, უშ კომპლექსები, რომლებიც სწორად არის ამ ხელნაწერში ფიქსირებული და ანბანის რიგშიც სწორად ზის. აქ ანბანის რიგი არ არის დარღვეული და გვაქვს სწორი თანმიმდევრობა. ეს გასაღები ასეთია:

აჩ, ბც. გძ. დწ. ეჭ. ვხ. ზჯ. შთ. ირ.
კხ. ლტ. მუ. ნფ. ოდ. პუ. უშ. ქკ.

ანბანის რიგის მიხედვით ოთხივე ხელნაწერის ანბანიდან სწორი და გამართულია პარიზული № 1 ხელნაწერის გასაღები. როგორც გასაღებების შედარებიდან გამომჩნდა, დანარჩენ სამ ხელნაწერში ლო, ყპ, შუ კომპლექსები უკულმაა ჩაწერილი. უნდა გვქონოდა სწორი ფორმა ამ კომპლექსებისა — ოდ, პუ, უშ, რაც მხოლოდ პარიზულმა № 1 ხელნაწერმა შემოგვინახა. ამდენად, აქ წარმოდგენილი ოთხივე გასაღებიდან შედარებით ადრინდელი ჩანს პარიზული № 1 ხელნაწერის ანბანი, რომელიც

²³ რაც შეეხება ანჩინური სისტემის ერთ კრიპტოგრაფულ გასაღებს (ქუთაისის მუშ. K—265), იგი ნუსხურითაა ნაწერი (XVII ს.). როგორც ჩანს, იგი ანჩინური სისტემის ძირითადი გასაღების ნიმუშია, ამას ადასტურებს აქ კომპლექსის არსებობაც. მაგრამ შეცდომა მოსვლია მის დამწერს და ჯ-ს მონაცეკლედ შ-ს მაგიერ ძ შეუტანია და ეს კომპლექსი ანბანის ბოლოს დაუწერია. ჩვეულებრივ ანბანში ძ ენაცვლება გ-ს. გძ კომპლექსი ამ გასაღებშიც გვაქვს, ე. ი. ძ ენაცვლება სწორად გ-ს, შეცდომით კი ჯ-ს.

²⁴ პარიზის № 15 ხელნაწერში შუ კომპლექსის ნაცვლად გვაქვს შჯ, რაც უნებლიე შეცდომა უნდა იყოს დავით რექტორისა, დანარჩენი კომპლექსები კი აღნიშნული ტიპის ანბანის მსგავსია.

სწორადაა გამართული და რომელსაც დაუცავს ამ გასაღების უძველესი სახე.

შედგენილობით აღნიშნული გასაღები თავისებურია: აქ, ერთი მხრივ, გვაქვს შენაცვლება ჰქ კომპლექსისა და, მეორე მხრივ, შენაცვლება თ კომპლექსისა. ე. ი. ეს გასაღები შედგენილობის თვალსაზრისით კომპილაციურია. აქ წარმოდგენილია, ერთი მხრივ, **მ**-სა და **თ**-ს მონაცვლეობა და, მეორე მხრივ, **ქ** და **ჯ**-ს მონაცვლეობა.

რა დროისაა ეს კომპილაციური გასაღები? იგი ოთხ ხელნაწერშია წარმოდგენილი, ოთხივე XVIII საუკუნისაა, მაგრამ დათარიღებისათვის მთავარია აქ წარმოდგენილი ჰქ კომპლექსი, რომლის ხმარება XVII—XVIII სს. რამდენსამე კრიპტოგრაფიაში დასტურდება. ცხადია, ეს კომპილაციური გასაღები ამაზე ადრე არც შეიქმნებოდა.

დავუბრუნდეთ ანჩინური სისტემის კრიპტოგრაფული გასაღების **მ** ტიპს. ანჩინური სისტემის XIV—XVI სს. რამდენიმე კრიპტოგრაფია შედგენილია თავისებური გასაღებით. ეს გასაღები თუმცა ემთხვევა ანჩინური სისტემის ძირითად კრიპტოგრაფულ გასაღებს, მაგრამ შეინიშნება განსხვავებაც, რაც შემდეგში მდგომარეობს: ძირითად ანჩინურ გასაღებში ურთიერთს ენაცვლებიან, ერთი მხრივ **მ** და **ჯ** (8:8000) და, მეორე მხრივ, **თ** და **შ** (9:9000). აღნიშნულ ტიპში კი ურთიერთს ენაცვლებიან **თ**(=9) და **მ**(=8), რაც, რა თქმა უნდა, ძირითადი ანჩინური გასაღებისგან შედგენილობით ძლიერ განსხვავდება.

აჩ. ბც. გძ. დწ. ეჭ. ვხ. ზჯ. თო. (8:9). ჰქ (9000:8000).

ირ. კხ. ლტ. მუ. ნფ. იქ. ოდ. პუ. უშ.

ეს არის არასწორი და ამავე დროს თითქმის შეუძლებელი შენაცვლება ანჩინური სისტემისათვის — ერთეული ერთეულს ამ სისტემაში არასდროს არ შენაცვლებია არც უძველეს კრიპტოგრაფებში და არც გვიანდლებში. ამ ტიპის კრიპტოგრაფები შეინიშნება შემდეგ ხელნაწერებში: ქუთაისის მუზეუმის K—52, Jer—33 და K—4, Q—657, A—743, A—144. განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე.

ქუთაისის მუზეუმის ხელნაწერზე (K—52) „სწავლანი და მოძღვრებანი თეოდორე სტოდიელისა“, 131 რ-ზე, მიწერილია კრიპტოგრაფია „აღჴჳ ყჴჳ აჴჴ“. ხელნაწერი აღუდგენიათ XVII—XVIII სს-ში. ძირითადი ნაწილი კი აღწერილობის მიხედვით (იხ. ქუთაისის მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. I, 1953, გვ. 180—181) დათარიღებულია XIV—XV საუკუნეებით, მაგრამ ხელის მიხედვით იგი XVI საუკუნით უნდა დავათარილოთ.

კრიპტოგრაფია მიუწერია ხელნაწერის ძირითად ნაწილზე მის გადაწყვერს გა ბ რ ი ე ლ ს. თუ კრიპტოგრაფის პირველ სიტყვას „აღჴჳ“ ამოვხსნით, გვექნება „ქჴზს“, რაც უაზრობაა. თუ დავაკვირდებით

კრიპტოგრამას, აქ უ ასო არ უნდა გვქონდეს. ირკვევა, რომ თავდაპირველად უნდა გვქონოდა **ა**. ჩანს, დროთა ვითარებაში **ა**-ს ბუნისა შედგენა ნაწილში მელანი გაუფერულდა, გადავიდა და ამიტომ ახლა იკითხება უ ასოდ. თუ **ა**-ს აღვადგენთ, მაშინ კრიპტოგრამა ამგვარი დაწერილობისა გვექნება: „**ა** **ბ** **გ** **დ** **ე** **ვ** **ზ** **თ**“, რაც ასე ამოიხსნება: „ქთნს შსლნ“, ქარაგმების გახსნით: „ქეთაონს შეუნდოს ღმერთმან“. მაშასადამე, ამ მინაწერის კრიპტოგრამულ ანბანში **ა**-ს მონაცვლეა **ა**.

ჩვენი ამოხსნა რომ სწორია და კრიპტოგრამაში უთუოდ **ა** უნდა გვქონდეს, ამას შემდეგი გარემოებაც უჭერს მხარს. ხელნაწერის გადამწერი გაბრიელი წერს კრიპტოგრამას, რომელშიც მოიხსენიებს ქეთაონს. ხელნაწერის გადამწერი რომ ნამდვილად გაბრიელია, ეს ხელნაწერის ანდერძიდანაც ჩანს. მაგრამ ვინ არის კრიპტოგრამაში მოხსენიებული ქეთაონ? ამის შესახებ ხელნაწერში არაერთი ცნობა არ არის დაცული. სამაგიეროდ, ხელნაწერთა ინსტიტუტის **Q** კოლექციაში მივაკვლიეთ **XVI** საუკუნის ერთ ხელნაწერს — **Q—642**, „მარხვანი მეწიეთისა“, რომლის გადამწერიც გაბრიელია, ხოლო დამკვეთი ქეთაონი (იხ. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, **Q** კოლექცია, ტ. II, 1958, გვ. 93, 94). ხელნაწერის ანდერძში დამკვეთის ვინაობაა მოხსენიებული. ქეთაონის ხელნაწერის გადამწერიც გაბრიელია, ხოლო კრიპტოგრამაში მიმალული უნდა იყოს ამ ხელნაწერის დამკვეთის ქეთაონის სახელი. ორივე ხელნაწერის, **Q—642**-ისა და **K—52**-ის გაბრიელისა და ქეთაონის იდენტურობას ადასტურებს ის ფაქტი, რომ ორივე ხელნაწერი ერთი და იმავე ხელით არის ნაწერი. ამრიგად, **K—52** და **Q—642** ხელნაწერების გადამწერია გაბრიელი, ხოლო **K—52**-ის დამკვეთი ყოფილა კრიპტოგრამაში მოხსენიებული ქეთაონი.

ამავე ტიპის ნიმუშია **XIV—XV** სს. ერთი კრიპტოგრამა, რომელიც **Ter—33** ხელნაწერმა შემოგვინახა. ხელნაწერი ლიტურგიკული და ჰაგიოგრაფიული კრებულია, გადაწერილია **XIII—XIV** სს-ში. 160r-ზე, ფურცლის ქვედა კიდეზე კრიპტოგრამაა: „**ჟ** **მ** **ნ** **რ**“, რაც ასე იხსნება: „ეს წავიკითხე“. კრიპტოგრამას უძღვის ასომთავრულით ნაწერი თხზული ასოები: კრიპტოგრამის დამწერს ამოუკითხავს ისინი და ამის აღსანიშნავად მიუწერია კრიპტოგრამა.

ამ ტიპის გასაღებითაა დაწერილი ორი კრიპტოგრამა, რომლებიც **XVI** ს. გადამწერს მანოელ ინანიკაშვილს ეკუთვნის. მანოელ ინანიკაშვილი თავის დროისათვის ცნობილი გადამწერი ყოფილა, მის მიერ გადაწერილია უზარმაზარი მეტაფრასული კრებულები, მარხვანი და სხვ. ამასთანავე, მანოელ ინანიკაშვილი შესანიშნავი მცოდნე ყოფილა ქართული კრიპტოგრაფიისა: მას შეუდგენია პირობითი ნიშნების სისტემის, ანჩინური და უკუდაწერილობის სისტემის კრიპტოგრამები. მანოელს გამოუყენებია ანჩინური სისტემის **მ** ტიპის თავისებური გასაღები. 1565

წელს აფხაზეთის კათალიკოსის ევდემოსის დაკვეთით მას გადაუწერია დიდი მოცულობის მეტაფრასული კრებული, რომელიც ამჟამად ქუთაისის მუზეუმში ინახება (K—4). კრიპტოგრაფიაში, რომელიც ასე იხსნება: „ქრისტე, შეიწყალე აფხაზეთისა კათალიკოზი ევდემოს“ (444 v), ურთიერთს ენაცვლებიან მ და თ.

მანოელ ინანიკაშვილს მის მიერ გადაწერილ „მარხვანის“ (Q—657) ხელნაწერშიც (1575 წ.) ჩაუწერია ერთი ანჩინური სისტემის კრიპტოგრაფია, რომელშიც მონაცვლეობენ მ და თ.

მთ ტიპის გასაღებითაა შედგენილი ასევე XVI ს. ხელნაწერის (A—743)²⁵ კრიპტოგრაფული ანდერძი გადაწერ იო ა ნ ე ს ი.

ამრიგად, აღნიშნული ტიპის (მთ) გასაღებით შედგენილი კრიპტოგრაფები XIV—XVI სს-ით თარიღდება.

აქვე უნდა აღენიშნოთ ერთი საგულისხმო ფაქტი: ამ ტიპის გასაღებში, ყველგან მ და თ-ს გვერდით გვაქვს მ და ქ-ს მონაცვლეობაც, ე. ი. როცა მჟ კომპლექსიდან მ ენაცვლება თ-ს და ცალად რჩება ჯ, ანბანში ამ დროს გვაქვს მჟ კომპლექსი და მ-ს მონაცვლე ქ არ არის თავისუფალი, როგორც ზემოაღწერილ ქჟ კომპლექსიან ტიპში გვქონდა. ცალად დარჩენილი ჯ (=8000) შენაცვლება მ-ს (=9000), მაშასადამე, მჟ და თჟ კომპლექსებში, ერთი მხრივ, ერთმანეთს ენაცვლებიან ერთეულები მთ და, მეორე მხრივ, ურთიერთმონაცვლეობენ ათასეულები: ჯმ²⁶. ჯ ასო რომ მ-ს მონაცვლე ყოფილა ამ ტიპში, ამის ნიმუშიც დასტურდება ერთ XVI ს. კრიპტოგრაფიაში.

X ს-ის კლარჯულ მრავალთავში (A—144, 171 v) შემდეგი მინაწერია: „ჰმჰიბუჰლ მირკლჰკლ“. ეს მინაწერი XVI ს-ის დასასრულის მხედრულით ჩანს შესრულებული, რასაც ადასტურებს მისი ხელი, ასოთა მოხაზულობა: ჰ პირშებრუნებულია, ბ-ის ბუნიც უფრო დიდი მოცულობისაა. იხ. კატალოგი, ანჩ. სისტ. № 48.

პირველი სიტყვა კრიპტოგრაფისა „ჰმჰიბუჰლ“ ძირითადი ანჩინური ანბანით ასე იხსნება: თუერცმეო. ამ სიტყვის ასე ამოხსნა შეცდომაა, ვინაიდან სიტყვაში ჰ-ს დაწერილობით შესრულებული გრაფეა არის არა ჰ ბგერა, არამედ ჩ. XIII—XVI სს. ისტორიულ დოკუმენტებსა და

²⁵ ეს ხელნაწერი ადრე A—824 ნომრით ინახებოდა, შემდგომ შეუერთდა A—743-ს.

²⁶ თ-ს რომ შესაძლოა მ შეენაცვლოს, ეს ფაქტი შენიშნული აქვს ა. შანიძეს. იგი წერს: „რაც შეეხება თ ანის ბადალ ასოს, იგი იქნება ან მ ან ქ (ერთი რომელიმე), იმის მიხედვით, თუ რომელი მათგანი იქნება რიგის ბოლოში მოქცეული ცხრა ათასის მნიშვნელობით, მეორე კი შეენაცვლება ჯანს (8000), რადგანაც იგი მოხვდება მერვე ადგილზე“, ქართული კრიპტოგრაფიის ახალი ნიმუშები, საქართველოს მუზეუმის მოამბე, 1, 1920, გვ. 65. ა. შანიძემ ამ წერილში გამოაქვეყნა ანჩინური სისტემის ოთხი კრიპტოგრაფია (H—1721, A—824, A—911, Q—21), ამათგან ერთი (A—824) სწორედ ჩვენ მიერ ცალკე გამოყოფილი, ზემოაღნიშნული ტიპის კრიპტოგრაფული გასაღებითაა შედგენილი.

ხელნაწერთა მხედრულ მინაწერებში ზოგჯერ ჩ ვრათემა ჰ-ს მსგავსი მოხაზულობით გადმოიცემა²⁷. სამეცნიერო ლიტერატურაში ასეთ ჩ-ს მაჩხიტისძის ჩ-ინს უწოდებენ²⁸. XIII—XVI სს-ში გავრცელებული ეს მოვლენა ასახვას პოულობს ქართულ კრიპტოგრაფიაშიც. ჩვენს კრიპტოგრაფიაში ჰ-ს დაწერილობით შესრულებული ვრათემა რაკი ფაქტიურად ჩ-ს გადმოსცემს, ანჩინური ანბანით კი ასო ჩ ასო ა-ს მონაცვლეა, მაშინ კრიპტოგრაფიის პირველი სიტყვა ძირითადი ანჩინური ანბანით ასე ამოიხსნება: „თუარცმაო“, რადგან ჰ ძირითად ანბანში თ-ს მონაცვლეა. მაგრამ როგორც ქვემოთ ვნახავთ, აქ ჰ-ს მონაცვლეა არა თ, არამედ ჯ, ეინიდან კრიპტოგრაფია არ არის ძირითადი ანჩინური ანბანით შედგენილი, არამედ **თ** ტიპისაა.

ამრიგად, პირველი სიტყვა ასე იხსნება: ჯუარცმაო.

რაც შეეხება მეორე სიტყვას, აქ პირველი ასოს აღმნიშვნელი ნიშანი უთუოდ ა-ს გადმოსცემს, რასაც გვაფიქრებინებს მთელი სიტყვის შინაარსი. სიტყვის დარჩენილი ნაწილი ასე იხსნება: **რ ი ს ტ ე ს ო**. ცხადია, შინაარსის მიხედვით, აქ უნდა გვქონდეს **ქ რ ი ს ტ ე ს ო**. რაკი ამ სიტყვის პირველი ასოა ქ, ხოლო მისი მონაცვლე ანჩინური სისტემით გვაქვს **ა**, მაშინ აქ წარმოდგენილი ნიშანი **ა**-ს გადმოსცემს.

აქვე ისმის კითხვა: პირველი სიტყვის დასაწყისშიც ხომ არა გვაქვს ჰ-ს ნაცვლად **ვ** და ხომ არ არის იგი მხედრული **ვ**-ს აღმნიშვნელი ვრათემის უძველესი მოხაზულობა? ასე საკითხის დასმას თითქოს მხარს უჭერს ის გარემოება, რომ ძირითადი ანჩინური ანბანით ჯ-ს მონაცვლეა სწორედ **ვ**, მაგრამ აქ უთუოდ გვაქვს **ჰ** ასო, ოღონდ პირშებრუნებულად დაწერილი. როგორც ცნობილია, XV—XVII სს-ში მხედრულ ხელნაწერებში **ჰ** და **ჰ** პირშებრუნებულად იწერებოდა²⁹.

ამრიგად A—144-ის აღნიშნული კრიპტოგრაფია სრულად ასე ამოიხსნება: ჯუარცმაო ქრისტესო.

ჩვენი ყურადღება მიიქცია ამ კრიპტოგრაფიის ანბანმა. პირველ სიტყვაში ჰმჭიბუქლ (*ჰმჩიბუქლ) პირველი ასო **ჰ**, როგორც ამოხსნამ დაგვანახვა, ენაცვლება ჯ-ს. ანჩინური სისტემის ძირითადი, გავრცელებული ანბანით კი ჯ-ს მონაცვლე უნდა ყოფილიყო **ვ**. მაშასადამე, აქ წარმოდგენილი მონაცვლეობა **ჯ** და **ჰ** ასოებისა იმის მანიშნებელია, რომ კრიპტოგრაფიის გასაღებში ცვლილებაა. თუ **ჯ** და **ჰ** ერთუროს შეენაცვლენ, ცხადია, მეორეს მხრივ გვექნება **ვ** და **თ**-ს მონაცვლეობა. როგორც

²⁷ ამ მოვლენაზე მიგვიითია ხელნაწერთა ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა თ. ბრეგაძემ, რისთვისაც მადლობას მოვასხენებთ.

²⁸ ა. შ ა ნ ი ძ ე, მაჩხიტისძის ჩინი, ჩვენი მეცნიერება, 1924, № 11—12, გვ. 11—14.

²⁹ შდრ. ე. მ ა ქ ა ვ ა რ ი ა ნ ი, მხედრული დამწერლობის ადრეული ნიმუშები. წერილს ერთვის მხედრული დამწერლობის განვითარების ტაბულა, მრავალთავი, III, 1973, გვ. 66—72.

კრიპტოგრაშიდანაც დავინახეთ, ანბანში **ა** თავის ადგილასაა და ენაცვლება **ქ**-ს, იგი არაა ამოვარდნილი ანბანიდან. ამ ტიპში ცვლილებები განუცდია მხოლოდ ორ ურთიერთმონაცვლე კომპლექსს: **მჭ** და **თძ**. მაშასადამე, აღნიშნული კრიპტოგრამა **მთ** ტიპისაა.

ისმის კითხვა: რატომ ხდება ასეთი შენაცვლება **მთ**-სი? რამ განაპირობა ამ ტიპის შექმნა? როგორც ვნახეთ, ამ ტიპის კრიპტოგრამები თარიღდება XIV—XVI საუკუნეებით. ამასთანავე, **მთ** ტიპის ანბანით შედგენილი ყველა ზემოაღნიშნული კრიპტოგრამა დაწერილია ნუსხურით, გარდა კლარჯული მრავალთავის (A—144) მხედრული კრიპტოგრამისა.

ნუსხურში **ქ** და **ძ** გრაფემათა მოხაზულობა იმდენად განსხვავებულია, რომ მათი აღრევა ანჩინურ კრიპტოგრამულ ანბანში შეუძლებელი იყო. მით უმეტეს, შეუძლებელია ასომთავრულში ამ ასოთა გრაფიკულ მოხაზულობის მსგავსების ძიება. რაც შეეხება მხედრულს, **მ**-სა და **ძ**-ს მოხაზულობის მსგავსების გამო მხედრულში XVII ს-ში, განსაკუთრებით კი XVIII ს-ში, ხშირად ერეოდათ ისინი ერთმანეთში³⁰.

მხედრულში **მ**-ს ასეთი მოხაზულობა არ უნდა იყოს შემთხვევითი. საფიქრებელია, რომ მხედრულში **ძ** გრაფემის გრაფიკულად მსგავსი **მ** ასოს შექმნა გამოვლენა იყოს იმ ტრადიციისა, რომლის მიხედვითაც **მ**-ს ჰქონდა **ძ**-ს ფუნქცია.

ასომთავრულსა და ნუსხურში **მ** და **ძ** გრაფემათა გრაფიკული მსგავსება კი არ უნდა გვქონდეს, არამედ შინაარსობლივი, ე. ი. **მ**-ს უნდა ჰქონოდა **ძ**-ს მნიშვნელობა. ვფიქრობთ, სხვაგვარად ვერ აიხსნება **მთ** ტიპის კრიპტოგრამულ ანბანში **მ**-ს ხმარება იქ, სადაც **ძ** არის მოსალოდნელი.

თავისებური ბუნების გამო გრაფემა **მ**-მ მკვლევართა ყურადღება მიიქცია. მას სხვადასხვაგვარ კვალიფიკაციას აძლევდნენ. ზოგი მკვლევარი მას ხმოვნად მიიჩნევდა, ზოგი თანხმოვნად, დიფთონგად და ა. შ. **მ** გრაფემას ცალკე გამოკვლევა მიუძღვნა თ. ყაუხჩიშვილმა³¹.

მ გრაფემას საუკუნეების განმავლობაში მნიშვნელობის თვალსაზრისით გარკვეული ცვლილებები განუცდია. ცნობილია, რომ ქართული ენის განვითარების გარკვეულ ეტაპზე **მ** იხმარებოდა ეა დიფთონგის გადმოსაცემად³². თუმცა ძველსავე ქართულში შეინიშნება ამ ნორმიდან გადახრაც. **მ** იხმარება ისეთ შემთხვევებში, სადაც იგი არ იყო მოსალოდნე-

³⁰ ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, 1973, გვ. 18.

³¹ თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, მასალები **მ**-ს ისტორიისათვის (VI—X სს. ძეგლების მიხედვით), 1944.

³² ა. შ ა ნ ი ძ ე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, 1976, გვ. 14; თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, მასალები **მ**-ს ისტორიისათვის... გვ. 420. ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ქართული ენის ისტორიული კრესტომათია, I, 1953, გვ. 307; ზ. ს ა რ ჯ ე ე ლ ა ძ ე, ქართ. სალიტ. ენის ისტ. საკითხები, 1975, გვ. 29, 30.

ლი³³: XI ს. შემდგომ **მ** უკვე ზედმეტ ნიშნად იქცევა³⁴, მით უმეტეს, მხედრულში.

ასეთია მოკლედ გრაფემა **მ**-ს ისტორია V ს-დან მოკიდებული ვიდრე XVII—XVIII სს-მდე.

რა მდგომარეობაა **მ**-ს ხმარების თვალსაზრისით ანჩინურ სისტემაში? ანჩინური სისტემის ძირითად კრიპტოგრაფულ ანბანში **მ** იხმარება როგორც უძველეს კრიპტოგრამებში, ასევე გვიანდლებში განუზრჩევლად იმისა, ნუსხურითაა ნაწერი კრიპტოგრამა თუ მხედრულით. ასეთი მდგომარეობა **მ**-სი ძირითად გასაღებში, რა თქმა უნდა, აიხსნება იმით, რომ გრაფემა **მ**-ს აქვს რიცხვითი მნიშვნელობა (=8), რაც, როგორც ვიცით, მთავარი და გადაშწყვეტია ანჩინური სისტემისათვის. ამის გამოა, რომ **მ** არ ვარდება ძირითადი ანბანიდან. მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართული ენის ორთოგრაფიულმა ცვლილებებმა მაინც იჩინა თავი კრიპტოგრაფიაშიც და გვიან, XVII—XVIII სს-ში ძირითადი კრიპტოგრაფული ანბანიდან ამოვარდა **მ** და **ა**. ასე შეიქმნა ანჩინური სისტემის ქვ კომპლექსიანი ტიპი, რომელიც ძირითადი კრიპტოგრაფული გასაღების პარალელურად იხმარებოდა.

ასომთავრულსა და ნუსხურში **მ** და **ჰ** გრაფიკულად სრულიად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ამიტომ მათი აღრევა უძველეს, ასომთავრულით შესრულებულ კრიპტოგრამებში წარმოუდგენელია. ისმის კითხვა: მაინც რატომ შეიტანეს **მ**თ ტიპში **ჰ**-ს ნაცვლად **მ** გრაფემა? როგორც ვნახეთ, მათი გრაფიკული მსგავსება ასომთავრულსა და ნუსხურში გამოირიცხებულია. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, აქ **მ** და **ჰ**-ს შინაარსობლივ მსგავსებასთან გვაქვს საქმე, ე. ი. **მ**თ ტიპში **მ** იმიტომ ზის **ჰ**-ს ნაცვლად, რომ იგი **ჰ**-ს აღმნიშვნელია, მას ეკისრება **ჰ**-ს ფუნქციის გამოხატვა.

მ-ს ნამდვილად **ჰ**-ს ფუნქცია აქვსდა მის მაგივრად იხმარება ერთ XI ს. ხელნაწერში („მამათა ცხოვრებანი“, ბრიტანეთის მუზეუმი, Add—11. 281), რომელშიც ამ მოვლენაზე სამი ნიმუში დასტურდება: შეჭრთ-ნა 75, 37; შეცვედრნა 77, 6; შეცკრებნ 77, 20³⁵.

მ-იანი ფორმები მხოლოდ საბა პალესტინელის ცხოვრებაში გვხვდებოდა. ისმის კითხვა: ხომ არ არის ეს მოვლენა დედნიდან მომდინარე? ე. ი. ბრიტანული ხელნაწერის დედანში ხომ არ გვკონდა **მ**-იანი ფორმები, რომელთაც ამ ხელნაწერის გადამწერი ჩვეულებრივ **ჰ**-თი ასწორებდა და ხომ არ გაიპარა ეს სამი შემთხვევა გადაწერის დროს? ამას კი ის გარემო-

³³ ზ. სარჯველაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 35.

³⁴ იქვე, გვ. 35.

³⁵ მამათა ცხოვრებანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ვახტანგ იმნაიშვილმა, 1975, გვ. 379.

ება უკერს მხარს, რომ ეგვეე ზმნები ხელნაწერში გვხვდება ჩვეულებრივი დაწერილობითაც, ჰ-იანი ფორმით³⁶.

მ-ს ხმარების სამივე შემთხვევა დაიძებნა საბა პალესტინელის ცხოვრებაში, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ მხოლოდ ამ ცხოვრების დედანში უნდა გვქონოდა მ-იანი ფორმები. მით უმეტეს, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ბრიტანულ ხელნაწერს ერთი დედანი არა ჰქონია. კ. კეკელიძის ვარაუდით, ამ ნუსხის გადამწერს ხელნაწერში შემავალი თხზულებანი სხვადასხვა ნუსხებიდან გადმოუწერია. „ეს იქიდანაც ჩანს, — წერს კ. კეკელიძე, — რომ ენობრივი ნორმები საბას „ცხოვრებისა“ შესამჩნევად განსხვავდება იმ ნორმებისაგან, რომელთაც ჩვენ ვპოულობთ, მაგალითისათვის, ჩვენ მიერ ამ ხელნაწერიდან გამოცემულს იოანე ურპაელის „ცხოვრებაში“³⁷.

ბრიტანული ხელნაწერი XI საუკუნეშია გადაწერილი ჯვრის მონასტერში, მისი დედანი, ცხადია, უფრო ადრეული იქნებოდა, მაგრამ არაუადრეს VIII საუკუნისა, როცა ამ ძეგლის შემადგენელი „მამათა ცხოვრებანი“ უთარგმნიათ ბერძნულიდან³⁸.

ბრიტანულ ხელნაწერში დადასტურებული ეს ნიმუშები მ-ს მონაცვლეობისა ჰ-სთან საყურადღებო და ანგარიშგასაწევი ჩანს.

მ-ს ჰ-სთან მონაცვლეობა ჩანს ერთ კრიპტოგრაფიაშიც. რამდენიმე სტრიქონისაგან შემდგარ კრიპტოგრაფულ მინაწერში (Q—657 ხელნაწერი) ყურადღება მიიქცია სიტყვამ: თსრმეჟჳ. კრიპტოგრაფია მთლიანად მთ ტიპის გასაღებითაა შედგენილი, ამიტომ ამოხსნის დროს ამ სიტყვაში თ-ს ნაცვლად მ გვექნება ან პირუკუ. იგი ასე იხსნება: მკითხე, ე. ი. სიტყვის დასაწყისში თ-ს ნაცვლად გვაქვს მ. მაგრამ აქ საინტერესოა მ-ს ფუნქცია. იგი პირის ნიშნის ჰ-ს ნაცვლად დაუწერიათ, ამიტომ მას ასე ვკითხულობთ: ჰკითხე. მაშასადამე, მ-ს აქაც ჰ-ს მნიშვნელობა აქვს. ეს კრიპტოგრაფია 1575 წელსაა დაწერილი მანოელ ინანიკაშვილის მიერ ნუსხურით (Q—657). მაშასადამე, XVI ს-ში ნუსხურით ნაწერ კრიპტოგრაფიაში მ-ს აქვს ჰ-ს ფუნქცია. ცხადია, აქ გამორიცხულია ის აღრევა მ-სი და ჰ-სი, რასაც ადგილი ჰქონდა გვიანდელ მხედრულში XVII—XVIII საუკუნეებში.

Q—657-ის კრიპტოგრაფიაშიც მ-ს და ჰ-ს იმ რიგის მონაცვლეობა გვაქვს, რაც „მამათა ცხოვრებანის“ ბრიტანულ ხელნაწერში გვქონდა.

მ გრაფემა რომ თავდაპირველად ჰ ასოს გადმოსაცემად უნდა ეხმარათ, ამის შესახებ საინტერესო ვარაუდი აქვს გამოთქმული ივ. ჯავახიშვილს.

³⁶ მამათა ცხოვრებანი..., გვ. 379.

³⁷ ქართული აგიოგრაფიული ძეგლები, ნაწ. II, კომენი, კ. კეკელიძის გამოც. 1946, გვ. 120.

³⁸ იქვე, გვ. 121—123.

ქართული ანბანის წარმოშობასთან დაკავშირებით ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ ქართულ ანბანში „დანართი ასოები ერთ დროს და ერთ-ბაშად არ უნდა იყვნენ მიმატებული, არამედ თანდათანობით და სხვადასხვა დროს“³⁹. „ყველაზე გვიან ჰ არის დართული. საფიქრებელია, რომ თავდაპირველად ამ ბგერის აღსანიშნავად ქართულ ანბანში სხვა ასო იხმარებოდა, სახელდობრ მე-8 ასო **ⴁ**“⁴⁰. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ პროფ. ნ. მარმა IX—XI საუკუნეების ხელნაწერების მიხედვით დაამტკიცა, რომ ამ დროს **ⴁ** გამოითქმოდა ეა-დ. „მაგრამ ასე იყო თუ არა თავდაპირველად, — წერს ივ. ჯავახიშვილი, — ეს მეტად სათუო საკითხია. ძნელი დასაჯერებელია, რომ მრჩობლი ბგერის „ეა“-სათვის განსაკუთრებული ნიშანი შეექმნათ იმ დროს, როდესაც ჯერ ბგერი ძირითადი ბგერისათვის, მათ შორის ისეთი მნიშვნელოვანისათვის, როგორც ზმნების წარმოებისათვის აუცილებლად საჭირო ნაცვალსახელოვანი ნაწილაკი „ჰ“-აეა, არავითარი ნიშანი არ არსებობდა“⁴¹. **ⴁ** რომ ჰ-ს აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო, ივ. ჯავახიშვილის ვარაუდით, ამას ისიც განაპირობებს, რომ ფინიკურში და სემურ-ბერძნულ თავდაპირველ ანბანში მერვე ასო „ხეთ“ ანუ „ჰეთ“ არის და „ჰ“ ბგერის (Hauchlaut) გამოხატველი იყო. შემდეგში თვით არქაულ ბერძნულშივე ეს ბგერა გამჭრალა, თუმცა, როგორც ცნობილია, დასავლურ ბერძნულში იგი VI—V საუკუნეებში ჩვენს ერამდე კიდევ იხმარებოდა ჰ ბგერის გადმოსაცემად, რაც უძველესი ეპიგრაფიკული ძეგლებით დასტურდება⁴². რომაელებსაც ბერძნებისაგან ჰქონიათ შეთვისებული ეს ასო ჰ ბგერის აღმნიშვნელად⁴³.

ⴁ-ს თავდაპირველი მნიშვნელობა რომ ჰ უნდა იყოს, ამის დამადასტურებლად ივ. ჯავახიშვილი ასახელებს ქართულ სათვალავშიც **ⴁ**-სა და ჰ-ს მონაცვლეობას. კერძოდ, ქ. ანისის წარწერაში, რომელიც ქართლის კათალიკოსის ეტეფანეს ბრძანებას წარმოადგენს, ქორონიკონი 438 აღნიშნულია ამგვარად: „ულჰ“, **ⴁ**-ს მაგიერ გვაქვს ჰ⁴⁴. წარწერა პირველად გამოაქვეყნა ნ. მარმა⁴⁵. „ასეთ შემთხვევებში, — წერს ივ. ჯავახიშვილი, — არავითარი შეცდომა არ არის, არამედ ხმარების სრულებით შეგნებული წესია“⁴⁶. „ეს გარემოებაც იმის მომასწავებელია, რომ ეს ორი ასო ერთ-

³⁹ ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, 1949, გვ. 200.

⁴⁰ იქვე, გვ. 200.

⁴¹ იქვე, გვ. 201.

⁴² ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 201; თ. ყაუხჩიშვილი, მასალები **ⴁ**-ს ისტორიისათვის (VI—X სს. ძეგლების მიხედვით), საქანდილატო დისერტაცია, 1944, გვ. 22.

⁴³ ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 201.

⁴⁴ იქვე, გვ. 150.

⁴⁵ Н. Марр, Надпись Епифанья, Католикоса Грузии, Изв. Импер. Акад. Наук, 1910, № 17, с. 1436—1439.

⁴⁶ ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 150.

მანეთის შესატყვისობად ჰქონიათ მიჩნეული. მართალია, ეს მოვლენა უფრო მერმინდელ ძეგლებშია შემჩნეული და მერმინდელ შეცდომად ითვლება, მაგრამ ამასაც გამორკვევა ეჭირვება, სწორედ შეცდომაა, თუ აქ ძველ გადმოცემასა და მოვლენასთან გვაქვს საქმე. რადგან ქართულში მრჩობლი ბგერა „ეა“ დამოუკიდებელი არ არსებობდა და მხოლოდ იქ იწერებოდა X—XI სს-ში, სადაც „ე“ და „ი“ ერთმანეთს ხვდებოდნენ; ამგვარი შემთხვევისათვის ე და ი სრულებით საქმარისი იყო, რომ ბგერითი მოვლენა ზედმიწევნილობით აღბეჭდილი ყოფილიყო. ამავე დროს, დაუჭერებელია, — წერს ივ. ჯავახიშვილი, — რომ თავდაპირველს ქართულთა მიერ შემოღებულ ანბანს, მაშინაც, როდესაც ჯერ კიდევ დანართი ასოები არ იყო, ასეთი მნიშვნელოვანი ბგერის, როგორცაა „ჰ“, განსაკუთრებული ნიშანი არ ჰქონოდა, ამისთვის სწორედ ამავე ბგერის გამოსახატავად მიღებული „ჰეთ“-ი არ გამოეყენებინათ და ამის მაგიერ მისთვის მრჩობლი ხმოვანის „ეა“-ს მნიშვნელობა მიენიჭებინათ. ყველა ამ მოსაზრებათა გამო საფიქრებელია, — წერს ივ. ჯავახიშვილი, — რომ თავდაპირველად მერვე ასოს „მ“ ქართულად „ჰ“-ს მნიშვნელობა ჰქონდა და მხოლოდ შემდეგში, როდესაც მას, ჯერ გამოურკვეველი მიზეზების გამო, გამოთქმა შეეცვალა და „ეა“-ს გადმოსაცემად იქნა დაწესებული, საქირო შეიქმნა „ჰ“-აესათვის ახალი ნიშნის შექმნა⁴⁷.

გ გრაფემის ნაცვლად ჰ უხმარიათ XIII ს-ის ერთ წარწერაშიც. ყარსის ციხის ქართულ ასომთავრულ წარწერაში, რომელიც ციხის ერთ-ერთი კოშკის აგებას ეხება, ქორონიკონი ასეა გადმოცემული: „ქქსა უნჰ“, ე. ი. 458 ანუ $458 + 780 = 1238$ წ.⁴⁸

ამრიგად, ქართულ წარწერებსა (ანისის, ყარსის), ერთ კრიპტოგრამასა (Q—657) და „მამათა ცხორებანის“ ტექსტში ფრაგმენტულად შემორჩენილ **გ**-სა და **ჰ**-ს მონაცვლეობას გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება **გ**-ს ისტორიისათვის.

ჩვენი ვარაუდით, ანჩინური კრიპტოგრამული **გ**ო ტიპის არსებობაც მხარს უჭერს ივ. ჯავახიშვილის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას **გ** გრაფემის შესახებ. საფიქრებელია, რომ **გ**ო ტიპის გასაღები შეიქმნა იმ დროს, როდესაც ქართულ ანბანს დაერთო **ჰ**-ს აღმნიშვნელი ახალი გრაფემა **უ** (რიცხვითი მნიშვნელობა 9000) და როდესაც ჯერ კიდევ მკვეთრად არ იყო გამოჩნული ამ გრაფემათა ხმარება, ე. ი. როდესაც **გ**-ს ჯერ კიდევ ხმარობდნენ **ჰ**-ს აღსანიშნავად, და როდესაც, შესაძლოა, ერეოდათ კიდევ ერთმანეთში ეს ორი ასო, **გ**-ს წერდნენ იქ, სადაც **ჰ** უნდა გვქონოდა. თუ ამ თვალსაზრისით შევხედავთ ანჩინური სისტემის **გ**ო ტიპს,

⁴⁷ ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, 1949, გვ. 201.

⁴⁸ ვ. სილოგავა, ეპიგრაფიკული ეტიუდები. 3. ყარსის ციხის ერთი ქართული წარწერის შესახებ (მაცნე, ისტორიის... სერია, 1980, № 1).

მაშინ შესაძლებელი გახდება ახსნა იმისა, თუ რატომ მონაცვლეობენ **თ** და არა **თჰ**. ცხადია, აქ **მ**-ს აქვს **ჰ**-ს ფუნქცია, იგი **ჰ**-ს აღნიშნავს.

მართალია, **მ** და **ჰ**-ს მონაცვლეობა გვიანდელ ძეგლებშია შემჩნეული (იგულისხმება XI ს. ბრიტანული ხელნაწერის ნიმუშები, კათალიკოს ეტუფანეს წარწერა 1218 წ., ყარსის ციხის წარწერა 1238 წ., თვით კრიპტოგრაფები **მთ** ტიპისა XIV—XVI ს-სა), მაგრამ ეს მოვლენა რომ უფრო ძველი უნდა იყოს, ამას შემდეგი გარემოებაც ადასტურებს: ანჩინური სისტემის კრიპტოგრაფული გასაღების შექმნა გარკვეულ კანონზომიერებაზეა ყოველთვის დამყარებული. კერძოდ, ასოთა რიცხვითი მნიშვნელობების ასეთი აღრევა **ჰ**-ს (= 9000) ნაცვლად **მ**-ს (= 8) ხმარება გვიანდელ საუკუნეებში ვერ აისახებოდა ანჩინურ სისტემაში, ვინაიდან ამ დროს უკვე ანჩინური სისტემის ძირითადი ტიპის გასაღებია გავრცელებული საქართველოში და **მთ** ტიპის წარმოშობის საფუძველი ამ საუკუნეებში არ არსებობს. ანბანიდან რომელიმე ასოს ამოღების გარეშე რიცხვითი მნიშვნელობების ასეთი აღრევა ანჩინურ სისტემაში დაუშვებელია.

მ-სა და **ჰ**-ს აღრევას რომელიღაც სამწერლობო სკოლას მიაწერს ნ. მარი⁴⁰. ჩვენი კრიპტოგრაფები **მთ** ტიპისა ამ მოსაზრებას არ უპერს მხარს, ვინაიდან ამ ტიპის კრიპტოგრაფებით შემკული ექვსივე ხელნაწერი გადაწერილია სხვადასხვა ადგილას და არა ერთ რომელიმე სამწერლობო კერაში. ისინი რომ ერთ კერაში ყოფილიყვნენ გადაწერილი, მაშინ შესაძლებელი იქნებოდა ამ ტიპის ლოკალიზაციაც.

აქვე ბუნებრივად ისმის საკითხი თვით ანჩინური სისტემის ჩამოყალიბების დროის შესახებ. საფიქრებელია, რომ იგი შეიქმნა მას შემდეგ, როდესაც ქართული ანბანის ბოლოს გაჩნდა **ჰ** ასო, ე. ი. როდესაც ქართულ ანბანში 36 ასო შეგროვდა. ანჩინური სისტემის შექმნისათვის აუცილებელი იყო, რომ ქართულ ანბანში 36 ასო გვექონოდა, რომელთა დაყოფა შესაძლებელი იქნებოდა ოთხ თანაბარ ნაწილად: ერთეულებად, ათეულებად, ასეულებად და ათასეულებად თითოეულ ჯგუფში 9—9 ასოთი, ვინაიდან ამ სისტემის გასაღები გულისხმობდა ასოთა შენაცვლებას მათი რიცხობრივი მნიშვნელობის გათვალისწინებით. თუმცა ანჩინური სისტემის კრიპტოგრაფები IX—X სს-ით თარიღდება, მაგრამ ქართველებს ეს სისტემა უფრო ადრე უნდა ჰქონოდათ შექმნილი.

ანჩინური სისტემის აღრინდებლობაზე უნდა მიუთითებდეს ამ სისტემაში ძირითადი გასაღების პარალელურად **მთ** ტიპის გასაღების არსებობა. **მ**-სა და **ჰ**-ს აღრევის ფაქტი **მთ** ტიპის კრიპტოგრაფულ გასაღებში გვაფიქრებინებს, რომ ანჩინური სისტემის ამ ტიპის ჩამოყალიბება უნდა უკავშირდებოდეს ქართულ ანბანში **ჰ** გრაფემის შემოტანას.

⁴⁰ Н. Я. Марр, Надпись Епифания, Католикоса Грузии, Известия Импер. Акад. Наук, 1910, № 17, с. 1436.

რაც შეეხება ანჩინური სისტემის ცალკეულ კრიპტოგრამებს, ანჩინური სისტემის კრიპტოგრამებზე დადამწერებსა და ხელნაწერთა მფლობელებს უმეტესად ანდერძები დაუშიფრავთ, თუმცა შეგვხვდა სხვა ხასიათის მინაწერებიც. ქვემოთ განვიხილავთ დადამწერთა და მფლობელთა კრიპტოგრამებს.

1. დადამწერთა კრიპტოგრამები

ანჩინური სისტემის უძველესი ნიმუში შემოუნახავს სინას მთაზე წმ. ეკატერინეს მონასტრის წიგნთსაცავში დაცულ X ს. ერთ ქართულ ჰაგიოგრაფიულ კრებულს (Sin—11). ხელნაწერს აქვს მინაწერები როგორც ქართულ, ასევე ბერძნულ ენებზე, რომლებიც ამ ხელნაწერის დადამწერებს ეკუთვნის⁵⁰.

78 რ-ზე, ფურცლის ქვედა კიდეზე, ტექსტის ხელით მიწერილია⁵¹:

: ოცუ: ყუზ: იო :

ამ მინაწერში საყურადღებოა პირველი სიტყვა ოცუ. იგი კრიპტოგრამა უნდა იყოს, მაგრამ ხელნაწერში დამახინჯებული ფორმით არის წარმოდგენილი. ჩანს Sin—11-ის დადამწერს დედნიდან გადმოწერისას მოსვლია უნებლიე შეცდომა: ნაცვლად E-ისა გადმოუწერია E. ე. ი. E-ისა და E-ს გრაფიკული მსგავსების გამო მომხდარა აღრევა. Sin—11-ის დედანში ამ ადგილას უნდა გვქონოდა ოცუ, რაც ქართული ანჩინური კრიპტოგრაფიული სისტემით ამოიხსნება და ნიშნავს „ილცე“, ქარაგმის გახსნით „ილოცე“. აქვე დავსძენთ, რომ Sin—11-ის დადამწერს ქარაგმაც არა აქვს გადმოტანილი.

კრიპტოგრამაში ყურადღებას იქცევს აგრეთვე 7 და 7 ხმოვნები. ძველი ქართული კრიპტოგრაფიული სისტემების შესწავლისას გაირკვა, რომ დადამწერნი მეტი საიდუმლოებისათვის სიტყვაში ყველა ასოს არ ცვლიდნენ შესაბამისი კრიპტოგრაფული ანბანით⁵². მსგავსი შემთხვევა გვაქვს ჩვენს კრიპტოგრამაშიც. ანჩინური სისტემის ანბანით კრიპტოგრამაში უნდა ყოფილიყო ი-ს შესაბამისი რ და ე-ს შესაბამისი ჭ. მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ კრიპტოგრამის ამოხსნა გაძნელებულიყო, ი და ე ამ კრიპტოგრამის ავტორმა უცვლელად დატოვა.

⁵⁰ ბერძნული მინაწერის შესახებ იხ. ქვემოთ.

⁵¹ ეს მინაწერი გამოაქვეყნა ე. ვარიტმა, მაგრამ, როგორც ჩანს, მისი მნიშვნელობა მეცნიერისთვის გაურკვეველია: G. Garitte, Catalogue des manuscrits georgiens litteraires du mont Sinai, Louvain, 1956, p. 44. ლ. ა. თ. ა. ნ. ე. ლ. ი. ვ. ი. ლ. ი., ერთი სინური ხელნაწერის კრიპტოგრამების შესახებ, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1972, № 4, გვ. 169—170.

⁵² ამ საკითხის შესახებ იხ. ქვემოთ.

ამრიგად, Sin—11-ში უყუ შეცდომით არის გადმოწერილი, დედანში იგი სხვაგვარად იქნებოდა წარმოდგენილი, კერძოდ, უნდა გვქონოდა უყუ, რაც ანჩინური სისტემის კრიპტოგრამაა.

ამ მინაწერის მეორე და მესამე სიტყვები ყუზ და ეს ერთმანეთისაგან გათიშულია ორი წერტილით. ვფიქრობთ, აქ ორი წერტილი უადგილოდ არის დასმული და ეს ორი სიტყვა ფაქტიურად ერთ სიტყვას წარმოადგენს. ორი წერტილის გამყოფად გამოყენების მსგავსი შემთხვევები დასტურდება ხელნაწერებში. მაგ. Sin—50 (X ს.), 89r: თქმლი: ივწე ოქრო:პრსა თარგმანებაა: ივწე: მახრბლი: საა: და: პავ:ლსი: 133r: თქმლი მისივე: მწყლზისათუ: მდიდრისა: მის:თუს და ლზრმს:თუს: გლზკისა: Sin—59: გ: სამშბთსა (გვ. 172, სათაურში) და სხვ.

როგორც აქედან ჩანს, ორი წერტილი სიტყვის შიგნით გამყოფად გამოყენებულია შემდეგ შემთხვევებში: ოქრო:პრსა. მახრბლი:საა. პავ:ლსი. მის:თუს. ლზრმს:თუს.

ყუზ: ეს სიტყვაშიც ორი წერტილი გამოყოფია და იგი ფაქტიურად ერთი სიტყვაა. ამას გვაფიქრებინებს მისი ბერძნული ფორმაც — βεσαῖλ. ბერძნულში βεσαῖლ საკუთარი სახელია. ბერძნულ ბიბლიაში I ნეშტა 29,8 ასე იკითხება: „μια χεῖρ: Ιηλ“. მაგრამ ვატიკანურ კოდექსში Ιηλ ფორმის ნაცვლად გვაქვს Βεσαῖλ⁵³.

მაშასადამე, ბეზიელ არის ბერძნული Βεσαῖლ საკუთარი სახელის ქართული ფორმა.

ამრიგად, ქართულ მინაწერში კრიპტოგრამაა მხოლოდ პირველი სიტყვა უყუ (უყუ?), რაც ნიშნავს „ილოცე“, ხოლო მეორე და მესამე სიტყვა ადამიანის საკუთარი სახელია: „ბეზიელ“. მაშასადამე, კრიპტოგრამა ასე იხსნება: ილოცე ბეზიელ. ხომ არ არის ბეზიელ Sin—11-ის დედნის გადამწერი? ამას გვაპარაულებინებს სინურ ხელნაწერებზე მიწერილი ასეთი ფორმულა: „ლოცვა ყავთ“, ან: „ლოცვა ყავთ ჩემთვის“ „ლოცვა ყავთ ღთისათუს“.

რაც შეეხება ამ კრიპტოგრამის დაწერის თარიღს, იგი Sin—11-ში გადამწერს ჩაუწერია, მაგრამ როგორც ვნახეთ, კრიპტოგრამა დამახინჯებულია. მაშასადამე, იგი ამ ხელნაწერის გადამწერს კი არ ეკუთვნის, არამედ მას იგი გადმოუწერია Sin—11-ის დედნიდან. მაშასადამე, საგნებით შესაძლებელია ამ კრიპტოგრამის X ს-ზე უფრო ადრეული ხანით დათარიღება. ამასთანავე, ვასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ეს კრიპტოგრამა ნუსხურითაა ნაწერი. ცხადია, მისი დედანიც ნუსხური იქნებოდა. ქართულში კი ნუსხურით ნაწერი ტექსტები IX ს-ზე ადრეული

⁵³ Septuaginta id est Vetus Testamentum graece iuxta LXX interpretes edidit Alfred Rahlfs, Stuttgart, 1952.

არა გვაქვს⁵⁴. მაშასადამე, ქართული კრიპტოგრაფიის დედანიც IX საუკუნისა უნდა ყოფილიყო.

ანჩინური სისტემის უძველესი, X ს. კრიპტოგრამები შემოუნახავს აგრეთვე სინას მთაზე დაცულ „პარაკლიტონს“ (Sin—26), გადაწერილია 954 წ. ხელნაწერში დაცულია ორი კრიპტოგრამა, რომლებიც გადამწერს ეკუთვნის⁵⁵. ამ კრიპტოგრამების შესახებ აკ. შანიძე წერს: „ანჩინური კრიპტოგრამები ძველადვე გვხვდება. ა) სინას მთის ერთს ხელნაწერში (№ 26), რომელშიც „დასდებელნი“ ყოფილა მოქცეული და, რომელიც პროფ. ივ. ჯავახიშვილის აღწერილობის თანახმად, X საუკუნეს ეკუთვნის, ასეთი მინაწერი ყოფილა (ფ. 185 ა); ქე შე რხფჳ. რაიცა ნიშნავს: ქე შე იგნე. იმავე გვერდზე ქვეშ აგრეთვე წერებულა: ოჳ: იხფჳ; მაგრამ აქ მეორე სიტყვის პირველი ასო (ი) შეცდომით არის დაწერილი, რადგანაც მის ნაცვლად რ უნდა ყოფილიყო. ი და რ ერთიმეორის ნაცვალი ასობეია ანჩინის სისტემით. თუ პირველ სიტყვაშიც შეცდომა არ არის, მაშინ იგი ასე გადმოიწერება: ლე იგნე“⁵⁶.

185r-ზე ფურცლის ქვედა კიდეზე მიწერილი კრიპტოგრამა იკითხება არა „ოჳ იხფჳ“, როგორც ა. შანიძე აღნიშნავს, არამედ „აჳნ ყს 7ჴჴჳ“, რაც შემდეგნაირად იხსნება: „ქე შე იგნე“. ამგვარად, ამ კრიპტოგრაფიის პირველი სიტყვაა „აჳნ“ და არა „აჳნ“. „აჳნ“ კი ანჩინური სისტემით ნიშნავს „ქე“ — ქრისტე.

რაც შეეხება შემდეგ სიტყვას „იხფჳ“, აქ შეცდომასთან კი არ უნდა გვქონდეს საქმე, როგორც ა. შანიძე ვარაუდობს, არამედ იმ თავისებურებასთან, რომელიც გულისხმობს კრიპტოგრამაში ზოგი ასოს შეუცვლელად დატოვებას. საფიქრებელია, რომ Sin—26 ხელნაწერის ერთ-ერთმა გადამწერმა ივანე მაც კრიპტოგრამაში „იხფჳ“ საგანგებოდ დატოვა ი და არ შეცვალა მისი მონაცვლე რაეთი.

საინტერესოა აგრეთვე ამ კრიპტოგრაფიის ავტორის ვინაობის საკითხი. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ იგი ეკუთვნის X ს-ის ცნობილ მოღვაწეს იოანე-ზოსიმეს⁵⁷. მაგრამ როგორც გამოჩ-

⁵⁴ შდრ. სინური მრავალთავი 864 წლისა, ა. შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობით და გამოკვლევით, 1959, გვ. 300; ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, 1949, გვ. 187. ნუსხური დამწერლობის უძველესი ნიმუშია ქართულ ეპიგრაფიკაში ატენის სიონის წარწერა 835 წლისა (გ. აბრამიშვილი, ატენის სიონის უცნობი წარწერები, მაცნე, ისტორიის ... სერია, № 2, 1976, გვ. 170—171).

⁵⁵ ივ. ჯავახიშვილი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, 1947, გვ. 50.

⁵⁶ ა. შანიძე, კრიპტოგრაფიული მასალები, მიმოხილველი, I, 1926, გვ. 237—243.

⁵⁷ კ. კეკელიძე, ქართული ლიტ. ისტორია, I, 1923, გვ. 158. მისივე, ქართული ლიტ. ისტორია, I, 1960, გვ. 164, გ. მიქაძე, ქართული კრიპტოგრაფია, დროშა, 1953, № 6, მისივე, ქართული ხელნაწერების შესწავლა და აღწერა, 1957, გვ. 10.

კვილია, Sin—26 ხელნაწერის ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთი (148 v—185 r) გადაუწერია არა იოანე-ზოსიმეს, არამედ ვინმე ივანეს, რომელსაც გადაუწერსხავს აგრეთვე მეორე სინური ხელნაწერი № 1⁵⁸. Sin—26 ხელნაწერის 185 r-ზე მოთავსებული კრიპტოგრაფებიც აღნიშნული გვერდების (148 v—185 r) მსგავსი ხელითაა ნაწერი. მაშასადამე, ეს კრიპტოგრაფები ეკუთვნის არა იოანე-ზოსიმეს, არამედ ივანეს.

რომ იოანე-ზოსიმე არ არის ავტორი ამ კრიპტოგრაფებისა, ამას, ვფიქრობთ, ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთის ანდერძიც გვიდასტურებს. 184 v-ზე ტექსტის ბოლოს მიწერილია: ქე შე ივანე, ცოდვილი ამისი მწერალი. რომელი დამეკლოს, შემინდევ და ლოცვასა მომიკსენე, ქრონიკონი როდ“. და იქვე, იმავე ხელით, ასომთავრულით მიწერილია ზემოთ განხილული კრიპტოგრაფები: „ქე შე რხფჳ“ (185 r); „აჳ ეჳ იხფჳ“ (185 r-ს ქვედა კიდეზე).

ამრიგად, ანჩინური სისტემის ერთ-ერთი უძველესი კრიპტოგრაფა სინური ხელნაწერისა (№ 26) ეკუთვნის არა იოანე-ზოსიმეს, არამედ ერთ-ერთ პალესტინელ მოღვაწე-კალიგრაფს ივანეს.

უძველეს კრიპტოგრაფებს მიეკუთვნება აგრეთვე XI—XII ს. ხელნაწერის (H—1345, ანდრია სალოსის ცხოვრება) ორი კრიპტოგრაფა. კრიპტოგრაფები გადაწერის ანდერძებია, რომლებშიც გადაწერილი ნაობი მოიხსენიებს აგრეთვე თავის მეუღლეს თუ ყუიენსაც. ამ ხელნაწერის გადაწერილი უცნობი იყო, კრიპტოგრაფებით დადგინდა მისი ვინაობა.

კრიპტოგრაფების შესწავლისას გამოვლინდა ერთი მეტად საინტერესო ფაქტი: გადაწერის ტექსტის გადმოწერისას მხედველობიდან არ რჩებოდა დედნისეული მინაწერები, მათ შორის კრიპტოგრაფებიც. ასეთი, ორი ერთნაირკრიპტოგრაფიანი ხელნაწერის შესწავლა-განხილვა ამ ხელნაწერაა ურთიერთმიმართების საკითხსაც აყვების; სესაძლეელი ხდება გვიანდელ საუკუნეებში გადაწერილ ხელნაწერთა დედნების მიკვლევა-ეს ფაქტი დასტურდება არა მხოლოდ ანჩინური სისტემის, არამედ სხვა სისტემათა კრიპტოგრაფებშიც, რომელთა შესახებ ქვემოთ ვეუბნება საუბარი.

ასეთი მსგავსი კრიპტოგრაფებიანი ხელნაწერებია ზემოთ დასახელებული H—1345 და S—5061. ხელნაწერი H—1345 გადაწერილია XI—XII სს-ში ნუსხურით, S—5061 კი XIX ს-ში მხედრულით. შესაბამისად კრიპტოგრაფებიც ნუსხურით და მხედრულითაა ნაწერი: ნუსხურით — H—1345-ში, მხედრულით — S—5061-ში. ტექსტთან შეჯერებით გამოირკვა, რომ S—5061 ხელნაწერი მთლიანად გადმოწერილია H—1345 ნუსხიდან, ნიკიფორე ხუცესის ანდერძის გარდა. S—5061-ის გადაწერს

⁵⁸ ც. ჭანკიევი, პალესტინელ გადაწერ „იოვანეთა“ შესახებ, მრავალთა-ვი, III, 1973, გვ. 46.

დედნიდან გადმოუღია კრიპტოგრამაც, ოღონდ დამახინჯებითა და შეცდომებით. (კრიპტოგრამა არაა სრულად გადმოწერილი S—5061-ში და რაც გადმოწერილია, აქაც დაშვებულია შეცდომები: ნუსხური *ჩ-ს* ნაცვლად S—5061-ში ყველგან გვაქვს *მ* (*h*) მათი გრაფიკული მსგავსების გამო. შეცდომით გადმოწერია S—5061-ის გადამწერს „ყჟ“-ს ნაცვლად „უფ“, ასევე „აქ ზღა“-ს ნაცვლად „უშაკე“).

H—1345 რომ დედანია S—5061-ისა, იქიდანაც ჩანს, რომ H—1345 ხელნაწერის კრიპტოგრამაში, მეორე სიტყვაში ორი ასო ერთმანეთზეა დაწერილი. ასევე გადმოწერია S—5061-ის გადამწერს ეს ასოები, ოღონდ შეცდომით (იხ. კატალოგი). H—1345-ში კრიპტოგრამა ვრცელია: „სლსა ნაობისა შნ ღნ, მთსა მეუღლესა თუყუიენს შნ ღნ“, S—5061-ში კრიპტოგრამა დაუსრულებელია. „სლსა ნბირსა შნ ღნ პთსა მე...“ აქ „მეუღლესა“ სიტყვის პირველი მარცვლია მხოლოდ გადმოტანილი. S—5061-ის გადამწერს აღარ გადმოწერია H—1345-დან კრიპტოგრამის დანარჩენი ნაწილი, რაც H—1345-ში ძნელად იკითხება.

ამრიგად, S—5061 ხელნაწერის კრიპტოგრამამ მიგვაგვანებინა ამ ხელნაწერის დედანი (H—1345), რომელიც ანდრია სალოსის ცხოვრების ერთ-ერთ უძველეს ნუსხას წარმოადგენს.

ერთმანეთის მსგავსი კრიპტოგრამები დაიძებნა იოანე ოქროპირის მათეს სახარების თარგმანების ორ ხელნაწერშიც: A—365 და A—1385. A—365 XII ს. ხელნაწერია, A—1385 კი გადაწერილია 1751 წ. თბილის-ში, სიონის კანდელაკის შვილის ისაკის მიერ.

A—365 ხელნაწერში 292 r, 333v და 471 v-ზე სათაურების შემდგომ ტექსტის ხელით, სინგურით მიწერილია კრიპტოგრამები, რომელთა ამოხსნამ გამოავლინა ამ ხელნაწერის გადამწერის მარკოზის სახელი და დაადასტურა, რომ ხელნაწერის 31 r-ზე არსებულ მინაწერში („ქე შე მარკოზ, გლახაკი სულითა“) მოხსენებული მარკოზ გადამწერია.

A—1385-ის გადამწერს, სიონის კანდელაკის შვილს ისაკს, მექანიკურად გადმოუტანია ტექსტის გადმოწერისას ამ კრიპტოგრამებიდან მხოლოდ ორი. კრიპტოგრამების მსგავსების გამო შევეუდარეთ ორივე ხელნაწერის ტექსტი. გაირკვა, რომ A—1385 ხელნაწერი სრულად კი არაა გადმოწერილი A—365-დან, არამედ გამოკრებით. A—365 ხელნაწერიდან გადმოღებულია მხოლოდ „სწავლანი“.

აღნიშნული კრიპტოგრამების გარდა დაიძებნა გადამწერთა სხვა კრიპტოგრამებიც: XVI ს. ერთი ხელნაწერის (A—4) გადამწერი უცნობი იყო. როგორც ნუსხაზე მიწერილი კრიპტოგრამიდან გამოჩნდა, გადამწერია იაკობი. მას თავისი სახელი მიუმაღავს. სამაგიეროდ ცნობილია, ვისთვის გადაწერა იაკობმა ეს ხელნაწერი. როგორც ხელნაწერში დადასტურებული არაკრიპტოგრამული მინაწერებიდან ჩანს, იაკობს გამოკრებილი სამოციქულოს ეს ხელნაწერი გადაუნუსხავს პატრონი მზექალასა-

თვის: „იესუ ქრისტე, აღიდე პატრონი მზექალ და ძენი მისნი“ (90 v)⁵⁹.



ამრიგად, A—4 ხელნაწერში გადაწვერ იაკობს დაუშიფრავს მხოლოდ თავისი სახელი. ანჩინური სისტემის კრიპტოგრამები დაიქმნა გამოკრებილი სამოციქულოს ერთ ხელნაწერშიც (ცენტრ. არქივი, ფ. 1446, № 220), რომლის გადაწვერი უცნობი იყო. კრიპტოგრამების ამოხსნის შემდგომ გაირკვა, რომ ეს ხელნაწერიც გადაწვერილია იაკობის მიერ პატრონი მზექალასთვის. ოღონდ იაკობს ამ ხელნაწერში თავისი სახელიცა და მზექალასიც — ორივე დაუწერია კრიპტოგრამულად. აღნიშნული ხელნაწერის გადაწვერი და A—4 ნუსხის იაკობი ერთი და იგივე პირი ჩანს. ამას ადასტურებს ორივე ხელნაწერის ხელის იგივეობაც. ვინაიდან დადგინდა, რომ ცენტრარქივის ხელნაწერიც იაკობის გადაწვერილია, ცხადია, იგი XVI ს-ით დათარიღდება. (ცენტრარქივის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობაში ხელნაწერი არასწორადაა დათარიღებული XVIII ს-ით, ტ. I, 1949, გვ. 202).

გადაწვერის ვინაობაზე მიუთითებს აგრეთვე „ალექსანდრიანის“ ერთი ნუსხის (ქუთაისის მუზ. K—199) კრიპტოგრამებიც. აღ. ბარამიძემ გაარკვია, რომ ალექსანდრე მაკედონელის ცხოვრება ანუ „ალექსანდრიანი“ ქართულში შემონახულა სამი რედაქციით. თხზულება სერბული თურუსული ენიდან უთარგმნია არჩილ მეფეს 1700—1713 წლებს შორის. არჩილის ნათარგმნი პროზაული ტექსტი ლექსად გაუწყვია იმ დროს გურიასა და სამეგრელო-იმერეთში ცნობილ „მდივან-მგალობელ-მწიგნობარს“ პეტრე ჩხატარასძეს, ხოლო შემდგომ კი პეტრესვე თავისი ვალექსილი ვერსია პროზაულად გადაუმუშავებია⁶⁰. ცნობილია „ალექსანდრიანის“ ნუსხები⁶¹. პროზაული ვერსია დაუცავს ქუთაისის ხელნაწერს K—199, რომელიც ქუთაისის მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობაში (ტ. I, 1953, გვ. 369) არასწორადაა დათარიღებული XIX ს-ით. თარიღში რომ შეცდომაა, ვფიქრობთ, ამას შემდეგი ადასტურებს: ჯერ ერთი, ხელნაწერი ლამაზი, კალიგრაფიული მხედრულითაა ნაწერი, ექვს გარეშე, XVIII ს. ხელით. გარდა ამისა, ხელნაწერში რამდენსამე ადგილას მიწერილია ანჩინური სისტემის კრიპტოგრამები ტექსტისავე ხელით, რომლებშიც მოხსენებულია პეტრე. ეს პეტრე, რა თქმა უნდა, პეტრე ჩხატარასძე უნდა იყოს, ამ თხზულების პროზაული ვერსიის ავ-

⁵⁹ პატრონი მზექალასადმი მიძღვნილი სხვა არაკრიპტოგრამული მინაწერებია აგრეთვე A—4 ხელნაწერის შემდეგ ვერდებზე: 19v, 20r, 22r, 24r.

⁶⁰ აღ. ბარამიძე, ქართული ალექსანდრიანი, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, 1940, გვ. 235—246.

⁶¹ იქვე, გვ. 246.

ტორი და ამავე დროს K—199 ხელნაწერის გადამნუსხველი, რომელიც XVIII ს. პირველ მეოთხედში მოღვაწეობდა⁶².

ანტონ კათალიკოსისა და იოანე ბატონიშვილის ცნობით პეტრე ჩხატარასძე ფრიად განსწავლული პირი ყოფილა⁶³. როგორც K—199 ხელნაწერიდან გამოჩნდა, პეტრე ჩხატარასძე ქართულ საიდუმლო დამწერლობასაც დაუფლებული ყოფილა.

ზემოთ აღნიშნულ უცნობ გადამწერთა გარდა გამოვლინდა კრიპტოგრამებში მიმაღლულ გადამწერთა სხვა სახელებიც. ესენია: გიორგი ტენაძე (XII ს. Q—1322), ოქროპირი (XII—XIII სს. Jer—53), ბასილი (XII—XIII სს. A—635). ბარნაბა (XIV ს. S—4814), ნიკოლოზ (XV—XVI სს, ქუთ. მუხ. K—79), იოანე (XVI, A—743), ანდრია (XVI, A—54; XVI—XVII, H—4930), ნიკოლოზ [ჭუმბურიძე] (XVII ს. H—1029 და ზუგდ. მუხ. № 13), აბელ (XVII ს. ქუთ. K—115), ენუქ (XVII ს. ქუთ. K—710), იოანე მგალობელი (XVII—XVIII სს. ქუთ. K—467), ბასილი (XVII ს. S—4944), გაბრიელ XVIII ს. Q—100), პაპუნა (XVIII ს. პარიზული ხელნაწერი ანტიკვარისა), მახარებელი (XVIII ს. A—911).

ზოგჯერ გადამწერნი ანდერძს მთლიანად კი არ წერდნენ კრიპტოგრამულად, არამედ ნაწილობრივ. მაგ., XII—XIII სს. გადამწერი ენუქ ანდერძის მეორე ნახევარს წერს კრიპტოგრამულად (A—148), ასევე იქცევა XV—XVI სს.-ის გადამწერი შიო (S—4958), XVII ს. გადამწერი იესე ჩხეიძე (H—1738). XVII ს. გადამწერს იესე კარგარეთელს მხოლოდ თავისი სახელი დაუშიფრავს, გვარი არა (H—1018). შეგვხვდა ანდერძი, სადაც მხოლოდ ორი სიტყვაა („უფალნო ჩემნო“) კრიპტოგრამულად დაწერილი (A—1516). უფრო მეტიც, XV ს. გადამწერს დაუწერია ანდერძი არაკრიპტოგრამულად, მაგრამ მაინც გამოუვლენია თავისი ცოდნა კრიპტოგრამული ანბანისა და შემთხვევით ჩაუწერია ერთ სიტყვაში მხოლოდ რამდენიმე კრიპტოგრამული ასო (Jer—33).

კრიპტოგრამების შესწავლისას შევნიშნეთ ერთი საინტერესო მოვლენა: გადამწერი ხელნაწერს ურთავს ანდერძს, როგორც არაკრიპტოგრამულს, ასევე კრიპტოგრამულს. ორივე ანდერძში მოიხსენიებს თავის სახელს. ცხადია, ასეთი კრიპტოგრამული ანდერძები მიანიშნებს გადამწერთა განსწავლულობაზე: ამით ისინი ამკლავებენ ძველი ქართული კრიპტოგრაფიის ცოდნას. ასე მოქცეულან გადამწერები ბარნაბა (XIV ს. S—4814), ნიკოლოზ ჭუმბურიძე (XVII ს. H—1029), ბასილი (XVII ს. S—4944).

⁶² იქვე, გვ. 238—239, კ. კეკელიძე, ქართული ლიტ. ისტორია, II, 1958, 33-364.

⁶³ ანტონ ბაგრატიონი, წყობილსიტყვაობა, რ. ბარამიძის გამოცემა, 1972, გვ. 183; იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, 1948, II, გვ. 181.

ერთი და იმავე გადამწერის მიერ ხელნაწერებში არაკრიპტოგრაფული და კრიპტოგრაფული ანდერძების ჩაწერა საბერძნეთშიც ყოფილა გავრცელებული⁶⁴.

გადამწერები კრიპტოგრაფულ ანდერძებში ზოგჯერ დაშიფრავდნენ ხოლმე მონასტერში მათთან მოღვაწე პირთა სახელებსაც. ამ თვალსაზრისით მეტად საინტერესოა Jer—73 და A—134 ხელნაწერთა კრიპტოგრაფები, რომელთა შესწავლამ გამოავლინა Jer—73-ის გადამწერის ვინაობა და გადაწერის ადგილი.

Jer—73 რ. ბლეიკის მიხედვით გადაწერილია XI—XII სს-ში გელასის მიერ. როგორც აღწერილობაშია აღნიშნული, გელასის შესახებ ხშირადია მითითებანი⁶⁵. Jer—73-ის გადამწერად გ. ნინუა მიიჩნევა კრიპტოგრაფებში მოხსენებულ თეოდორეს⁶⁶.

Jer—73 შეიცავს მაკარი მეგვიპტელის სწავლანს და ეპისტოლეებს. ხელნაწერში უხვად არის წარმოდგენილი მოსახსენებლები, რომლებიც არაკრიპტოგრაფულადაა ჩაწერილი.

1. მამაო მაკარი, შეიწყალე სუმიონ (70 v).
2. იესუ ქრისტე, შეიწყალე დავით, ამენ (86 v).
3. მამაო, ძეო და სულო წმიდაო, ადიდე ორთავე შინა სოფელთა მამაო გელასი (89 v; 78 v).
4. ყოველთა საუკუნეთა შემოქმედო სახიერო უფალო, ადიდე ორთა შინა სუფევათა მამაო გელასი, ან (99 r).
5. იესუ ქრისტე, შეიწყალე თეოდორე, ამენ (110 r).
6. მამაო მაკარი, შენ მეოხ ექმენ წინაშე ღმრთისა მამასა გელასის, ან (111 r).
7. მამაო და ძეო და სულო წმიდაო, ადიდე მამაო გელასი, ამენ (114 v).
8. იესუ ქრისტე, ადიდე მამაო გელასი (137 r).
9. წმიდანო მოციქულნო, ადიდეთ და მეოხ ეყვენით წინაშე ღმრთისა მამასა გელასის, ამენ! (142 v).
10. წმიდანო და ყრვლად ქებულნო მოციქულნო, მეოხ ეყვენით წინაშე ღმრთისა მამასა გელასის, ამენ! (148 v).

⁶⁴ V. Gardthausen, Griech. Palaeogr., II, გვ. 313.

⁶⁵ R. Blake, Catalogue des manuscrits Georgiens de la Bibliotheque patriarcale grecque A Jerusalem par Robert P. Blake, Paris, 1924, გვ. 110—113.

⁶⁶ გ. ნინუა, მაკარი მეგვიპტელის სახელით ცნობილ „სწავლათა“ ქართული თარგმანის შესახებ, მრავალთავე, VI, 1978, გვ. 46.

11. წმიდაო მამაო მაკარი, მეოხ ექმენ წინაშე უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა მამასა ჩუენსა გელასის, ამენ (153 v).

12. წმიდაო და ღმერთშემოსილო მამაო მაკარი, აღიდე მამა ჩუენი გელასი, ან (172 r).

13. წნო და ყოვლად ქებულნო მოციქულნო, მეოხ ეყვენით წინაშე ღმრთისა მამასა გელასის, რომელმან ამათ წმიდათა წიგნთა დაწერა იხარკა (167 r).

ამრიგად, ანდერძებში მოხსენებული არიან სუმიონ, დავით, მამა გელასი, თეოდორე.

როგორც აღნიშნული ანდერძებიდან ირკვევა, გელასი არის მამა ანუ წინამძღვარი და არა გადამწერი, როგორც რ. ბლეიკი მიუთითებს. გელასის წინამძღვრობას, უპირველეს ყოვლისა, ადასტურებს ანდერძების ხასიათი: ანდერძების უმრავლესობა (78 v, 89 v, 99r, 114 v და სხვ.) გელასის პატივით მოიხსენიებს: „მამაო და ძეო და სულო წმიდაო, აღიდე მამა გელასი, ამენ (114 v და სხვ.). ქართველი გადამწერნი თავის თავზე ასეთ ანდერძებს არ წერდნენ, პირიქით, დიდი მოკრძალების გამო ზოგჯერ თავის თავს არც მოიხსენიებდნენ ანდერძში. მამასადამე, ცხადია, ფორმულირება „აღიდე გელასი“ მიუთითებს, რომ გელასი დამკვეთია. მართლაც, 167 r-ზე ასეთი ანდერძია: „წნო და ყოვლად ქებულნო მოციქულნო, მეოხ ეყვენით წინაშე ღმრთისა მამასა გელასის, რომელმან ამათ წმიდათა წიგნთა დაწერა იხარკა“. „ხარკება“ აქ უნდა გავიგოთ, არა როგორც „ხარკის გაღება, მიცემა, გადახდა“ არამედ როგორც „ზრუნვა“. „ხარკება“ ძველ ქართულში დასტურდება ზრუნვის მნიშვნელობით (შდრ. ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, 1973, გვ. 560). ამასთანავე, როგორც ანდერძებიდან ირკვევა, გელასი წინამძღვარია: „აღიდე მამა გელასი“.

ამრიგად, Jer—73 გადაწერილია გელასის წინამძღვრობის დროს, მისივე დაკვეთით. ისმის კითხვა: ვინ არის გადამწერი? როგორც ზემოთ აღნიშნეთ, აღნიშნულ ანდერძებში გელასის გარდა სხვა პირებიც არიან დასახელებული: სუმიონ (70 v), დავით (86 v), თეოდორე (110 r). ამ პირთა ვინაობის გარკვევაში აღნიშნული ანდერძები ახალს არაფერს მოგვცემს, ვინაიდან სამივე ანდერძი ერთნაირი, მოკრძალებული ხასიათისაა: „მამაო მაკარი, შეიწყალე სუმიონ“ (70 v); „იესუ ქრისტე, შეიწყალე დავით, ამენ“ (86 v); „იესუ ქრისტე, შეიწყალე თეოდორე, ამენ“ (110 r).

Jer—73-ში ზემოთ ჩამოთვლილი ყველა ანდერძი არაკრიპტოგრაფული დაწერილობისაა, მაგრამ ხელნაწერში გვხვდება კრიპტოგრაფიკული გაიკვა, რომ ყველა კრიპტოგრაფა ანდერძია, რომლებშიც ზემოჩამოთვლილი პირები მოიხსენიებიან. ეს კრიპტოგრაფები ანჩინური სისტემისაა:

47 r : ქრისტე, შეიწყალე თეოდორე, ამენ.

58 r : ქრისტე, შეიწყალე დავით, ამენ იყავ.

81 v : ქრისტე, ადიდე დავით.

84 v : ქრისტე, ადიდე თეოდორე ქუთათელი.

146 v : ქრისტე, შეიწყალე თეოდორე, ამენ იყავ.

ამრიგად, კრიპტოგრაფებში მოიხსენებიან თეოდორე ქუთათელი, თეოდორე და დავით. თეოდორე და თეოდორე ქუთათელი ერთი და იგივე პირია. ხომ არ არის რომელიმე მათგანი გადამწერი? არც თეოდორე და არც დავითი არ შეიძლება იყვნენ გადამწერნი, ვინაიდან კრიპტოგრაფებში ისინი პატივით მოიხსენებიან: „ქრისტე, ადიდე დავით“.

„ქრისტე, ადიდე თეოდორე ქუთათელი“.

ამრიგად, არაკრიპტოგრაფული დაწერილობის ანდერძებში მოხსენებული არიან სუმონ, დავით, მამია გელასი, თეოდორე, ხოლო კრიპტოგრაფულ ანდერძებში თეოდორე|| თეოდორე ქუთათელი და დავით.

როგორც ანდერძებიდან დავინახეთ, ყველა პირი გარდა სუმონისა გარკვეული პატივისცემით სარგებლობს, მათ სადიდებელ ანდერძებს წერს გადამწერი. როგორც გაირკვა, გელასი წინამძღვარია, თეოდორე კი შესაძლოა ქუთათელი ეპისკოპოსი იყოს. ასევე, დავითიც მათთან მოღვაწე პირი ჩანს. რჩება სუმონ, რომელიც Jer—73-ის გადამწერი ჩანს: „მამაო მაკარი, შეიწყალე სუმონ“, 70 v. შესაძლებელი ხდება სუმონის ვინაობის დაზუსტება. იგი უნდა იყოს სუმონ დვალი, გადამწერი XI ს. ხელნაწერი კრებულისა A—134⁶⁷. როგორც ხელნაწერ A—134-ზე დართული ანდერძიდან ჩანს, იგი გადაწერილია გელასის წინამძღვრობის დროს სუმონ დვალის მიერ 1066 წ. (ქქს სვე) (296 rv). ამავე ანდერძიდან ირკვევა, რომ გელასი წინამძღვარია პრომანას მონასტრისა („პრომანაელი მამაი გელასი“) და მისი დაკვეთით გადაწერა სუმონ დვალმა A—134 ხელნაწერი⁶⁸. A—134 ხელნაწერის მამაი გელასი და სუმონ დვალი, ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ Jer—73 ხელნაწერის მამაი გელასი და სუმონი ერთი და იგივე პირები უნდა იყვნენ. ამას მხარს უჭერს შემდეგი გარემოება: გარდა ზემოხსენებული ანდერძისა (A—134, 296 rv), მამაი გელასი A—134-ში მოხსენებულია არაკრიპტოგრაფული დაწერილობის სხვა ანდერძებშიც: „ქრისტე, ადიდე მამაი გელასი“ (108 v), „სახიერო ლო, შეიწყალე მშა გელასი“ (28 v), „ქ. ადიდე სულით და ჳორციტ ღირსი მამაი ჩუენი გელასი, ამინ იყავნ“ (189 v). ეს ანდერძებიც ტექსტის ხელითაა შესრულებული.

გარდა მამაი გელასისა, A—134 ხელნაწერში მოიხსენიება თეოდორეც, ოღონდ კრიპტოგრაფულ ანდერძში, რომელიც ტექსტის ხელითაა

⁶⁷ A—134-ის ბოლო ფურცლები 297 r—340r სხვა ხელითაა დაწერილი

⁶⁸ შდრ. შ. დოლაქიძე, ილარიონ ქართველის ცხოვრების ძველი რედაქციები, 1975, გვ. 146.

შესრულებული: „ქრისტე, შეიწყალე თეოდორე, ამენ იყავ“ (22 რ). ცხა-
დია, A—134-ის თეოდორე და Jer—73-ის თეოდორე ქუთათელი ერთი
და იგივე პირია.

ამრიგად, Jer—73 ხელნაწერში მოხსენიებული პირები სვმიონ, და-
ვით, მამაჲ გელასი და თეოდორე ქუთათელი იდენტური უნდა იყვნენ
A—134 ხელნაწერში მოხსენიებული მამაჲ გელასის, თეოდორესი და
სვმიონ დვალისა, რომლებიც პრომანას ქართველთა მონასტერში მოღვა-
წეობდნენ.

Jer—73 ხელნაწერიც სვმიონის გადაწერილი რომ უნდა იყოს, ამას
ადასტურებს აგრეთვე ამ ხელნაწერისა და A—134-ის ხელის მსგავსება.
მაშასადამე, Jer—73 გადაწერილი უნდა იყოს პრომანას ქართველთა მო-
ნასტერში სვმიონ დვალის მიერ XI ს-ში, უფრო ზუსტად, XI ს. II ნახე-
ვარში.

*
*
*

გადამწერები კრიპტოგრამულ ანდერძებში მოიხსენიებდნენ ხოლმე
აგრეთვე ხელნაწერთა დამკვეთებსაც. XII—XIII სს. ხელნაწერის A—
635 გადამწერი ბასილი თავის სახელთან ერთად კრიპტოგრამულად
წერს ამ ხელნაწერის დამკვეთის რომანოზ წინამძღვრის სახელსაც. ასე-
ვე 1565 წ. გადაწერილ ერთ ქუთაისურ ხელნაწერში (K—4) გადამწერი
ზანოელ ინანიკაშვილი კრიპტოგრამაში მოიხსენიებს ამ მეტაფრასული
კრებულის დამკვეთს აფხაზეთის კათალიკოსს ევდემოსს. პატრონი
მ ზ ე ქ ა ლ ა ა მოხსენებული XVI ს. ერთი ხელნაწერის კრიპტოგრამაში
(ცენტრ. არქივი, № 220).

2. მფლობელთა კრიპტოგრამები

გადამწერთა კრიპტოგრაფიული ანდერძების გარდა დაიძებნა აგრეთ-
ვე ხელნაწერთა მფლობელების ანჩინური სისტემის კრიპტოგრამები, რომ-
ლებიც ძირითადად XVII—XVIII სს-ში შეუდგენიათ. მფლობელთა მიერ
შესრულებულმა კრიპტოგრამებმა წარმოაჩინეს საინტერესო ცნობები
როგორც ხელნაწერთა, ასევე თვით მფლობელთა შესახებაც. ამდენად,
ასეთი კრიპტოგრაფიული მინაწერებიც საგულისხმო და ანგარიშგასაწე-
ვია.

ერთ-ერთი უძველესი კრიპტოგრამა, რომელშიც მფლობელის ვინაო-
ბა მიმალული, დაცულია „ვეფხისტყაოსნის“ H—599 ხელნაწერში.

სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია მამუკა თავაქალაშვილისე-
ული „ვეფხისტყაოსნის“ (H—599) ერთი კრიპტოგრამა, რომელიც ამო-
ხსნა და გამოაქვეყნა გ. მიქაძემ „ვეფხისტყაოსნის“ სხვა ხელნაწერთა

კრიპტოგრამებთან ერთად⁶⁹. მამუკა მდივინსეული „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლისას გამოვლინდა კიდევ ორი კრიპტოგრამა, რომლებიც საბუნებისმეტყველო ცნობებს გვაწვდიან ამ ხელნაწერის შესახებ.

H—599 ხელნაწერი გადაუწერია მამუკა მდივანს (თავაქალაშვილს) სამეგრელოში, ლევან II დადიანის კარზე, მისივე დაკვეთით, 1646 წელს, ტყვეობაში ყოფნის დროს⁷⁰. ხელნაწერი მოხატულია. ჩვენ მიერ გამოვლენილი ორი კრიპტოგრამა ლევან II დადიანისა (გვ. 2) და მამუკა მდივანის (გვ. 507) მინიატურებშია ჩაწერილი. ორივე კრიპტოგრამა ანჩინური სისტემისაა და დაწერილია ერთი ხელით შავი, ფერმკრთალი მეღვინით.

ლევან II დადიანის მინიატურაში კრიპტოგრამა ამგვარად იკითხება: „ქკ[კ] ღჩრსრპეჩ კ“. იხსნება ასე: „ესე წაიკითხა თ“.

მეორე კრიპტოგრამა (მამუკა მდივანის მინიატურაში ჩაწერილი) ასე იკითხება:

ლო: ოპრპ: იბ: მფწღწჩ: წჩჰჰუიპჩ: ყაჩღჩ:
ფრშიჩჩგჰკ: ჩუროა:

იხსენება ასე: „ღო ღთით რც უნდოდა დაემრთა პაატა ნიყარაძეს“. გამოირკვა, რომ ამ კრიპტოგრამული წინადადების ბოლო სიტყვა „ჩუროა“ არ არის კრიპტოგრამა, იგი თარღია და შემდეგნაირად იხსნება: „ათას ოთხას ას სამოცდათერთმეტი“.

აქ ასეულები „ოთხასი“ (უ) და „ასი“ (რ) ცალ-ცალკეა დაწერილი. მათი შეჯამებით მივიღებთ 1571 წელს⁷¹.

⁶⁹ გ. მიქაძე, ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა კრიპტოგრამები (შოთა რუსთაველი, საიუბილეო კრებული, შ. რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი), 1966, გვ. 351—357.

⁷⁰ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, H კოლექცია, II, 1951, გვ. 52.

⁷¹ მსგავსი შემთხვევები დასტურდება ხელნაწერებში: მაგ. A—85 ხელნაწერში (ხელნაწერთა ინსტ. ნუსხა, XIII ს.) ტექსტის ხელით ჩაწერილია: „მოთხრობაჲ სულ მცირე ვასილორდაფისაგან რიცხუთათჳს დასაბამითგან გარდასრულთა წელთაჲსა... გვჯპტით გამოსლეთგან სოლომონის ტაძრისა შენებაჲდე—ღ კ ი ზ (61 v) „...ხოლო დასაბამითგან ვიდრე დღენდელად დღედმდე გარდაქდის წელნი ხ ღ ო ი ე და აწ ამას წელსა შინა ვართ“ (63 v) (ამ ნიმუშებზე მიგვიითთა ხელნაწერთა ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანაშრომელმა თ. ბრეჯაძემ). პირველ შემთხვევაში ღ კ ი ზ (შვიდას ოცი ათი შვიდი) რიცხვის ნაცვლად უნდა გვქონდეს ღ ლ ზ (შვიდასოცდაჩვიდმეტი); მეორე შემთხვევაში ხ ღ ო ი ე (ექვსი ათას შვიდას სამოცდაათი ათი ხუთი) რიცხვის ნაცვლად უნდა იყოს ხ ღ პ ე (6785). აქ ათეულები ცალ-ცალკეა წარმოდგენილი. როგორც ვთქვით, ორივე ნიმუში ტექსტის ხელითაა შესრულებული XIII ს-ში. ასევე საინტერესოა ერთი XVI ს. ანდერჰ-მინაწერი (Ier—120, 239 r), რომელშიც ათეულები დაშლილია და აგრეთვე გამოყოფილი ერთმანეთისაგან და ეკვშირით: „ქ. წისა ამის და ს ლთა გწმანთლებ ღისა წიგნისა: მომაცხოვლებ ღსა: კ ხ ღსა: პაპა. იაკობს შწს ღწს: და შემკაზმაყა: ცდწღსა ჯის მწსა: ეპიტანეს: და მშბ ღთა და ძმათა და ყთავე ნათესაეთა მისთა შწს ღწს: და

ამრიგად, მამუკა მდივნის მინიატურის კრიპტოგრამა ასე გაიხსნება: ლ[მერთ]ო ლ[ვ]თით რ[ა]ც უნდოდა დაემ[ა]რთა პაატა ნიქარაძეს 1571.

1571 წელი გადაწერ მამუკა მდივნის მინიატურაშია ჩაწერილი. ამიტომ ხომ არ შეიძლება იგი მივიჩნიოთ ამ მინიატურისა და აგრეთვე ხელნაწერის ყველა მინიატურის თარიღად? ე. ი. ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ 1571 წ. მოხატული მინიატურები ჩააქრეს 1646 წ. გადაწერილ ხელნაწერში?

ამ ვარაუდის დაშვება არ იქნებოდა მართებული შემდეგი გარემოების გამო: თარიღი 1571 წელი კრიპტოგრამაში შეცდომით უნდა იყოს ჩაწერილი. საფიქრებელია, რომ თარიღის ჩაწერისას კრიპტოგრამის ავტორმა დაუშვა უნებლიე შეცდომა: ანბანის რიგის აღრევის გამო ხუთასის აღმნიშვნელი ფ-ს ნაცვლად ჩაწერა კრიპტოგრამაში უ (=400). მაშასადამე, ჩ უ რ ო ა-ს მაგიერ კრიპტოგრამაში გვექნებოდა ჩ ფ რ ო ა, რაც უდრის: ათას ხუთას ასი სამოცდაათი ერთი, ე. ი. ათას ექვსას სამოცდათერთმეტი (1671 წ.). 600-ის ნაცვლად აქ ცალ-ცალკეა წარმოდგენილი 500 და 100⁷².

აქ რომ უთუოდ 1671 წელი უნდა გვექონდეს, ამას პირველ რიგში გვაფიქრებინებს ის გარემოება, რომ კრიპტოგრამის ხელი ტიპიური XVII ს. მხედრულია და არავითარ შემთხვევაში იგი XVI ს.-ისა არ შეიძლება იყოს.

ამასთანავე, გასათვალისწინებელია აგრეთვე შემდეგი: H—599 ხელნაწერი გადაწერილია 1646 წ. და, როგორც ლ. შერვაშიძე მიუთითებს, მინიატურებიც თანადროულია ამ ხელნაწერისა⁷³. ეს ჩანს შემდეგიდანაც: შ. ამირანაშვილმა დაადგინა, რომ ლევან II დადიანის მინიატურაზე „მართლაც, ოდიშის (სამეგრელოს) მთავარი ლევან II დადიანია წარმოდგენილი, რაც მტკიცდება ამ სურათის შედარებით უკანასკნელის ფრესკულ გამოხატულებებთან, რომლებიც დარჩენილია წალენჯიხაში, კოცხერსა და ხობში და მრავალრიცხოვან ნაჭედ ხატებზე (მაგალითად, წინასწარმეტყველთა ხატი კოცხერიდან) — სრული თანხვედრა ტიპისა, კოსტუმისა, თავის მორთულობისა და სხვ“⁷⁴. ლევან II დადიანის მინიატურა

ვინცა: ბრძანოთ: თქნცა შგნდნეს ღწ: ქრონიკონი იყო ს^ა და ია^ა. „სა და ია“ სიტყვის თუ რიცხვებში გადავიყვანოთ, გვექნება: 200, 60 და 10, 1. აქ 60 და 10 გვაქვს 70-ის ნაცვლად, ე. ი. 271.

⁷² შდრ. A—85, Jer—120 ხელნაწერთა ნიმუშები.

⁷³ ლ. შერვაშიძე, „ვეფხისტყაოსნის“ 1646 წლის ხელნაწერის მინიატურების ავტორობის შესახებ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 1955, XVI, № 6, გვ. 488.

⁷⁴ შ. ამირანაშვილი, ვეფხისტყაოსნის დასურათება, მინიატურები, შესრულებული XVI—XVIII სს., 1966, გვ. 26; მისივე, შოთა რუსთველის პორტრეტული გამოსახულება ძველ ქართულ ხელოვნებაში (თბილისის უნივერსიტეტის საიუბილეო კრებული „შოთა რუსთველს“, 1966, გვ. 171—172).

და ყველა დანარჩენი მინიატურა, მათ შორის მამუკა მდივნის მინიატურაც, ერთი პირის მიერ არის შესრულებული⁷⁵. მაშასადამე, XVII ს-ში მოხატულ მინიატურაზე წარწერაც XVII ს. იქნება და არ XVI ს-ისა (1571 წლისა).

ამრიგად, თარიღი 1571 წელი გადამწერის კალმის ლაფსუსია და აქ უთუოდ 1671 წელი უნდა გვქონდეს.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ლევან დადიანისა და მამუკა მდივნის მინიატურათა კრიპტოგრამები ერთი პირის მიერ არის დაწერილი. კრიპტოგრამები ტიპური XVII ს. მხედრულით არის შესრულებული, მაგრამ შესაძლებელია ამ თარიღის უფრო დაზუსტება. მამუკა მდივნის მინიატურის კრიპტოგრამაში მითითებულია თარიღი 1671 წელი. საფიქრებელია, რომ კრიპტოგრამები დაიწერა ამავე წელს, რაზედაც მიგვანიშნებს 1671 წელს მომხდარი ერთი ისტორიული ფაქტი, რომლის შესახებ ვრცლად ქვემოთ გვექნება საუბარი.

საინტერესო ჩანს მინიატურებში ამ კრიპტოგრამების ჩაწერის ისტორია, ვინ ჩაწერა ეს კრიპტოგრამები მინიატურებში, ვის უნდა გულისხმობდეს პირველ კრიპტოგრამაში (გვ. 2) ინიციალი **თ** და რა ამბავია მიფარული მეორე კრიპტოგრამაში (გვ. 507), და რატომ არის იგი კრიპტოგრამულად წარმოდგენილი?

ლევან II დადიანის მინიატურის კრიპტოგრამა ასე იხსნება: „ესე წაიკითხა თ“. მეტი საიდუმლოებისათვის კრიპტოგრამაში სახელი მხოლოდ ინიციალითაა წარმოდგენილი. ვისი სახელი იმალება ამ ინიციალში? ეს ხელნაწერი გადაუწერია მამუკა მდივანს ლევან II-ის დაკვეთით, ამ მინიატურაზეც ლევან II არის გამოსახული⁷⁶. ხელნაწერი ლევან II-ის კარზე ინახებოდა გარკვეული ხანი, შემდეგ კი იგი სხვადასხვა პირთა საკუთრება გამხდარა. ამას ადასტურებს ხელნაწერში დაცული არაკრიპტოგრამული მინაწერები:

გვ. 188: „ქ. ესე: ვეფხს: ტყაოსანი: თამარ ჭლერიძის: ასულის არის და: ზეკას: მყოფნელო: ღმერთო: მისის: თვალის: სინათლის: ბეჟან: საგინას: შვილის: ცოლქმრობით: შებერები: სამხიარულოდ: ახმარე: ყამაშვილი: გასახარებელი: უბოძე: ამინ: კირიალოისანი:“

ამავე ხელით არის შესრულებული მინაწერი გვ. 507-ზე, რომელიც მამუკა მდივნის მინიატურის ზედა კიდზე ფურცლის თავისუფალ ადგი-

⁷⁵ „ხელნაწერის ყველა მინიატურა შესრულებულია თვით მამუკა მდივნის მიერ, გარდა ერთისა (იხ. ფ. 7), რომელიც ამოღებულია სხვა ხელნაწერიდან და ასურათებს თინათინის გამეფებას“ (შ. ამირანაშვილი, შოთა რუსთაველის პორტრეტული გამოსახულება ძველ ქართულ ხელოვნებაში, თბილისის უნივერსიტეტის საიუბილეო კრებული „შოთა რუსთაველს“, 1966, გვ. 172).

⁷⁶ შ. ამირანაშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ დასურათება, მინიატურები, შესრულებული XVI—XVIII სს. 1966, გვ. 26.

ლას მიუწერიათ, და შემდგომ კი სხვა, შავი ფერის მეღვინით საგულდასკუ-
ლოდ ამოუშლიათ. იგი ნაწილობრივ ასე ამოვიკითხეთ:

...[ვე]ფხის ტყავოსანი [ბეჟან]...ისა
...თამარ ჯღერისძის ასულის...



როგორც მინაწერებიდან დავინახეთ, ერთ დროს ეს ხელნაწერი ჰუ-
თენებია თამარს, ჯღერისძის ასულს.

H—599-ის კრიპტოგრამის ინიციალში თ ხომ არ იგულისხმება თა-
მარ ჯღერისძის ასული? ამ ვარაუდის დაშვება, ვფიქრობთ, შეუძლებელ-
ია, ვინაიდან თამარ ჯღერისძის მინაწერი ხელით განსხვავდება კრიპ-
ტოგრამის ხელისაგან.

ხელნაწერში გვხვდება სხვა მინაწერებიც: „დედოფალი როდამის
წყალობა ამის დამწერს“. (გვ. 200). ეს მინაწერიც მიუთითებს, რომ ერთ
დროს იგი როდამ დედოფლის ყოფილა.

„ესე ვეფხისტყაოსანი გურიელისა და დედოფლის არის. დმერთმა
დღეგრძელობაში მოახმაროს. ქ. ჯერ დავსწერ შენსა ქებასა, შენ მზის
მზგავსო დედოფალო“ (გვ. 508).

ჩამოთვლილი მინაწერებიდან გამოჩნდა „ვეფხისტყაოსნის“ მფლო-
ბელთა ერთი წყება. მინაწერების ხელის მიხედვით ეს მფლობელები
XVII ს. დასასრულს და მის შემდგომ ხანას განეკუთვნებიან. საფიქრე-
ბელია, რომ „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც ლევან II-ის დაკვეთით დაი-
წერა, ლევან II-ის ოჯახში ინახებოდა მის გარდაცვალებამდე (1657 წ.?).
1661 წ. ლევან II დადიანის გარდაცვალების შემდგომ ვახტანგ V შაჰნავა-
ზის დახმარებით ტახტზე ადის ლევან II-ის ძმისწული, იესე ბატონიშვი-
ლის ძე შემანდავლე⁷⁷ ანუ ლევან III.

ლევან III დადიანის ცხოვრებიდან ჩვენთვის საინტერესოა ერთი
მეტად მნიშვნელოვანი დეტალი: როგორც ისტორიული საბუთებიდან
ჩანს, ლევან III-სა და ბაგრატ იმერთა მეფეს (ალექსანდრე II იმერთა
მეფის ძეს) ბრძოლა გარდაუხდიათ ბანძას. ბაგრატ მეფისა და ლევან III
დადიანის ბრძოლა ბაგრატის გამარჯვებით დასრულებულა. ბაგრატს ლე-
ვან III დადიანისათვის წაურთმევეია ცოლი და მისთვის შეურთავეს თავი-
სი და თინათინი, რომელიც ყოფილა გოშაძის ნაცოლარი⁷⁸.

⁷⁷ თ. ჟორდანიას, ქრონიკები, II, 1897, გვ. 469.

⁷⁸ საქართველოს სიმეფლენი, II, ე. თაყაიშვილის რედაქციით, 1909, გვ. 81; თ.
ჟორდანიას, ქრონიკები, II, 1897, გვ. 479.

⁷⁹ 1663 წ. „შეიბნენ ბაგრატ და ლეონ დადიანი. მეფეს (ე. ი. ბაგრატს—ლ. ა.) გაემარ-
ჯა და დადიანი დაიჭირა, ცოლი წაართვა და თავით შეერთო. დაჲ თე-
სი გოშაძის ნაცოლარი მას შერთო ცოლად“, თ. ჟორდანიას, ქრო-
ნიკები, II, გვ. 480: ვახტანგ ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართ-
ველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის

ისტორიული წყაროების მიხედვით დადგინდა ლევან III-ის პირველი ცოლის ვინაობა. ვახუშტი ბაგრატიონს მოხსენებული აქვს მისი სახელი თამარი: შაჰნავაზმა „მერმე დასუა დადიანად ლევან და ამის ცამისწული თვისი თამარ ცოლად“⁸⁰. გარდა ამისა, თამარი მოხსენიებულია ხელნაწერთა ინსტიტუტის ერთ საბუთშიც (Hd—1551/დ): ლევან დადიანისა და მისი მეუღლის თამარის ბრძანებით დავით კათალიკოსმა ისუფ ლიფონავა შესწირა ბიჭვინტისა და ხოფის ლეთისმშობელს. საბუთს ახლავს ხელრთვა ლევანისა და თამარისი. ამასთანავე საგულისხმოა ისიც, რომ ბაგრატ II-ის ისტორიულ დოკუმენტებში⁸¹ ყველგან მოხსენიებულია ბაგრატ III და მისი მეუღლე თამარი.

ამრიგად, ლევან III-ის დადიანის პირველი ცოლი ყოფილა თამარი, რომელიც ბაგრატ მეფეს წაურთმევია 1664 წელს, და ამავე წელს გადედოფლებულა თინათინი (ბაგრატ იმერთა მეფის და⁸²), რომელიც ადრე ცოლად ჰყოლია ვინმე გოშაძეს.

როგორც დავინახეთ, ლევან III იყო ლევან II-ის ძმისწული, სავარაუდოა, რომ მამუკა მდიენისეული „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც ლევან II-ის კარზე ინახებოდა, მისი გარდაცვალების შემდგომ ლევან III-ის ოჯახში მოხვედრილიყო. ვფიქრობთ, ლევან III-ის ოჯახის კუთვნილ ხელნაწერს კრიპტოგრაფიული წარწერები გაუკეთა მისმა მეუღლემ თინათინმა და თავისი სახელი ინიციალით წარმოადგინა. ამას მხარს უჭერს ხელნაწერში დაცული მესამე კრიპტოგრამა ანჩინური სისტემისა,

მიერ, ქართლის ცხოვრება, IV, 1973, გვ. 837, გვ. 837; ს. კაკაბაძე, საქართველოს ისტორია, 1922, გვ. 99; ნ. დადიანი, ქართველთ ცხოვრება, შ. ბურჯანაძის გამოცემა, 1962, გვ. 163. მეორე საბუთის მიხედვით ეს ამბავი ასეა აღწერილი: 1664 წ. „მეფე ბაგრატ (და) დადიანი ლევან შეიბნეს ზანძას და მეფეს გაემარჯვა, დადიანი ქელთ დარჩა, ცოლი წაართვა, შან შეირთო; და თვისი და თინათინი დადიანს შეერთო“; თ. უორდანი, ქრონიკები, II, გვ. 481. მცირე ქრონიკები (კენკლოსების ისტორიული მინაწერები), ტექსტები გამოსცა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო ჟ. ოდიშელმა, 1968, გვ. 73.

ლევან დადიანი და თინათინი მოხსენებულია აგრეთვე შემდეგ საბუთებში: 1675 წლისა, იხ. თ. უორდანი, ქრონიკები, II, გვ. 489; 1667—73 წწ. საბუთი გამოქვეყნებულია ს. კაკაბაძის წიგნში: დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. 1, 1921, გვ. 75—76; შტრ. აგრეთვე ხელნაწერთა ინსტიტუტის საბუთები: Qd—9136, Sd—2926, Sd—2927.

⁸⁰ ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1973, გვ. 836. შტრ. აგრეთვე ს. კაკაბაძე, საქართველოს ისტორია 1922, გვ. 98; ნ. დადიანი, ქართველთ ცხოვრება, შ. ბურჯანაძის გამოცემა, 1962, გვ. 162.

⁸¹ საისტორიო მოამბე, I, 1952, გვ. 92—93; გვ. 93—94; Sd—2616; Hd—9546; Hd—2246; ქუთაისის მუზ. № 973, 1673 წ.: Hd—9388 (ცნობები ამ დოკუმენტებზე მოგვაწოდა ხელნაწერთა ინსტიტუტის თანაშრომელმა თ. იმნაძემ).

⁸² საქართველოს სიძველენი, II, გვ. 81.

რომელიც, როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ, გამოაქვეყნა გ. მიქაძემ⁸³. ეს კრიპტოგრამაც XVII ს. მეორე ნახევრის ხელით არის შესრულებული.

კრიპტოგრამიდან ჩანს, რომ იგი მიუწერია ხელნაწერზე ვინმე ხაზუა გომოძის ქალს. კრიპტოგრამის შინაარსი ასეთია: „ქ. გომოძის ქალი ხაზუა ვიკადრებ, დედაო დედო[ფალ]ო, ნუ დ[ა]გავ[ი]წყდები, გახსომდე შენ[ი ქირი]მე, ბატონ[ო]“. კრიპტოგრამაში მოხსენიებული დედოფალი უნდა იყოს თინათინი, ლევან III-ის მეუღლე, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვინმე „გომაძის ნაცოლარი“ ყოფილა. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ ამ კრიპტოგრამის მიხედვით თინათინ დედოფალს არდავიწყებას ევედრება ხაზუა გომოძის ქალი.

აქვე საყურადღებოა ერთი დეტალიც: ხაზუა გომოძის ქალი კრიპტოგრაფიული, საიდუმლო მინაწერით ესაუბრება თინათინ დედოფალს, რომლისთვისაც უცხო არა ჩანს ძველი ქართული საიდუმლო დამწერლობა.

H—599 ხელნაწერის I კრიპტოგრამაში ინიციალი თ რომ თინათინს გულისხმობს და არა თამარს (ლევან III დადიანის პირველ ცოლს), ამას მხარს უჭერს მეორე კრიპტოგრამაში აღნიშნული თარიღიც 1671 წელი. როგორც ვნახეთ, თამარი ლევან დადიანის ცოლი იყო 1664 წლამდე, როდესაც ბანძას გამარჯვებულმა ბაგრატმა თამარი წაართვა ლევან III დადიანს. ამ დროიდან ლევან დადიანის მეუღლეა თინათინი. იგი დედოფალი იყო 1671 წელსაც, როდესაც დაიწერა ეს კრიპტოგრამები.

ქართულ საისტორიო წყაროებში შიგავკლიეთ ჩვენთვის მეტად საინტერესო და მნიშვნელოვან ცნობებს. მასში ასახულია ის დაძაბული ურთიერთობა, რაც არსებობდა ბაგრატ იმერთა მეფესა და ლევან III-ს შორის. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თამარ დედოფალი წაართვა ბაგრატ მეფემ ლევან დადიანს და ცოლად შეირთო. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, ლევან III დადიანსა და ბაგრატ მეფეს შორის შუღლი არც შემდეგ შეწყვეტილა, ლევანს კვლავ უნდოდა დაებრუნებინა თამარი. აი, რას წერს ვახუშტი: „ხოლო დადიანი იელტოდა ოდიშსავე, და დაიპყრა ბაგრატ უმეტესად იმერეთი. გარნა კუალად არა დასცხრა

⁸³ გ. მიქაძე, ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა კრიპტოგრამები (შოთა რუსთაველი, საიუბილეო კრებული შ. რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი), 1966, გვ. 353. კრიპტოგრამა პირველად ამოუხსნია თ. ბარნაველს, მაგრამ იგი არ გამოქვეყნებულა: Л. Шервашидзе, О грузинской светской миниатюре, 1964, прим. 60.

დადიანი, რამეთუ შური აქუნდა ცოლისა თვისისა
თამარისათეს (ხაზი ჩვენია, — ლ. ა.), რომელი იყო ფრიად კეკლუ-
ცი და აღმატებული სიშუენიერითა სრული უმეტესად. შემოიკრიბა სპა-
ნი, მოვიდა და მიერთნენ სრულიად იმერნი. მაშინ მოუვდა ბაგრატ მეფე-
სა ქუთაისს ქსა ჩქოა, ქარ. ტნთ: (ხაზი ჩვენია, — ლ. ა.), ხოლო
ბაგრატ მეფე წარვიდა რაჭას და დადიანი დადგა გეგუთს, არბევდენ იმე-
რეთსა. მაშინ ბაგრატ მეფემან შემოიკრიბნა რაჭა-ლეჩხუმი და რაოდენ-
ნიმე იმერნი მის თანა, ჩამოვიდა, ეწყო გეგუთს დადიანსა; ბრძოლასა
იძლია დადიანი, მოსრნეს სპანი მისნი და ლტოლ-
ვილი დადიანი შეიპყრეს კუალად და მის თანა
მრავალნი სხუანი, მოართუეს ბაგრატ მეფესა და
დაიპყრა იმერეთი (ხაზი ჩვენია, — ლ. ა.). მერმე დადიანი აფუ-
ცა ერთგულებასა ზედა და განუტევა, ვინამთგან ჰყვა დაა ბაგრატ მეფი-
სა ცოლად⁸⁴.

ამრიგად, ვახუშტის ცნობით, ლევან დადიანი დამარცხებულა, მაგრამ
ბაგრატ მეფეს იგი გაუთავისუფლებია, როგორც მისი დის ქმარი. ეს ამ-
ბავი მომხდარა „ქსა ჩქოა, ქარ. ტნთ“, ე. ი. ქრისტეს დაბადებიდან
1671 წელსა, ქართულსა ქრონიკონსა 359-სა.

ვახუშტის ამავე წიგნში, ქრონიკონებში ეს ამბავი ასეა აღწერილი:
„1671 წ. ტნთ: ქუთათის სრულიად იმერნი დადიანითურთ მეფეს დაესხ-
ნენ: მეფე რაჭას გაეცალა, ისინი გეგუთს დადგნენ, იმერეთს არბევდენ.
მეფე რაჭა-ლეჩხუმით ჩამოვიდა, ქუთაის შეიბნენ, მეფეს გაემარჯვა, და-
დიანი დაიჭირა (შეიპყრა) და შეწყალებული გაუშვა“⁸⁵.

ამ ფაქტს ასე აღწერს ს. კაკაბაძე: „ლევან დადიანი ესწრაფოდა
თავისი პირველი ცოლის თამარ დედოფლის დახსნას და ებრძოდა ბაგ-
რატ IV-ს. ...ლევან დადიანი მიუხტა ბაგრატს, მაგრამ დამარცხდა. ომში
თითონაც ის ტყვედ შეიპყრეს და შემდეგ ფიცის ქვეშ გაუშვეს
(1671 წ.)“⁸⁶.

ვახუშტი ბაგრატიონის ცნობა ჩვენთვის ორმხრივ არის საინტერე-

⁸⁴ ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1973, გვ. 840.

⁸⁵ იქვე, გვ. 907, ეს ცნობა გამოქვეყნებული აქვს აგრეთვე თ. ჟორდანიას: ქრონიკები II, 1897, გვ. 487.

⁸⁶ ს. კაკაბაძე, საქართველოს ისტორია, 1922, გვ. 100. ლევან III დადიანსა და ბაგრატ მეფეს შემდგომ წლებშიც ჰქონიათ თამარის გამო ბრძოლა: „1678 წელს არ-ჩილმა გამოიყვანა თამარ დედოფალი სკანდის ციხიდან და დაუბრუნა ლევან დადიანს. მაგრამ ოსმალთ დახმარებით ბაგრატი კვლავ გამეფდა 1679 წელს, წავიდა და დაამარცხა დადიანი და წართვა მას თამარ დედოფალი“, იქვე, გვ. 101. ამის შემდგომ დიდხანს აღარ უცოცხლიათ მათ: 1680 წ. გარდაიცვალა ლევან III, 1681 წ. ბაგრატ მეფე, ხოლო თამარი 1683 წელს (თ. ჟორდანიას, ქრონიკები, II, 1897, გვ. 495, 497).

სო: ჯერ ერთი, აქ აღწერილი ბრძოლა, ლევან III-ის ოჯახურ, პირად ამ-
ბებთან ყოფილა დაკავშირებული, და მეორეც, ეს ბრძოლა 1671 წელს
მომხდარა.

თუ ვახუშტი ბაგრატიონის ისტორიაში მოცემულ ცნობებზე დაყრდ-
ნობით ვიმსჯელებთ, ჩვენი კრიპტოგრამების შინაარსი ასე წარმოგვიდგე-
ბა: სწორედ თინათინ დედოფალი ჩანს ამ კრიპტოგრამების ავტორი. კრიპ-
ტოგრამებში თავისი სახელის მხოლოდ ინიციალით წარმოდგენა, აგრეთ-
ვე მიფარულად, ამასთანავე ნიშნის მოგვებით ვინმე პაატა ნიჟარაძის მოხ-
სენიება თინათინ დედოფლის იმ ტრაგიკულ ბედზე მიუთითებს, რაც მას
ლევან III-ის ოჯახში განუცდია, რომელიც წლების მანძილზე კვლავ
თამარის, თავისი პირველი ცოლის, დაბრუნებაზე ოცნებობდა.

მეტად მტკივნეული და ერთგვარად შეუტრაცხყოფელიც ჩანს თინა-
თინისთვის სწორედ ის ამბავი, რაც მომხდარა 1671 წელს: ლევან დადი-
ანმა გაილაშქრა ბაგრატი მეფის წინააღმდეგ, ვინაიდან „შური აქუნდა ცო-
ლისა თვისისა თამარისათჳს“ (ვახუშტი) და სურდა თავისი პირველი ცო-
ლის დაბრუნება, მაგრამ დამარცხდა და ბაგრატი მეფემ გაათავისუფლა,
შეიწყალა, ვინაიდან თინათინი ბაგრატის და იყო. სწორედ ამიტომაც, რომ
თინათინი ცდილობს მიფარვით, ერთგვარად გართულებულად წეროს
ფეით თარიღიც კი.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ თინათინ დედოფალი მამუკა მდივნის მინია-
ტურის კრიპტოგრამაში ერთგვარად ნიშნის მოგვებით მოიხსენიებს ვინმე
პაატა ნიჟარაძეს: „ღმერთო, ღვთით რაც უნდოდა, დაემართა პაატა ნი-
ჟარაძეს“. ვფიქრობთ, პაატა ნიჟარაძე თან ახლდა სწორედ იმ ბრძოლაში
ლევან დადიანს, რომელიც თამარის გამოსახსნელად მოაწყო მან 1671
წელს. როგორც ვიცით, ლევან დადიანი ამ ბრძოლაში დამარცხდა და მას-
თან ერთად „მოსრნეს სპანი მისნიო“, — გადმოგვცემს ვახუშტი. ვფიქ-
რობთ, ამ „სპაში“ უნდა ყოფილიყო პაატა ნიჟარაძეც.

პაატა ნიჟარაძის ვინაობის შესახებ სხვა რაიმე ცნობა არ ჩანს. მა-
სალებს პაატა ნიჟარაძის პიროვნების შესახებ ვერ მივაგენით იმდროინ-
დელ ისტორიულ დოკუმენტებსა და ხელნაწერთა მინაწერებში.

ამრიგად, კრიპტოგრამაში „ესე წაიკითხა თ“ (გვ. 2) ინიციალი თ დე-
დოფალ თინათინს გულისხმობს და იგი ლევან III დადიანის ოჯახ-
ში ჩანს შესრულებული. თინათინ დედოფალსვე ჩაუწერია აგრეთვე მამუ-
კა მდივნის მინიატურაში მეორე კრიპტოგრამაც.

*
*
*

XV—XVI სს. ბიბლიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხელნაწერი A—
646, როგორც კრიპტოგრამული მინაწერებიდან გამოჩნდა, ერთ ხანს სა-

მეფო ბიბლიოთეკაში ინახებოდა, კერძოდ, ერეკლე მეორის ოჯახის კუთვნილება ყოფილა. ხელნაწერში დაცული ანჩინური სისტემის კრიპტოგრამა ასე იხსნება: „მარიამ ბატონისშვილი“ (84r). აქ მოხსენიებული მარიამ ბატონისშვილი რომ ნამდვილად ერეკლე II-ის ასულია, ამას ადასტურებს ხელნაწერში არსებული მეორე კრიპტოგრამა, რომელიც პირობითი ნიშნების სისტემითაა დაწერილი და მარიამის ძმას მირიან ბატონისშვილს ეხება. ამ უკანასკნელში საუბარია მირიანის თელავს ჩასვლაზე (კრიპტოგრამის შესახებ ვრცლად იხ. პირობითი ნიშნების სისტემაში).



ანდრია სალოსის ცხოვრების ზემოთ მოხსენებულ ნუსხას (H—1345) გადამწერ ნაობის ანჩინური სისტემის კრიპტოგრამის გარდა შემოუნახავს აგრეთვე მისი მფლობელების თინათინის და იაკობის კრიპტოგრამები (XVIII ს.). ამავე საუკუნისაა აგრეთვე ერთი კუთხევანის (Q—21) მფლობელის იოანე მღვდლის კრიპტოგრამაც. საინტერესოა ერთი მფლობელის, ვინმე კირაკოზას კრიპტოგრამა (1706 წ.). მან, ეროვნებით სომეხმა, იცის ქართული საიდუმლო დამწერლობის ანჩინური სისტემა. A—1342 ხელნაწერის მფლობელს ვინმე პაატას (XVII ს.) ანდერძში დაუშიფრავს თავისი მეუღლის დარეჯანის სახელი.

მ. ხელნაწერის შემკაზმავის ერთი კრიპტოგრამის შესახებ

ძველი ქართული საიდუმლო დამწერლობით, როგორც ჩანს, დაინტერესებული ყოფილან ისინი, ვინც ხელნაწერი წიგნის შემზადებაში ლებულობდნენ მონაწილეობას. გადამწერთა გარდა ხელნაწერი წიგნის შესაქმნელად იღვწოდნენ აგრეთვე ხელნაწერთა შემკაზმავ-ამკინძველნი, რომელნიც გადამწერთა ნახელავს საბოლოო სახეს აძლევდნენ. შემკაზმავთა უთუო განსწავლულობაზე მიუთითებს ანჩინური სისტემის ერთადერთი კრიპტოგრამა XVI საუკუნისა, რომელიც 1520 წ. გადაწერილ ოთხთავს ეროვის. შემკაზმავ ენუქის ანდერძი ნახევრადკრიპტოგრამულია, დაშიფრულია მხოლოდ ანდერძის ერთი ნაწილი: „მისსა მეუღლესა ქეთაონს შეუღდენეს ღმერთმან“. ძალიან საგულისხმო ფაქტია: ამ კრიპტოგრამის ავტორმაც გადამწერთა მსგავსად იცის სხვადასხვა ხერხები საიდუმლო დამწერლობის გამოყენებისა და ანდერძის მხოლოდ ერთ ნაწილს დაშიფრავს.

4. სხვადასხვა მინაწერები

ხელნაწერთა გადამწერებს თუ მათ მფლობელებს ანჩინური სისტემის კრიპტოგრამებით შეუღდენიათ სხვადასხვა ხასიათის მინაწერებიც.

X ს-ისა და გვიანდელ ხელნაწერებში ძალზე ხშირად დაშიფრულია სიტყვა „ამენ“ (A—144, H—1452, A—97 და სხვ.). XVII საუკუნიდან თავს იჩენს ხელნაწერებში უფრო მეტად მფლობელთა მიერ შედგენილი კრიპტოგრამები ცალკეული სიტყვებისა თუ მთელი წინადადებების სახით სხვადასხვა შინაარსისა (H—679, A—734, A—1114, H—936, H—1080 და სხვა).

ანჯანური სისტემა

ანჯანური სისტემა სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილი გახდა მას შემდეგ, რაც მ. ჯანაშვილმა გამოაქვეყნა ამ სისტემის გასაღები წიგნი: „ფარსადან გორგიჯანიძე და მისნი შრომანი“ (1896 წ.)⁸⁷. წიგნი გამოსაცემად მომზადებულია S—174 ხელნაწერის მიხედვით. ანჯანური ანბანი S—174 ხელნაწერში (XVII ს.) დამატების სახით ერთვის ფარსადან გორგიჯანიძის თხზულებას „ჯამი აბასი“. საინტერესოა ცნობა, რომელიც ანბანისთვის წაუშლევარებია ფარსადან გორგიჯანიძეს: „ვისაც სამალავათ ერთმანერთ(თ)ან წიგნის (!) მიწერა გინდოდეს, ამას ქვეით რომ ანჯანის ანბანი დაიწერების, ან ზეპირათ ისწავლეთ და დაიმხსოვნეთ, და ან ანჯანის ანბანი თან იქონიეთ, რომე იმით მისწერდეთ და ან მოგწერდენ, წაიკითხვის. ფარსადან გორგიჯანიძეს შეუწყვიტა. რაც ასოთქმასა და გაგონებას მოუნდების, ყველა არის. ანჯანის ანბანა ეს არის: აჟ. ბხ. გვ. დჟ. ეწ. ვძ. ზც. ჰჩ. თშ. იყ. კდ. ლქ. მფ. ნუ. ოტ. პს. რუ“.

ეს მინაწერი მეტად საყურადღებოა: აქ მოხსენიებულია ტერმინი „ანჯანური“, ოღონდ „ანჯანის“ ფორმით. რაც მთავარია, აქვე მოცემულია ამ სისტემის კრიპტოგრამული ანბანი. ამასთანავე, ამ ანბანის შემომღებად მიჩნეულია ფარსადან გორგიჯანიძე.

ცნობილია, რომ ფარსადან გორგიჯანიძეს „ჯამი აბასი“ („მუსულმანთა სამართალი“) უთარგმნია 1666 წელს, ირანში, შაჰ-აბას II-ის ბრძანებით⁸⁸. არსებობს ამ თხზულების ფარსადან გორგიჯანიძისეული ორი ავტოგრაფი. ერთი ხელნაწერი ინახება ლენინგრადში, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში⁸⁹. ლენინგრადული ნუსხა გადაწერილია 1691 წელს, ისპაჰანში. ფარსადან გორგიჯანიძის მეორე ავტოგრაფი დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში (S—174)⁹⁰. ლენინგრადული ნუსხისაგან განსხვავე-

⁸⁷ მარო ბროსემ ვერ კიდევ 1834 წელს მოაქცია ყურადღება ქართულ საიდუმლო დამწერლობას (სახლით ეურნალი, ტ. 14), მაგრამ აქ იგი ასახელებს მხოლოდ ზოგი სისტემის სახელწოდებას, მათ შორის „ანჯანურსაც“.

⁸⁸ P. P. Орбели, Грузинские рукописи Инст. востоковедения, в. I, 1956, с. 113. рукопись M—27 (G—110; M—21).

⁸⁹ იქვე.

⁹⁰ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, S კოლექცია, I, 1960, გვ. 192.

ბით თბილისურ ხელნაწერში გვხვდება ტექსტის ხელით შესრულებული სხვადასხვა ხასიათის დამატებანი⁹¹. მათ შორის ჩვენთვის საინტერესო მი-
ნაწერიც ანჯანური ანბანის შესახებ ვადაშვილის ხელითაა დაწერილი, ვა-
დაშვილი კი ამ ნუსხისაც ფარსადან გორგიჯანიძეა.

ი. ჯავახიშვილი ტერმინ „ანჯანურს“ სმარობს საერთოდ საიდუმლო
დამწერლობის აღსანიშნავად. „ქართული პალეოგრაფიის“ ერთ-ერთ თავს
ასეც უწოდებს: „საიდუმლო ანუ ანჯანური დამწერლობა“ (გვ. 131—
136). იგი წერს: „ძველად რას უწოდებდნენ ჩვენში საიდუმლო ანბანს,
ჯერ არ ვიცით, მაგრამ XVII ს-ში „ანჯანის ანბანის“ სახელით ყოფილა
ცნობილი. ეს ტერმინი ფ. გორგიჯანიძესა აქვს ნახმარი, რომელსაც თავის
თხზულებათა კრებულში საიდუმლო ანბანზე აქვს საუბარი და ერთი ამ-
გვარის ნიმუშიც მოყვანილი აქვს“⁹².

ტერმინ „ანჯანურით“ აღნიშვნა ქართული საიდუმლო დამწერლო-
ბისა არ არის მართებული, რადგანაც ანჯანური სისტემა არის ასოთა შე-
ნაცვლების პრინციპით შედგენილი ერთ-ერთი სისტემათაგანი ქართული
საიდუმლო დამწერლობისა. ასეთი სისტემა კი ქართულში ოთხია: ანჩი-
ნური, ანჯანური, ანრეური, ანჰოეური⁹³.

ტერმინ „ანჯანურის“ შესახებ ი. ჯავახიშვილი შენიშნავს: „გასაო-
ცარია, რომ საბა ორბელიანს ეს სიტყვა არ მოეპოვება ლექსიკონში“⁹⁴.
მართლაც, სულხან-საბა ორბელიანს ლექსიკონში საიდუმლო დამწერლობის
აღმნიშვნელი არც ერთი ტერმინი არა აქვს განმარტებული, რა თქმა უნ-
და, არც ტერმინი „ანჯანური“, თუმცაღა ს.-ს. ორბელიანი კრიპტოგრა-
მულ ანბანს იყენებს „ქართული ლექსიკონის“ უძველეს ნუსხაში (H—
416). (ამ საკითხზე იხ. ქვემოთ, პირობითი ნიშნების სისტემაში), რაც
იმის მაუწყებელია, რომ სულხან-საბამ არა თუ იცის ამ ანბანების არსე-
ბობა, არამედ კიდევ იყენებს მათ.

ზემოხსენებულ მინაწერში, რომელიც ანჯანურ ანბანს უძღვის (S—
174), როგორც ვნახეთ, მითითებულია, რომ ეს ანბანი „ფარსადან გორ-
გიჯანიძეს შეუწყვია“, ე. ი. თვით ფარსადან გორგიჯანიძე თავის ავტო-
გრაფულ ხელნაწერში აღნიშნავს, რომ ეს ანბანი მისი მოგონილია. რა
თქმა უნდა, ხელნაწერში დაცული ეს ცნობა ანგარიშგასაწევი ჩანს.

საინტერესოა, რამდენად შეეფერება ეს ცნობა სინამდვილეს. მართ-
ლაც, ფარსადან გორგიჯანიძეა ანჯანური სისტემის ავტორი, მისი შემომ-
ღები, თუ ეს სისტემა მანამდეც არსებობდა, რომლის ნიმუშებმაც უამთა-

⁹¹ იქვე, გვ. 193.

⁹² ი. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, 1949, გვ. 133.

⁹³ ა. შანიძე, კრიპტოგრაფიული მასალები, მიმოხილველი, I, 1926, გვ. 237.
ე. თაყაიშვილი, პარიზის ნაც. ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები და ოცი
ქართული საიდუმლო დამწერლობის ნიშანი, პარიზი, 1933, გვ. 7.

⁹⁴ ი. ჯავახიშვილი, ქართ. პალეოგრაფია, 1949, გვ. 133.

სვლას ვერ გაუძლო, ჩვენამდე ვერ მოაღწია და დაიკარგა, ხოლო ფარსადან გორგიჯანიძეს ეს ანბანი თავიდან „შეუწყვია“? ამის შესახებ ივ. ჯავახიშვილი წერს: „ის გარემოება, რომ ს. ორბელიანს ანჯანის ანბანი მოხსენებული არა აქვს, თითქოს უნდა გვაფიქრებინებდეს, რომ ეს ტერმინი, შერთლაც, საყოველთაოდ გავრცელებული არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ ამას ჯერ კიდევ გამოარკვევია სჭირდება. აქ რომ ფ. გორგიჯანიძე მხოლოდ განმარტებული უნდა იყოს და სრულებით ახალ მომგონებლობასთან არ უნდა გვქონდეს საქმე, ამას ის გარემოება ცხადყოფს, რომ ეს სისტემა ბერძნულ-რომაულმა კრიპტოგრაფიამაც იცოდა. ამიტომ შესაძლებელია ფ. გორგიჯანიძე ან ძველისა და მივიწყებულის განმარტებული ან სხვა ქვეყნის, ამ შემთხვევაში სპარსეთის, მაგალითის მიმბაძველი იყოს, თუ იქ ამნაირი სისტემა არსებობდა“⁹⁵.

ე. თაყაიშვილი არ იზიარებს ივ. ჯავახიშვილის ამ მოსაზრებას და ანჯანური სისტემის შემომღებად ფარსადან გორგიჯანიძეს მიიჩნევს: „მიმბაძველობა სხვა ქვეყნის მაგალითებისა ყველა კრიპტოგრაფზე შეიძლება ითქვას, მაგრამ შემოღება და შეწყობა ანჯანურისა კი ფარსადან გორგიჯანიძის საქმეა და არა გვაქვს არავითარი საბუთი არ დაუჭეროთ, როდესაც ავტორი სწერს „ფარსადან გორგიჯანიძეს შეუწყვიაო“. ანჯანური შემოღებულია ანჩინურის ანალოგიით“⁹⁶.

ფარსადან გორგიჯანიძეს მიიჩნევს ანჯანური სისტემის ავტორად ა. შანიძე⁹⁷.

საკითხის გასარკვევად საჭიროა განვიხილოთ თვით ანჯანური სისტემის კრიპტოგრამული ანბანი. ანჯანური სისტემა მსგავსად ანჩინურისა შედგენილია ასოთა შენაცვლების პრინციპით, მაგრამ ანჩინური სისტემისაგან განსხვავებით, სადაც ასოთა ფონეტიკურ მნიშვნელობასთან ერთად მათი რიცხვითი მნიშვნელობაც არის გათვალისწინებული, ანჯანური ანბანი შედგენილია შემდეგნაირად: ქართული ანბანის ორი უკანასკნელი ასო ჰ და ზ კრიპტოგრამულ ანბანში არ მონაწილეობს. ანჯანურ ანბანში აღებულია ქართული ანბანის პირველი ასოს ა-ისა და ამ შემთხვევაში უკანასკნელი ასოს ზ-ის მონაცვლეობა და თანმიმდევრულად დანარჩენი

⁹⁵ ივ. ჯავახიშვილი, ქართ. პალეოგრაფია, გვ. 133.

⁹⁶ ე. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 6—7. შევნიშნავთ, რომ ე. თაყაიშვილის დებულება ანჯანურის ანალოგიაზე ანჩინურთან არ არის მართებული. ანჯანური, ანჩინური, ანრეური და ანპოეური სისტემები ემსგავსებიან ერთმანეთს და ანალოგიური არიან (ე. თაყაიშვილის სიტყვით რომ ვთქვათ) იმდენად, რამდენადაც ოთხივე სისტემას ქართული ანბანი უდევს საფუძვლად. შედგენილობით კი ისინი ძალზე სხვაობენ, რაც მხოლოდ იმით აიხსნება, რომ ამ სისტემების ჩამოყალიბებაში ბერძნულ კრიპტოგრაფიას უთამაშია გარკვეული როლი.

⁹⁷ ა. შანიძე, კრიპტოგრაფიული მასალები, მიმომხილველი, I, 1926, გვ. 237, 268. 3.

ასოებიც ასე ენაცვლებიან. აქედან წარმოდგება სახელწოდებაც „ანჯანური“, ან „ანჯანის“ ანბანი, როგორც მას ფარსადან გორგიჯანიძე უწოდებს. ასოთა ასეთი მონაცვლეობა ბერძნულშიც იყო გავრცელებული, რომელსაც ატბაშური სისტემა ეწოდებოდა⁹⁸. ატბაშური სისტემის მიხედვით ურთიერთს ენაცვლებოდნენ ა და ა — ბერძნული ანბანის პირველი და ბოლო ასო. მაშასადამე, ქართული ანჯანური სისტემა შედგენილობით ბერძნული ატბაშური სისტემის მსგავსია⁹⁹.

ანჯანური ანბანი დაიძებნა სამ ხელნაწერში: ფარსადან გორგიჯანიძისეულ ხელნაწერში (S—174), პარიზის № 1 ხელნაწერსა და Q—1459 ნუსხაში (XVIII—XIX ს.). ანჯანური ანბანის წარმოშობის ისტორიისათვის ფასეულია ფარსადან გორგიჯანიძისა (S—174) და პარიზული № 1 ხელნაწერის ანბანები, ხოლო Q—1459 ხელნაწერის ანბანი ამ თვალსაზრისით ახალს არაფერს იძლევა, ვინაიდან იგი ძლიერ დამახინჯებულია¹⁰⁰. ფარსადან გორგიჯანიძისეული ხელნაწერი XVII ს. დასასრულს მიეკუთვნება. ანბანი მხედრულითაა დაწერილი; პარიზის № 1 ხელნაწერშიც ეგვე ანბანი მხედრულითაა ჩაწერილი (XVIII ს.). თუ დავუკვირდებით ორივე ანბანს, გამოჩნდება, რომ უფრო სწორია და გამართული პარიზული ხელნაწერის ანბანი, ხოლო გარკვეული შეცდომებია დაშვებული ფარსადან გორგიჯანიძისეულ ანბანში. როგორია აგებულების მიხედვით ეს ანბანები? როგორც აღვნიშნეთ, ანჯანური ანბანი ატბაშური ანბანის

⁹⁸ V. Gårdthausen, Griech. palaeogr. II, გვ. 301.

⁹⁹ ი. ჯ ა ე ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული პალეოგრაფია, 1949, გვ. 133.

¹⁰⁰ Q—1459 ხელნაწერი ე. წ. „ახალციხური ქრონიკა“ XVIII—XIX სს. მიეკუთვნება. ტექსტის ხელით ჩაწერილია ანბანი, რომელსაც სათაურად წამძღვარებული აქვს „ანჩინურისათვის“. ფაქტიურად ეს ანბანი არ არის ანჩინური სისტემის ვასალებს, იგი ანჯანური სისტემის ანბანია. ვაიკვა, რომ Q—1459-ის ანბანი ემსგავსება H—1008, S—31, S—371, S—406 H—2-ის კრიპტოგრაფული ანბანების ტიპს, მაგრამ Q—1459-ის ანბანი ძლიერ დამახინჯებულია და შეიცავს შეცდომებს. შეცდომითაა ჩაწერილი შემდეგი კომპლექსები:

ანბანშია	უნდა იყოს
შშ	შშ
აა	—
პპ	პე
ეე	—
რრ	—
შპ	პე
ქქ	—
ჭა	ჭა
ჭჟ	—
კკ	—

ანბანი მის დამწერს ვაშლილად ჩაუწერია ა-დან მ-ს ჩათვლით და შეუნაცვლებია უკუღმა შებრუნებული ანბანი, ოღონდ დაშვებულია ზემოაღნიშნული შეცდომები (იხ. კრიპტოგრაფული ანბანები).

მსგავსად გულისხმობს ანბანის პირველი და ბოლო ასოს შენაცვლებას და ამის მიხედვით შემდეგი ასოებისაც. ასეთი შენაცვლება ბერძნულში ძალიან მარტივად წყდება: ბერძნული ანბანი 24 ასოსაგან შედგება ა-დან ა-მდე. რადგან ა ენაცვლება ა-ს, β-φ-ს, γ-χ-ს და ა. შ. ვლებულობთ 12 კომპლექსს: αω, βψ, γχ, ζφ და ა. შ. ქართულში ამ თვალსაზრისით სხვა მდგომარეობაა.

ანჯანურ ანბანში, როგორც აღვნიშნეთ, არ დასტურდება ჰ და ჰ ასოები. აღებულია ქართული ანბანი ა-დან ჯ-ს ჩათვლით და ასეა შედგენილი მონაცვლეობა, აჯ, ბჯ, გბ, ღბ და ა. შ. ასოებისა. ამასთანავე, ანბანის ასეთი მონაცვლეობა იმის მანიშნებელია, რომ ანჯანურ ანბანში ასოთა რიცხვით მნიშვნელობას არ ექცევა ყურადღება. ანჯანური ანბანი რაკი ასოთა რიცხვითი მნიშვნელობის გაუთვალისწინებლად შეუდგენიათ, ცხადია, მასში მოხვდებოდა როგორც ვ, ასევე უ ბგერაც. მაშასადამე, წარმოიქმნებოდა 18 წყვილული კომპლექსი. ამრიგად, თავდაპირველი ანბანი ანჯანური სისტემისა შემდეგი სახის უნდა ყოფილიყო:

აჯ. ბჯ. გბ. ღბ. ეწ. ვძ. ზც. მჩ. თშ. იყ. კღ. ლქ. მფ. ნუ. ავ. ოტ. სპ. ერ.

როგორც აღვნიშნეთ, ანჯანური ანბანი ორ ხელნაწერშია შემორჩენილი პარიზულ № 1-სა და ფარსადან გორგიჯანიძის ნუსხაში. საინტერესოა, რა ცვლილებები განუცდია დროთა ვითარებაში ანჯანურ ანბანს, რამდენად ემსგავსება ამ ორი ხელნაწერის ანბანი თავდაპირველ ანბანს და რა განსხვავება არსებობს მათ შორის?

პარიზული № 1 ხელნაწერი 1725 წელსაა გადაწერილი. კრიპტოგრაფიული ანბანები ამ ხელნაწერის გამამწერ ალექსი მესხიშვილის ჩაწერილი ჩანს¹⁰¹. როდის მოუყარეს თავი ამ გასაღებებს ერთად? როგორც გასაღებებზე წარწერილი სახელები „სულხანის, არჩილის“ და ა. შ. გვაფიქრებინებს, ეს ანბანები შესაძლოა XVIII ს-ში შეეკრიბათ¹⁰². მაგრამ რა დროისაა ეს ანბანები, ხელნაწერში ამის შესახებ არავითარი ცნობა არაა დაცული. აღნიშნული ოცი გასაღებიდან ოთხი ასოთა შენაცვლებით შედგენილი სისტემების გასაღებებია (ანჩინური, ანჯანური, ანრეური, ანპოეური), ხოლო 16 გასაღები პირობითი ნიშნების სისტემის სხვადასხვა ანბანებია. როგორც ზემოთ დავინახეთ, ანჩინური სისტემის ნიმუშები უკვე X ს. ხელნაწერებში გვხვდება. ასევე, ამ ტაბულაზე წარმოდგენილი ყველა სხვა სისტემაც XVIII ს-ზე უფრო ადრეა წარმოშობილი (მათ შესახებ ვრცლად იხ. ცალკეულ სისტემებთან).

¹⁰¹ ხელნაწერში 20 კრიპტოგრაფიული გასაღებია.

¹⁰² ე. თაყაიშვილის აზრით, „სულხანის, არჩილის“ ... და ა. შ. დასახვლებული სახელები გულისხმობს სულხან-საბა ორბელიანს, არჩილ მეფეს და სხვ. ე. თაყაიშვილი, პარიზის ნაც. ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები და ოცი ქართული საიდუმლო დამწერლობის ნიშანი, პარიზი, 1933, გვ. 8.

ანჯანური ანბანი პარიზულ № 1 ხელნაწერში ამგვარია:

აჭ. ბჟ. გზ. დჟ. ეწ. ვძ. ზც. შჩ. თშ. იყ. კდ. ლქ. მფ. ნუ. ოტ. პს. ურ.

ირკვევა, რომ ამ ანბანში აღებულია 34 ასო, ე. ი. ანბანში 17 წყვილ-
ლეული კომპლექსია. თუ ამ ანბანს შევუდარებთ ანჯანური სისტემის
თავდაპირველ ანბანს, დავინახავთ, რომ პარიზული ხელნაწერის ანბანი
სრულიად ემთხვევა თავდაპირველ ანბანს და არ შეინიშნება რაიმე დარ-
ღვევა კომპლექსთა მონაცვლეობაში. განსხვავებას მათ შორის ქმნის
ერთადერთი კომპლექსი აჟ, რომელიც თავდაპირველ ანბანში არის, პა-
რიზულში კი უკვე აღარ გვხვდება. რა თქმა უნდა, აჟ კომპლექსის ამო-
ვარდნა პარიზული ანბანიდან დამოკიდებულია ქართული ენის ორთო-
გრაფიულ ცვლილებებზე. ამის მიხედვით შესაძლებელია პარიზული № 1
ხელნაწერის ანჯანური ანბანის დათარიღებაც. ანჯანური თავდაპირველი
ანბანი მაშინ გაუმარტივებიათ, როდესაც ქართულ ენაში გრაფემა ა-ს
ხმარების წესები დარღვეულა. ხანმეტ და პაემეტ ტექსტებში ა გრაფე-
მა ყველა მოსალოდნელ შემთხვევაში იხმარებოდა (შენიშნულია ა-ს და-
კარგვის ორიოდ შემთხვევა)¹⁰³. უფრო მოგვიანებით კი, IX—XIII საუ-
კუნეებში ა არ გვხვდება იქ, სადაც ნორმის მიხედვით უნდა გვქონოდა,
იგი იკარგება, ანდა პირიქით, ზედმეტად დაერთვის სიტყვებს¹⁰⁴. მაშასა-
ღამე, ა გრაფემას ფუნქცია უკვე მოიშალა. თუმცა გადამწერნი შემდგომ-
ში იყენებდნენ ამ გრაფემას ნუსხურითა და ასომთავრულით შესრულე-
ბულ ხელნაწერებში, მაგრამ ჩვენთვის მთავარია ის პერიოდი, როდესაც
ამ გრაფემამ უკვე გამოკვეთილად დაკარგა თავისი ფუნქცია, რასაც ქარ-
თული კრიპტოგრაფიაც გამომხაურებია. ეს პერიოდი კი, როგორც ზემოთ
დავინახეთ, X—XI სს-დან იწყება. ანჯანური სისტემის თავდაპირველ
ანბანში, ცხადია, აისახებოდა ასეთი ცვლილება ქართული ანბანისა. ანჯა-
ნურ ანბანშიც უნდა ამოვარდნილიყო ა (და მისი მონაცვლე უ-ც). მართ-
ლაც, პარიზული № 1 ხელნაწერის ანბანი ჩვენი ვარაუდის დამადასტურე-
ბელია. მასში აღარ გვხვდება აჟ კომპლექსი.

ამრიგად, თავდაპირველი ანბანი ანჯანური სისტემისა X—XI სს-ის
შემდგომ გაუმარტივებიათ. ანჯანური ანბანი ასეთი გამარტივებული სა-
ხით დასტურდება პარიზულ № 1 ხელნაწერში. რაკი ეს გამარტივებული
ანბანი XVIII ს. ხელნაწერშია ჩაწერილი, ხომ არ შეიძლება ამავდეს საუ-
კუნით დაგვეთარიღებინა იგი, მით უმეტეს, რომ ამ პერიოდში უფრო კარ-
გად არის გამოკვეთილი ა-ს ფუნქციის მოშლა. მაგრამ, როგორც ზემოთ
აღვნიშნეთ, პარიზულ ხელნაწერში კრიპტოგრაფიულთ ანბანები უფრო

¹⁰³ ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტ. ენის ისტორიის საკითხები, 1975, გვ. 36.

¹⁰⁴ იქვე, გვ. 36, 37, 39.

ძველი ნუსხიდან ყოფილა გადმოწერილი. გარდა ამისა, ანჯანური ანბანი პარიზულ № 1 ხელნაწერისა XVIII ს-ით ვერ დათარიღდება იმიტომაც, რომ XVIII ს-ზე უფრო ადრეული, XVII ს. ფარსადან გორგიჯანიძის ანბანი უკვე გარკვეულ ცვლილებებს შეიცავს და საკმაოდ დაცილებულია თავდაპირველი ანბანისაგან. პარიზულ № 1 ხელნაწერში კი ასეთი ცვლილებები არა ჩანს, იგი უძველეს, თავდაპირველ ანბანს ემთხვევა ერთი გამონაკლისის გარდა.

ამრიგად, პარიზული № 1 ხელნაწერის ანჯანური ანბანი არის უძველესი სახეობა ანჯანური თავდაპირველი ანბანისა, იგი ძირითადად ემთხვევა მას **აჟ** კომპლექსის გარდა, და იგი XVIII ს-ზე უფრო ადრეა წარმოშობილი, ოღონდ არა უადრეს X—XI საუკუნეებისა.

განვიხილოთ ფარსადან გორგიჯანიძის ანბანი. იგი S—174 ხელნაწერში შემდეგი სახითაა წარმოდგენილი:

აჟ. ბხ. გვ. დჟ. ეწ. ვძ. ზც. ჰჩ. თშ. იყ. კდ. ლქ. მფ. ნუ. ოტ. პს. რუ.

როგორც ვხედავთ, **აჟ** კომპლექსი არც ამ ანბანშია.

ფარსადან გორგიჯანიძის ანბანში თავდაპირველ გასაღებთან შედარებით შეცდომით ენაცვლებიან შემდეგი კომპლექსები: **ბხ, გვ, ლქ**. როგორც ვიცით, ანჯანურ ანბანში ურთიერთმონაცვლეა **ბ**, ანბანის მეორე ასო და **ვ** და არა **ხ**. ასევე, ანბანის მესამე ასოს **გ**-ს ანჯანურში **ხ** ენაცვლება. ფარსადან გორგიჯანიძისეულ ანბანში კი **გვ** არასწორი კომპლექსი გვაქვს. რაც შეეხება **ლქ** კომპლექსს, აქ უნებლიე შეცდომაა დაშვებული. ცხადია, შეცდომა გადაწერის დროს გაპარულა. როგორც ვნახეთ, **ქ**-ს მონაცვლეა **ლ** და არა **დ**.

ფარსადან გორგიჯანიძისეულ გასაღებში ყურადღებას იქცევს **ჰჩ** კომპლექსი. როგორც ვნახეთ, ანჯანური ანბანის გასაღები გულისხმობს ქართული ანბანის ასოთა მონაცვლეობას **ა**-დან **ჯ**-ს ჩათვლით. ამ გასაღებში ვერ მოხვედრილა ბოლო ორი ასო: **ჰ** და **ჭ**. ფარსადან გორგიჯანიძისეული ანბანის **ჰჩ** კომპლექსის ნაცვლად ანჯანური ანბანის გასაღებში უნდა ყოფილიყო **მჩ**. მართლაც, ასეა პარიზული № 1 ხელნაწერის გასაღებშიც და თავდაპირველ ანბანშიც. მაშასადამე, ფარსადან გორგიჯანიძისეული ანბანის **ჰჩ**-ში **ჰ** გამოხატავს **მ**-ს, მისი ბადალია. აქ უთუოდ გვაქვს **მ**-სა და **ჰ**-ს აღრევის ის ფაქტი, რომელიც დადასტურებულია მხედრულში XVII—XVIII სს-ში.

ფარსადან გორგიჯანიძისეულ ანბანში შეინიშნება ერთი კომპლექსის არასწორი დაწერილობა. თავდაპირველი ანბანის თანმიმდევრობით სწორია **ჟრ** კომპლექსი, აქ კი გვაქვს **რჟ**.

ამრიგად, ფარსადან გორგიჯანიძისეულ ანბანში შეინიშნება ერთგვარი შეცდომები: 1. **ბხ, გვ** კომპლექსები ნაცვლად **ბვ, გხ**-ისა. 2. **ლქ** კომპლექსი **ლქ**-ს ნაცვლად. 3. **რჟ** კომპლექსი **ჟრ**-ს ნაცვლად. მაშასადამე, ან-

ბანში ზოგი კომპლექსი ჩაწერილია შეცდომით და ადგილი აქვს გარკვეულ უზუსტობებს.

ეს შეცდომები ექვს ბადებს: მართლა ფარსადან გორგიჯანიძეა მომგონებელი ამ ანბანისა? ამ რიგის არც ერთი შეცდომა არ არის დაშვებული პარიზულ № 1 ხელნაწერის ანბანში, აქ ყველა ასო, ყველა კომპლექსი თავის ადგილასაა. უნდა ვიფიქროთ, რომ ფარსადან გორგიჯანიძე არ უნდა იყოს შემომღები ანჯანური სისტემისა. წარმოუდგენელია, რომ ანბანის შედგენის დროს ფარსადან გორგიჯანიძეს ამდენი უზუსტობა დაეშვა.

ფარსადან გორგიჯანიძე რომ არაა ამ ანბანის შემომღები, ამის დამადასტურებელია ის ფაქტიც, რომ ფარსადან გორგიჯანიძისეული ანბანის გარდა არსებობს პარიზული № 1 ხელნაწერის ანბანი, რომელშიც ანჯანური სისტემის ანბანი უძველესი სახითაა დაცული.

ამრიგად, პარიზულ № 1 და S—174 ხელნაწერებში არსებული კრიპტოგრამული ანბანების შესწავლამ დაგვიანახვა, რომ ანჯანური ანბანი პარიზული ხელნაწერისა შედგენილობით უძველესი და უფრო ადრინდელი ჩანს, ვიდრე ფარსადან გორგიჯანიძისეული ხელნაწერის ანბანი. ფარსადან გორგიჯანიძის ხელნაწერის ანბანი თავისი შედგენილობის გამო საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ ფარსადან გორგიჯანიძე არ არის შემომღები ანჯანური ანბანისა. ამიტომ შესაძლოა, როგორც ივ. ჯავახიშვილიც აღნიშნავდა, მართლაც, მივიწყებული იყო ეს ანბანი და ფარსადან გორგიჯანიძემ იგი აღადგინა, ოღონდ გარკვეული შეცდომებით. ამ შემთხვევაში ტერმინი „შეწყობა“ შესაძლოა გულისხმობდეს არა აუცილებლად ახლის შეთხზვასა და შექმნას, არამედ არსებულის გაწყობა-განახლებას.

ანჯანური სისტემის წარმოშობას XVII ს-ზე უფრო ადრე თვით ამ სისტემის შედგენილობა მიუთითებს. ანჯანური სისტემა, როგორც ზემოთ აღნიშნეთ, მსგავსია უძველესი ბერძნული ატბაშური სისტემისა და მისი გავლენით ჩანს წარმოშობილი. ატბაშური სისტემა უფრო ძველია, ვიდრე მეორე ბერძნული სისტემა „gewöhnlichste kryptographie“, რომლის ნიმუშები ჩვ. წ-ით IV ს. პაპირუსის ხელნაწერშია დადასტურებული¹⁰⁵. ატბაშურთან შედარებით უფრო ახალი, ეს მეორე ბერძნული კრიპტოგრაფიული სისტემა, როგორც გაირკვა, ქართველებს შეუსწავლიათ და X ს. უძველეს ქართულ ხელნაწერებში ჩაუწერიათ ამ სისტემის ბერძნული კრიპტოგრამები (იხ. ქვემოთ, ბერძნული კრიპტოგრამები ქართულ ხელნაწერებში). როგორც ბერძნული კრიპტოგრამების შესწავლამ დაგვიანახვა, ეს კრიპტოგრამები X ს-ზეც უფრო ადრეულია, კერძოდ IX საუკუნისა. ამრიგად, ბერძნული სისტემა „gewöhnlichste kryptographie“ IX ს-ში საქართველოში უკვე იხმარებოდა. ძნელი წარმოსადგენია,

¹⁰⁵ V. Gardthausen, Griech. Palaeogr. II, 1913, გვ. 312.

რომ იმ დროს ქართველებს არ სცოდნოდათ აღნიშნულ სისტემაზე უფრო ძველი, ატბაშური სისტემა და მხოლოდ გვიან, XVII ს-ში, გასცნობოდნენ მას და შეექმნათ მისი გავლენით ანჯანური სისტემა.

ანჯანური სისტემის სიძველეს, მის აღრინდებობას, ვფიქრობთ, მისი სახელწოდებაც უნდა მიანიშნებდეს. როგორც ანჯანური ანბანის განხილვისას აღვნიშნეთ, ამ ანბანში არა ჩანს ქართული ანბანის ორი უკანასკნელი ასო ჰ და შ. ისმის კითხვა: რატომ აიღო ქართული ანბანიდან ამ სისტემის შესაქმნელად მისმა შემდგენელმა ჯ ასო, როცა მის შემდგომ ქართულ ანბანში კიდევ ორი ასო ჰ და შ იყო? მის ავტორს ხომ ატბაშური სისტემის მოდელის მიხედვით უნდა შეექმნა ახალი კრიპტოგრაფული ანბანი — ქართული ანბანის პირველი და უკანასკნელი ასოების კომბინაციით, ე. ი. ა-სა და შ ასოების მონაცვლეობით და არა ა-სა და ჯ-ს მონაცვლეობით. ეს გარემოება თავისთავად მეტად დამაფიქრებელია. როგორც ვიცით, ქართული ანბანის უკანასკნელი ასოს და პირველი ასოს მონაცვლეობით უკვე ანჯანურის გავლენით შემდგომ ჩამოყალიბებულა ანჰოეური სისტემა (ანბანი დაცულია პარიზულ № 1 ხელნაწერში. ამ სისტემის შესახებ იხ. ქვემოთ). მაგრამ არსად გვხვდება ანჰოეური სისტემა, ქართული ანბანის ერთ-ერთი უკანასკნელი ასოს ჰ-სა და ა-ს მონაცვლეობით შედგენილი.

ამის გამო, ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია დაეფუძვით, რომ ანჯანური სისტემა წარმოიშვა იმ უძველეს ეპოქაში, როდესაც ქართული ანბანის უკანასკნელი ასო იყო ჯ. მით უმეტეს, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ქართული ანბანის ორი უკანასკნელი ასო ჰ და შ მერმინდელი დანართია¹⁰⁶.

ვფიქრობთ, ჩვენი ვარაუდი არ უნდა იყოს საფუძველს მოკლებული, ვინაიდან ბერძნული ატბაშური კრიპტოგრაფიული სისტემაც ბერძნული კრიპტოგრაფიის უძველესი სისტემაა.

ანჯანური სისტემის ჩვენამდე მოღწეული ყველა კრიპტოგრამა XIX საუკუნისაა, ფარსადან გორგიჯანიძისა და პარიზული № 1 ხელნაწერის ანბანებიც XVII—XVIII საუკუნეებით თარიღდება. რაკი ასეთი გვიანდელი ნიმუშები გვხვდება, ხომ არ შეიძლება გვეფიქრა, რომ ანჯანური სისტემაც გვიან, XVII—XVIII სს-ში ჩამოყალიბდა? მაგრამ ასეთი ვარაუდი არ არის მართებული. ანალოგიური ვითარება გვაქვს სარკისებრი დაწერილობის სისტემაშიც. ჩვენ რომ ჯრუჭის ოთხთავის (H—1660) მომხატავის თეოდორეს კრიპტოგრამა 940 წლისა არ შემოგვრჩენოდა, შესაძლოა გვეფიქრა, რომ სარკისებრი დაწერილობის სისტემა გვიან,

¹⁰⁶ ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, 1949, გვ. 200—201; ელ. მაკავარიანი, ქართული ანბანის გრაფიული საფუძველები, საბჭოთა ხელოვნება, 1977, № 10, გვ. 112.

XVII—XVIII სს-ში შეიქმნა, ე. ი. იმ დროს, რა დროის ნიმუშებიც დაი-
ძებნა ხელნაწერებში. ასე რომ, შესაძლებელია რომელიმე სისტემის ჩა-
მოყალიბებიდან რამდენიმე საუკუნე იყოს გასული და ჯამთა სიავეს გა-
დარჩენილი ნიმუშებია იყოს შემორჩენილი გვიანდელ ხელნაწერებში.

ამრიგად, გაირკვა, რომ ანჯანური სისტემა ანჩინური სისტემის მსგავ-
სად ერთ-ერთი უძველესი სისტემაა ასოთა შენაცვლებით შედგენილ სის-
ტემებს შორის. თუმცაღა ანჯანური სისტემის უძველეს ნიმუშებს, რომ-
ლებიც თავდაპირველი ანბანით იქნებოდა შედგენილი, ჩვენამდის არ მო-
უღწევია. ხელნაწერებში დაიძებნა სულ რამდენიმე კრიპტოგრაფია. საფიქ-
რებელია, რომ ანჯანური სისტემა არ ყოფილა ისე გავრცელებული, რო-
გორც ანჩინური. იქნებ გადამწერნი თვლიდნენ, რომ ანჯანური სისტე-
მის ანბანი მარტივი შედგენილობისა იყო, ვიდრე ანჩინური და იშვიათად
ხმარობდნენ მას, ანდა იქნებ ამ სისტემის ნიმუშებმა ვერ მოაღწიეს ჩვე-
ნამდე და ხელნაწერებთან ერთად განადგურდნენ?

ანჯანური სისტემის კრიპტოგრაფიები ძალზე დამახინჯებული გასა-
ლებითაა შედგენილი. ეს გასალები კრიპტოგრაფიების ამოხსნის შემდგომ
შევადგინეთ. საინტერესოა ერთი ფაქტი: ყველა კრიპტოგრაფია ერთი სა-
ერთო გასალებითაა შედგენილი. ეს გასალები არ ემთხვევა არც პარიზუ-
ლი № 1 ხელნაწერის ანბანს და არც ფარსადან გორგიჯანიძისეულ ანბანს.
გაირკვა, რომ ეს ანბანი ფარსადან გორგიჯანიძისეულ ანბანზე გვიანდე-
ლია. შესაძლოა მისი ჩამოყალიბება XVIII ს. ბოლოს ან XIX ს. დასაწ-
ყისში ვივარაუდოთ. ამ ანბანის გვიანდლობაზე ისიც მიუთითებს, რომ
შენაცვლების დროს ძალიან დარღვეულია ასოთა თანმიმდევრობა: მოსა-
ლოდნელი ბჟ-ს ნაცვლად გვაქვს ბხ, ასევე გხ-ს ნაცვლად გჟ, დჟ-ს ნაცვ-
ლად დწ და ა. შ. ვინაიდან ამ უკანასკნელი ანბანიდან ამოუღიათ ვ, რასაც
შენაცვლებისას გამოუწვევია აღრევა. ანბანში არასწორი შენაცვლება
გვაქვს ჰჟ კომპლექსში: ჟ-ს ნაცვლად მოსალოდნელი რ კი არა გვაქვს,
არამედ პ. ამის გამო ანბანში ცალად დარჩენილა რ, რომლის მონაცვლედ
შემოუტანიათ თავისებური მოხაზულობის ახალი ნიშანი.

ასოთა შენაცვლების თვალსაზრისით ასეთი არასწორი, შეიძლება
ითქვას, დამახინჯებული გასალებითაა შედგენილი ჩვენამდე მოღწეული
კრიპტოგრაფიები. ყველა კრიპტოგრაფია XIX ს-შია დაწერილი ხელნაწერ-
თა მფლობელების მიერ.

განვიხილოთ ანჯანური სისტემის კრიპტოგრაფიები. „ქილილა და და-
მანას“ საბასეულ ხელნაწერზე (S—31, 1717—1721 წწ. 1r და 188r)
გვხვდება ორი კრიპტოგრაფია. „ქილილა და დამანას“ ეს ნუსხა სახლთუბუ-
ცისის ზურაბ წერეთლის ოჯახის საკუთრება ყოფილა¹⁰⁷. ხელნაწერში
დაცულია ზურაბ წერეთლის შეიღების გრიგოლისა და მართას მინაწე-

¹⁰⁷ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, S კოლექცია, I, 1960, გვ. 45.

რები. ხელნაწერი შემდგომ დადიანების ოჯახში მოხვედრილა: მართა ზურაბის ასულ წერეთელს, რომელიც ლეონ დადიანზე გათხოვილა. დადიანების ოჯახში თან წაუღია ეს ხელნაწერიც. 188 r-ზე მინაწერია, რომლის სამი სიტყვა „მობრძანდა დადიანი ლეონ“ კრიპტოგრაფულია. კრიპტოგრამის გახსნის შემდეგ მინაწერი ასე იკითხება: „ჩუკე-ს წელთა ქაქუმს ივნისის იღ-ს შაბათს სალამოს მობრძანდა დადიანი ლეონ“. კრიპტოგრამის ავტორია ზურაბ წერეთლის ასული მართა, ლეონ დადიანის მეუღლე, რასაც ადასტურებს ამ კრიპტოგრამისა და მართას ერთი მინაწერის ხელის იგივეობა: „ეს ქილ(ილ)ა დამნას წიგნი სამეგრელოს მთავრის ლეონ დადიანის მეუღლის ზურაბ წერეთლის და თამარ დადიანის ასულის მართასი არის“ (188 v). მაშასადამე, კრიპტოგრამაში მოხსენიებულია სამეგრელოს მთავარი ლეონ გრიგოლის ძე დადიანი.

ამავე ხელნაწერში დაცულია მეორე კრიპტოგრამა, რომელიც დავით დადიანის ავტოგრაფი უნდა იყოს, რასაც ამ კრიპტოგრამის შინაარსი მოწმობს. იგი ასე იხსნება: „ჩემო დედა, გახსოვდე და მომიგონებდე. შენი დავით“. იქვე კრიპტოგრამის ავტორს მიუწერია: „ეს წიგნი არის დედოფლის“. აქ დედოფლად, ჩანს, ნაგულისხმევია მართა, ზურაბ წერეთლის ასული, მეუღლე ლეონ დადიანისა. როგორც ცნობილია, მართა წერეთელსა და ლეონ დადიანს ჰყოლიათ ვაჟიშვილი დავითი, რომელიც 1813 წ. დაბადებულა¹⁰⁸. არდავიწყებას ევედრება დედას დავითი ერთ არაკრიპტოგრაფულ მინაწერშიც: „ჩემო დედა, ნუ დამივიწყებ, ხშირად წიგნი მომწერე, ვითარცა ჩვეულ ვარ. შენი დავითი“, 1 v.

ამრიგად, S—31 ხელნაწერის მფლობელებს მართა წერეთელსა და მის ვაჟიშვილს დავით დადიანს ხელნაწერზე წაუწერიათ ანჯანური სისტემის ორი კრიპტოგრამა.

ამ სისტემის მესამე კრიპტოგრამაც დადიანებისა და წერეთლების ოჯახს უკავშირდება. ხელნაწერი გადაუწერია ნიკოლოზ დადიანს 1826 წელს (H—1008). როგორც 1 r-ზე მოთავსებული კრიპტოგრამიდან გამოჩნდა, ეს ნუსხა ერთ ხანს სვიმონ ზურაბის ძე წერეთლის, მართა დადიანის ძმის, საკუთრება ყოფილა¹⁰⁹.

სვიმონ წერეთელს თავისი სახელი და გვარი ხელნაწერზე კრიპტოგრაფულად მიუწერია. ხელნაწერი, როგორც 4 v-ზე არსებული არაკრიპტოგრაფული მინაწერიდან ჩანს, სვიმონის ძმის გრიგოლის კუთვნილებაც ყოფილა: „თქო გრიგოლ წერეთელი“.

S ფონდის ორ ხელნაწერზე (S—406 და S—371) იაკობ ზუბალოვის კრიპტოგრამებია. XVII ს. ნუსხაზე (S—406, როსტომიანი) მიწერი-

¹⁰⁸ თ. ყო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, III, 1967, გვ. 493—494.

¹⁰⁹ ცნობილია, რომ სახლთუხუცეს ზურაბ წერეთელს ჰყავდა ვაჟიშვილები გრიგოლ და სვიმონ, და ქალიშვილი მართა, ლეონ დადიანის მეუღლე.

ლია კრიპტოგრაფია პორნოგრაფიული ხასიათისა, რომელიც ამოხსნა ა. შანიძემ (1932 წ. ამოხსნა ჩაკრულია ხელნაწერში). კრიპტოგრაფიის ერთი ნაწილი, როგორც ამოხსნის შემდეგ გაირკვა, იაკობ ზუბალოვს დაუწერიდა, ხოლო პირველი ნაწილი კრიპტოგრაფიისა, რომელიც ფანქრითაა ნაწერი, ხელის მიხედვით დავით დადიანს უნდა ეკუთვნოდეს (იხ. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, S კოლექცია, I, 1960, გვ. 508).

ამავე ფონდის მეორე ხელნაწერშიც (S—371) გვხვდება კრიპტოგრაფია¹¹⁰. როგორც კრიპტოგრაფიიდან ჩანს, იგი დაწერილია 1840 წელს. ამ კრიპტოგრაფიის ხელის შედარებამ S—406 ხელნაწერის კრიპტოგრაფიის ხელთან გარკვევა, რომ S—371 ხელნაწერის კრიპტოგრაფიაც იაკობ ზუბალოვს დაუწერია¹¹¹. კრიპტოგრაფია რომ უთუოდ იაკობ ზუბალოვისაა, ამას მისი ხელით ნაწერი შემდეგი მინაწერიც ადასტურებს: „ჩუღთ წელში უნდა იყოს, ვგონებ ქართული ქრონიკონი ფკვ“ (S—371, ქვედა ყდის შიგნით). ირკვევა, რომ კრიპტოგრაფიაში იაკობ ზუბალოვს საიდუმლოდ გადმოუცია ოქროპირ მღვდლის ოჯახში მომხდარი ამბავი. იაკობ ზუბალოვი არაკრიპტოგრაფულად წერს თარიღს ჩუღთ წელს, თებერვლის კა-ს, ხოლო შემდეგ კრიპტოგრაფულად: „ბუნიაობა მოიწია სახლსა შინა ოქროპირ მღვდლისასა“. რა ამბავია ოქროპირ მღვდლის ოჯახში ჩუღთ წლის თებერვლის კა-ს, ე. ი. 1840 წლის 21 თებერვალს? ამის პასუხს მივაკვლიეთ ერთი ხელნაწერის არაკრიპტოგრაფულ მინაწერში. ამ მინაწერის ცნობით: „ჩუღთ წელს, ფებერვლის კა, დღე იყო სამშაბათი, ოქროპირ მღვდელს სახლი გაუჩხრიკა ნაჩაღნიკმა შიკოვსკიმ და ნიკოლაოს მღვდელმონაზონმა ნიჟარაძემ ღენერალ ისპეხოვის განკარგულებით და ქუთაის გაგზავნეს ყარაულით კბ ფებერვალს“ (Q—114, ქვემო ყდის საცავ ფურცელზე). ამრიგად, S—371 ნუსხის კრიპტოგრაფია ოქროპირ მღვდლის დაპატიმრების ამბავს გულისხმობს.

იაკობ ზუბალოვს ეკუთვნის კიდევ ერთი კრიპტოგრაფია (H—2), რომელიც ხელნაწერში შემდგომ გადაუხაზავთ, ამიტომ იგი ძნელად იკითხება, რის გამოც მხოლოდ ნაწილობრივ ამოიხსნა. ეს ხელნაწერიც წერეთლების ოჯახის კუთვნილება ყოფილა (იხ. გრიგოლ წერეთლის მინაწერი).

¹¹⁰ კრიპტოგრაფია ამოხსნა გ. შანიძემ: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, S კოლექცია, I, 1960, გვ. 430.

¹¹¹ კრიპტოგრაფების ავტორი იაკობ ზუბალოვი XIX ს. I ნახევრის მოღვაწეა. დიდი ქველმოქმედი. თბილისში ზუბალაშვილებს ბევრი ნაგებობა აუშენებიათ XIX ს-ში. იაკობ ზუბალაშვილის აგებულია, მაგალითად, სასულიერო სემინარიის შენობა. ცნობილია მეორე იაკობ ზუბალაშვილიც, 900-იანი წლების მოღვაწე, რომელიც მისი შვილიშვილი ყოფილა (ისტორიული მიმოხილვა. მუშა, გლეხ და პროლეტარტა მოკეთე ზუბალაშვილები და მათგან გაკეთებული ისტორიული და კულტურული ძეგლები, 1690—1905 წწ. აღწერილი და გამოცემული ზ. კიქინაძისაგან, 1924 წ.).

კრიპტოგრაფიაში საუბარია რალაც განძზე, ჩამოთვლილია ოქროსა და ვერცხლის ხატები.

ამრიგად, ანჯანური სისტემის ანბანი სცოდნიათ და გამოუყენებიათ ზურაბ წერეთლის ოჯახის წევრებს, ასევე დადიანების ოჯახშიც უხმარიათ იგი. ანჯანურის მცოდნე ჩანს აგრეთვე იაკობ ზუბალოვი, თავისი დროის დიდი ქველმოქმედი.

ანრეური სისტემა

ანრეური სისტემა¹¹² ანჩინურისა და ანჯანურის მსგავსად ასოთა ურთიერთმონაცვლეობას ემყარება. მაგრამ ანჯანურისაგან განსხვავებით აქაც, ისევე როგორც ანჩინურ სისტემაში, ასოთა ფონეტიკურ მნიშვნელობებთან ერთად ყურადღება ექცევა ასოთა რიცხვით მნიშვნელობებს. თუმცა ანრეური სისტემა ანჩინურისაგან განსხვავდება: თუ ანჩინურში მონაცვლეობდნენ ერთეულების და ათასეულების აღმნიშვნელი ასოები, ერთი მხრივ, ხოლო ათეულების და ასეულების აღმნიშვნელი ასოები, მეორე მხრივ, ანრეურ სისტემაში სხვაგვარი კომბინაციაა: ერთეულების აღმნიშვნელი ასოები ენაცვლებიან ასეულების აღმნიშვნელ ასოებს, ხოლო ათეულების აღმნიშვნელი ასოები — ათასეულებს. ამის მიხედვით ანრეური სისტემის კრიპტოგრაფული ანბანი ასეთი სახისაა:

არ — 1:100	იჩ — 10:1000
ბს — 2:200	კც — 20:2000
გტ — 3:300	ლძ — 30:3000
დუ — 4:400	მწ — 40:4000
ეფ — 5:500	ნჭ — 50:5000
ვქ — 6:600	ახ — 60:6000
ზღ — 7:700	ოკ — 70:7000
ყყ — 8:800	პჯ — 80:8000
თშ — 9:900	უშ — 90:9000

ასეთი უნდა ყოფილიყო ანრეური კრიპტოგრაფული ანბანი თავდაპირველად. აქაც, ანჩინურის მსგავსად აღებულია 36 ასო ა-დან ჰ-ს ჩათვლით და ასოთა რიცხვითი მნიშვნელობების გათვალისწინებით, ანჩინური სისტემის გავლენით შედგენილია ახალი, ორიგინალური სისტემა.

როგორია ჩვენამდე მოღწეული ანრეური სისტემის კრიპტოგრაფები, რა ცვლილებებია მომხდარი ამ კრიპტოგრაფების ანბანებში და შესაძლევ

¹¹² ტერმინი „ანრეური“ ხელნაწერებში არსად გვხვდება, მაგრამ მ. ბროსემ და ე. თაყაიშვილმა იგი იხმარეს ანჩინურისა და ანჯანურის ანალოგიით (მ. ბროსე, Note Supplémentaire, Journal Asiatique, t. 14, 1834, p. 244—248. ე. თაყაიშვილი, პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები, .. გვ. 4—5.

ბელია თუ არა ამ ანბანებზე დაყრდნობით დათარიღება ანრეური სისტემის წარმოშობისა?

ანრეური სისტემის კრიპტოგრამები ანჯანურის მსგავსად ძალზე მცირე რაოდენობით დასტურდება ხელნაწერებში: 6 კრიპტოგრამა და ერთი კრიპტოგრამული აწბანი პარიზული № 1 ხელნაწერისა, იმის მანიშნებელია, რომ ეს სისტემა არცთუ ძალიან გავრცელებული ყოფილა საქართველოში.

ემთხვევა თუ არა პარიზული № 1 ხელნაწერის კრიპტოგრამული ანბანი ჩვენ მიერ შედგენილ თავდაპირველ ანბანს?¹¹³ ამ ანბანთა შედარებით გაირკვა, რომ პარიზული № 1 ხელნაწერის ანბანიდან ამოღებულია **ა** და ამის მიხედვით დარღვეულია წყვილულ კომპლექსებში ასოთა შენაცვლება.

ძირითად გასაღებში გვაქვს **ახ. ოვ. პვ. უშ**, ხოლო პარიზულში ამ კომპლექსების ნაცვლად — **ოხ. პვ. უჯ**. როგორც ვხედავთ, პარიზულ კრიპტოგრამულ გასაღებში **ა**-ს ამოღების გამო წარმოიქმნა ახალი, არასწორი კომპლექსები და ამის გამო **უშ** კომპლექსიდან **უ** შეენაცვლა **ჯ**-ს და ცალად დარჩენილი **შ** დაიკარგა.

ამრიგად, პარიზული № 1 ხელნაწერის ანბანი არ ემთხვევა ძირითად, თავდაპირველ ანბანს, აქ უკვე შეიმჩნევა ანბანის გამარტივება (**ა**-ს ამოვარდნა) და ამასთან დაკავშირებით არასწორი კომპლექსების წარმოქმნა.

როგორც აღვნიშნეთ, ანრეური სისტემის 6 კრიპტოგრამაა შემორჩენილი ჩვენამდე. როგორია ამ კრიპტოგრამების ანბანი? პარიზული № 1 ხელნაწერის ანბანითაა შედგენილი **H—1429** ხელნაწერისეული, **XVIII** ს. კრიპტოგრამა, აგრეთვე **XIX** ს. კრიპტოგრამები **A—1019** და **A—1237** ხელნაწერებისა.

XVIII ს. გადამწერის სვიმონ თაზიშვილის მიერ **H—370** ხელნაწერში ჩაწერილი კრიპტოგრამის ანბანიდან ამოღებულია **ფ, ა** და **კ**. ამიტომ ეს ანბანი სახეცვლილია, იგი ძირითადი ანბანისაგან განსხვავებულია: წარმოქმნილი კომპლექსები არასწორად ენაცვლებიან ერთმანეთს რიცხვითი მნიშვნელობის თვალსაზრისით.

ძ ი რ ი თ ა დ ი ა ნ ბ ა ნ ი **H—370**

ფ	თ
თ	ი
ი	კ
კ	ლ
ლ	მ

¹¹³ პარიზული № 1 ხელნაწერის ანრეური სისტემის ანბანი ასეთია: არ. ბს. გტ. დუ. ეფ. ვქ. ზღ. შყ. თშ. იჩ. კც. ლძ. მწ. ნჭ. ოხ. პვ. უჯ.

მწ	ნწ
ნჟ	ოჟ
აზ	პზ
ოჯ	
პჯ	
უპ	უჯ

მ, ა და ე-ს ამოვარდნამ ანბანიდან გამოიწვია აგრეთვე ჰ-ს ამოღებაც უპ კომპლექსიდან.

დაიდებნა ანრეური სისტემის ძირითადი, პირვანდელი ანბანით შედგენილი XVIII—XIX სს. ერთი კრიპტოგრამა H—1671 ხელნაწერში. მეტად საგულისხმო ფაქტია. თუ XVIII—XIX სს. სხვა ანრეურ კრიპტოგრამებში მ, ა, ე ანბანიდან ამოღებულია, H—1671 ხელნაწერის კრიპტოგრამა, მიუხედავად იმისა, რომ ამ კრიპტოგრამების თანადროულია, შედგენილია ანრეური სისტემის ძირითადი, თავდაპირველი გასაღების ანბანით. ცხადია, ამ კრიპტოგრამაში შემორჩენილია ანრეური სისტემის ანბანის უძველესი სახე.

თავდაპირველი ანბანისაგან ნაწილობრივ განსხვავებული ანბანითაა შედგენილი XIX ს. I მეოთხედის კრიპტოგრამა H—2295 ხელნაწერისა. ამ ანბანში ა ზოგჯერ დატოვებულია (აზ კომპლექსი), ზოგჯერ ამოღებულია (ოზ კომპლექსი).

ამრიგად, გაირკვა, რომ ანრეური სისტემის ანბანს განუცდია ცვლილებები. როგორც ვნახეთ, თავდაპირველი ანბანი გულისხმობდა ასოთა შენაცვლებას ისე, რომ ანბანში 36 ასო გვექნოდა ა-დან ჰ-ს ჩათვლით და ასე ოთხ ჯგუფად გაყოფილი ასოები თითოეულ ჯგუფში ცხრა-ცხრა ასოთი მონაცვლეობდნენ. მაგრამ შემდგომში ქართული მხედრული ანბანის გამარტივებას ანრეურ სისტემაზეც მოუხდენია გავლენა. მხედრულიდან მ და ა-ს ამოვარდნამ თავი იჩინა ანრეურ სისტემაშიც, მიუხედავად იმისა, რომ ამ ასოების რიცხვითი მნიშვნელობები გათვალისწინებული იყო. გამარტივება უფრო შორს წასულა და ანრეური სისტემის ანბანიდან ე-ც ამოუღიათ.

ჩვენამდე მოღწეულია ანრეური სისტემის კრიპტოგრამების მცირე ნაწილი. ყველა კრიპტოგრამა XVIII—XIX სს. მხედრულითაა ნაწერი. ისმის კითხვა: ანრეური სისტემა აღნიშნულ საუკუნეებში შეიქმნა თუ უფრო ადრე? პარიზულ № 1 ხელნაწერში ანრეური სისტემის გასაღებთან მიწერილია „ანტონი კათალიკოზისა“. ე. თაყაიშვილმა ამ ცნობაზე დაყრდნობით ანრეური სისტემის შემომღებად ანტონ I კათალიკოსი მიიჩნია¹¹⁴. სხვა რაიმე მინიშნება ანტონ I-ის ავტორობაზე არა ჩანს.

¹¹⁴ ე. თაყაიშვილი, პარიზის ნაც. ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები და ოცი ქართული საიდუმლო დამწერლობის ნიშანი, 1933, გვ. 5.

საფიქრებელია, რომ ანრეური სისტემა არ არის ანტონ I-ის მიერ შედგენილი. იგი XVIII ს-ზე უფრო ადრე უნდა შექმნილიყო, არასადასტურებლად თვით ამ სისტემის კრიპტოგრაფული ანბანის შედგენილობა გვაფიქრებინებს. რადგანაც ანრეური სისტემა ანჩინურის მსგავსად ვულისხმობს ასოთა მონაცვლეობას მათი რიცხვითი მნიშვნელობების გათვალისწინებით, და ურთიერთმონაცვლე კომპლექსთა წარმოქმნაში მონაწილეობს ქართული ანბანის ოცდათექვსმეტივე ასო ა-დან ჰ-ს ჩათვლით, ცხადია, ეს ფაქტი მიუთითებს ამ სისტემის წარმოშობის ადრინდელობაზე. ამის გამო ანრეური სისტემის ჩამოყალიბება სავარაუდოა იმ დროს, როდესაც ქართულ მხედრულ ანბანში ჯერ კიდევ არ იყო დაწყებული გამართივება (იგულისხმება G, g-ს ამოვარდნა XVII—XVIII სს. მხედრულიდან).

რა ხასიათისაა ანრეური სისტემის კრიპტოგრაფები შინაარსის თვალსაზრისით? როგორც H—370 ხელნაწერის (246 v) კრიპტოგრაფიდან გამოჩნდა, ამ ნუსხის მფლობელი ყოფილა ცნობილი გადამწერი სვიმონ თაზიშვილი (მას გადაუწერია „ამირანდარეჯანიანის“ H—1202 ხელნაწერი და სხვ.). მფლობელისაა აგრეთვე სულხან-საბა ორბელიანის „ქართული ლექსიკონის“ (H—1429, 37 r) კრიპტოგრაფა, რომელსაც საიდუმლო ანბანით თავისი სახელი „ელენე“ წაუწერია ხელნაწერზე. ხელნაწერის მფლობელის კრიპტოგრაფა გვხვდება ნიკო დადიანის ქართულ გრამატიკაზეც (A—1019). იგი ნაწილობრივ დამახინჯებულია. კრიპტოგრაფაში მოხსენებული დავითი შესაძლოა დავით დადიანი იყოს. ერთი კრიპტოგრაფიდან (H—1671) გამოჩნდა, რომ ეს ხელნაწერი („ხრონოლოგია“) ერთ დროს წა ნიკოლოზის მონასტრის საკუთრება ყოფილა. ჩანს, კრიპტოგრაფის დამწერი რაღაც გასაჭირშია ჩავარდნილი და დასახსნელად წა ნიკოლოზს გლეხის შეწირვას ჰპირდება: „გლეხი შამოგწირო, თუ ახლა ამისგან დამიხსნა“, წერს კრიპტოგრაფის ავტორი, რომლის ვინაობა უცნობია. XIX ს. ხელნაწერზე (A—1237) სატრფიალო ხასიათის კრიპტოგრაფული მინაწერია: „ჩემო სასურველო დაო, ბატონო მართა...“, კრიპტოგრაფა ტექსტის ხელითაა დაწერილი. ლექსების ბოლოს, ტექსტისავე ხელით დაწერილი ანდერძიდან კი ჩანს, რომ ეს ხელნაწერი ეძღვნება ვინმე მართას: „გათავდა და გასრულდა ეს წერილი. ღმერთმან მუახმაროს მართას“ (6 v).

სატრფიალო ამბავია მიფარული ერთ XIX ს. კრიპტოგრაფაშიც. H—2295 ხელნაწერის ზედა საცავი ფურცლის r-ზე მოთავსებულია კრიპტოგრაფა, რომელიც ასე ამოვხსენით:

„ხელმწიფეო ჩემო, [დაო მანა], რა არის,
რომ ჩემს ძმას [აოროს] (?) არ სწყალობთ და უწყალოს.

ტანჯვითა სტანჯავ. მარა ავასხე უფალსა და განიკითხე^{115/}

კრიპტოგრამა დაზიანებულია. მასში ამოშლილია სიტყვები „ურჯ წრჭა“ და „რჯრჯბ“, რომელთა ამოკითხვა მოხერხდა კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფოტოლაბორატორიაში ულტრაიისფერი სხივების დახმარებით (იხ. კაევებში ჩასმული სიტყვები). „ურჯ წრჭა“ ასე იხსნება: „დაო მანა“. კრიპტოგრამის ავტორს ი-ს აღმნიშვნელი ჩ-ს ნაცვლად შეცდომით ჩაუწერია ჭ, რაც ნიშნავს ნ-ს. ამასთანავე, ბოლო ასო ა აღარ შეუცვლია შესაბამისი რ-თი. მაშასადამე, აქ უნდა გვქონდეს „მაია“).

კრიპტოგრამა პირველად ამოხსნა და გამოაქვეყნა გ. მიქაძემ¹¹⁶, მაგრამ ამ გამოცემაში არ გვევლება „ურჯ წრჭა“ და რჯრჯბ“ სიტყვები, თუმცა გ. მიქაძეს „ურჯ წრჭა“ სიტყვების ადგილას აღდგენილი აქვს ამოხსნაში „მაია“. გარდა ამისა, კრიპტოგრამაში იკითხება სიტყვა „ლწრბ“ (=ძმას). გ. მიქაძეს მის ნაცვლად ამოუკითხავს „ლწრბ“ (=ზმას). შინა-არსობრივად სწორი ჩანს „ძმას“ (ლწრბ), ვინაიდან კრიპტოგრამაში საუბარია ადამიანის ტანჯვაზე: „რა არის რომ, — წერს კრიპტოგრამის ავტორი, — ჩემს ძმას... არ სწყალობთ და უწყალოს ტანჯვითა სტანჯავ“. „ლწრბ“ (=ძმას) სიტყვის შემდგომ ამოშლილი სიტყვის ადგილას გ. მიქაძეს აღდგენილი აქვს „მაიას“. კრიპტოგრამას იგი ასე კითხულობს: „ხელმწიფეო ჩემო (მაია), რა არის რომ ჩემს ზმას (მაიას) არ სწყალობთ და უწყალოს ტანჯვითა სტანჯავ. მარა ავასხე უფალსა და განიკითხე“. მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ულტრაიისფერი სხივების დახმარებით ამ ადგილას ამოვიკითხეთ „რჯრჯბ“, რაც შეიძლება ასე გავხსნათ: აოროს (?). მართალია, ამ საკუთარი სახელის მნიშვნელობა არ არის ნათელი, მაგრამ ერთი კი ცხადია, რომ სიტყვა „მაიას“, რომელიც კრიპტოგრამულად ასე იწერება: „წრჩრბ“, კრიპტოგრამაში ამ ადგილას არ დასტურდება.

H—2295 ხელნაწერის საცავი ფურცლის v-ზე მოთავსებულია ზმა, რომელშიც იხსენიება მ ა ი ა :

„ჩემდა წყალობად კმაია, თუმცა მასმინო კმაია:

ბეჭს გარდგფენოდეს თმაია, გჭერეტდე ყმა

შენი ძმაია:

მიირთუ ჩემ მიერ ზმაია, მიჩვენენ მეცა

სმაია:

მოგიძლენი მცირსა ავთრათსა, მე მონა

თქვენი ყმაია:

¹¹⁵ ლ. ათანელიშვილი, ქართული კრიპტოგრაფიებიანი გამოცანები, მრავალთავი, IV, 1976, გვ. 37.

¹¹⁶ გ. მიქაძე, ქართ. კრიპტოგრაფია, ჟურნ. დროშა, 1953, № 6.

ზმასა და კრიპტოგრაფიაში მოხსენებული მათა ზაზა გაბაშვილის ასული გვეგონია. ამ ხელნაწერის მათა რომ ზაზა გაბაშვილის ასული უნდა იყოს, ამას ადასტურებს შემდეგი:

H—2295 ხელნაწერის კრიპტოგრაფიაში, როგორც ვთქვით, მისი ავტორი მიმართავს მათას: ხელმწიფეო ჩემო, დაო მათა, რატომ არ სწყალობთ ჩემს ძმას¹¹⁷ და უწყალოს ტანჯვით სტანჯავო; იქვე კრიპტოგრაფის ავტორი ზმასაც მიუძღვნის მათას. როგორც ჩანს, აქ მათას სატრფიალო ამბებია დაფარულად და ზმით გადმოცემული (უფრო ვრცლად მათა გაბაშვილზე იხ. ქვემოთ, პირობითი ნიშნების სისტემაში).

ანჰოეური სისტემა

ანჰოეური სისტემა¹¹⁸ ასოთა შენაცვლების პრინციპით არის შედგენილი, რომლის მხოლოდ კრიპტოგრაფული ანბანია ცნობილი. პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის № 1 ხელნაწერში¹¹⁹ ანჩინური, ანჯანური და ანრეური სისტემების გასაღებებთან ერთად ჩაწერილია ანჰოეური სისტემის გასაღებიც:

აჰ. ბჰ. გჰ. დჰ. ეჰ. ვჰ. ზჰ. მჰ. თჰ. იჰ. კჰ. ლჰ. მღ. ნჰ. ოჰ. პჰ. უჰ. რს.

როგორია პარიზული № 1 ხელნაწერის გასაღები, ემთხვევა თუ არა იგი თავდაპირველ ანბანს? რაკი ანჰოეური სისტემა გულისხმობს ქართული ანბანის პირველი და უკანასკნელი ასოების — ა და ჰ — მონაცვლეობას ისე, რომ ასოთა რიცხვით მნიშვნელობას არ ექცევა ყურადღება ანჯანურის მსგავსად, ცხადია, დანარჩენი ასოებიც შემდეგი თანმიმდევრობით უნდა შენაცვლებოდნენ ერთმანეთს:

აჰ. ბჰ. გჰ. დჰ. ეჰ. ვჰ. ზჰ. მჰ. თჰ. იჰ. კჰ. ლჰ. მღ. ნჰ. ოჰ. პჰ. უჰ. რს.

ა-დან მ-მდე 38 ასოთა, მაშასადამე, გვექნებოდა 19 წყვილელი კომპლექსი. ასეთი უნდა ყოფილიყო ანჰოეური თავდაპირველი ანბანი. თუ ამ ანბანს შევეუდარებთ პარიზული № 1 ხელნაწერის ანბანს, შევნიშნავთ, რომ ამ უკანასკნელში დარღვეულია კომპლექსთა მონაცვლეობა და არ ემთხვევა თავდაპირველ ანბანს. პარიზული № 1 ხელნაწერის ანბანში ცვლილებებია: ანბანიდან ამოღებულია ა და ჰ ასოები, ამის გამო

¹¹⁷ კრიპტოგრაფიაში სახელი გადაშლილია.

¹¹⁸ ტერმინი „ანჰოეური“ ხელნაწერებში არსად გვხვდება. იგი მ. ბროსემ და ე. თაყაიშვილმა იხმარეს ანჩინურისა და ანჯანურის ანალოგიით: მ. ბროსე, Note Supplémentaire, Journal Asiatique, t. 14, 1834, p. 244—248; ე. თაყაიშვილი, პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები და ოცე ქართული საიდუმლო დამწერლობის ნიშანი, 1933, გვ. 4—5.

¹¹⁹ ე. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 5.

თავდაპირველი ანბანის **აფ, ოუ, პუ** კომპლექსების ნაცვლად გვაქვს: **ოფ, პუ.** ამრიგად, პარიზული № 1 ხელნაწერის ანბანი უკვე გამარტივებული სახისაა.

როდის უნდა შექმნილიყო ანჰოეური სისტემა? ცხადია, იგი ანჰანურის ანალოგიით ჩანს ჩამოყალიბებული. ე. თაყაიშვილი ანჰოეურის შემოღებას XVII—XVIII სს-ში ვარაუდობს, ოღონდ ანჰანური სისტემის შემდგომ¹²⁰. ანჰოეური სისტემის თავდაპირველი ანბანისა და პარიზული № 1 ხელნაწერის ანბანთა შედარებიდან ჩანს, რომ თავდაპირველ ანბანში ყველა ასო მონაწილეობს კომპლექსთა შედგენაში. ამის გამო, შესაძლებელია ამ თარიღის უფრო დაზუსტება: ანჰოეური სისტემა შედგენილი ჩანს იმ პერიოდში, როდესაც ქართულ ანბანში **ა** გრაფემას ხმაურება ჯერ კიდევ მყარი იყო, ე. ი. X—XI სს-ზე უფრო ადრე. ხოლო პარიზული № 1 ხელნაწერის გამარტივებული ანბანი იმის მანიშნებელია, რომ ანჰოეური სისტემაც ანგარიშს უწევს ქართულ ანბანში მომხდარ ცვლილებებს.

ანჰოეური სისტემის არც ერთ კრიპტოგრამას ჩვენამდე არ მოუღწევია, გადარჩენილა მხოლოდ მისი კრიპტოგრამული ანბანი შედარებით გვიანდელი, გამარტივებული სახისა. საფიქრებელია, რომ ანჰანურის მსგავსად ანჰოეურ სისტემასაც დიდი გამოყენება არა ჰქონია.



ამრიგად, ასოთა შენაცვლებით შედგენილია ანჰინური, ანჰანური, ანრეური და ანჰოეური სისტემები. ამათგან პირველი სამი სისტემის კრიპტოგრამები დღევანდლამდე მეტნაკლები რაოდენობით შემორჩენილა, ხოლო უკანასკნელი, ანჰოეური სისტემის მხოლოდ გასაღებია ჩვენთვის ცნობილი. ამ სისტემის არც ერთი კრიპტოგრამა ხელნაწერებში არ დაიქვანა. არ არის გამორიცხული, რომ ქართულში კიდევ გვქონოდა ასოთა შენაცვლების სხვაგვარი კომბინაციებით შედგენილი სისტემები, რასაც შემდეგი ვაფიქრებინებს: ხელნაწერებში დაიქვანა ერთი წყება კრიპტოგრამებისა, რომლებიც ქართული ანბანით არის შესრულებული, ე. ი. შთა ასოთა შენაცვლება უდევს საფუძვლად, მაგრამ რა ხასიათისაა ეს შენაცვლება, როგორია გასაღებთა შედგენილობა, ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობია¹²¹.

¹²⁰ ე. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი. გვ. 7.

¹²¹ ასოთა შენაცვლებით შედგენილ ჩვენთვის ცნობილ სისტემებთან (აგრეთვე ჯერ ამოუხსნელ ნიმუშებთან) არაფერი საერთო არა აქვთ ქართული ანბანებით შედგენილ ურთვეარ გასართობებს, რომლებიც მოგვიანო საუკუნეებში ჩანს წარმოშობილი. ხელნაწერებში გვხვდება შემდეგი ხასიათის მინაწერები: „იმაცა ასვათ ასეთი ითესა თავსა ატამი.



სათვალავადი სისტემა ძველი ქართული კრიპტოგრაფიის ერთ-ერთი უძველესი სისტემაა. სათვალავადი სისტემა ძირითადად გულისხმობს კრიპტოგრაფული სიტყვების შედგენას ისე, რომ ასოთა რიცხვითი მნიშვნელობები იყოს წარმოდგენილი.

ქართული სათვალავადი სისტემა ბერძნულის გავლენით ჩანს წარმოშობილი. ციფრების აღმნიშვნელი ნიშნების უქონლობის გამო სემურში ასოებს იყენებდნენ რიცხვების* ნაცვლად, აღმოსავლეთის ელინურ წრეებშიც მკვიდრდება წერის ეს მანერა¹²², რაც შემდგომ ქართველებსაც გადმოუღიათ. ბერძნულში, როგორც ვ. გარდტაუზენი აღნიშნავს, ორმნიშვნელობიანი ციფრობრივი კრიპტოგრაფია (doppelstellige kryptographie) ეკუთვნის ადრეულ ხანას და შესაძლებელია, იგი უფრო ადრეული იყოს, ვიდრე ერთმნიშვნელობიანი კრიპტოგრაფია (Einstellige kryptographie), რომელიც შეიქმნა III—IV სს.-ში¹²³.

საფიქრებელია, რომ საქართველოშიც ბერძნულის გავლენით X ს-ზე (იგულისხმება მიქაელ მოდრეკელის კრიპტოგრაფია) უფრო ადრე უნდა ჩამოყალიბებულიყო სათვალავადი სისტემა.

ბერძნულის მსგავსად საქართველოშიც რიცხვების აღსანიშნავად ქართული ანბანი გამოიყენებოდა. უკვე ხანმეტ ტექსტებში ანბანი რიცხვნიშნებად უხმარიათ¹²⁴. როდის დაიწყეს რიცხვების მაგიერ ანბანის ხმარება?

(S—4500, H—92, H—1048 და სხვ). ანბან ერსა მოშიშთა. ათშიშომ ასრე ანბანა* და სხვა, ან კიდევ: „ატაკ ილეთიწ. წითელი კატა“.

როგორც ვხედავთ, წინადადების ერთი ნაწილი წაღმა ნაწერი, და იქვე, იგივე წინადადება დაწერილია უკუღმა, შებრუნებულად. ანბანური თამაშობების ამ სახეობას უკუდაწერილობის კრიპტოგრაფიული სისტემა უნდა დასდებოდა საფუძვლად.

ასოთა ერთგვარი თამაშით უნდა იყოს შედგენილი ავრეთვე ერთი ტაეპი ვახტანგ VI-ის მიერ, რომელსაც ჩვეულებრივ „ანბანთქებას“ უწოდებენ, ზოგჯერ კი კრიპტოგრაფიულ მიზნებზე (ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, A კოლექცია, IV, 1954, გვ. 217). ეს ტაეპი შესულია ვახტანგ VI-ის ლექსებისა და პოემების კრებულში. ამ კრებულის ერთ-ერთი უძველესი ნუსხაა S—4500, გადაწერილი 1733 წელს მეღქისედევ კავკასიძის მიერ, მოსკოვს. ხელნაწერი ნასწორებია ვახტანგ VI-ის მიერ, ამდენად მას ავტოგრაფული მნიშვნელობა აქვს. მოგვაქვს S—4500 ნუსხიდან ეს ტაეპი: „უღდად ვიყავ და მომავონდა. მთელი ანბანია, სიავეს გარდა.“

ძოწ ტურფათ ნმმმ. გჯვბნ ქცლლდს
 ვამზაც კი სქევზ სიავესა“ (გვ. 290).

ირკვევა, რომ ვახტანგ VI-ს ასოთა ერთგვარი დალაგებით შეუდგენია აღნიშნული ტაეპი. იგი ანბანთქება კი არა, უფრო ასოთა თამაშია, ოღონდ აქ ასოების დალაგებაში არ შეინიშნება არავითარი კანონზომიერება. ტაეპში მოცემულია ქართული ანბანის 37-ვე ასო, მხოლოდ ერთხელ არის ნახმარი ზედმეტად ასო ს.

¹²² V. Gardthausen. Griech. palaeogr. 1879, გვ. 234.

¹²³ V. Gardthausen. Griech. palaeogr. II, 1913, გვ. 314—316.

¹²⁴ ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, 1949, გვ. 149.

* აქაც და ჭევეთათც დღეანში „ციფრის“ ნაცვლად წერია „რიცხვი“ (რედ.).

როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, ჯერჯერობით ამის არაერთი ცნობები არ მოგვეპოვება. XI ს-დან კი საქართველოში ხმარებაში შემოდის არაბული რიცხვები¹²⁵.

სათვალავადი სისტემის უძველესი ნიმუშები მხოლოდ ასოთა რიცხვითი მნიშვნელობის სიტყვიერად გადმოცემაზე უნდა ყოფილიყო დამყარებული. ამაზე მიუთითებს ჩვენამდე მოღწეული მიქაელ მოდრეკილის (S—425, 978—988 წწ.) კრიპტოგრამა, რომელიც ერთადერთი ნიმუშია სათვალავადი სისტემის უძველესი სახეობისა. ამ ტიპის სხვა კრიპტოგრამა ხელნაწერებში არ შეგვხვედრია.

როგორც მიქაელ მოდრეკილის კრიპტოგრამა მიგვანიშნებს, სათვალავადი სისტემის უძველესი კრიპტოგრამები მეტად მარტივია შედგენილობის თვალსაზრისით: ასოთა რიცხვითი მნიშვნელობები გადმოცემულია სიტყვებით. მიქაელ მოდრეკილს რამდენიმე საგალობლისთვის (S—425—72 r, 115v, 205 v) წაუწერია: „ამასვე დღესა ნათლითა შემოსილისა უფლისა ნათლისღებასა დასდებელნი აკრისტიანონნი აღბეჭდულნი, თქუმულნი ო რ მ ე ო ც ი ს ა, ა თ ი ს ა, ე ქ უ ს ა ს ი ს ა, ე რ თ ი ს ა, ხ უ თ ი ს ა და ო ც და ა თ ი ს ა ნ ი“ (72 r). ასოთა რიცხვითი მნიშვნელობები სიტყვებით დაუწერია მიქაელ მოდრეკილს და ასე შეუდგენია კრიპტოგრამათვისი სახელისათვის: ო რ მ ე ო ც ი რ ი ც ხ ვ ი თ ი მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ა ა მ - ი ს ა, ა თ ი უ ღ რ ი ს ი - ს, ე ქ უ ს ა ს ი უ ღ რ ი ს ქ - ს, ე რ თ ი უ ღ რ ი ს ა - ს, ხ უ თ ი აღ ნ ი შ ნ ა ვ ს ე - ს ო ც და ა თ ი კ ი ლ - ს = მიქაელ¹²⁶.

მიქაელ მოდრეკილის კრიპტოგრამაზე დაყრდნობით შეგვიძლია წარმოვიდგინოთ უძველესი სახე სათვალავადი სისტემის კრიპტოგრამული გასაღებისა: ა-ს ნაცვლად, რომლის რიცხვითი მნიშვნელობაა ერთი, დაწერდნენ სიტყვიერად ერთს, ბ-ს მაგიერ ორს, გ-ს ნაცვლად სამს და ა. შ. ზუსტად ისე, როგორც მიქაელ მოდრეკილის კრიპტოგრამაში

¹²⁵ იქვე; იხ. აგრეთვე: А. Шанидзе, Новоткрытый алфавит кавказских Албанцев и его значение для науки, ენიქის მოამბე, IVI, 1938, გვ. 23—24.

¹²⁶ სამეცნიერო ლიტერატურაში ამ კრიპტოგრამის ამოხსნა პ. ინგოროყვას სახელს უკავშირდებოდა: პ. ინგოროყვა, ძველი ქართული სასულიერო პოეზია, 1913, გვ. XII; მისივე, ვიორგი მერჩულე, 1949, გვ. 133; ა. შანიძე, ქართული კრიპტოგრაფიის ძალი ნიმუშები, საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. I, 1922, გვ. 63—68; გ. მიქაძე, ქართული კრიპტოგრაფია, ღრთა, 1953, № 6. მისივე, ქართულ ხელნაწერთა შესწავლა და აღწერა, 1957, გვ. 10. ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, I, ნაკ. 1, 1962, გვ. 83, მნშ. 4. ე. თაყაიშვილი, პარიზ. ნაც. ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები და ოცი ქართ. საიდუმლო დამწერლობის ნიმუში, პარიზი, 1933, გვ. 13. როგორც კ. კეკელიძე მიუთითებს (ქართული ლიტ. ისტორია, ტ. I, 1960, გვ. 176), ეს კრიპტოგრამა „გაშიფრულია პირველად პ. კარბელაშვილის („ქართული საერთო და სასულიერო კილოები“, 1898, გვ. 44—45) და არა პ. ინგოროყვას მიერ (ძველი ქართული სასულიერო პოეზია, გვ. XII)“.

გვაქვს. (მიქაელ მოდრეკილის კრიპტოგრაფიის ჩვენ მიერ შედგენილი გასაღები იხ. კრიპტოგრაფიულ ანბანებში).

ძველი ქართული კრიპტოგრაფიის განვითარებასთან ერთად წარმოიქმნებოდა მრავალგვარი სახეობები სათვალავადი სისტემისა.

X ს. შემდგომ, როცა ძველ ქართულში რიცხვითი სახელების გამო-სახატავად ასოების ნაცვლად არაბული რიცხვები შემოდის ხმარებაში¹²⁷, სათვალავად სისტემაშიც მკვიდრდება არაბული რიცხვების გამოყენება. სათვალავადი სისტემა არაბულ რიცხვებს ემყარება ძირითადად ძველით-გან მოკიდებული ვიდრე XIX ს. ბოლომდე¹²⁸. თუმცაღა ამ ტიპის პარალელურად XIX ს-ში თავს იჩენს გარკვეული ნიშნების ხმარებაც, ე. ი. იქმნება სათვალავადი სისტემის ერთგვარი ნაირსახეობა.

როგორია არაბული რიცხვებით გამოხატული კრიპტოგრაფიული გასაღები? ასოთა რიცხვითი მნიშვნელობები გადმოცემულია არაბული რიცხვებით: აღებულია არაბული რიცხვები 1-დან 9-ის ჩათვლით და ამ რიცხვებს თავზე დაესმის წერტილები ათეულების, ასეულებისა და ათასეულების აღსანიშნავად. 1-დან 9-მდე რიცხვები უწერტილოდ აღნიშნავს ერთეულების ასოებს (აბგდეზჟთ), ერთწერტილიანი რიცხვები ათეულების აღმნიშვნელ ასოებს (იკლმნოპჟ), ორწერტილიანი რიცხვები — ასეულებისა (რსტუფქღყშ), სამწერტილიანი რიცხვები — ათასეულების აღმნიშვნელ ასოებს (ჩცძჭჭკჭკჭ) და ოთხწერტილიანი — ბევრეულს (შ — ათი ათასი).

სათვალავადი სისტემის ამ ტიპის გასაღებითაა შედგენილი კრიპტოგრაფების დიდი უმრავლესობა XVIII—XIX სს-ში. მაგრამ, როგორც ჩანს, საქართველოში არაბული რიცხვების ხმარება კრიპტოგრაფებისთვის უფრო ადრე დაუწყიათ. სამწუხაროდ, ადრეული საუკუნეების ნიმუშები ჩვენამდე აღარ შემორჩენილა. სათვალავადი სისტემის ეს ტიპი რომ XVIII ს-ზე ადრე შექმნილა, ამას ერთი ხელნაწერის ჩვენება გვიდასტურებს. XIV ს-ის ნუსხაში (S—4814) მივაცვლიეთ არაბული რიცხვებით გამოხატულ ასეთ გასაღებს¹²⁹. ხელნაწერი ეტრატიისაა, რომლის ზედა საცავ ფურცელზე ტექსტისავე ხელით დაწერილია კრიპტოგრაფიული გასაღები: ქართულ ანბანს (ნუსხურს) მიწერილი აქვს რიცხვები — უწერტილოდ და წერტილებით. გასაღები შედგენილია ჩვენ მიერ შემოთ აღ-

¹²⁷ ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, 1949, გვ. 149.

¹²⁸ არაბული რიცხვები ბერძნულ კრიპტოგრაფიაშიც გამოუყენებიათ XVI საუკუნიდან (ე. ვარდტაუზენი, დასახ. ნაშრომი, გვ. 316—319), არაბულ რიცხვებს შემოდან წერტილები ჰქონდა. შედარებით გვიან, XVII ს-ში სლავურშიც უხმარიათ არაბული რიცხვები იმავე დანიშნულებით (Карский Е. Ф., Славянская кирилловская палеография, 1928).

¹²⁹ საეულისხმოა, რომ S—4814 ხელნაწერის არაბული რიცხვები, ერთ-ერთი უძველესია X ს ხელნაწერის A—38-ისა და ბაგრატის ტაძრის 1003 წლის წარწერის შემდეგ.

წერილი პრინციპით. როგორც ჩანს, ხელნაწერი ცეცხლშია ნაწილობრივ დამწვარი, ზედა საცავი ფურცელი ძალზე გაშავებულია, ამის გამო გასაღებში რამდენიმე ასო და მისი შესატყვისი რიცხვი გაფერმკრთალებულია და კარგად არა ჩანს. ეს ასოებია ოპე; უფქლყშ; ხჯჟ.

S—4814 ხელნაწერის ანბანზე დაყრდნობით შესაძლებელია დავუშვათ, რომ საქართველოში მას შემდეგ, რაც არაბული რიცხვები შემოიღეს ხმარებაში, მაშინვე გამოუყენებიათ ეს რიცხვები საიდუმლო დამწერლობის სათვალავადი სისტემისათვისაც. რა თქმა უნდა, არაბული რიცხვების გამოყენება კრიპტოგრაფიაში უფრო მარტივია, რადგანაც ერთი რომელიმე ასოს ნაცვლად უძველეს ტიპში საჭირო იყო მთელი სიტყვის დაწერა, ამ ტიპში კი სიტყვის მაგიერ მარტივად ერთ რიცხვს დაწერდნენ. შესაბამისად იმისა, ესა თუ ის რიცხვი ათეულს აღნიშნავდა თუ ასეულს, ამის გასარჩევადაც ძალზე იოლი გზა მოუძებნიათ — რიცხვებზე ზემოდან დაუსვამთ წერტილები. როგორც ჩანს, ძველ ქართულში ჩვეულებრივ გავრცელებული ყოფილა წერტილებიანი რიცხვების ხმარება, მაგრამ შემდგომ, XVIII ს. დასასრულსა და XIX ს-ში, თავს იჩენს აგრეთვე მძიმეებიანი და რგოლებიანი რიცხვების ხმარებაც.

ამრიგად, არაბული რიცხვების გამოყენება კრიპტოგრაფიაში ძველად საქართველოში მეტად გავრცელებული ყოფილა. თავდაპირველად არაბულ რიცხვებს ყოველთვის წერტილები ახლდა ათეულების, ასეულებისა და ათასეულების გადმოსაცემად. მაგრამ შემდგომში სხვა ნიშნებიც გამოუყენებიათ ამ დანიშნულებით: წერტილების ნაცვლად რიცხვებზე უხმარიათ მძიმეები და რგოლები. ეს არის ერთ-ერთი ძირითადი ტიპი სათვალავადი სისტემისა.

XIX ს-ში თავს იჩენს სათვალავადი სისტემის ახალი ტიპი: არაბული რიცხვების ნაცვლად გამოუყენებიათ გარკვეული ნიშნები — მხოლოდ წერტილები ან მხოლოდ რგოლები ან კუთხედები წერტილებით¹³⁰. ამ ტიპს გ. მიქაძე სათვალავადი სისტემის ნიშნობრივ სახეობას უწოდებს¹³¹.

წერტილებით შესრულებული ოთხი კრიპტოგრაფია დაიძებნა ხელნა-

¹³⁰ რიცხვების ნაცვლად სხვადასხვა ნიშნები უხმარიათ რუსულ კრიპტოგრაფიაშიც: ერთეულებისთვის — წერტილები და ვერტიკალური ხაზები, ათეულებისთვის — პორიზონტალური ხაზები, ასეულ ბისათვის — რგოლები. ასეთი გასაღები შედგენილი მინაწერი დასტურდება XVI ს. ერთ ფსალმუნში. Карский Е. Ф., Славянская кирилловская палеография, 1928; Лавровский П. А., Старо-русское тайнописание, 1870; Тихонравов Н. С., Русская палеография, 1889. Брандт Р. Ф., Лекции по славяно-русской палеографии, 1909, с. 37. Черепнин Л. В., Русская палеография, 1956, с. 394—395.

¹³¹ გ. მიქაძე, ძველი ქართული საიდუმლო დაწერილობის უცნობი ნიმუშები, საიუბილეო კრებული კ. კეკელიძის დაბადების 80 წლისთავეზე, უნივერსიტეტის გამოც., 1959, გვ. 281.

წერებში (S—31, S—172, S—395, S—109). რიცხვების მაგიერ გვაქვს მხოლოდ წერტილები, S—395 ნუსხაში, ზედა საცავ ფურცელზე, ექვს სტრიქონზე სხვადასხვა რაოდენობის წერტილებია განლაგებული¹³².

თუ წერტილებს გადავიყვანთ რიცხვებში, გვექნება: I სტრიქონზე 3, II—19, III—10, IV—3, V—16 და VI სტრიქონზე 13 წერტილი. ეს უკანასკნელნი მიუთითებენ ქართულ ანბანზე: I და IV სტრიქონის 3 წერტილი ნიშნავს ანბანის მესამე ასოს გ-ს. II სტრიქონის 19 წერტილი მიუთითებს ათეულების რიგის ბოლო, მეცხრე ასოზე. ძველ ქართულში ათეულების აღმნიშვნელი მეცხრე ასოა უ. მაგრამ კრიპტოგრაშიდან ჩანს, რომ ა ასოს რიცხობრივი მნიშვნელობა არ არის გათვალისწინებული, იგი ამოღებულია იმ ანბანიდან, რითაც სარგებლობდა ამ კრიპტოგრამის დამწერი. ამიტომ მეცხრე ასოდ აქ გადმოტანილია ასეულების რიგის პირველი ასო რ. III სტრიქონში ათი წერტილია, ე. ი. აქ იგულისხმება ათეულების პირველი ასოს აღმნიშვნელი ი. V სტრიქონში 16 წერტილია, რაც მიუთითებს, რომ კრიპტოგრამის შემდგენელს აულია ათეულების რიგის მეექვსე ასო. აქაც ა ამოღებულია ანბანიდან, მისი ადგილი უჭირავს ო-ს. და ბოლოს, VI სტრიქონშია 13 წერტილი, რაც აღნიშნავს ათეულების რიგის მესამე ასოს ლ-ს (ამ კრიპტოგრამისთვის ჩვენ მიერ შედგენილი ვასალები იხ. კრიპტოგრამულ ანბანებთან).

ამრიგად, კრიპტოგრამა ასე იხსნება: გ რ ი გ ო ლ . იგი უნდა იყოს გრიგოლ ზურაბის ძე წერეთელი. ამას ისიც მოწმობს, რომ ხელნაწერი გრიგოლ ზურაბის ძე წერეთლის კუთვნილება ყოფილა. IV V-ზე ასეთი მინაწერია: „ეს არჩილიანი მისის ბრწყინვალეების იმერეთის თავადის წერეთლის სალთხუცის ზურაბის ძის გრიგოლის არის, ღმერთმან ახმაროს მშვიდობაშიდ. ქვეს აქეთ ჩუე. გრიგოლ“. მინაწერი და კრიპტოგრამა დაწერილია ერთი მელნით.

ამ კრიპტოგრამის მსგავსი კრიპტოგრამა შეგვხვდა „ქილილა და დამანას“ საბასეულ ნუსხაში (S—31). ოღონდ S—395 კრიპტოგრამისაგან განსხვავებით აქ კრიპტოგრამის ყოველი სტრიქონის დასაწყისში წერტილები მნიშვნელობებია ჩაწერილი, კრიპტოგრამა ასეა ამოხსნილი: „გრიგოლ“. ცხადია, ეს კრიპტოგრამაც გრიგოლ წერეთლისა უნდა იყოს, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ შედგენილობა კრიპტოგრამისა ზუსტად ემთხვევა S—395-ის კრიპტოგრამას და ამასთანავე, „ქილილა და დამანას“ (S—31) ეს ხელნაწერი გრიგოლის მამის ზურაბ წერეთლის ოჯახის კუთვნილება ყოფილა (იხ. მინაწერები).

S—172 ხელნაწერის ქვედა ყდაზე მიუწერია ვინმე იოანეს წერ-

¹³² ლ. ათაბეგლიძე, ქართულ ხელნაწერთა რამდენიმე კრიპტოგრამის შესახებ, მრავალთავე III, 1973, გვ. 58—59.

ტილოვანი სახეობის კრიპტოგრამა. ამავე სახეობის კრიპტოგრამაა დაცული S—109 ხელნაწერშიც, ვინმე გიორგის შედგენილი.

სათვალაფადი სისტემის სხვადასხვა სახეობის ნიშნებისაგან წარმოქმნილ ტიპს განეკუთვნება ერთი XIX ს. კრიპტოგრამაც, რომელიც მხოლოდ რგოლებისაგან შედგება (H—1094). კრიპტოგრამის ამოსახსნელად რგოლები უნდა გადაიყვანოთ რიცხვებში, ხოლო რიცხვები ასოებში. კრიპტოგრამაში რგოლების გარდა გვხვდება რამდენიმე ნუსხური ასო; ა, ბ, გ, რაც გულისხმობს ანბანის განაწილებას ერთეულებად, ათეულებად და ა. შ. კრიპტოგრამა ამოხსნა და გასაღები შეადგინა გ. მიქაძემ¹³³. როგორც ჩანს, კრიპტოგრამის შემდგენელს გიორგი ეგნატეს ძე თუმანიშვილს ამ კრიპტოგრამაში არ გამოუყენებია რამდენიმე ასო: G, A, K და ამის გამო ანბანში ასოთა რიცხვითი მნიშვნელობა ნაწილობრივ შეცვლილია. გაირკვა, რომ რგოლების რაოდენობაც ყოველთვის არ არის ზუსტი (ამ კრიპტოგრამის გასაღები იხ. კრიპტოგრამულ ანბანებთან).

წერტილებისა და რგოლების გარდა სათვალაფადი სისტემისათვის გამოუყენებიათ აგრეთვე სწორკუთხედები, რომლებშიც წერტილებია ჩასმული. სწორკუთხედებით შედგენილი კრიპტოგრამა ტარასი მესხიშვილს ჩაუწერია თავის ავტოგრაფულ ნუსხაში (A—1448). იქვე, კრიპტოგრამასთან ერთად ტარასის ჩაუწერია მისი კრიპტოგრამული გასაღებიც. ეს კრიპტოგრამაც ამოხსნითურთ გამოაქვეყნა გ. მიქაძემ¹³⁴. ტარასი მესხიშვილის მიერ შედგენილ ამ გასაღებში 36 ასოა ისე, რომ ანბანში არ არის შეტანილი ჰ და ზ, სამაგიეროდ ასეულების მწკრივში მას შეუტანია ვ, ხოლო ათასეულების რიგში გადაუტანია შ. ერთგვარად მაინც დარღვეულია ტრადიციულად დადგენილი ასოთა რიცხვითი მნიშვნელობები.

საინტერესოა ერთი გარემოება: წერტილებიანი სწორკუთხედების ტიპის გასაღებს მივაკვლიეთ ერთ XVII ს-ში დაბეჭდილ წიგნში: Seleno G. Systema integrum cryptographiae, 1624. ეგვევ გასაღები დაბეჭდილია აგრეთვე მეორე წიგნში: Die Kunst geheime Schriften zu entziffern, 1808 წ. (ორივე წიგნი დაცულია ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახ. საჯარო ბიბლიოთეკაში). ამ წიგნებში დაბეჭდილი კრიპტოგრამული გასაღების მსგავსია ტარასი მესხიშვილის კრიპტოგრამა. მსგავსება ძირითადად კრიპტოგრამისთვის აღებულ ნიშნებში გამოიხა-

¹³³ გ. მიქაძე, ერთი კრიპტოგრაფული მინაწერისათვის „ახალგაზრდა კომუნისტ“, 1956, № 95, 9. VIII. მისივე, ძველი ქართული საიდუმლო დაწერილობის უცნობი ნიმუშები, საიუბილეო კრებული კ. ავალიძის დაბადების 80 წლისთავეზე, 1959, გვ. 281—284.

¹³⁴ გ. მიქაძე, ძველი ქართ. საიდუმლო დაწერილობის უცნობი ნიმუშები, საიუბილეო კრებული კ. ავალიძის დაბადების 80 წლისთავეზე, 1959, გვ. 284—285.

ტება, თუმცაღა შეინიშნება განსხვავებაც. უფრო სწორი და გამართულია კრიპტოგრამული გასაღები G. Seleno-ს წიგნში, ვიდრე გერმანულ ნაშრომში: Die Kunst geheime Schriften zu entziffern. ამიტომ შესაძარებლად ჩვენ ავიღეთ G. Seleno-ს წიგნის კრიპტოგრამული გასაღები. რომ უფრო ნათელი იყოს მსგავსება და განსხვავება ტარასის კრიპტოგრამისა და აღნიშნული წიგნის კრიპტოგრამული გასაღებისა, ორივეს აქვე მოვიტანთ:

G. Seleno

⌋	⌋	⌋	⌋	⌋	⌋	⌋	⌋	⌋	⌋	⌋	⌋	⌋	⌋	⌋	⌋
a	b	c	d	e	f	g	h	i	k	l	m	n	o	p	q
⌋	⌋	⌋	⌋	⌋	⌋	⌋	⌋	⌋	⌋	⌋	⌋	⌋	⌋	⌋	⌋
r	s	t	u	v	w	x	y	z	a	c	o				

ტარასი მესხიშვილის კრიპტოგრამის გასაღები:

⌋	⌋	⌋	⌋	⌋	⌋	⌋	⌋	⌋	⌋	⌋	⌋	⌋	⌋	⌋	⌋
ბ	⌋	⌋	⌋	⌋	⌋	⌋	⌋	⌋	⌋	⌋	⌋	⌋	⌋	⌋	⌋
გ	⌋	⌋	⌋	⌋	⌋	⌋	⌋	⌋	⌋	⌋	⌋	⌋	⌋	⌋	⌋
დ	⌋	⌋	⌋	⌋	⌋	⌋	⌋	⌋	⌋	⌋	⌋	⌋	⌋	⌋	⌋
ე	⌋	⌋	⌋	⌋	⌋	⌋	⌋	⌋	⌋	⌋	⌋	⌋	⌋	⌋	⌋
ვ	⌋	⌋	⌋	⌋	⌋	⌋	⌋	⌋	⌋	⌋	⌋	⌋	⌋	⌋	⌋
ზ	⌋	⌋	⌋	⌋	⌋	⌋	⌋	⌋	⌋	⌋	⌋	⌋	⌋	⌋	⌋
წ	⌋	⌋	⌋	⌋	⌋	⌋	⌋	⌋	⌋	⌋	⌋	⌋	⌋	⌋	⌋
თ	⌋	⌋	⌋	⌋	⌋	⌋	⌋	⌋	⌋	⌋	⌋	⌋	⌋	⌋	⌋

ორივე გასაღების ურთიერთშეჭერებისას პირველივე შთაბეჭდილება ასეთია: ტარასის უსარგებლია ამ ლათინური გასაღებით და გადმოუღლია ძირითადი პრინციპი მისი შედგენისა: ასოების ნაცვლად წერტილებიანი კუთხედების ხმარება. როგორც ჩანს, ლათინურ გასაღებში ანბანი დაყოფილია სამეულებად: ყოველი სამი ასოსთვის ერთი მიმართულების კუთხედებია გამოყენებული შესაბამისად წერტილების განსხვავებული რაოდენობით. ტარასის კრიპტოგრამული გასაღები, ცხადია, ქართული ანბანის რიცხვითი მნიშვნელობების გათვალისწინებით არის შედგენილი — გამოყენებულია სწორკუთხედები წერტილებით, ოღონდ

ანბანი დაყოფილია ოთხ ნაწილად: ერთეულებად, ათეულებად, ასეულებად და ათასეულებად. ტარასის ლათინური კრიპტოგრაფული გასაღებიდან უსარგებელია შემდეგი ნიშნებით: აულია a b c-სთვის გამოყენებული სწორკუთხედი \perp და შეუვსია წერტილებით: a-სთვის უწერტილო კუთხედი აულია, b-სთვის ასეთივე კუთხედი, ოღონდ ერთწერტილიანი და ა. შ. ათეულების ასოებისათვის (d, e, l და ა. შ.) აულია ლათინური gh-ს სწორკუთხედი L, ოღონდ o-სთვის უწერტილოდ, ხოლო k-სთვის ერთი წერტილით \perp და ა. შ. ასევე ასეულების ჯგუფის ასოებისათვის (r, s, t...) ტარასის უსარგებელია ლათინური tuw ასოებისათვის გამოყენებული სწორკუთხედი \neg , ოღონდ r-სთვის უწერტილო სწორკუთხედი ნახმარი, s-თვის ერთწერტილიანი \neg და ა. შ. და ბოლოს, ათასეულის აღმნიშვნელი ასოებისათვის (h, c, d...) ¹³⁵ აღებულია acd ასოების აღმნიშვნელი სწორკუთხედი \neg . აქაც w-სთვის უწერტილო სწორკუთხედი \neg , h-სთვის ერთწერტილიანი \neg და ა. შ.

ამრიგად, ტარასი მესხიშვილს უნდა გამოეყენებინა აღნიშნული ლათინური კრიპტოგრაფული გასაღები, და რაც მთავარია, ტარასის ეს ნიშნები მთლიანად კი არ გადმოუღია, არამედ გამოკრებით. ამასთანავე, ტარასის იგი წარმოუდგენია გადამუშავებული სახით და ქართული ანბანისათვის მიუსადაგებია.

ლათინური და ქართული კრიპტოგრაფული ნიშნების გარეგნული მსგავსების გარდა, ამ ვარაუდს მხარს უჭერს შემდეგი გარემოება: ხელნაწერი A—1448 ტარასი მესხიშვილის სამუშაო კრებულშია, რომელიც მას სხვადასხვა დროს შეუვსია. ხელნაწერში სხვადასხვა ნუსხებიდან გადმოწერილ ტექსტებთან ერთად გვხვდება მის მიერ რუსულიდან მთარგმნი მასალა. ასეთ ტექსტებთან იგი ყველგან მიაწერს, რომ მთარგმნელი თვითონაა. მაგ., დიოდორე სიცილიელის ისტორიის (32 v—33 r) ტექსტთან მიწერილია ტარასის ხელით: „ესენი პეტერბურღს ამოვსწერე რუსულითგან. 1830. აპრილის 12“. ამავე კრებულში 89 rv-ზე ტარასის სპეციალურად ჩაუწერია მის მიერ წაკითხული წიგნების სია, 53 ქართული და 46 რუსული წიგნის დასახელება. იქვე, 92 rv-ზე კი ტარასის თავის ბიბლიოთეკაში დაცული წიგნების სიაც ჩამოუწერია. ამავე ხელნაწერის II ყდის შიგნით არსებული მინაწერიდან ჩანს, რომ ტარასი პეტერბურღში ყოფილა 1825—1830 წლებში: „წელსა 1825, ფებერვლის 15 წავედით მოსკოვს. ამავე წელსა წამოველ პეტერბურღს, დეკემბრის 15, 1830, მაისის 9-ს წამოველ პეტერბურღიდან და მოველ ტფილისს, 4 სექტემბერს“. მართალია, წაკითხულ წიგნთა შორის არ არის დასახელებული ზემოთ აღნიშნული წიგნები, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ ტარასი მესხი-

¹³⁵ ტარასის რატომღაც ამ ქვეჯგუფში გადაუტანია შ (= 900) ასო.

შვილს, ფრიად განათლებულ პირს, რომელიც ქართულ კრიპტოგრაფიაშიც გაწაფული ყოფილა (მას რამდენიმე სისტემა სცოდნია), პეტერბურგში ყოფნისას ესარგებლა ზემოთ მითითებული G. Seleno-ს წიგნით და გამოეყენებინა იგი.

სათვალავადი სისტემის ერთ-ერთი სახეობა ქართულში აღწერითი ხასიათისაა¹³⁶. ხელნაწერებში შეგვხვდა ერთი ნიმუში (H—618, XVIII—XIX სს.)¹³⁷. კრიპტოგრამა გარეგნულად ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს მასში დასახელებული რიცხვები, რომლებიც ქართულ ანბანს გამოხატავენ, გამრავლების ტაბულას წარმოადგენს. მინაწერი რომ საიდუმლოდ შესრულებულია და იგი სათვალავადი სისტემისაა — „ციფრის ანგარიშით არისო“ — ეს მითითებულია კრიპტოგრამაში: „ამისი აღმსარებელი ქდ ხუთზედ ორი, ერთზედ ორი, ორზედ ორი, შვიდზედ ორი, სამზედ ორი, ერთზედ ერთი, შვიდზედ ორი და შვიდზედ ერთი: ციფრის ანგარიშით არის“. აქაც სათვალავადი სისტემის ძირითადი პრინციპია გამოყენებული: ქართული ანბანის 36 ასო გაყოფილია ერთეულებად, ათეულებად, ასეულებად და ათასეულებად. კრიპტოგრამაში პირველი სიტყვა გულისხმობს ასოთა რაოდენობას, მეორე სიტყვა კი მიანიშნებს — ასო ერთეულების ჯგუფისაა, ათეულების, ასეულებისა თუ ათასეულებისა.

კრიპტოგრამა ასე იხსნება: ნიკოლოზ.

კრიპტოგრამას უძღვის შემდეგი სტროფი:

„ში არსთ მკედო სულო უფალო, ვინ ყოველს ჰმართებ წამის ყოფითა.
ვინათგან ნებისთ ჯვარს ეცუ სიტყუაჲ, კაცთა ხსნად მკმუნავთ ბნელსა ყოფითა.“

¹³⁶ აღწერითი სახეობა ძველად საბერძნეთში უხმარიათ, ეს ზერხი მათი ვაეღენით რუსულ კრიპტოგრაფიაშიც გამოუყენებიათ XVI—XVII სს.-ში. ამ სახეობის უძველეს ნიმუშად ასახელებენ თეოდორე კურიციონის კრიპტოგრამას (XVI ს.). თეოდორე კურიციონის «Лаодийское послание» მეტად საინტერესო და ორიგინალური ნაწარმოებია ნოვგოროდისა და მოსკოვის ვრეტყიკისების შესახებ. თხზულებას ერთვის მისივე ანდერძი, რომელიც შესრულებულია სათვალავადი სისტემის კრიპტოგრამით (И. А. Казакова, С. А. Лурье. Антифедалные еретические движения на Руси XIV—нач. XVI века, 1955, с. 256—276; Ф. Лилленфельд, Иоанн Трительный и Феодор Курицын. д. л. лиხაჩოვისადმი მიძღვნილ წერილების კრებულში: Культурное наследие древней Руси, 1976, с. 116—123, Брандт Р. Ф., Лекции по славяно-русской палеографии. 1909, с. 37; П. А. Лавровский. Старорусское тайнописание, 1870; А. И. Соболевский. Славяно-русская палеография, 1908. Черепнин Л. В., Русская палеография, 1956, с. 265—266, 390—395.

¹³⁷ შედგენილობის თვალსაზრისით ამ კრიპტოგრამას ემსგავსება ცენტრარქივში დაცული ერთი კრიპტოგრამა, რომელიც ამოხსნა გ. შიქაძემ: ძველი ქართული საიდუმლო დამწერლობა, დროშა, 1951, № 3.

მე ფრიად მწყდარი, უხილავთ მტერთ ძლით, კორცთ ფუფუნებთ,
ბილწთ შეყოფითა-
და განმკურნე, გნუკავ შენის დედის და წინამორბედის
ვაქილობითა“.

როგორც კრიპტოგრაშიდან გამოჩნდა, ამ სტროფის „აღმსარებელი“ ყოფილა ნიკოლაოზი. S1 r-ზე, თავისუფალ ფურცელზე, ამავე ნიკოლაოზს დაუწერია „ხილთა ცნობა“, რასაც ადასტურებს კრიპტოგრაში, ამ სტროფისა და „ხილთა ცნობის“ ხელის იგივეობა.

*
* *
*

ამრიგად, როგორც დავინახეთ, სათვალავადი სისტემა მეტად გავრცელებული სისტემა ყოფილა. მის პოპულარობას ადასტურებს მრავალფეროვანი სახეობები, რომლებიც სხვადასხვა დროს წარმოშობილა. ამასთანავე, საგულისხმოა, რომ სათვალავადი სისტემა ერთ-ერთი უძველესია ქართული კრიპტოგრაფიის სისტემებს შორის. ჩვენამდე შემორჩენილა ამ სისტემის X ს. ნიმუში.

სათვალავადი სისტემის კრიპტოგრაფებიც ანჩინურის მსგავსად შინაარსის მიხედვით მრავალფეროვანია. ხელნაწერთა გადამწერებს და მფლობელებს უსარგებლიათ სათვალავადი სისტემით და ანდერძ-მინაწერებში მიუმაღავთ თავისი ვინაობა. ამ სისტემით შესრულებულია აგრეთვე სხვადასხვა ხასიათის მინაწერებიც.

1. გადამწერთა კრიპტოგრაფები.

სათვალავადი სისტემის უძველესი ნიმუში ეკუთვნის X ს. ცნობილ ჰიმნოგრაფს მიქაელ მოდრეკილს¹³⁸, რომელმაც მის მიერ შედგენილ სამ საგალობელს სათაურში წააწერა კრიპტოგრაშით თავისი სახელი (S—425).

მიქაელ მოდრეკილის კრიპტოგრაშის გარდა აღრინდელი საუკუნეების გადამწერთა სხვა კრიპტოგრაფა ჩვენამდე არ შემორჩენილა. ხელნაწერებში ძირითადად XVIII—XIX სს. გადამწერთა სათვალავადი სისტემის კრიპტოგრაფებია დაცული.

კრიპტოგრაფებს გადამწერნი ჩვეულებრივ ათავსებდნენ ხელნაწერის კიდევებზე. ტექსტის ბოლოს, ზოგჯერ ტექსტის შიგნით და ყდებზე. მაგრამ შეგვხვდა ორიგინალურად შესრულებული სათვალავადი სისტემის კრიპტოგრაფები (S—4809 და Q—816) ხელნაწერებში. ორიგინალურია მათი დაწერის ადგილი. კრიპტოგრაფები გადამწერს ხელნაწერის „ჩამონაჭერზე“ მოუთავსებია. ისინი უთუოდ ხელნაწერის სამკაულად არის გამოყენებული.

¹³⁸ მიქაელ მოდრეკილი S—425 ხელნაწერის ერთ-ერთი გადამწერიცაა.

როგორც Q—816-ის კრიპტოგრაშიდან გამოჩნდა („გიორგი ერის-
თვის ძის აღწერილი არის წიგნი ესე“), ამ ხელნაწერის გადამწერი ყო-
ფილა გიორგი ერისთავი. გიორგი ერისთავი უნდა იყოს აგრეთვე გადამ-
წერი S—4809 ხელნაწერისა, რასაც პირველ რიგში ადასტურებს ამ ნუს-
ხაზეც კრიპტოგრაშიის დაწერის მანერა: აქაც „ჩამონაჭერზეა“ კრიპტო-
გრამა წარწერილი, ოღონდ S—4809-ის კრიპტოგრაშიაში დაშიფრულია
ხელნაწერში მოთავსებული თხზულების სათაური: „მეგობა სულისა.
სულისა მიერ გაცხადებული ბუნებითად და ზესთად“. გიორგი ერისთა-
ვი რომ გადამწერია S—4809 ხელნაწერისა, ამას ადასტურებს აგრეთვე
ორივე ნუსხის ხელის მსგავსებაც. ამავე გიორგი ერისთავს ეკუთვნის მე-
სამე კრიპტოგრაშიაც (S—4805). ანდერძში გიორგი ერისთავს თავისი თა-
ვი მოუხსენებია არაკრიპტოგრაშიულად და კრიპტოგრაშითაც¹³⁹.

S—4805, S—4809 და Q—816 ნუსხები ხელის მიხედვით XVIII ს.
დასასრულს მიეკუთვნება. მაგრამ შესაძლებელია ამ ხელნაწერთა თარი-
ლის უფრო დაზუსტება. გიორგი ერისთავის გადამწერილი ერთი თარი-
ლიანი ხელნაწერი დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტის S ფონდში
№ 4774. იგი გადამწერილია 1792 წელს: „სრულ იქმნა წელსა 1792.
თთჳსა ივლისსა 27. გიორგისაგან ერისთჳსძისა. დროსა სიყრმისასა. პა-
ლატსა შინა საპატრიარხოსა“. როგორც ამ ანდერძიდან ირკვევა, 1792
წელს გიორგი ერისთავი ახალგაზრდა ყოფილა, „დროსა სიყრმისასა“ გა-
დაწერეო, აღნიშნავს იგი. გიორგი ერისთავი ამავე დროს, როგორც ან-
დერძიდან ჩანს, „პალატსა შინა საპატრიარხოსა“ მოღვაწეობს. მსგავსი
შინაარსის ანდერძია დაცული S—4805 ხელნაწერში: „აღიწერა კელითა
გიორგის ერისთჳს ძისათა პალატსა საპატრიარხოსა ჟამსა სიყრმისასა,
წლისა 19: გიორგი“. თუმცა აქ არ არის გადამწერის თარიღი მითითებული,
მაგრამ აღნიშნულია, რომ ეს ხელნაწერიც „პალატსა საპატრიარხოსა“
გადაუწერია 19 წლისას, „ჟამსა სიყრმისასა“. მაშასადამე, S—4774 და
S—4805 ხელნაწერები დაახლოებით ერთ დროს არის გადამწერილი. თუ
გიორგი 1792 წელს დაახლოებით 19—20 წლის ახალგაზრდაა, მაშინ იგი
დაბადებული უნდა იყოს XVIII ს. 70-იან წლებში. ცხადია, იგი XIX ს.
I ნახევარშიც იმუშავებდა.

ამრიგად, გიორგი ერისთავი XVIII ს. დასასრულისა და XIX ს.
I ნახევრის გადამწერი ჩანს. S—4805, S—4809 და Q—816 ხელ-
ნაწერები გიორგი ერისთავს გადაუწერია XVIII ს. გასულს და XIX ს.
დამდეგს. ამავე პერიოდით დათარიღდება ამ ხელნაწერთა კრიპტოგრაშიე-
ბიც.

¹³⁹ ასევე მოქცეულა გადამწერი გამოლოელი (H—8, კრიპტოგრაშია სათვალავადი სის-
ტემისა). მსგავსი შემთხვევები დასტურდება ანჩინური სისტემის კრიპტოგრაშიეშიც.

განვიხილოთ კიდევ რამდენიმე კრიპტოგრამა, რომელთაც გამოავლინეს ხელნაწერთა გადამწერების ვინაობა.

სათვალავადი სისტემის კრიპტოგრამებში თავისი სახელი მიუძღმის XVIII ს. გადამწერს თორნიკე ერისთავს. Q—1135 ხელნაწერის („ცხენის კარაბადინი“) გადამწერი უცნობი იყო. ხელნაწერში დაცულია ცნობა ამ ძეგლის თარგმნის შესახებ (4 v). 1791 წელს იოანე ოსეს ძეს, ტფილისის სიონის დეკანოზს, ადრე თარგმნილი ეს კარაბადინი გაუმართავს, იოანე ბატონიშვილის თარგმნილი ზოგი თავი შეუმატებია ტექსტისთვის და ზოგ ადგილას კიდევებზე მისი სახელი იოანეც მიუწერია. ეს წიგნი გადაუწერია მის გადამწერს ქორონიკონს უპ (480 წ.) ე. ი. 1792 წელს, რომელსაც ანდერძში თავისი თავი არ მოუხსენიებია, ხოლო 139 r-ზე ტექსტის ბოლოს ჩაუწერია თარიღი და კრიპტოგრამა არაბული რიცხვებით, რომელთაც ზემოდან რგოლები აქვთ: „1792. იოანე. თორნიკე“. ანდერძი ასე გაიშიფრება: ხელნაწერი გადაწერილია 1792 წელს. რაც შეეხება საკუთარ სახელებს: „იოანე, თორნიკე“, იო ა ნ ე უნდა იყოს იოანე ბატონიშვილი, ხოლო თ ო რ ნ ი კ ე ამ ხელნაწერის გადამწერი. მსგავსი სახეობის კრიპტოგრამა — არაბული რიცხვები რგოლებით შეგვხვდა ხელნაწერ Q—824-ზე, მის „ჩამონაჭერზე“. როგორც Q—824-ის კრიპტოგრამიდან გაირკვა, ეს ხელნაწერი დაუწერია თ ო რ ნ ი კ ე ერისთავს: „ჩელითა ერისთვის ძის თორნიკესითა“, აღნიშნულია კრიპტოგრამაში. ხელის შეჭერებამ გამოავლინა, რომ Q—824 და Q—1135-ის კრიპტოგრამები ერთი და იმავე პირის, ე. ი. თორნიკე ერისთავის მიერ არის დაწერილი. ამავე თორნიკე ერისთავს გადაუწერია აგრეთვე „ცხენის კარაბადინის“ სხვა ნუსხა ფარნაევზ ბატონიშვილისთვის 1797 წელს (თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერი № 4, S—106). ამ ხელნაწერშიც არის სათვალავადი სისტემის კრიპტოგრამა—არაბული რიცხვები წერტილებით. კრიპტოგრამაში დაშიფრულია ფარნაევზის სახელი.

კ. კეკელიძეს გამოთქმული აქვს ვარაუდი, რომ S—3650 ხელნაწერი გაბრიელ მცირის ავტოგრაფია¹⁴⁰. ეს ვარაუდი დაადასტურა ხელნაწერის კრიპტოგრამამ, რომელიც ანდერძს ერთვის ბოლოს. კრიპტოგრამაში დაშიფრულია სახელი „გაბრიელ“.

უცნობი იყო XVIII ს-ის ხელნაწერის (S—1744) გადამწერი ობსიმიე, რომელსაც კრიპტოგრამულად ჩაუწერია თავისი სახელი ანდერძში.

სათვალავადი სისტემით უსარგებლიათ აგრეთვე დიმიტრი და ტარასი მესხიშვილებს. ერთ ხელნაწერ კრებულზე, რომლის პირველი ნაწილი სხვა ხელითაა ნაწერი, და რომელიც, როგორც კრიპტოგრამიდან ჩანს, დიმიტრის საკუთრება ყოფილა, მასვე შეუვსია და ამ შევსებულ ნაწილშივე

¹⁴⁰ კ. კეკელიძე, ქართული ლიტ. ისტორია, I, 1941, გვ. 364—369.

ჩაუწერია კრიპტოგრამა: „მისის უწმიდესობის დიკასტირიის მწერალთა მთავრის მღვდლის დიმიტრისა“. ამრიგად, დიმიტრი მესხიშვილი ამ ხელნაწერის ერთი ნაწილის გადამწერიც არის და მფლობელიც.

A—1448 ხელნაწერის წერტილებიანი კუთხედებით შედგენილი კრიპტოგრამის გარდა ტარასი მესხიშვილს ეკუთვნის აგრეთვე არაბული რიცხვებით შესრულებული ერთი კრიპტოგრამა (რიცხვებს ზემოდან მიძიებები აქვს წერტილების ნაცვლად), რომელშიც თავისი სახელი ტარასი დაუშიფრავს (ცენტრარქივი, ფ. 1446, № 511).

XVIII ს. დასასრულსა და XIX ს. დამდეგს მოღვაწეობდა გადამწერი გამალიელი. პლ. იოსელიანის ცნობით, იგი ყოფილა იკორთის წინამძღვარი, გარდაცვლილა 1816 წელს¹⁴¹. როგორც ირკვევა, მას ისტორიული საბუთებიც დაუწერია¹⁴². მის მიერ გადანუსხული სამი ხელნაწერის (H—8, H—1340, H—1210) ანდერძებში გვხვდება სათვალავადი სისტემის კრიპტოგრამით დაწერილი სახელი „გამალიელ“. ამთგან H—1340 და H—1210 ხელნაწერების გადამწერი უცნობი იყო, მისი ვინაობა კრიპტოგრამების ამოხსნამ გამოავლინა.

ჩვენი ყურადღება მიიქცია H—1210 და Q—259 ხელნაწერთა კრიპტოგრამებმა. ორივე ხელნაწერი ერთსა და იმავე ტექსტს შეიცავს: კატიფორა ანტონი, სამღვდლო ისტორია. H—1210 გადამწერილია 1791 წელს, როგორც კრიპტოგრამიდან გაირკვა, გამალიელის მიერ, ხოლო Q—259 ნუსხა—1810 წელს გორელ ანდრია შიხინოვის მიერ. ორივე ხელნაწერში აღმოჩნდა ერთი და იმავე შინაარსის შემდეგი ანდერძი კრიპტოგრამითურთ: „სრულ იქმნა აღწერით კელითა არხიმანდრიტის გამალიელისათა წელსა 1791, მარტის 19, დღესა ოთხ სარიცხულსა. ორივე ხელნაწერის ტექსტების ურთიერთშეჯერებით გამოირკვა, რომ H—1210 ხელნაწერი არის დედანი Q—259 ნუსხისა და რომ აღნიშნული ანდერძი H—1210-ს ეკუთვნის. გადამწერ ანდრია შიხინოვს H—1210 ხელნაწერი მთლიანად გადმოუწერია გამალიელის კრიპტოგრამიანი ანდერძითურთ და, თავის მხრივ, დაურთავს საკუთარი ანდერძიც (Q—259). ამრიგად, გადამწერ გამალიელის კრიპტოგრამის მეშვეობით გაირკვა, რომ Q—259 ხელნაწერის დედანი არის H—1210 ნუსხა.

სათვალავადი სისტემის კრიპტოგრამებით გადამწერნი ზოგჯერ არა მარტო თავის სახელს ფარავდნენ, არამედ სხვადასხვა ხასიათის მინაწერებშიც ჩაუწერიათ ხელნაწერებში. რამდენიმე ხელნაწერში, ანდერძებში კრიპტოგრამულად ჩაწერილია, თუ გადამწერს ხელნაწერის გადამწერა რომელ დღეს დაუსრულებია. ასეთი ხელნაწერებია: S—163, S—1472, H—

¹⁴¹ პლ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, აკ. ვაწერულიას რედაქციით, 1936, გვ. 259.

¹⁴² ვ. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, III, 1910, გვ. 19.

1318 და H—1343. S—1472 და S—163 ხელნაწერები შეიცავენ დსალმუნის თარგმანებას. S—1472 გადაწერილია 1786 წელს, ხოლო S—163 ნუსხა 1815 წელს. ხელნაწერთა ურთიერთშეჯერებით გაირკვა, რომ ტექსტები ამ ორ ხელნაწერში ერთნაირია, შედგენილობის თვალსაზრისით მსგავსია აგრეთვე ანდერძებიც, რომელთაც განსხვავებული შინაარსის მხოლოდ კრიპტოგრამები აქვთ:

S—1472: „სრულ იქმნა წელსა 1786, თთუშსა ოკდომბერსა 5, ორშაბათსა“.

S—163: „სრულ იქმნა წელსა 1815. თთუშსა ნოემბერსა 18. ხუთშაბათსა“¹⁴³.

როგორც ანდერძებიდან ჩანს, ამ ხელნაწერთა გადამწერი უცნობია, იგი არ ასახელებს თავის ვინაობას.

ანდერძების წერის მსგავსი მანერა — დღეების ან თარიღის კრიპტოგრამულად წერა — წარმოდგენილია ორ სხვა ხელნაწერშიც. ესენია: H—1343 და H—1318. H—1343 ხელნაწერი ტიპიკონია, გადაწერილია 1783 წელს. ხელნაწერის ანდერძი კრიპტოგრამულია:

„ოკდომბერს 6, წელსა 1783“.

H—1318 კარაბადინია, გადაწერილია 1790 წელს: „წელსა 1790. ქკს 478. მარტის 5. დღესა სამშაბათსა, 5. კვი(რი)აქისა და რუსასა“¹⁴⁴. როგორც ანდერძებიდან ჩანს, ამ ხელნაწერთა გადამწერებიც უცნობია.

ხელნაწერები S—1472, S—163, H—1343 და H—1318 გადაწერილი უნდა იყოს ერთი პირის მიერ, რასაც აქ წარმოდგენილი ანდერძები გვიდასტურებს. ოთხივე ხელნაწერის ანდერძებში დაშიფრულია გადამწერის მიერ არა თავისი ვინაობა, არამედ ის დღე, როდესაც ხელნაწერის გადაწერა დასრულებული. ასეთი თავისებურების მიხედვით ხელნაწერთა ერთად თავმოყრის შემდეგ გაირკვა, რომ ოთხივე ნუსხის ხელიც ერთი და იგივეა, ე. ი. ანდერძების წერის ასეთი სტილი ჰქონია XVIII ს. ერთერთ გადამწერს.

კრიპტოგრამებიანი ანდერძების გადათვლიერებისას ჩვენი ყურადღება მიიქცია H—1340 ხელნაწერის ანდერძმა: „სრულ იქმნა წელსა 1788, ქკს 476, იულისს 14, დღესა პარასკესა, გამალიელისგან“. ანდერძში კრიპტოგრამით ჩაწერილია გადამწერის სახელი. როგორც ვნახეთ, ამ ხელნაწერის ანდერძი ზემოთ წარმოდგენილი ანდერძების მსგავსია აგებულიებით, მითითებულია, თუ რომელ დღეს დასრულებულა ხელნაწერის

¹⁴³ კრიპტოგრამულია „ორშაბათსა, ხუთშაბათსა“.

¹⁴⁴ აქ კრიპტოგრამითაა წარმოდგენილი სიტყვები „კვირიაქისა და“, აგრეთვე „რუსასა“ სიტყვის დასაწყისი ასო რ.

გადაწერა. ამ ანდერძის დამწერი, როგორც კრიპტოგრაშიდან გამოჩნდა, გამალიელია.

H—1340 ხელნაწერისა და ზემოთ აღნიშნულ ხელნაწერთა ხელის შედარებამ გამოავლინა, რომ მათი გადაწერი ერთი და იგივე პირი ყოფილა. ჩანს, გამალიელს სათვალავადი სისტემა კარგად სცოდნია. შემორჩენილია ოთხი ხელნაწერი (H—8, H—1340, H—1210, Q—259, რომელიც H—1210-ის პირია), სადაც გამალიელი კრიპტოგრაფულად წერს თავის სახელს. როგორც გაიკვია, მას კრიპტოგრამებით დაუწერია აგრეთვე თარიღებიც (ხელნაწერის გადაწერის დღის სახელწოდებები).

გამალიელი რომ ამ ხელნაწერთა გადაწერია, ამას ისიც ადასტურებს, რომ H—1318 ხელნაწერს 83 v-ზე აქვს ბეჭედი ლეგენდით, რომელზეც იკითხება არქიმანდრიტი გამალიელი. ჩანს, გამალიელს თავისი გადაწერილი ხელნაწერი საკუთარი ბეჭდითაც შეუშვია.

ამრიგად, კრიპტოგრამების მეშვეობით შესაძლებელი გახდა S—1472, S—163, H—1343 და H—1318 ხელნაწერთა გადაწერის ენაობის დადგენა, ოთხივე ხელნაწერი გადაუწერია გამალიელს. ამასთანავე გაიკვია, რომ გამალიელს 1786 წელს მის მიერ გადაწერილი „ფსალმუნის თარგმანება“ (S—1472) მეორედ გადაუწერს (S—163).

2. მფლობელთა კრიპტოგრამები

სათვალავადი კრიპტოგრაფიული სისტემით უსარგებლიათ აგრეთვე ხელნაწერთა მფლობელებსაც. ეს კრიპტოგრამები XVIII—XIX სს-ით თარიღდება. კრიპტოგრამების ამოხსნამ გამოავლინა ხელნაწერთა შემდეგი მფლობელები: სვიმონ ქობულოვი (XVIII ს. ცენტრარქ. ფ. 1446, № 366), ნიკოლაოზ (XVIII—XIX სს. H—618), იოანე (1802 წ. S—172), გრიგოლ ზურაბის ძე წერეთელი (XIX ს. S—31, S—395), პავლე სეხნიოვი (XIX ს. A—585), გიორგი ეგნატეს ძე თუმანიშვილი (XIX ს. H—1094). ანა ეგნატეს ასულ თუმანიშვილის გადაწერილ ხელნაწერ კრებულს (S—2391, 1811 წ.) შემოუნახავს სათვალავადი სისტემის ორი კრიპტოგრამა, რომელთა გაშიფრვა მათ მფლობელთა ენაობას წარმოაჩენს. კრიპტოგრამებში მოხსენებული არიან თავადი ქაიხოსრო ამილახვაროვი და თავადი გიორგი ამილახვაროვი. ანა ეგნატეს ასულ თუმანიშვილის მეუღლე ყოფილა ავთანდილ ამილახვარი¹⁴⁵. ჩანს, ანას მიერ გადაწერილი ხელნაწერი (S—2391) შემდგომში ანას მეუღლის ავთანდილ ამილახვარის ნათესავების — ამილახვართა საკუთრება გამხდარა. S—2391 ხელნაწერს აქვს მინაწერი: „[გიო]რგი იოსების ძე ამილახვაროვი იშვა ჩუთ

¹⁴⁵ გ. მიქაძე, ძველი საქართველოს პოეტი ქალები, ძველი ქართ. მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები, IV, 1973, გვ. 43.

ლენობ... მთვარესა ი, ჩულს წელსა, ლენობისთვის კო შეიქნა ოცდარვა წლის. ოცდაოთხის...ისა“ (177 v). ამ თარიღის (1838 წ.) მიხედვით შეიძლება დავათარიღოთ S—2391 ხელნაწერის ორივე კრიპტოგრამა სათვალავადი სისტემისა: ისინი დაწერილი უნდა იყოს XIX ს. 40-იან წლებში.

მფლობელებს მიუწერიათ ხელნაწერებზე სხვადასხვა ხასიათის კრიპტოგრამებიც: მაგ., ნაწყვეტი საგალობელთა კრებულიდან (S—1530), გამოცანების კრებულში (H—1050, XIX ს. I ნახევარი). გამოცანებს ამოხსნა მიწერილი აქვს სათვალავადი სისტემისა და პირობითი ნიშნების სისტემის კრიპტოგრამებით. საინტერესოა ერთი სამხედრო მნიშვნელობის საიდუმლო მინაწერი, რომელიც ალექსანდრე და დავით ბატონიშვილების საარტილერიო შინაარსის წიგნებზეა მიწერილი (H—2165)¹⁴⁶ და სხვ.

უკუდაწერილობის სისტემა

უკუდაწერილობის სისტემა მეტად მარტივია. იგი გულისხმობს სიტყვის წაკითხვას მარჯვნიდან მარცხნივ. კრიპტოგრამული სიტყვები ნაწერია ქართული ანბანით.

გამოვლინდა გარკვეული სახეობები უკუდაწერილობის სისტემისა. ზოგჯერ კრიპტოგრამა მხოლოდ ერთსიტყვიანი არ არის, იგი მთელ წინადადებას წარმოადგენს. ასეთ შემთხვევაში ყურადღება ექცევა წინადადებაში სიტყვათა განლაგებას. ესაა ძირითადი ნიშანი, რომლის მიხედვითაც გამოიყო ამ სისტემის რამდენიმე ტიპი.

I ტიპი: თუ კრიპტოგრამა რამდენიმე სიტყვისაგანაა შემდგარი, წინადადების კითხვა უნდა დაიწყოთ ბოლო სიტყვიდან ისევე, როგორც არაბულსა და სპარსულში. ასეა შედგენილი უძველესი ნიმუში ამ ტიპის კრიპტოგრამისა (XVI ს.). მანოელ ინანიკაშვილს 1575 წელს მის მიერ გადაწერილ ხელნაწერზე წაუწერია კრიპტოგრამა: „ა[მის]თჳს გვედრები, ოჩემო კირი(ლ)ე, უცებად ჩხრეკისათჳს წყევასა ნუვინ შემამთხუშეთ ღმრთის...“ (Q—657)¹⁴⁷. ასევეა შედგენილი XVIII ს. კრიპტოგრამები (S—3708). აქაც წინადადებები იკითხება მარჯვნიდან მარცხნივ, უკუღმა, შებრუნებით. მსგავსი შედგენილობის კრიპტოგრამები გვხვდება აგრეთვე XIX ს-შიც (Q—1233, A—1007).

II ტიპი: წინადადებაში სიტყვები განლაგებულია ქართულისათვის დამახასიათებელი წყობით, მარცხნიდან მარჯვნივ, მაგრამ თითოეული სიტყვა დაწერილია უკუღმა, შებრუნებით. არსენ ბულმაისისძის საგალობელთა კრებულს დაუცავს ამ ტიპის კრიპტოგრამები (XVII ს.).

¹⁴⁶ კრიპტოგრამა ამოხსნა ა. შანიძემ: კრიპტოგრაფიული მასალები, მიმოიხილველი, I, 1926, გვ. 241.

¹⁴⁷ კრიპტოგრამა ამოხსნა გ. მიქაძემ: ქართული ხელნაწერების შესწავლა და აღწერა, 1957, გვ. 10—17.

ერთ XVIII ს. „მარხვანის“ ხელნაწერში (A—53) ამავე საუკუნის ხელით ჩაუწერიათ კრიპტოგრაფულად ნუსხურით „მამო ჩვენოს“ ტექსტი. აქაც წინადადებებში სიტყვები განლაგებულია მარცხნიდან მარჯვნივ, თუმცა თვით სიტყვები შებრუნებითაა ნაწერი (იხ. კატალოგი).

აღნიშნული ტიპის უძველესი კრიპტოგრაფია XVI საუკუნისაა (Q—271). კრიპტოგრაფიის დასაწყისში სიტყვების თანმიმდევრობა ქართული-სებურია, მაგრამ თვით სიტყვები იკითხება მარჯვნიდან მარცხნივ: „აწ ი ყყ“ (-ღმერთო შეიწყალე). კრიპტოგრაფიაში მომდევნო სიტყვები ანჩინური სისტემისაა.

III ტიპი: უკუდაწერილობის სისტემის I და II ტიპის უძველესი ნიმუშები (Q—657 და Q—271) XVI საუკუნისაა, მაგრამ ეს სისტემა უფრო ადრე ჩანს ჩამოყალიბებული. დაიძებნა ერთი წყება კრიპტოგრაფიისა, რომლებიც შედგენილობის თვალსაზრისით თავისებურნი არიან: აქ უკუღმა, შებრუნებით, მარჯვნიდან მარცხნივ დაწერილია არა მთელი სიტყვა, არამედ სიტყვის ერთი ნაწილი: დაქარაგმებულ სიტყვებში უკანასკნელი ასოა გადატანილი მარჯვნიდან მარცხნივ ან დაუქარაგმებელ სიტყვებში შებრუნებულია მარცვალი.

ა) დაქარაგმებული სიტყვები: არსენ ბულმაისისძის საგალობელთა კრებულის (A—85, გვ. 487) კრიპტოგრაფიაში („ქ. ოლთ შეიწყალე. ქ. აიღე ოლ: ეშ: იც: ირ:“) საინტერესოა ოლთ სიტყვა, რომელიც ასე იხსნება: ღთო. ნაცვლად უკუდაწერილობის სისტემის ნორმით დადგენილი დაწერილობისა „ოლთ“, გვაქვს „ოლთ“. წინ გადასმულია მხოლოდ ბოლო ო ასო დაქარაგმებული სიტყვისა: „ღთო“. შედგენილობით „ოლთ“ კრიპტოგრაფიის მსგავსია აგრეთვე „შიომღვიმის ტიპიკონის“ (H—1349) კრიპტოგრაფია. იგი შედგენილია უკუდაწერილობისა და ანჩინური სისტემების კომპილაციით (ამის შესახებ ვრცლად იხ. ქვემოთ: ანჩინურ-უკუდაწერილობის კომპილაციური სისტემა). ამჯერად ჩვენთვის საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ამ კრიპტოგრაფიაშიც („ჩტს“ იხსნება ასე: „აღკ“) დაქარაგმებული სიტყვიდან „ლკა“ (=ლუკა) წინ გადატანილია მხოლოდ ბოლო ასო ა.

ბ) დაუქარაგმებული სიტყვები: უკუდაწერილობის სისტემის ამ სახეობის შედგენის პრინციპია არა მთლიანი სიტყვის უკუღმა, შებრუნებულად, მარჯვნიდან მარცხნივ კითხვა, არამედ სიტყვის გარკვეული ნაწილისა, კერძოდ, მარცვლებისა. აქ სიტყვები დაუქარაგმებელია. საბასეულ „ქილილა და დამანას“ (S—31) XIX ს. მხედრულით შესრულებული კრიპტოგრაფია დაუცავს: „აიფოს ირასუგ. ზოეთად“. გ. მიქაძე ასე ხსნის კრიპტოგრაფიას: „გუსარი სოფია, დათეოზ“¹⁴⁸ და იქვე შენიშნავს: „აღბათ თადეოზ“. კრიპტოგრაფიის პირველი ორი სიტყვა „გუსარი

¹⁴⁸ გ. მიქაძე, ქართულ ხელნაწერთა შესწავლა და აღწერა, 1957, გვ. 10—17.

სოფია“ უკუდაწერილობის I ტიპისაა: კრიპტოგრამის ორივე სიტყვა ერთად იკითხება მარჯვნიდან მარცხნივ. რაც შეეხება „ზოეთად“ კრიპტოგრამულ სიტყვას, იგი სხვაგვარად იხსნება. აქ შეცდომასთან კი არ გვაქვს საქმე, არამედ გარკვეულ კანონზომიერებასთან. იგი შედგენილია ამგვარად: სიტყვის მეორე ნაწილი, მარცვალი „თად“ არ არის კრიპტოგრამული, ხოლო პირველი ნახევარი „ზოე“ კრიპტოგრამულია და ასე წაიკითხება: „ეოზ“. ორივე ნაწილის შეერთებით მივიღებთ „თადეოზ“ საკუთარ სახელს.

მსგავსი კრიპტოგრამა დაიძებნა ცენტრარქივის ერთ ხელნაწერში (ფ. 1446, № 99), რომელშიც XVIII ს. მხედრულით ერთ-ერთი თავის დასასრულს ჩაწერილია:

„...აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე
ნგამ
დასასრული მეორისა თავისა“.

კრიპტოგრამა ასე იხსნება „ამინ“. აქაც იგივე პრინციპია დაცული კრიპტოგრამის შედგენისა. საყურადღებოა თვით კრიპტოგრამის მინიშნებაც. ი-ს ზემოდან სამი წერტილი უზის, რაც, ალბათ, იმის მაუწყებელია, რომ აქედან უკულმა, მარჯვნიდან მარცხნივ უნდა წავიკითხოთ კრიპტოგრამის პირველი მარცვალი ნი. მეორე მარცვალი ამ ზემოთ განხილული „თადეოზის“ კრიპტოგრამის მსგავსად აქაც არაკრიპტოგრამულია.

უკუდაწერილობის სისტემის აღნაშნული კრიპტოგრამები გვიანდელ საუკუნეებს განეკუთვნებიან, თარიღდებიან XVIII—XIX საუკუნეებით. მაგრამ უკუდაწერილობის სისტემის ამ სახეობას რომ ქართველები უფრო ადრე დაუფლებიან, ამას გვაფიქრებინებს შემდეგი: ვ. გარდტჰაუზენის „ბერძნულ პალეოგრაფიაში“ გამოქვეყნებულია ერთი კრიპტოგრამა¹⁴⁹:

Ἐπελαυσίμῃ ἀχάτ νῆτ ιρταοκινῆτ νος ἀμῆου.

იგი ასე იხსნება: $\tau\epsilon\lambda\epsilon\iota\alpha\upsilon\sigma\acute{\iota}\mu\eta\nu\ \alpha\chi\alpha\tau\ \nu\eta\tau\ \iota\rho\tau\alpha\omicron\kappa\iota\nu\eta\tau\ \nu\omicron\varsigma\ \alpha\mu\eta\upsilon\sigma.$

თარგმანი: „სრულ იქმნა 30 მაისს“.

კრიპტოგრამაში უკუდაწერილობის პრინციპით შედგენილია სიტყვის ცალკეული მარცვლები, ე. ი. უკულმა კითხვა მარცვლების მიხედვით ხდება. მაგ.: უკუდაწერილობის სისტემით $\alpha\chi\alpha\tau$ უნდა გვექნოდნა $\alpha\tau\alpha\chi.$ ამ სისტემით კი გვაქვს $\alpha\chi\alpha\tau.$

რა დროისაა ეს კრიპტოგრამა, ვ. გარდტჰაუზენის „პალეოგრაფიიდან“ არ ჩანს, იგი არ ასახელებს თარიღს, თუმცა ავტორი აღნიშნულ კრიპტოგრაფიულ სისტემას იხილავს ცეზარის კრიპტოგრაფიულ სისტემასთან მიმართებით. ცეზარი წერდა წერილს ციკერონს (I ს. ჩვ. ერამდე), რომელშიც ასოთა მნიშვნელობები შეცვლილი იყო. კერძოდ, A-ს წერდა D-ს მაგიერ, B-ს E-ს ნაცვლად და ა. შ. მაშინ, როცა ცეზარი

¹⁴⁹ V. Gardthausen, Griech. Paleogr. II, 1913, Leipzig, გვ. 302.

უცვლიდა მნიშვნელობებს ანბანში ასოებს, ერთს ხმარობდა მეორე ასოს მაგიერ, ბერძნულში არსებობდა კრიპტოგრაფიული სისტემა, რომელიც ცვლიდა ასოთა მნიშვნელობებს თვით მარცვალში. ეს შეცვლა კი, როგორც დავინახეთ, „ბერძნულ პალეოგრაფიაში“ დაბეჭდილი კრიპტოგრაფიდან, სიტყვის მარცვლების უკულმა წაკითხვაში მდგომარეობს. ამ სისტემას ვ. გარდტაუზენი „Silben-kryptographie“-ს უწოდებს, ე. ი. „მარცვლოვან კრიპტოგრაფიას“¹⁵⁰. მაშასადამე, „მარცვლოვანი“ კრიპტოგრაფიული სისტემა ჯერ კიდევ ციცერონის დროს უხმარიათ საბერძნეთში.

ბერძნული „მარცვლოვანი“ კრიპტოგრაფიული სისტემა, რომელიც მარცვლებში ასოთა უკუდაწერილობას გულისხმობს, ერთგვარ გამოძახილს პოულობს ქართულში. ქართული უკუდაწერილობის სისტემის ზემოთ განხილული კრიპტოგრაფების III ტიპის სახეობა ენათესავება ბერძნულ მარცვლოვან კრიპტოგრაფიას. საფიქრებელია, რომ ქართულში სწორედ ეს სახეობა უკუდაწერილობის სისტემისა იქნა შემოდებული ბერძნულის გავლენით, თუმცა შემდგომ უკუდაწერილობის სისტემა განვითარდა და მისი სხვა სახეობებიც ჩამოყალიბდა. აღნიშნული სახეობის დღესდღეობით ცნობილ უძველეს კრიპტოგრაფად „შიომღვიმის ტიპიკონის“ 1172 წლის ლექსას კრიპტოგრაფა უნდა ჩავთვალოთ, რომელიც რთულ, კომპილაციურ სისტემაში შემოგვრჩენია.

როდისაა სავარაუდო უკუდაწერილობის სისტემის წარმოშობა? I და II ტიპის უძველესი კრიპტოგრაფები XVI საუკუნისაა, ხოლო III ტიპის კრიპტოგრაფა „შიომღვიმის ტიპიკონისა“ (H—1349) XII საუკუნისა. მაშასადამე, უკუდაწერილობის სისტემის არსებობა XII ს-ში ფაქტურა საფიქრებელია, რომ უკუდაწერილობის სისტემა XII ს-ზე ადრეც იყოს შექმნილი, რაზედაც სარკისებრი დაწერილობის სისტემის სტრუქტურა მიუთითებს. სარკისებრი დაწერილობის სისტემის კრიპტოგრაფებში სარკისებურად შებრუნებულ ასოებს წერდნენ მარჯვნიდან მარცხნივ, ე. ი. მარჯვნიდან მარცხნივ წერა — ეს ძირითადი საშუალებაა, რომელზეც დამყარებულია ორი კრიპტოგრაფიული სისტემა: თუ მარჯვნიდან მარცხნივ დაწერდნენ ქართული ანბანით სიტყვებს, მიიღებდნენ უკუდაწერილობის სისტემას, ხოლო თუ ეს ანბანი სარკისებრ შებრუნებულიც იქნებოდა, მაშინ კი — სარკისებრი დაწერილობის სისტემას. საფიქრებელია, რომ სარკისებრი დაწერილობის სისტემა უკუდაწერილობის სისტემის გავლენით წარმოშობილიყო. საგულისხმოა, რომ სარკისებრი დაწერილობის სისტემის უძველესი ნიმუში 940 წლისაა (ჯრუჭის ოთხთავი, H—1660, თევდორეს კრიპტოგრაფა), მაშასადამე, უკუდაწერილობის სისტემის შექმნა X ს-ზე ადრე უნდა ვივარაუდოთ.

¹⁵⁰ V. Gardthausen, Griech. Paleogr. 1913, გვ. 302.



უკუდაწერილობის სისტემასა და სარკისებრი დაწერილობის სისტემას შორის რომ შინაგანი კავშირი არსებობს, ეს იქიდანაც ჩანს, რომ უკუდაწერილობის სისტემის ორიოდ კრიპტოგრამაში შეგვხვდა სარკისებრ შებრუნებული რამდენიმე ასო. რა თქმა უნდა, ეს ფაქტი შემთხვევითი არ უნდა იყოს¹⁵¹.

ამრიგად, უკუდაწერილობის სისტემის განვითარება ასე წარმოგვიდგება: 1) მარცვალთა შებრუნება სიტყვებში. უკუდაწერილობის სისტემის ჩამოყალიბების დროს თავდაპირველად სიტყვებში მხოლოდ მარცვლები უნდა შეებრუნებინათ, ე. ი. ეს სახეობა უძველესი უნდა იყოს. 2) წინადადებებში ცალკეული სიტყვების შებრუნება. ამ ეტაპზე წინადადებებში სიტყვები განლაგებულია მარცხნიდან მარჯვნივ, ოღონდ ყოველი სიტყვა შებრუნებულია უკულმა. 3) განვითარების უკანასკნელ საფეხურზე მთლიანი წინადადებები შეებრუნებიათ მარჯვნიდან მარცხნივ¹⁵².

უკუდაწერილობის სისტემის კრიპტოგრამები სხვადასხვა შინაარსისაა: იმის გამო, რომ ეს სისტემა მარტივია, იოლად ამოსახსნელი, ამან განაპირობა, ალბათ, რომ გადაწერებს კრიპტოგრამული ანდერძებისათვის იგი იშვიათად უხმარიათ. ამ სისტემის რამდენიმე კრიპტოგრამა ხელნაწერების მფლობელთა ვინაობასაც წარმოაჩენს (რომანოვი — A—85: სოფია. თაღეოზ — S—31), ხოლო ზოგ მფლობელს სხვადასხვა შინაარსის მინაწერები დაუწერია კრიპტოგრამულად. მაგ., „მამაო ჩვენოს“ ტექსტი (A—53), მოკითხვის მოკლე ბარათი (S—1203). „ამირანდარეჯანიანის“ ერთი XVIII ს. ხელნაწერი (S—3708) პეტერბურგში თან წაუღიათ ბატონიშვილებს, რომელთაც ხელნაწერზე სხვადასხვა სისტემის ოცდაათიოდე კრიპტოგრამა წაუწერიათ. მათ შორისაა უკუდაწერილობის ოთხი კრიპტოგრამაც, რომლებშიც მოხსენებული არიან დავით სარდალი, ერეკლე II-ის ასულის თამარის მეუღლე და იულონ ბატონიშვილი.

სარკისებრი დაწერილობის სისტემა

სარკისებრი დაწერილობის სისტემა უკუდაწერილობის სისტემის ანალოგიურია. უკუდაწერილობის სისტემის მსგავსად ამ სისტემის კრიპ-

¹⁵¹ XVII ს. კრიპტოგრამაში (A—85, გვ. 489) დაწერილია სარკისებრ შებრუნებულად. ასევე XIX ს. კრიპტოგრამაში (S—1203) სარკისებრი დაწერილობისაა ლ. თ. შ ასოები.

¹⁵² წინადადების უკულმა, მარჯვნიდან მარცხნივ წერა რუსულ კრიპტოგრაფიაშიც გამოუყენებიათ, მაგრამ ძალზე იშვიათად. ეს სისტემა რუსულში ხმარებაში შემოსულა XVI—XVII სს-ში, თუმცა ასახელებენ XIV ს. კრიპტოგრამას, რომელიც სლავურ ზარზე ყოფილა წარწერილი: Лавровский П. А., Старо-русское тайнописание, 1870. Черепнин Л. В., Русская палеография, 1956, с. 395; Карский Е. Ф., Славянская кирилловская палеография, 1928, с. 253. Соболевский А. И., Славяно-русская палеография, 1908.

ტოგრაფიებიც ნაწერია მარჯვნიდან მარცხნივ, შებრუნებულად, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ სარკისებრი დაწერილობის სისტემაში ასოებიც უკულმა, შებრუნებულად წერია¹⁵³. ამ სისტემის ორმოცამდე კრიპტოგრაფია გამოვლინდა ხელნაწერებში. ამათგან მხოლოდ სამია გამოქვეყნებული — ერთი, X ს. (ძველი ჯრუჭის ოთხთავი, H—1660) ა. შანიძის მიერ¹⁵⁴ და ორი — გ. მიქაძის მიერ XVIII და XIX სს-ისა (A—1123 და W—17)¹⁵⁵.

სარკისებრი დაწერილობის სისტემის კრიპტოგრაფიების ამოკითხვა შეიძლება მხოლოდ სარკის დახმარებით. თუ ასეთ კრიპტოგრაფიასთან სარკეს მარჯვნიდან მოვათავსებთ, იგი ამოიკითხება.

კრიპტოგრაფიების უმრავლესობა ზემოაღნიშნული პრინციპითაა შედგენილი: წინადადებებში სიტყვები განლაგებულია მარჯვნიდან მარცხნივ და ასოებიც უკულმა შებრუნებულია. თუ კრიპტოგრაფია მხოლოდ ერთი სიტყვისაგან შედგება, ისიც მარჯვნიდან მარცხნივ არის დაწერილი, გვაქვს გამოწვევისი: კრიპტოგრაფულ წინადადებაში სიტყვები განლაგებულია მარცხნიდან მარჯვნივ, ხოლო ასოები უკულმა შებრუნებულია. დაიძებნა ასეთი ორი კრიპტოგრაფია¹⁵⁶.

ამრიგად, სარკისებრი დაწერილობის სისტემის კრიპტოგრაფებს წერდნენ მარჯვნიდან მარცხნივ. მაშასადამე, წერის მანერით სარკისებრი დაწერილობის სისტემა უკუდაწერილობის სისტემის მსგავსია და საფიქრებელია, რომ სარკისებრი დაწერილობის სისტემა ამ უკანასკნელის ბაზაზე იყოს აღმოცენებული. ე. ი. ძველ ქართულში ჯერ უკუდაწერილობის სისტემა ჩანს შექმნილი, ხოლო მის შემდგომ ამ სისტემაზე დაყრდნობით სარკისებრი დაწერილობის სისტემა.

სარკისებრი დაწერილობის სისტემის კრიპტოგრაფები ნაწერია ასო-

¹⁵³ ბერძნულ კრიპტოგრაფიაშიც გამოყოფენ სარკისებრი დაწერილობის სისტემას («Spiegelschrift»). რომლის უძველესი ნიმუში 1306 წლისა ყოფილა (ვ. გარდტაუზენის დასახ. ნაშრომი, გვ. 304).

¹⁵⁴ ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით. გამოსცა ა. შანიძემ, 1945, გვ. 024.

¹⁵⁵ გ. მიქაძე, ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა კრიპტოგრაფიები, შოთა რუსთაველი, შოთა რუსთაველის სახ. ლიტერატურის ინსტიტუტის ინსტიტუტის საიუბილეო კრებული, 1966, გვ. 360; მისივე, ვეფხისტყაოსნის მუხათონისეული ხელნაწერისათვის, ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები, VI, 1974, გვ. 145.

¹⁵⁶ W—17. XVIII ს. იხსნება ასე: «ვარ ეკატორინეს(ი)». კრიპტოგრაფიაში (იხ. კატალოგი) სიტყვები განლაგებულია მარცხნიდან მარჯვნივ, ოღონდ პირველი სიტყვა «ვარ» დაწერილია მარჯვნიდან მარცხნივ, მეორე სიტყვა «ეკატორინეს(ი)» მარცხნიდან მარჯვნივ. ასოები ორივე სიტყვაში კრიპტოგრაფულია—უკულმა შებრუნებულია. S—436. XIX ს. იხსნება ასე: ნინო ქალო შენს გარდასა. ამ კრიპტოგრაფიაშიც მთავარია სიტყვების განლაგება: მარცხნიდან მარჯვნივ. თვით ანბანი კი ძლიერ დამახინჯებულია: ზოგი ასო არაკრიპტოგრაფულია, კრიპტოგრაფული ასოებიდან ზოგი არასწორადაა შებრუნებული.

მთავრულით, ნუსხურიტ და მხედრულიტ, იმის მიხედვით, თუ რა დროისაა ისინი. გამოვლინდა ამ სისტემის კრიპტოგრაფული ანბანებიც, რომლებიც XVII—XVIII სს-ში მიუწერიათ ხელნაწერებზე (Jer—35, A—994, S—3708). სამივე ხელნაწერში ანბანი არ არის სრული. Jer—35: ა-პ (ნუსხურიტ), A—994: ა-ნ (მხედრულიტ), S—3708: ა-ა (მხედრულიტ). ანბანი საკმაოდ დამახინჯებულაა A—994-ში. შეინიშნება ისეთი შემთხვევები, როდესაც კრიპტოგრაფული ანბანის უცოდინარობის გამო ასოები არასწორად და შეცდომითაა დაწერილი (S—2498, 7 რ. S—436, 149 რ, 241 რ. Q—765, 132 ვ).

სარკისებრი დაწერილობის უძველესი ნიმუშია ჯრუპის ოთხთავის (H—1660) კრიპტოგრამა, რომელიც ამ ოთხთავის მომხატავს თევდორეს დაუწერია 940 წელს. ყველა დანარჩენი კრიპტოგრამა გვიანდელია. შემორჩენილია ერთადერთი ნიმუში XV—XVI სს-სა ქუთაისის მუზეუმის ხელნაწერში (K—177). როგორც ჩვენი მასალიდან ჩანს, სარკისებრი დაწერილობის სისტემა XVIII—XIX სს-ში ინტენსიურად გამოუყენებიათ.

სარკისებრი დაწერილობის სისტემაც სხვა სისტემების მსგავსად შინაარსობლივ მრავალფეროვანია. ამ სისტემით უსარგებლიათ ხელნაწერთა მომხატავეებს (იგულისხმება თევდორეს კრიპტოგრამა — H—1660), გადამწერებსა და მფლობელებს და ანდერძების გარდა ხელნაწერებზე სხვადასხვა ხასიათის კრიპტოგრაფული მინაწერები დაუტოვებიათ.

გადამწერთა კრიპტოგრამები

შეინიშნება, რომ გადამწერებს ეს სისტემა უფრო იშვიათად გამოუყენებიათ, ვიდრე სხვა სისტემები. XIX ს-ის გადამწერს მდივნის სულხანის ძეს ქაიხოსროს ანდერძი ორგვარად დაუწერია: არაკრიპტოგრაფულად (40 რ) და კრიპტოგრაფულად (40 ვ). გადამწერთა მიერ გამოყენებული ანდერძის წერის ეს ხერხი სხვა სისტემების განხილვის დროსაც შეგვხვდა.

სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეულია¹⁵⁷, რომ „ქილილა და დამანა“ 1839 წ. გადაუტეებია მელიგზად ბებუთაშვილს. ცნობილია ამ რედაქციის ორი ხელნაწერი — S—21 და S—2726. ამ უკანასკნელზე, ხელნაწერის ზედა ყდაზე, შიგნიდან არის კრიპტოგრაფული მინაწერები სარკისებრი დაწერილობის სისტემისა. კრიპტოგრამების ამოხსნის შემდგომ გაირკვა, რომ ისინი მელიგზადს დაუწერია, რაც შემდეგიდან ჩანს: კრიპტოგრამების ხელი მსგავსია ხელნაწერის ხელისა. ამასთანავე, ერთ-ერთ

¹⁵⁷ ტრ. რ უ ხ ა ძ ე, ქართული ეპოსი გარდამავალი ხანის ლიტერატურაში, 1935, გვ. 236—238; ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, ნარკვევები, I, 1945, გვ. 325.

კრიპტოგრამაში დაშიფრულია სახელი მელიგზად. ცხადია, კრიპტოგრამის მელიგზად არის მელიგზად ბებუთაშვილი.

საქართველოს
საგარეო ურთიერთობების
მინისტრო

მფლობელთა კრიპტოგრამები

რამდენიმე კრიპტოგრამაში მიფარულია მფლობელთა ვინაობა. მზეხათუნისეული „ვეფხისტყაოსანი“ (W—17) ზურაბ წერეთლის ოჯახის კუთვნილება ყოფილა. ხელნაწერზე გვხვდება მისი ასულის ეკატერინეს კრიპტოგრამა სარკისებრი დაწერილობისა: „ვარ ეკატერინეს(ი)“. XIX ს-ის ერთი კრებულის (A—536) მფლობელი ევგენი აბაშიძე კრიპტოგრამულად წერს თავის გვარს. XIX ს-ის ოთხთავის (Q—140) კრიპტოგრამამ წარმოაჩინა, რომ ამ ხელნაწერის მფლობელი ყოფილა დიმიტრი წერეთელი.

სხვადასხვა მინაწერები

ხელნაწერებზე შემორჩენილა სარკისებრი დაწერილობის კრიპტოგრამები, რომლებიც სხვადასხვა შინაარსისაა: ზოგი მათგანი გასართობად უწერიათ, ზოგი კი უბრალოდ კრიპტოგრაფიაში საეარჯიშოდ გამოუყენებიათ (S—3708, S—2498, A—904, ლიტ. მუზ. 12959 (№ 81), S—4536, Q—765, H—1655 და სხვ.). შეგვხვდა აგრეთვე სატრფიალო ხასიათის კრიპტოგრამებიც (Q—1346, A—1123).

სავადაწერილობის სისტემა

ამ სისტემის მიზანი სხვა სისტემათა მსგავსად იგივეა — ყველასათვის არ ყოფილიყო ხელმისაწვდომი ესა თუ ის მინაწერი ან ტექსტის გარკვეული ნაწილი. ტექსტის ამოკითხვის გასაძნელებლად გადამწერნი მიმართავენ შემდეგ ხერხს: ქართულ ტექსტს, რომლის შინაარსი და ენა ქართული იყო, წერდნენ ხოლმე რომელიმე უცხო ენის ანბანით¹⁵⁸. სხვადაწერილობის სისტემის კრიპტოგრამებისათვის საქართველოში ძირითადად გამოუყენებიათ ბერძნული, ლათინური, სომხური და სლავური ანბანები¹⁵⁹. სხვადაწერილობის სისტემის კრიპტოგრამებში ქართულ სპე-

¹⁵⁸ ტექსტის ამოკითხვა კიდევ უფრო რთულდებოდა, როდესაც უცხო ენის ანბანით ნაწერ სიტყვებში ქართულ ასოებსაც ვაურევდნენ. ასეა შესრულებული ხირომანტიის ერთ ხელნაწერში რამდენიმე გვერდი (Q—741).

¹⁵⁹ სხვადაწერილობის სისტემა სხვა ქვეყნებშიც უხმარიათ. მაგ., ბერძნებს, როგორც ვ. გარდტაუზენი აღნიშნავს, იშვიათად გამოუყენებიათ უცხო ანბანები კრიპტოგრაფიისათვის, მაშინ როდესაც იტალიელმა გადამწერებმა ხშირად მიმართავენ ბერძნულ

ციფიკურ ასოებს ჩვეულებრივ ტოვებდნენ, ზოგჯერ კი ამ ასოებისთვის კრიპტოგრამაში გამოყენებული ანბანიდან მიახლოებით მსგავს ასოებს იხმარდნენ ხოლმე. მაგ., ლათინური **ch** ხან **ხ**-ს გადმოსცემს ერთ კრიპტოგრამაში, ხან **ქ**-ს (A—246). ასევე ბერძნული **χ** ხან **ხ**-ს მაგიერ გვხვდება, ხან **ქ**-ისა (Q—741) და ა. შ.

სხვადაწერილობის სისტემის კრიპტოგრამებში ჩვეულებრივ გამოიყენებოდა მხოლოდ ერთი რომელიმე ენის, ვთქვათ, მხოლოდ ბერძნულის ან ლათინურის, ანდა სხვა რომელიმე ენის ანბანი. თუმცა შეგვხვდა ისეთი კრიპტოგრამებიც, სადაც ერთდროულად ორი ენის ანბანი უხმარიათ, ვთქვათ, ბერძნულ-სლავური, ბერძნულ-სომხური. ჩვენი კრიპტოგრამებიც სხვადაწერილობის სისტემისა ამის მიხედვით დავაჯგუფეთ.

1. ბერძნული ანბანით შედგენილი კრიპტოგრამები

ბერძნული ანბანი ამ მიზნით საკმაოდ ადრე უხმარიათ ქართველებს. 907 წელს გადაწერილ¹⁶⁰ ერთ ასკეტიკურ კრებულში (Sin—35) რამდენიმე შემთხვევაში სათაურები ორორჯერაა დაწერილი: ჯერ ქართულად, შემდგომ კი იგივე ქართული ტექსტი ბერძნული ანბანით. X ს. ცნობილ ჰიმნოგრაფს მიქაელ მოდრეკილსაც, რომელიც ძველი ქართული კრიპტოგრაფიის კარგი მცოდნე ყოფილა, სხვა სისტემის კრიპტოგრამებთან ერთად თავის ჰიმნოგრაფიულ კრებულში სხვადაწერილობის სისტემის ორი კრიპტოგრამა მოუთავსებია: ბერძნული ანბანით შედგენილი და ბერძნულ-სომხური ანბანებიდან ამოკრებილი ასო-ნიშნებით შედგენილი (იხ. ქვემოთ).

ბერძნული კრიპტოგრამები ნაწერია უნციალით და მინუსკულით. უნციალით უწერიათ კრიპტოგრამები X ს-დან მოკიდებული ვიდრე XIX ს. ბოლომდე (Sin—35, X ს., K—233, XIX ს.), მინუსკულით შესრულებული კრიპტოგრამები XIII ს-დან გვხვდება (A—205, K—442 და სხვ.).

ბერძნულით ნაწერ კრიპტოგრამებში სპეციფიკური ასოების გარდა ზოგიერთი ქართული ასოც თავისებურად გადმოიცემა: ერთ რომელიმე

ანბანს ლათინური წარწერებისათვის. ლათინურში ამ სისტემის X საუკუნის ნიმუშია ფიქსირებული (V. Gardthausen, Griech. palaeogr. II, 1913, გვ. 300).

სხვადაწერილობის სისტემისათვის რუსულ კრიპტოგრაფიაშიც უხმარიათ სხვა ანბანები. კერძოდ, ა) „კირილიცას“ ნაცვლად „გლაგოლიცას“ ანბანი (XII—XVI სს.), ბ) XV—XVII სს-ში ბერძნული ანბანით უსარგებლიათ, გ) XVII ს-ში კი ლათინური ანბანით. XV ს-ში კირილიცას მაგიერ უხმარიათ აგრეთვე სტეფანე პერმელის მიერ გამოგონილი, ე. წ. პერმის ანბანი (Черепнин Л. В., Русская палеография. 1956, с. 262, 389).

¹⁶⁰ მ. დვალის, ლ. ჯღამაიას, მეათე საუკუნის პატერიკის (Sin—35) ერთი ფრაგმენტის შესახებ, მრავალთავი, VI, 1978, გვ. 76.

ქართულ ასოს ბერძნულში ორი სხვადასხვა ასო შეესატყვისება, ანდა პირიქით¹⁶¹.

ქართული ე-ს შეესატყვისია € და H:

1. €: Sin—35 (X ს.), A—483 (XIV ს.), K—233 (XIX ს.), A—205 (XIII ს.), K—442 (XVIII ს.); Q—741 (XVIII ს.), H—1338 (XVIII ს.), H—339 (1802 წ.).

2. H: K—435 (XVII—XVIII სს.), H—1203 (1783 წ.).

ქართული ი-ს შეესატყვისია ჩვეულებრივ I. ზოგჯერ იგი გადმოცემულია H-თი:

H: K—233 (XIX ს. უნციალით), A—205 (XIII ს. მინუსკულით). Q—741 (XVIII ს.).

ქართული ქ-ს შეესატყვისია ბერძნული χ და ξ:

1. χ: Sin—35 (X ს.). Q—741 (XVIII ს.).

2. ξ: H—1338 (XVIII ს.).

Q—741 ხელნაწერში ბერძნული χ ქართულ ზ—საც შეესატყვისება. ხოლო ამავე Q—741 ხელნაწერში (44 r-ზე) ბერძნული ξ გრაფემა ქართულ ზ-ს გადმოსცემს.

ქართული ვ და უ გადმოიცემა ბერძნული ս-თი:

1. ვ—ს: Sin—35 (X ს.), A—205 (XIII ს.)

2. უ—ს: Q—741, H—1338, A—390, H—339 (XVIII ს. ხელნაწერები).

H—1203 (1783 წ.) ხელნაწერში ս (ვფსილონი) სწორად გადმოსცემს ვ-ს.

ქართული მ გადმოიცემა ბერძნული H-ით: Sin—35 (X ს.).

რა ხასიათისაა სხვადასხვაობის სისტემის ბერძნულით ნაწერი კრიპტოგრამები?

ბერძნული ანბანით გადამწერებს თავისი ვინაობის მისაფარავად ნაკლებად უსარგებლიათ. შემორჩენილია XIX ს. ცნობილი კალიგრაფის ალექსი ბაქრაძის კრიპტოგრამა. ანდერძში ალექსის მხოლოდ თავისი სახელი დაუშიფრავს (K—233).

მიქაელ მოდრეკილის ერთი კრიპტოგრამის შესახებ

ცნობილია, რომ მიქაელ მოდრეკილის იადგარში (978—988 წწ.) დაცულია გადამწერთა მიერ შესრულებული მინაწერები სომხურ ენაზე¹⁶².

¹⁶¹ მხედველობაში გვაქვს როგორც მხოლოდ ბერძნული ანბანით შედგენილი ტიპი, ასევე ბერძნულია და სხვა რომელიმე ენის ანბანით შედგენილი შერეული ტიპი სხვადასხვაობის სისტემისა.

¹⁶² ილ. აბულაძე, სომხური დიალექტური ფორმები X საუკუნის ერთი ქართული ხელნაწერის მიხედვით, შრომები, II, 1976, გვ. 275—281.

სომხურის გარდა ხელნაწერში რამდენიმე ბერძნული მინაწერიცაა. ყველაზე უფრო რადღებას იქცევს ერთი მათგანი. 122 r-ზე ფურცლის ქვედა კიდეზე ტექსტის ხელით, სინგურით მიწერილია:

†: ԳՂԻԿԱԳՆԻՆ : ՍՈՄԱԿԵՒԻԿ:¹⁶³

მინაწერის პირველი სიტყვა „ბერძულნი“ საგალობელთა სადაურობაზე მიუთითებს (მღრ. აგრეთვე 54 v, 56 v, 61 v). რაც შეეხება მეორე სიტყვას, იგი სხვადაწერილობის სისტემის კრიპტოგრამა უნდა იყოს, კერძოდ, ბერძნული ანბანით შესრულებული. როგორც ვნახეთ, სხვადაწერილობის სისტემა გულისხმობს ქართული სიტყვების ან მთელი წინადადებების უცხო ენის ანბანით გადმოცემას. ზემოაღნიშნული ბერძნული ანბანით შესრულებული სიტყვაც ქართულია. იგი ასე ამოიკითხება: „რომაიეთი“.

საგულისხმოა, რომ ბერძნულ სიტყვაში ქართულ ი-ს გადმოსცემს H, ხოლო თ-ს გადმოსაცემად მის ავტორს უხმარია I, მოსალოდნელი მ-ს მაგიერ.

ძველ ქართულში -ეთ სუფიქსი ჩვეულებრივ გეოგრაფიულ სახელთა მაწარმოებელია¹⁶⁴. ამასთანავე ზოგჯერ იხმარება სხვა ფუნქციითაც, კერძოდ, გვარსახელების საწარმოებლად¹⁶⁵.

საფიქრებელია, რომ -ეთ სუფიქსს სიტყვაში რომაიეთი განსხვავებული ნიუანსი უნდა ჰქონდეს და წარმომავლობასა და სადაურობაზე უნდა მიუთითებდეს. ამის მიხედვით რომაიეთი უნდა ნიშნავდეს რომაულს.

ქართულში მკვეთრად არის გამოჩნული ვინ და რა გვუფის სახელთა სადაურობის წარმოება. ადამიანთა სადაურობის სახელები-წარმოებია -ელ სუფიქსით, ხოლო არაადამიანთა სადაურობა-წარმომავლობას აწარმოებს შემდეგი სუფიქსები: -ურ (ულ), -იურ, -ეულ, -დელ. თუმცა-ღა -ურ (ულ) სუფიქსი იშვიათად ადამიანთა სადაურობასაც აღნიშნავს ზოგ კილოში¹⁶⁶.

მამასადამე, სადაურობის აღმნიშვნელი სუფიქსი -ურ (ულ) ჩვეულებრივ არაადამიანთა სადაურობაზე მიუთითებს, ძალზე იშვიათად კი ადამიანთა წარმომავლობასაც გვიჩვენებს. ასე რომ, -ურ სუფიქსის ხმარება ქართულში ზოგჯერ აღრეულია. სუფიქსთა მნიშვნელობის აღრევის

¹⁶³ მინაწერი გამოქვეყნებულია: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, S კოლექცია, I, 1960, გვ. 555; ვ. გვახარია, მიქაელ მოდრეკილის ჰიმნები, წ. I, 1978, გვ. 0210.

¹⁶⁴ ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, 1976, გვ. 55.

¹⁶⁵ ვ. დონდუა, „ლიპარიტეთ“-ისა და ანლოგიური ფორმის გვარსახელებისათვის ქართულ ისტორიულ წყაროებში, უნივერსიტეტის შრომები, XXXIII, 1948, გვ. 133—166.

¹⁶⁶ ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, 1973, გვ. 128.

ანალოგიური ვითარება უნდა გვექონდეს ზემოაღნიშნულ შემთხვევაშიც (რომაიეთი).

ამრიგად, მიქაელ მოდრეკილი გალობათა სადაურობას ანუ წარმოშობას ორგვარად გადმოსცემს: -ურ (ულ) სუფიქსით სიტყვაში „ბერძულნი“ და -ეთ სუფიქსით, რომელიც დასტურდება ბერძნულად ნაწერ სიტყვაში „რომაიეთი“. საფიქრებელია, რომ მიქაელ მოდრეკილმა „ბერძულნი“-ს სინონიმური სიტყვა „რომაიეთი“ მხოლოდ ამიტომ ჩაწერა ხელნაწერში ბერძნული ანბანით და ერთგვარად კრიპტოგრაფული, საიდუმლო ხასიათი მისცა.

მომხატავის ერთი კრიპტოგრამის შესახებ

სხვადაწერილობის სისტემის ბერძნულით გადმოცემული კრიპტოგრამებიდან სანტერესო ჩანს A—483 ხელნაწერის კრიპტოგრამა (XIV ს.): „ΘΨ“. იგი უნდა იყოს საკუთარი სახელის „თეოდორეს“ ქართულად დაქარაგმებული ფორმა „თე“, ვინაიდან ბერძნულში სახელობითში გვექნება დაბოლოებით ძე (Θεῶνπατρις, ძე || Θεῶνπατρις) და არა ე-თი. როგორც ჩანს, ქართველ მომხატავს თავისი სახელი კრიპტოგრაფიულად ჩაუწერია, რომ „ΘΨ“ მომხატავს ეკუთვნის, იქიდან ჩანს, რომ იგი ერთ-ერთ კამარასთან არის მიწერილი მინიატურისავე საღებავის ფერი მელნით (4r).

მთარგმნელთა ერთი კრიპტოგრამის შესახებ

ბერძნულით შესრულებულ ერთ კრიპტოგრამაში მთარგმნელთა სახელები მიუძღვება. ხელნაწერი A—205, ანასტასი სინელის „წინამძღვარი“, გადაწერილია ეტრატზე XIII საუკუნეში. 221r-ზე ფურცლის კიდებზე, სინგურით, გადამწერის ხელით მიწერილია ორი სიტყვა, ტიპიური XIII ს. ბერძნულით, მინუსკულით¹⁶⁷. მიუხედავად იმისა, რომ ფურცლის კიდებზე თავისუფალი ადგილი იყო და შეიძლებოდა სიტყვის დასრულება, მაინც მეტი საიდუმლოებისათვის სიტყვები ორადაა გაყოფილი, რაც მართლაც აძნელებს კრიპტოგრამის გაგებას. ამოხსნამ გარკვევა, რომ მასში იმალება ორი საკუთარი სახელი „არსენი“ და „დავითი“.

ისმის კითხვა: ვინ უნდა იყვნენ აღნიშნული პირები და რატომაა მიწერილი მათი სახელები ამ თხზულებაზე? საფიქრებელია, რომ კრიპტოგრამაში იმალებოდეს არსენ იყალთოელისა და დავით პეტრიწონელის სახელები.

ცნობილია, რომ არსენ იყალთოელს XI ს. დასასრულს მანგანას მონასტერში დაუწყია თარგმნა დოგმატიკურ-პოლემიკური კრებულისა, რო-

¹⁶⁷ შტრ. Д. Дирингер, Алфавит, 1963, М., с. 531.

მელსაც „დოგმატიკონს“ უწოდებენ¹⁶⁸. როგორც კ. კეკელიძე აღნიშნავს, ეს კრებული სხვადასხვა სისრულითა და შედგენილობით გვხვდება ქართულ ხელნაწერებში¹⁶⁹. ამ კრებულის ყველაზე სრული ნუსხაა S—1463. ამჯერად, ჩვენთვის საინტერესო ნუსხა A—205 კი შეიცავს მხოლოდ ერთ თხზულებას, ანასტასი სინელის „წინამძღვარს“.

კ. კეკელიძეს გარკვეული აქვს, რომ არსენ იყალთოელს თარგმანში დამხმარეც ჰყოლია. კერძოდ, „დოგმატიკონის“ ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი, ნიკიტა სტითატის თხზულება — სომეხთა განმაქიქებელნი ხუთნი სიტყვანი — უთარგმნია დავით პეტრიწონელ ხუცეს-მონაზონს¹⁷⁰. სწორედ ამ დავითს უნდა გულისხმობდეს ჩვენი კრიბტოგრაფიც.

კრიბტოგრაფიაში მოხსენებული არსენი და დავითი რომ არსენ იყალთოელი და დავით პეტრიწონელია, ამას, ვფიქრობთ, ისიც უჭერს მხარს, რომ ისინი ერთად იხსენიებიან „დოგმატიკონის“ ხელნაწერთა ერთ-ერთ ანდერძში: „ლოცვა ყავთ, მამანო და ძმანო, არსენისთვის თარგმანისა და დავითისთვის პეტრიწონელისა მონაზონ-ხუცისა, რომლისა იძულებითა ბერძელისაგან გადმოუქართულებიან ესე თაენი სომეხთა განმაქიქებელნი. საუკუნომცა არს ესენებაჲ არსენისი, ამინ“¹⁷¹.

ამრიგად, კრიბტოგრაფიის ავტორს, XIII ს. უცნობ გადაწერს, ჩანს, სცოდნია ამ თხზულების მთარგმნელთა ვინაობა და ლამაზი, კალიგრაფიული ბერძნულით მიუწერია მათი სახელები.

ვფიქრობთ, რომ A—205 ხელნაწერის კრიბტოგრაფია ამ თვალსაზრისით მეტად ანგარიშგასაწევეია. იგი ერთ-ერთი დამატებითი საბუთია იმისა, რომ „დოგმატიკონის“ მთარგმნელი არის არსენ იყალთოელი დავით პეტრიწონელთან ერთად.

კრიბტოგრაფია ერთი ისტორიული ფაქტის შესახებ

ჩვენი ყურადღება მიიქცია ბერძნულით შესრულებულმა კრიბტოგრაფიამ, რომელიც ერთი ისტორიული ფაქტის გამო მიუწერიათ ხელნაწერზე. მინუსკულით ნაწერ კრიბტოგრაფიაში (ქუთ. მუზ. K—442), რომელიც ასე იხსნება: „მეფე დავით გარდა(ა)გდეს“, მიფარულია ერთი ცნობილი ამბავი იმერეთის მეფეთა ცხოვრებიდან. კრიბტოგრაფია მიწერილია იოანე სინელის კლემაქსზე, რომელიც გადაწერილია 1744 წელს.

¹⁶⁸ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1960, გვ. 280.

¹⁶⁹ იქვე, გვ. 277.

¹⁷⁰ იქვე, გვ. 278—279.

¹⁷¹ ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, I, 1953, გვ. 108. ხელნაწერი № 23, 269 r; ხელნაწერთა ინსტიტუტის ნუსხა Q—50, 115 v.

იმერეთში 1744 წლის შემდგომ მხოლოდ ერთი დავითი მეფობდა, რომელიც სამეფო ტახტიდან, მართლაც, იქნა გადაგდებული.

იმერთა მეფე სოლომონ I გარდაიცვალა 1784 წელს, რომლის შემდეგ გამეფდა დავით გიორგის ძე, ბიძაშვილი სოლომონ I-ისა. დავით გიორგის ძე 1789 წელს იმერთა და მეგრელთა ბრძოლაში დამარცხდა და ლტოლვილი ახალციხეში წავიდა. სამეფო ტახტი დაიკავა მეფე სოლომონმა, არჩილის ძემ¹⁷². იმერთა დასახმარებლად, როგორც პლ. იოსელიანი გადმოგვცემს, ქართლიდანაც გაუგზავნიათ ჯარი: „მასვე წელსა 1790 წარაელინეს ჯარი ქართველთა 4.000 და თანა ჰყუა სარდლად მუხრანის ბატონი იოანე, ქიზიყის მოურაფი ზაქარია ანდრონიკაშვილი, ჯარდან ეშიკალასბაში ჩოლოყაშვილი, ანდრონიკაშვილი რევაზ (ცოლისძმა მეფის ძის გიორგისა), და მეფის ძე იულონ. გ ა რ დ ა ა გ დ ე ს მ ე ფ ე დ ა ვ ი თ და განამეფეს სოლომონ მეორე ქუთაისს“¹⁷³.

ეს ისტორიული ფაქტია საიდუმლოდ გადმოცემული ჩვენს კრიპტოგრაფიაშიც. ამის მიხედვით, შესაძლოა დაეთარიღოთ აღნიშნული კრიპტოგრაფია. იგი დაწერილია XVIII ს. ბოლოს, უფრო ზუსტად, 1789 ან 1790 წელს, როცა ეს ამბავი მოხდა, ან ამის შემდგომ.

ხელნაწერის მფლობელის ერთი კრიპტოგრაფიის შესახებ

XI—XII საუკუნეების ხელნაწერი „სამოციქულოს თარგმანება“ (A—390), როგორც კრიპტოგრაფიდან გამოჩნდა, ჯარდან ჩოლოყაშვილის საკუთრება ყოფილა. ჯარდან ჩოლოყაშვილი XVIII ს. II ნახევრის მოღვაწეა, ერეკლე II-ის ეშიკალასბაში¹⁷⁴.

2. ლათინური ანბანით შედგენილი კრიპტოგრაფიები

საქართველოში საიდუმლო დამწერლობისთვის გამოუყენებიათ აგრეთვე ლათინური ანბანი. ამ ანბანით ნაწერი კრიპტოგრაფიები XVIII—XIX საუკუნეებისაა, მაგრამ ბერძნული ანბანის მსგავსად ლათინურის ხმარებაც უფრო ადრეა საეპარაუდო.

სხვადაწერილობის სისტემის ლათინურით ნაწერ კრიპტოგრაფიებში ქართული სიტყვების გადმოცემისას გარკვეულ თავისებურებებს ვხვდებით, რაც შემდეგში მდგომარეობს:

¹⁷² ნ ი კ ო დ ა დ ი ა ნ ი, ქართველთ ცხოვრება, 1962, გვ. 181, 185.

¹⁷³ პლ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, აკ. გაწერელისა შესავალი წერილებით, რედაქციით და შენიშვნებით, 1936, გვ. 18.

¹⁷⁴ იქვე.



ქართული ვ და უ გადმოცემულია ლათინური vu-თი (A—246, ცენტრარქივი № 586, 594.).

ქართული ზ-სთვის ბერძნული ζ შემოუტანიათ ლათინურში შესაბამისი ასოს უქონლობის გამო (Q—1387, Q—1431, S—1115, A—246).

ქართული თ გადმოცემულია ლათინური t-თი (A—246, ცენტრარქივი № 586, 594). ლათინური t-თია გადმოცემული აგრეთვე ქართული ტ. (A—246, ცენტრარქივი № 586, 594).

ქართული ქ-სთვის ლათინური q-ს მაგიერ გამოუყენებიათ ch გრაფიკითა ჭგუფი. ch იხმარება ხ-ს ნაცვლად. ქ = ch (A—246). ხ = ch (Q—1387, Q—1431, S—1115).

ქართულ სპეციფიკურ ასოს ყ-ს შეესაბამება c (ცენტრარქივის № 586).

ლათინური ანბანით ნაწერი კრიპტოგრამები შინაარსობლივ ძირითადად ტექსტის კომენტარებია (A—246, Q—1387, Q—1431, S—1115), ხოლო XIX ს.-ში შედგენილი სამიოდე კრიპტოგრამა სხვადასხვა შინაარსის მინაწერებია.

ჩვენი ყურადღება მიიქცია ანტონ I კათალიკოსის „გრამატიკის“ რამდენიმე ნუსხამ (S—1115, Q—1387 და Q—1431). სამივე ხელნაწერში ტექსტის ერთსა და იმავე ადგილებში მიწერილია სხვადაწერილობის სისტემის ლათინური ანბანით ნაწერი კრიპტოგრამები, რომელთა ამოხსნისას გაირკვა, რომ ტექსტის გარკვეული ადგილების კომენტარებია დაწერილი კრიპტოგრამებით.

სამივე ხელნაწერი ხელის მიხედვით მსგავსია და ერთი პირის მიერაა გადაწერილი. კრიპტოგრამებიც გადამწერსვე მიუწერია. გადამწერის ანდერძი მხოლოდ Q—1387 ნუსხას დაუცავს, საიდანაც ჩანს, რომ ხელნაწერი გადაწერია გიორგი ალექსის ძე მესხიშვილს 1763 წელს: „აღიწერა ქალაქსა ტფილისს კელითა ანჩისხატის დეკანოზის ალექსის ძის უნდოს მლუღლის გიორგისათა. რომელნიცა მიემთხუზოდეთ ნამუშავეესა ამას, შენდობას ყოფდეთ ჩემ ცოდვილისათენ. ქ“კს უნა“.

Q—1431 ხელნაწერის ტექსტი სრულია, მაგრამ ანდერძი არ არის მასში გადატანილი, ხოლო S—1115 ნუსხას აკლია ტექსტის უკანასკნელი გვერდი (იქნებოდა თუ არა მასში ანდერძი, არ ვიცით), ამის გამო ამ ხელნაწერის გადამწერიც არ იყო ცნობილი¹⁷⁵. პალეოგრაფიული თავისებურებების შესწავლით გაირკვა, რომ S—1115 და Q—1431 ხელნაწერთა გადამწერიც გიორგი ალექსის ძე მესხიშვილია¹⁷⁶.

¹⁷⁵ S—1115 ხელნაწერის გადამწერის ვინაობაზე არაფერია თქმული ხელნაწერთა აღწერილობაშიც—ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, S კოლექცია, II, 1961, გვ. 7.

¹⁷⁶ გიორგი მესხიშვილი უნდა იყოს გადამწერი აგრეთვე A—785 ხელნაწერთა, რომელიც ანტონ I გრამატიკას შეიცავს. იგი ნაკლულია. აკლია ტექსტის ის ნაწილი, სადაც



ბერძნული და ლათინური ანბანების გარდა სხვადასწერილობის სისტემაში მისათვის სომხურიც გამოუყენებიათ.

სომხურით ნაწერ კრიპტოგრამებში ზოგჯერ ერთი ქართული ასოს შესატყვისად გვხვდება ორი სომხური ასო. მაგალითად, ქართული ვ გადმოიციემა სომხური *ხ* და *ჟ*-თი (Q—1094, A—338). ქართული რ გადმოიციემა სომხური *ა* და *ჟ*-თი (Q—1094, A—338). ქართული უ გადმოიციემა სომხური *ა* (A—338) და *ჟ*-თი (Q—53), აგრეთვე *ნ*-თი (S—1328, H—618).

რაც შეეხება ქართულ სპეციფიურ ასოს ყ-ს, მის გადმოსაცემად გვაქვს S—1328 ხელნაწერში *ყ*.

სომხური ანბანით ნაწერი კრიპტოგრამები მცირეოდენია: ნაწილი გადამწერებს დაუწერიათ ანდერძების სახით, ზოგი კი სხვადასხვა ხასიათის მინაწერია.

გადამწერთა კრიპტოგრამები

უძველესი ნიმუში სომხურით ნაწერი კრიპტოგრამისა გვხვდება იოანე ოქროპირის „მათეს სახარების თარგმანებაზე“. ტიპური XI ს. ხელით ნაწერ ამ შესანიშნავ ხელნაწერზე ტექსტისავე ხელით 117 v-ზე, ფურცლის კიდეზე, მიწერილია სომხურით „კალკაჲ“. სიტყვის წინ დასმულია ჯვარი წერტილებით. შეიძლება გვეფიქრა, რომ ეს ჯვარი პირობითი ნიშანია, რომელიც ტექსტის კომენტართან ზის ხოლმე. მაგრამ ტექსტში, ამ გვერდზე მსგავსი ნიშანი არსად არა ჩანს. შეიძლება გვეფიქრა, რომ სომხურით ნაწერი სიტყვა ხელნაწერის სომხური ენიდან მომდინარეობაზე მიუთითებს. მაგრამ ცნობილია, რომ იოანე ოქროპირის „მათეს სახარების თარგმანება“ ბერძნულიდანაა ნათარგმნი¹⁷⁷. საფიქრებელია, რომ სომხური ანბანით ნაწერი სიტყვა „კალკაჲ“ სხვადასწერილობის სისტემის კრიპტოგრამაა. იგი უნდა იყოს გადამწერის სახელი. ძველ ქართულში დასტურდება მსგავსი ფორმის საკუთარი სახელები: კრაეაი, ხორგაი. X ს. პარხლის მრავალთავის (A—95) ანდერძში მოხსენებულია გაბრიელ პატარაჲ და გაბრიელ ხორგაი (გვ. 1222). ამრიგად, ქართველ გადამწერს თავისი სახელი მიუწერია სხვადასწერილობის სისტემის კრიპტოგრამით.

ერთი XVIII ს. კურთხევანი (Q—1094), როგორც ანდერძიდან ჩანს, გადაუწერია სიონის დეკანოზის შვილს ამბროსის 1742 წელს. მასვე ანდერძთან კრიპტოგრამაც მიუწერია: „გაბლერილი ამბროსის დაწერილია“

კრიპტოგრამებია მიწერილი. ტექსტობრივად A—785 ზემოაღნიშნული ხელნაწერების მსგავსია.

¹⁷⁷ კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, 1957, გვ. 68.

ეს წიგნი“. ჩვენი ყურადღება მიიქცია ერთმა XVIII ს. ძლისპირმა (A—338). ხელნაწერის ფურცლებზე, კიდეებზე, ტექსტის ხელით მიწერილია სომხური ანბანით ქართული სიტყვები, რომლებიც ტექსტის კომენტარებს წარმოადგენენ. A—338 ხელნაწერიც ამბროსის გადაწერილია (იხ. ანდერძი, გვ. 189). როგორც ხელის შედარებამ გავარკვია, A—338 და Q—1094 ხელნაწერების გადამწერი ამბროსი ერთი და იგივე პიროვნება ყოფილა, რომელსაც სცოდნია ქართული კრიპტოგრაფიის სხვადაწერილობის სისტემა.

„დიდი სჯულისკანონის“ გადამწერს ლაზარეს კრიპტოგრამულად დაუწერია თავისი გვარი: „ს ა ლ ა ლ ა ი ა ქ ა რ თ ე ე ლ ი“ (Q—53). ამავე ხელნაწერის მეორე კრიპტოგრამაში კი იგივე ლაზარე ამ ნუსხის გადასაწერად ფულის ანაზღაურებაზე ჩივის: „თუ ამისი ფასი არ მამცეს ახლა, მას საუკუნოს განკითხვაში მამცეს, ამინ“.

XVIII ს. ცნობილ კალიგრაფს ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილს ერთი „ზატის“ (S—1328) ანდერძი სომხური ანბანით დაუწერია¹⁷⁸, რათა იგი ყველასათვის ხელმისაწვდომი და გასაგები არ ყოფილიყო.

4. სლავური ანბანით შედგენილი კრიპტოგრამები

სლავური ანბანი სხვადაწერილობის სისტემისათვის, როგორც ჩანს, ჩვენში XVIII ს-დან შემოსულა ხმარებაში, მას შემდეგ, რაც ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობა უფრო გაღრმავდა. კრიპტოგრამების უმრავლესობა ძირითადად დაცულია იმ ხელნაწერებში, რომლებიც რუსეთში ჰქონიათ დავით და იოანე ბატონიშვილებს, აგრეთვე რუსეთს გადაწერილ ხელნაწერებში.

ქართულ სპეციფიკურ ასოებს კრიპტოგრამებში შემდეგნაირად გადმოსცემენ: ქ გადმოცემულია k-თი: ცენტრარქ. № 609.

ღ გადმოცემულია xrgz—თი: ცენტრარქ. № 609. H—2361.

შ „ „ K^o „ ცენტრარქ. № 609.

ძ „ „ II „ H—2361. ცენტრარქ. № 609.

წ „ „ II „ ცენტრარქ. № 609.

ცალკე გამოვყოფთ ამ სისტემის ჩვენამდე მოღწეულ ერთ-ერთ უძველეს ნიმუშს, რომელიც დაცულია მოსკოვში გადაწერილ ხელნაწერში (H—1246, 1754 წ.) ხელნაწერის გადამწერია სიონის დეკანოზი ნიკოლოზი. კრიპტოგრამისთვის ავტორს გამოუყენებია „კირილიცას“ ანბანი ცოტაოდენი სახეცვლილებით: 1) ქ-ს გადმოსაცემად ავტორი ხმარობს არა x-ს, არამედ ჯ-ს.

¹⁷⁸ გ. მიქაძე, ვეფხისტყაოსნის გადამწერი — ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილი, თბილისის უნივერსიტეტის საიუბილეო კრებული „შოთა რუსთველს“, 1966, გვ. 264.

2) D გადმოსცემს დ-საც და გ-საც. 3) ლ ნიშანი გადმოსცემს ე-ს, უნდა ყოფილიყო E. 3) o გადმოიცემა ხან H-თი, ხან I ასოთი. 5) უ გადმოიცემა V-თი. 6) ჟ-სთვის იხმარება Ж, 7) ბ-სთვის—B B, 8) ზოლო ძ-სთვის—З.

საინტერესოა, რომ კრიპტოგრაფის ეგზეცი ტექსტი დაუწერიათ ქართული ანბანით ამავე ხელნაწერში (225 r).

როგორც ჩვენამდე შემორჩენილი კრიპტოგრაფებიდან ჩანს, სლავური ანბანი გადამწერებს თავისი სახელის მისაფარავად არ გამოუყენებიათ. ეს კრიპტოგრაფები უფრო საყოფაცხოვრებო ხასიათის შენიშვნებს წარმოადგენენ (H—2357, H—2361), H—1246 ხელნაწერში კი სლავურით შესრულებულია ტექსტის თარგმანება. ჩანს, ეს მოწაყვეთი H—1246 ნუსხაში ტექსტისაგან გამოყოფის მიზნითაა ნაწერი სლავურად.

5. ნარევი ანბანებით შედგენილი კრიპტოგრაფები

სხვადასწერილობის სისტემაში ცალკე გამოყვავით კრიპტოგრაფები, რომელთა შედგენისას ერთდროულად ნახმარია რამდენიმე ანბანიდან ამოღებული ასო-ნიშნები. ერთ კრიპტოგრაფულ სიტყვაში ან წინადადებაში შესაძლოა იყოს ბერძნულ-ლათინურ-სლავური ასოები, ბერძნულ-ლათინური ან ბერძნულ-სომხური¹⁷⁹. ამ ტიპის უძველესი კრიპტოგრაფა დასტურდება მიქაელ მოდრეკილის კრებულში (S—425). კრიპტოგრაფა ასომთავრულითაა დაწერილი, შეიდასოიანია. ბერძნულ და სომხურ ასოებთან ერთად მიქაელს ქართულიც უხმარია. კრიპტოგრაფის მნიშვნელობა არ არის ნათელი.

ნარევი ანბანებით შედგენილი რამდენიმე კრიპტოგრაფაა დაცული XVII—XIX სს-ის ხელნაწერებში. არცერთი კრიპტოგრაფა არ არის ანდერძი. კრიპტოგრაფები სხვადასხვა შინაარსის მინაწერებია.

კომპილაციური სისტემები

იმ კრიპტოგრაფიული სისტემების გარდა, რომლებიც უკვე დამკვიდრდნენ ძველ ქართულში და რომელთაც დიდი გამოყენება ჰქონიათ, ძველსავე ქართულში შეუქმნიათ შედგენილობის თვალსაზრისით რთული სისტემები. ასეთი რთული შედგენილობის კრიპტოგრაფები ორი სისტემის კომპილაციითაა მიღებული. ეს სისტემებია: ანჩინურ-უკუდაწერილობის, სარკისებრ-უკუდაწერილობისა და პირობითი ნიშნებისა და უკუდაწერილობის კომპილაციური სისტემები.

¹⁷⁹ ზოგჯერ ასეთ კრიპტოგრაფებში ამა თუ იმ ანბანის ასოს სხვა, დათქმული მნიშვნელობაც აქვს. მაგ. H—927, H—1101 ხელნაწერთა კრიპტოგრაფებში; ბერძნული ასო უნდა წაეიკითხოთ ე-დ, ვ კი ი-დ და ა. შ.

1. ანჩინურ-უკუდაწერილობის კომპილაციური სისტემა



ამ სისტემისთვის ერთდროულად გამოუყენებიათ ანჩინური და უკუდაწერილობის სისტემები. მართალია, ამ კომპილაციური სისტემის მხოლოდ ორი კრიპტოგრამაა გადარჩენილია, მაგრამ, საფიქრებელია, რომ ეს სისტემა ძველად გავრცელებული უნდა ყოფილიყო. საგულისხმოა, რომ ჩვენამდე მოღწეულ ამ ორ კრიპტოგრამაში უკუდაწერილობის სისტემის სხვადასხვა ტიპებია გამოყენებული (II და III). ცხადია, ეს ფაქტი ამ სისტემის პოპულარობაზე მეტყველებს.

ანჩინურ-უკუდაწერილობის კომპილაციური სისტემის კრიპტოგრამები დაცულია შიომღვიმის ტიბიკონსა (H—1349) და რივის სახარებაში (Q—271). ხელნაწერი H—1349 გადაწერილია XIII ს-ში, გიორგი ხუცეს-მონაზონის მიერ ნუსხურით¹⁸⁰. ხელნაწერის 116 v-ზე ასომთავრულით მიწერილია¹⁸¹:

ჩ-ღ ყ-ღ ზ-ზც : ხ-ღს : ხს-რნ.
ქჩჩჩჩჩ რყა ღყღ:
ჩოოზჩო : ღ-ქს :

ამ მინაწერში ყურადღებას იქცევს ორი სიტყვა: „ჩტს: ჩრნი“. ორივე სიტყვა კრიპტოგრამაა, ძველ ქართულში ძალზე გავრცელებული ანჩინური სისტემისა. სიტყვები ასე გავხსენით: „აღკ: არნი“.

განვიხილოთ პირველი მათგანი: სიტყვაში „აღკ“ უნდა იგულისხმებოდეს საკუთარი სახელი „ლუკა“. იგი შედგენილი ჩანს ერთდროულად ორი სისტემის — ანჩინურისა და უკუდაწერილობის სისტემათა კომპილაციით.

„აღკ“ რომ „ლუკას“ ნიშნავს, ეს, უპირველეს ყოვლისა, თვით ანდერძიდან ჩანს. ანდერძში ასომთავრულით წერია: „ქე შე ლკა“ (=ქრისტე, შეიწყალე ლუკა).

„ჩტს“ კრიპტოგრამის ასეთი ამოხსნა შესაძლებლად მიგვაჩნია მსგავსი შედგენილობის კრიპტოგრამების არსებობის გამო ძველ ქართულში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს კრიპტოგრამა ანჩინურისა და უკუდაწერილობის კომპილაციური სისტემითაა შედგენილი. ანჩინური სისტემის ამოხსნით მივიღეთ „აღკ“. უკუდაწერილობის სისტემა გულისხმობს სიტყვის უკუღმა, შებრუნებით წაკითხვას. თუ აღნიშნული სიტყვა ქართულში გავრცელებულ ამ სისტემას ექვემდებარება, მაშინ „აღკ“ კი არ

¹⁸⁰ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, H კოლექცია, III, 1948, გვ. 303.

¹⁸¹ კრიპტოგრამა ხელნაწერთა აღწერილობაში (H კოლექცია, III, 1948, გვ. 303) გამოქვეყნებულია როგორც ასომთავრულით შესრულებული მინაწერი და არა კრიპტოგრამა.

უნდა გვეჩინოდა, არამედ „აქლ“. მაგრამ, როგორც ჩანს, მის ავტორს დაქარაგმებული ფორმიდან „ლკა“ მხოლოდ ა ასო გადაუტანია წინ; ასევე მივიღეთ „აქლ“.

„აქლ“ კრიპტოგრამას უკუდაწერილობის სისტემით ეხსნით შემდეგი მიზეზის გამო: ქართულ ხელნაწერებში დაიძებნა უკუდაწერილობის სისტემის ერთი სახეობის რამდენიმე კრიპტოგრამა (იხ. უკუდაწერილობის სისტემა, III ტიპი), რომლებიც შედგენილობით ემსგავსებიან „აქლ“ კრიპტოგრამას. არსენ ბულმაისისძის საგალობელთა კრებულის (A—85) კრიპტოგრამაშიც „ოლთ“ სიტყვა „აქლ“-ს მსგავსადაა დამოწერილი. უკუდაწერილობის სისტემით „ლთ“ სიტყვის დაწერილობა ასეთი გვეჩვენებდა „ოლთ“, მაგრამ, როგორც ვნახეთ, კრიპტოგრამაშია ოლთ: წინ გადასმულია მხოლოდ ბოლო ო ასო „ლთ“ დაქარაგმებული სიტყვისა. აქაც მსგავსი სურათია, როგორც იყო ჩვენს კრიპტოგრამაში: „ოლთ“ ნაცვლად „ოლთ“-სი, „აქლ“ ნაცვლად „აქლ“-სი. „ოლთ“ კრიპტოგრამა „აქლ“ კრიპტოგრამის ტიპიურია. ზუსტად ერთნაირადაა შედგენილი ორივე კრიპტოგრამა: დაქარაგმებული სიტყვიდან წინ გადასმულია ბოლო ასო.

„აქლ“ კრიპტოგრამის მსგავსია აგრეთვე საკუთარი სახელის „თადეოზ“-ის კრიპტოგრამაც. უკუდაწერილობის სისტემაში გამოიყოფა ერთი წყება კრიპტოგრამებისა, რომლებიც III ტიპში გავაერთიანეთ. ამ ტიპის პირველ ქვეტიპში გაერთიანდა ის კრიპტოგრამები, რომლებიც დაქარაგმებულ სიტყვებს წარმოადგენენ და რომლებიც შებრუნებით, უკუღმა დაუწერიათ: „ოლთ“ და „აქლ“. მაგრამ შებრუნება ხდება აგრეთვე მხოლოდ სიტყვების გარკვეულ მარცვლებში, ნაწილობრივ. საბასეულ „ქილილა და დამანას“ (S—31) კრიპტოგრამაში „ზოეთად“ არაკრიპტოგრამულია მეორე მარცვალი „თად“, ხოლო კრიპტოგრამულია „ზოე“ მარცვალი, რომლის მარჯვნიდან მარცხნივ წაკითხვისა და ორივე მარცვლის გაერთიანებით მივიღებთ „თადეოზ“-ს. ასევეა შედგენილი „ნიამ“ კრიპტოგრამაც (=ამინ) (ცენტრარქივის ფ. 1446, № 99). (ამ საკითხის შესახებ იხ. უკუდაწერილობის სისტემა).

ამრიგად, აღნიშნული კრიპტოგრამები თავისებური შედგენილობისა არიან: დაქარაგმებულ სიტყვებში კრიპტოგრამა მიიღება სიტყვის ბოლო ასოს წინ გადასმით, ხოლო დაუქარაგმებელ სიტყვებში შებრუნებულია მხოლოდ ერთი მარცვალი, ჩვეულებრივ პირველი, ხოლო მომდევნო მარცვალი შეუბრუნებლადაა დატოვებული. „აქლ“ კრიპტოგრამაც ამ ტიპის პირველ ქვეტიპს განეკუთვნება.

რაც შეეხება ჩვენი კრიპტოგრამის („ჩტს: ჩრნი“) მეორე სიტყვას „ჩრნი“. იგი უფრო მარტივად იხსნება. კერძოდ, სიტყვის მხოლოდ დასაწყისი ასოა ანჩინური სისტემით დაწერილი, ა-ს ნაცვლად გვაქვს ჩ. დანარჩენი ასოები „რნი“ მის ავტორს აღარ შეუცვლია შესაბამისი კრიპ-



ტოგრამული ანბანით. ასეთი წესი: რომელიმე სიტყვის მხოლოდ ერთი, გარკვეული ნაწილის საიდუმლო ანბანით წერა, არ არის უცხო ძველი ქართული კრიპტოგრაფიისათვის. მაგ.: სათვალავადი სისტემის ერთ კრიპტოგრამაში „რვა“ რიცხვითი სახელის პირველი ასო რ არის სათვალავადი სისტემის კრიპტოგრამული ანბანით დაწერილი, სიტყვის მომდევნო ასოები კი არაკრიპტოგრამული, მხედრული ასოებითაა ნაწერი (H—1318 და სხვ.).

მაშასადამე, კრიპტოგრამის მეორე სიტყვა „ჩრნი“ ასე ამოიხსნება: „აჩნი“, ქარაგმის გახსნით — „არსენი“.

ამრიგად, „ჩტს: ჩრნი“ კრიპტოგრამა ასე იხსნება: „ლუკა. არსენი“. ისმის კითხვა, ვის გულისხმობს ეს საკუთარი სახელები? საფიქრებელია, რომ პირველი სახელი „ლუკა“ გადამწერს გულისხმობდეს. მართლაც, იქვე, კრიპტოგრამას უძღვის ასომთავრულით ნაწერი ანდერძი: „ქე შე ლუკა“. მაგრამ ლუკა არ არის გადამწერი H—1349 ხელნაწერისა, რასაც ამ ნუსხის ანდერძი ადასტურებს: „სახელითა ღისა ყლისა მპყრობელისაჲთა, რომლისა კელთა შინა არს სული ყოველთაჲ, რომლისა სახელი კურთხეულ უკე. მე, გიორგი, სახითა ოდენ მონაზონ ხუცესი, ხოლო სხუთა ყოვლითა აღსავე ცოდვითა, ღირს ვიქმენ აღწერად ამის წიგნისა და შემდგომად აღსრულებისა აღმზრდელისა ჩემისა, დავდევ ეკლესიასა მღუმისასა, საჯსენებელად სულისა მისისა და ჩემისაჲცა. წმიდანო მამანო! ლოცვა ყავთ ლუკასთჳს, რათა უფალმან ღმერთმან თქცა სასყიდელი მოგანიჭოს. აწ ვინცა იკადროს და გამოაჭუას ეკლესიასა მღუმისასა, მოსაჯულმცა არს წმიდაჲ შიო წინაშე ღისა ღღესა მას განსჯისა და განკითხვისასა“ (129 v).

როგორც ანდერძიდან ჩანს, H—1349 ხელნაწერი გადაუწერია გიორგი ხუცეს-მონაზონს, რომელსაც მისი აღმზრდელის ლუკას გარდაცვალების შემდგომ ეს ხელნაწერი შეუწირავს შიომღვიმის მონასტრისათვის. მაშასადამე, ლუკა ყოფილა გიორგი ხუცეს-მონაზონის აღმზრდელი. ლუკას გადაუწერია H—1349 ხელნაწერის დედანი, რასაც ადასტურებს ამავე ხელნაწერში დაცული მისი ანდერძი, რომელიც გიორგი ხუცეს-მონაზონს უცვლელად გადმოუტანია დედნიდან. ამ ანდერძში ლუკას თავისი სახელი ორგვარად დაუწერია: არაკრიპტოგრამულად (ასომთავრულით „ზზც“) და ანჩინურ-უკუდაწერილობის კომპილაციური სისტემის კრიპტოგრამით („ჩრნი“).

რაც შეეხება კრიპტოგრამაში მოხსენიებულ არსენს, „შიომღვიმის ტიპიკონი“ შეიცავს „ერთ ლიტურგიკული მნიშვნელობისა და დანიშნულების ძეგლს“¹⁸², რომელსაც ეწოდება „თანამდები ღთისა მიმართ

¹⁸² ქ. ქეკელიძე, ქართული ლიტ. ისტორია, I, 1960, გვ. 485.

წლითი-წლადი მადლობად, რომელსა დღესა მიიღო ეკლესიამან ღთისამან გამოსაჩინებელი კეთილმსახურებისა შჯულთათაჲ და დაქცევაჲ სიბოროტისა ბოროტად მსახურებათაჲ“ (110 v—116 v). სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ „შიომღვიმის ტიპიკონში“ შესული ამ ძეგლის მთარგმნელი უნდა იყოს არსენ იყალთოელი¹⁸³. არსებობს მეორე მოსაზრებაც, რომლის მიხედვით არსენ იყალთოელი მთარგმნელია შიომღვიმის მთელი ტიპიკონისა (H—1349 ხელნაწერი სრულად)¹⁸⁴.

ჩვენი კრიპტოგრაფის („ჩტს: ჩრნი“) მეორე საკუთარი სახელი „არსენი“ არსენ იყალთოელს უნდა გულისხმობდეს. H—1349 ხელნაწერის დედანში მის გადამწერს ლუკას კრიპტოგრაფულად მიუწერია ზემოთ დასახელებული ძეგლის ბოლოს ჯერ თავისი სახელი, შემდგომ ამ თხზულების მთარგმნელის არსენის სახელი. H—1349 ხელნაწერის დედანი კი, როგორც გადამწერ ლუკას ანდერძიდან ჩანს („ჩტრნი იყო ტკბ“), 1172 წლისაა. ამდენად, კრიპტოგრაფა „ჩტს: ჩრნი“, რომელშიც მიჟარულია გადამწერ ლუკასთან ერთად მთარგმნელის არსენის სახელიც, ერთ-ერთი უძველესი, და ამასთანავე, მეტად მნიშვნელოვანი საბუთია, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ ვარაუდს უჭერს მხარს.

ამრიგად, „შიომღვიმის ტიპიკონის“ კრიპტოგრაფა „ჩტს: ჩრნი“ შედგენილია ანჩინურისა და უკუდაწერილობის კომპილაციური სისტემით. აქ გამოუყენებიათ უკუდაწერილობის სისტემის III ტიპი, როდესაც დაქარაგმებული სიტყვიდან ბოლო ასოა გადატანილი და ასეა შებრუნებული სიტყვა. „ჩტს: ჩრნი“ კრიპტოგრაფაში, კერძოდ, „ჩტს“ სიტყვაში ერთდროულადაა ორივე სისტემა მოცემული: როგორც ჩანს, ჯერ შეუბრუნებიათ სიტყვა „ლკა“, ხოლო შემდეგ კი ანჩინურ სისტემაზე გადაუტანიათ. მაშასადამე, აქ კომპილაცია თვით ერთ სიტყვაში ხდება ერთდროულად. სხვაგვარი ვითარებაა ანჩინურ-უკუდაწერილობის მეორე კრიპტოგრაფაში (Q—271): აჩ : ოყ : კღჲს : ჩრწ : ყწღჲსღჲსჲს : ძოღჲს—ფღჲს.

აქ პირველი ორი სიტყვა „აჩ : ოყ“ უკუდაწერილობის სისტემის II ტიპისაა, ე. ი. სიტყვები განლაგებულია მარცხნიდან მარჯვნივ, მაგრამ თვით სიტყვებს გკითხულობთ მარჯვნიდან მარცხნივ, უკუღმა. კრიპტოგრაფის დანარჩენი სიტყვები ანჩინური სისტემისაა. კრიპტოგრაფა ასე იხსნება: „ღმერთო, შეიწყალე სული ფრიად ცოდვილისა იოვანესი.“ იგი შემდეგ კონტექსტშია ჩართული: „ღმერთო, შეიწყალე სული ფრიად ცოდვილისა იოვანესი დიდსა მას დღესა განკითხვისასა, ამენ, უფალო“. წინადადებაში ბოლო სიტ-

¹⁸³ ე. გ. უნაშვილი, ექვთიმე მთაწმინდლის კანონიკური კრებული „მცირე სჯულისკანონი“, „მაცნე“, 1969, № 2, გვ. 213.

¹⁸⁴ ე. გაბიძაშვილი, რუის-ურბნისის კრების „ძეგლისწერის“ ავტორის ვინაობისათვის, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის XIV სამეცნიერო სესია, თბილისი, 1972, გვ. 8; მისივე, რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა, 1978, გვ. 63—65.

ყვები „დიდსა მას დღესა განკითხვისასა, ამენ, უფალო“ არაკრიპტოგრაფულია. საგულისხმოა, რომ ამ წინადადების ბოლო ორი სიტყვა „ამენ უფალო“ XVI ს. მხედრულითაა მიწერილი. ცინიდან მთელი წინადადება ერთი ხელითაა დაწერილი, ამიტომ კრიპტოგრამაც XVI ს-ით დავათარიღებთ.

კრიპტოგრამაში მოხსენებული იოვანე გვარად სვიმონიძე უნდა იყოს, რასაც მოწმობს ამავე ხელით მიწერილი მინაწერი 31 r-ზე. ამ მინაწერში „იოვანე სვიმონიძე“ შემდეგ სხვა მელნით გადაუშლიათ: „ღო და ყდ წო ლისმშულო შე სლი იწესი სკმნძისა“ (31 r). (მასვე ეკუთვნის მინაწერი 30 v-ზე: „უფალო ღო ნუ წარსწყმედ...“ აქ ბოლო სიტყვა გადაშლილია).

ამრიგად, მართალია, ანჩინურ-უკუდაწერილობის სისტემის მხოლოდ ორი კრიპტოგრამა გადარჩენილა, მაგრამ არც ეს სისტემა უნდა ყოფილიყო იშვიათი ხმარებისა, რასაც, პირველ რიგში, გვაფიქრებინებს უკუდაწერილობის სისტემის სხვადასხვა ტიპის გამოყენება ამ კომპილაციური სისტემისათვის.

2. სარკისებრ-უკუდაწერილობის კომპილაციური სისტემა

1801 წ. გადაწერილ საგალობელთა ერთ კრებულზე (A—1050) ხელნაწერის გადამწერს ნეოფიტეს მიუწერია კრიპტოგრამა, რომელშიც ასოები სარკისებრ შებრუნებულია. სარკის დახმარებით ეს სიტყვა ასე იკითხება: „ზლკინ“. „ზლკინ“ სიტყვას თუ უკულმა, მარჯვნიდან მარცხნივ, წავიკითხავთ, გვექნება „ნიკლზ“, ქარაგმის გახსნით — ნიკოლოზ. მაშასადამე, კრიპტოგრამის ავტორს სიტყვაში ასოები შეუბრუნებია სარკისებრ და ამავე დროს გამოუყენებია უკუდაწერილობის სისტემაც.

ეს კრიპტოგრამა საყურადღებოა თავისი აღნაგობით: ორი სისტემის მონაცვლეობა ერთი სიტყვის ფარგლებში ხდება მსგავსად ზემოთ განხილული „ჩტს“ კრიპტოგრამისა (იხ. ანჩინურ-უკუდაწერილობის სისტემა).

სარკისებრ-უკუდაწერილობის კომპილაციური სისტემის მეორე ნიმუშიც XIX ს-საა (Q—765, ს.-ს. ორბელიანი, სიტყვის კონა). კრიპტოგრამა ორი სიტყვისაგან შედგება. აქაც ასოები სარკისებრ შებრუნებულია. სარკის დახმარებით იგი ასე იკითხება: „ასითელ ანომ“, ხოლო თუ ამ სიტყვებს მარჯვნიდან მარცხნივ წავიკითხავთ, გვექნება „მონა ღეთისა“.

როგორც ვნახეთ, სარკისებრ-უკუდაწერილობის კომპილაციური სისტემის ნიმუშები XIX ს-შია შესრულებული. საფიქრებელია, რომ ამ სისტემის ადრეულმა ნიმუშებმა ჩვენამდე ვერ მოაღწიეს. სარკისებრ-უკუდაწერილობის სისტემა შესაძლებელია XIX ს-ზე უფრო ადრე არსებობ-

და, რასაც გვაფიქრებინებს ანჩინურ-უკუდაწერილობის კომპილაციური სისტემის არსებობა.

ქართული
ენათმეცნიერება

3. პირობითი ნიშნებისა და უკუდაწერილობის კომპილაციური სისტემა

კომპილაციურ სისტემათა ჯგუფს განეკუთვნება აგრეთვე ერთი სახეობა საიდუმლო დამწერლობისა, რომელიც შედგენილია პირობითი ნიშნებისა და უკუდაწერილობის სისტემათა კომპილაციით. რა ხასიათისაა ამ სისტემაში შემავალი პირობითი ნიშნები? მოხაზულობის თვალსაზრისით ეს ნიშნები ძირითადად არაბული ანბანიდან არის აღებული, თუმცა ზოგიერთი გრაფემა სხვა ენების ანბანიდან აღებულია. ამ კომპილაციური სისტემის კრიპტოგრამები სამ ხელნაწერში დადასტურდა. A—604, Q—1346 და ცენტრარქივის № 207. ხელნაწერები A—604 და ცენტრარქ. № 207 XVIII ს-შია გადაწერილი, კრიპტოგრამებიც ამავე საუკუნით თარიღდება. რაც შეეხება Q—1346 ხელნაწერს, იგი შედგენილია XVII—XVIII სს-ებში გადაწერილი ფრაგმენტებისაგან. კრიპტოგრამები ამ ხელნაწერში XVIII ს. ბოლოს ან XIX ს. დასაწყისშია ჩაწერილი. სამივე ხელნაწერში დაცული კრიპტოგრამების გასაღები ძირითადად მსგავსია. გამოვლინდა A—604 და Q—1346 ნუსხებში ჩაწერილი ამ ტიპის კრიპტოგრამული ანბანებიც. A—604, Q—1346 და ცენტრარქივის № 207 ხელნაწერის კრიპტოგრამული ანბანის შესწავლამ დაგვანახვა, რომ ეს ანბანი არაბული ენის მკოდნე პირის შედგენილია და ძირითადად იგი არაბულ ანბანს დასესხებია, არაბულიდან აღებულია მთელი რიგი გრაფემების მოხაზულობა. საგულისხმოა, რომ კრიპტოგრამული ანბანისა და არაბული ანბანის მსგავსი მოხაზულობის გრაფემები შინაარსობრივ არ ემთხვევიან ერთმანეთს ერთი გამონაკლისის გარდა: $\underline{\text{ჰ}}$ (არაბ.) = შ (ქართ.). მეტი საიდუმლოებისათვის არაბულის და ქართული კრიპტოგრაფიული ანბანის მნიშვნელობები განსხვავებულია. მაგ., არაბული و (=ე) გრაფემა კრიპტოგრამულ ანბანში იკითხება, როგორც ა^{185} . კრიპტოგრამული ანბანის შემდგენელს ზოგჯერ თუ ზუსტად აღმოაჩენს არაბულიდან ქართულში ამა თუ იმ გრაფემის მოხაზულობა, ზოგჯერ არაბული ანბანის მოხაზულობის მიხედვით თვითონ თხზავს ახალ გრაფემას (იხ. კრიპტოგრამულ ანბანში ქართ. ჟ და მისი შესატყვისი კრიპტოგრამული ასო).

კრიპტოგრამული ანბანისათვის არაბული ანბანის შემდეგი გრაფემებით უსარგებლიათ:

1) არაბული چ (=ჩ) და ج (=ჯ) ასოთა მოხაზულობა. არაბულში

¹⁸⁵ არაბული ანბანის მიმოხილვისას დახმარება გავციქვის ხელნაწერთა ინსტიტუტის მეცნიერმა თანამშრომლებმა რ. გვარამიამ და ნ. ყანჩაველმა, რისთვისაც მადლობას მოვასვენებთ.

უწერტილოდ ეს გრაფემა რ-ს ნიშნავს (კრიპტოგრაფულ ანბანში-გადმოსაცემს ა-ს), თუ ერთი წერტილი დაესმის, იქნება ზ (კრიპტოგრაფულ ანბანში ერთწერტილიანი კ უდრის გ-ს, Q—1346). მაგრამ კრიპტოგრაფულ ანბანში დარღვეულია არაბული დამწერლობის ეს კანონზომიერება. გადმოღებულია მხოლოდ ამ გრაფემის მოხაზულობა და წერტილთა რაოდენობა ნებისმიერად ესმის: გვაქვს ორი ან სამი წერტილითაც. რაც მთავარია, წერტილის ადგილიც ნებისმიერად არის განსაზღვრული. წერტილები დაესმის როგორც ზემოდან, ასევე მარჯნივ და ქვემოთაც და შესაბამისად წერტილების რაოდენობა და ადგილი ქართული კრიპტოგრაფული ასოების მნიშვნელობებს ცვლის.

ამრიგად, არაბული კანონზომიერებები ქართულ კრიპტოგრაფულ ანბანში შემდეგი ვარიაციებითაა წარმოდგენილი:¹⁸⁶

٢) ؟) . ٢) ٢) ٢) ٢)

2) არაბული გრაფემების پ (-ბ), ت (-თ), ث (-ს) მოხაზულობა კრიპტოგრაფული ანბანის ავტორს გადმოჰყლია შემდეგი სახით: پ ٢ ب ٢ ت ٢ ث

როგორც ვხედავთ, ქართულში წერტილების ადგილი არ არის დაკული არაბულის შესაბამისად. ასევე, მნიშვნელობები ქართული კრიპტოგრაფული ანბანისა და არაბული გრაფემებისა განსხვავებულია.

3) არაბული ორმხრივ გადაბმული ـ (-ს) და ـ (შ) ასოები დასტურდება ქართულ კრიპტოგრაფულ ანბანში ოღონდ გადაბმის ხაზების გარეშე. წერტილების ადგილი და რაოდენობა ქართულში ნებისმიერადაა ნახმარი, ისინი ამ გრაფემას ზოგჯერ ზემოდან დაესმის, ზოგჯერ ქვემოდან: ხან ერთი წერტილია ნახმარი, ხან ორი, ხან კი სამი. მნიშვნელობები არაბული და ქართული ასოებისა, რა თქმა უნდა, აქაც განსხვავებულია, ოღონდ ქართული კრიპტოგრაფული ანბანის შ (ـ) ემთხვევა არაბულ შ-ს (ش). არაბული შ, როგორც აღვნიშნეთ, გრაფიკულად ოდნავ სხვაობს, ზედმეტია ორმხრივ გადაბმის ხაზები.

ასეთი სახე მიუღია ქართულ კრიპტოგრაფულ ანბანში არაბულ ასოებს:

ا ٢ ب ٢ ا ٢ ا ٢ ا

4) გრაფიკული მსგავსება შეინიშნება ქართული კრიპტოგრაფული ანბანის

س ٢ س ٢ (-პ) ასოსა და არაბულ ცალკე მდგომ, გაკრულად დაწერილ

س (-ს)-ს შორის.

¹⁸⁶ ამ ასოებისა და ქვემოთ დასახელებული ასოების მნიშვნელობები იხ. კრიპტოგრაფულ ანბანებში.

5) ქართულ კრიპტოგრამულ ანბანში რამდენიმე ასოსთვის უხმარი-
ათ დაახლოებით ერთი მოხაზულობის გრაფემა, რომელსაც ძირითადად
მნიშვნელობებს უცვლის წერტილები. წერტილების რაოდენობა და
გილი (ისინი ხან ასოს ზემოდან დაესმის, ხან ასოს ქვემოთ) განსაზღვრავს
კრიპტოგრამული ასოების მნიშვნელობებს. კრიპტოგრამულ ანბანში შემ-
დეგი ვარიაციებითაა წარმოდგენილი ეს გრაფემა:

ჟ ჟ ჟ ჟ ჟ ჟ ჟ ჟ

კრიპტოგრამული ანბანის შემდგენელს, ცხადია, არაბული ანბანით
უსარგებლია ამ შემთხვევაშიც. ზემომოტანილი ნიშნები მიემსგავსება
არაბული ორი გადაბმული ასოს მოხაზულობას.

1. **ف** **ف** **ف** **ف** **ف** **ف** **ف** **ف** 2. **ق** **ق** **ق** **ق** **ق** **ق** **ق** **ق**

6) არაბული **غ** (-ღ) და **ع** (-ე) გრაფემები ქართულში გადმოუღლიათ
იმავე ფორმით, ოღონდ მნიშვნელობები შეცვლილი აქვთ.

7) არაბული **ع** (-ჰ) გრაფემა გვხვდება Q—1346 ხელნაწერის კრი-
პტოგრამულ ანბანში. აქ იგი ქართული **ხ** და **ჯ** ასოების მაგიერ უხმარიათ.
არაბული **ع** გრაფემა ოდნავ ფორმაშეცვლილი სახით დასტურდება A—
604 და არქივის № 207 ხელნაწერებში. მას ბუნის ქვედა ნაწილი შეე-
რული აქვს. იგი იმავე **ხ** ქართული ასოებისთვის უხმარიათ.

ამრიგად, A—604, ცენტრარქ. № 207 და Q—1346 ხელნაწერთა კრიპ-
ტოგრამული ანბანი ძირითადად არაბული ანბანის გავლენითაა შედგენი-
ლი. გამოყენებულია არაბული ანბანის ასოთა მოხაზულობა გარკვეული
სახეცვლილებებით და თითოეულ კრიპტოგრამულ ასოს პირობითად და-
თქმული მნიშვნელობები აქვს მინიჭებული. მაგრამ კრიპტოგრამული ან-
ბანი მთლიანად არაბულის მიხედვით არ არის შედგენილი. ორიოდე ასო
სლაუერიდან გადმოუღლიათ მნიშვნელობების შეუცვლელად (ქართ. ნ—H,
ქართ. ო—O). რაც შეეხება ქართული ასოების (დ, ე, ზ, თ, ს, ქ, ჯ, ჰ, შ)
აღმნიშვნელ კრიპტოგრამულ ასოებს, ისინი პირობითი ნიშნების სხვა
კრიპტოგრამულ გასაღებებშიც დასტურდება.

აღნიშნული კრიპტოგრამების ამოხსნის შემდგომ გაირკვა, რომ ყვე-
ლა მათგანი იკითხება მარჯვნიდან მარცხნივ, რაც უთუოდ არაბულის
გავლენით აიხსნება. ჩანს, ამ კრიპტოგრამული ანბანის შემდგენელს არა-
ბულიდან უნესხებია არა მხოლოდ ასოთა მოხაზულობა, არამედ არაბუ-
ლის წერის მანერაც. რაკი ყველა კრიპტოგრამა დაწერილია მარჯვნიდან
მარცხნივ, ასევე მარჯვნიდან მარცხნივ, ე. ი. ქართულისათვის უკუღმა,
შებრუნებით უნდა წავიკითხოთ ისინი. ქართულ საიდუმლო დამწერლო-
ბაში, როგორც ვნახეთ, არსებობს უკუდაწერილობის სისტემა, რომელიც

სწორედ უკულმა, მარჯვნიდან მარცხნივ სიტყვებისა თუ წინადადებების წაკითხვას გულისხმობს. რაკი აღნიშნულ ხელნაწერთა (A—604, ცენტრალური არქ. № 207 და Q—1346) კრიპტოგრამებიც მარჯვნიდან მარცხნივ იკითხება, მათ უკულდაწერილობის სისტემას მივაკუთვნებთ. მაშასადამე, აქ ერთდროულად გვაქვს კომპილაცია პირობითი ნიშნებისა და უკულდაწერილობის სისტემებისა.

A—604 ხელნაწერის კრიპტოგრამული მინაწერი ამ სისტემის შემოღების ვინაობასაც ამხელს. ერთ-ერთ კრიპტოგრამაში (36 r) მითითებულია: „იოვანე ორბელიანის ნასწავლები ხელი“. ცხადია, აქ „ხელი“ გულისხმობს არა კალიგრაფიას საერთოდ, არამედ გარკვეულ ცოდნას, ამ შემთხვევაში კრიპტოგრამული ანბანისა. „ხელის“ ამ მნიშვნელობას ადასტურებს მეორე კრიპტოგრამა A—604 ხელნაწერისა: „ამისთანა ხელი არ ვარგა“ (36 r). კრიპტოგრამის ავტორი იწუნებს არა რომელიმე ნაწერს, არამედ საერთოდ იმ ცოდნას, რომელზეც საუბარია პირველ კრიპტოგრამაში. როგორც ჩანს, კრიპტოგრამების დამწერს, მართალია, არ მოსწონს ასეთი კრიპტოგრამული ანბანი, მაგრამ იქვე მიუთითებს, რომ ეს ცოდნა კრიპტოგრამული ანბანისა იოვანე ორბელიანის ნასწავლებია.

პირობითი ნიშნებისა და უკულდაწერილობის კომპილაციური სისტემის კრიპტოგრამების ერთი წყება დაცულია ფრაგმენტების კრებულში (Q—1346). როგორც მათი ავტორი აღნიშნავს, ეს კრებული ვინმე იოანე წინამძღვრისა არის (9 v). ისმის კითხვა: ხომ არ არის A—604 და Q—1346 ხელნაწერების კრიპტოგრამებში მოხსენებული იოვანე ორბელიანი და იოვანე წინამძღვარი ერთი და იგივე პირი? მათ იდენტურობას უნდა ადასტურებდეს ორივე ხელნაწერის კრიპტოგრამებისათვის ერთი და იმავე სისტემის ანბანის გამოყენება. ამასთანავე, იოვანე ორბელიანი (1693—1780 წწ.) იყო ცნობილი ფილოსოფოსი და სამეფო კარის მდივანბეგი¹⁸⁷. (შდრ. აგრეთვე ანტონ კათალიკოზის წერილები იოანე მდივანბეგთან მოწერილი ვლადიმირიდან — „ბრწყინვალესა მთავარსა იოანე ორბელიანსა, მსაჯულთუხუცესსა ყოვლისა ქართლისასა, უსასყიდლოს მეგობარსა ჩემსა ანტონი არხიეპისკოპოსი სიყუარულით მოგიკითხავ“ H—2510/6, 4 r v). იოვანე ორბელიანი 1731 წ. რომის ეკლესიას შეუერთდა და ქართული სამღვდლოების რისხვა დაიმსახურა, იგი განდევნა ზაქარია გაბაშვილმა, ხოლო შემდეგ ერეკლეს ისევ დაუბრუნებია¹⁸⁸. ეს იოვანე ორბელიანი უნდა იყოს აღნიშნული საილუმლო ანბანის შემდგენელი.

როგორია აღნიშნული კომპილაციური სისტემის კრიპტოგრამები ში-

¹⁸⁷ მ. ქ ა ვ თ ა რ ი ა, XVIII ს-ის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან, 1977, გვ. 227.

¹⁸⁸ გ. ლ ე ო ნ ი ძ ე, გამოკვლევები და წერილები, 1958, გვ. 312; გვ. 297, 363. 3.

ნაარსის მიხედვით? ამ ანბანით დაწერილი გადამწერთა ანდერძები არ შეგვხვედრია. კრიპტოგრაფული მინაწერები ხელნაწერებზე მათ მფლობელებს მიუწერიათ. A—604 და Q—1346 ხელნაწერთა კრიპტოგრაფები ცნობებს გვაწვდიან იოანე ორბელიანის შესახებ (იხ. ზემოთ). ჩვენი ყურადღება მიიქცია აგრეთვე ცენტრარქივის ხელნაწერის № 207 (პროკლე დიადოხოსი, კავშირნი ღვთისმეტყუელებითნი) კრიპტოგრაფებმა: გადამწერს კრიპტოგრაფულად დაუწერია ტექსტის კომენტარები. მათი რაოდენობა 45-ს შეადგენს.

პირობითი ნიშნებისა და უკუდაწერილობის კომპილაციური სისტემის ნიმუშები, როგორც ენახეთ, XVIII ს. ხელნაწერებში გვხვდება. ამაზე უადრეს არც უნდა ვივარაუდოთ ამ სისტემის წარმოშობა. მის შემომღებად, როგორც თვით კრიპტოგრაფები მიგვანიშნებენ, იოანე ორბელიანი უნდა მივიჩნიოთ.

ამრიგად, ქართულში ცალკეულ კრიპტოგრაფულ სისტემათა გარდა შეუდგენიათ აგრეთვე რთული, კომპილაციური სისტემები. ამ სისტემათა არსებობა, თავის მხრივ, ძველი ქართული კრიპტოგრაფიის პოპულარობაზე უნდა მიუთითებდეს.

აკროსტიკული სისტემა

ბერძნულ კრიპტოგრაფიაში გარდა ასოთა მონაცვლეობით შედგენილი სისტემებისა დასტურდება ასოთა თავისებური განლაგებით შედგენილი სისტემა, რომელიც ერთ-ერთი უძველესია. ამ სისტემის მიხედვით ასოები გაწყობილია აკროსტიქის მსგავსად. როგორც ვ. გარდტჰაუზენი გადმოგვცემს, სპარტანელთა ერთ-ერთი მაღალი თანამდებობის პირი მთავარსარდალთან გასაგზავნ საიდუმლო წერილს ამ მეთოდით წერს ჯონზე¹⁸⁹.

აკროსტიკული სისტემა ქართულშიც დასტურდება. საფიქრებელია, რომ იგი ბერძნულის გავლენით შეიქმნა. დღემდე მოღწეული ნიმუშების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ეს სისტემა დიდად გავრცელებული არ უნდა ყოფილიყო ქართულში, რაც თვით სისტემის შედგენილობით აიხსნება. ასეთი სისტემის ნიმუშების ამოკითხვა იოლია, ვინაიდან იგი შედგენილია ქართული ანბანით, ხოლო ერთგვარად გაძნელებულია მისი ამოკითხვა ასოთა თავისებური განლაგების გამო.

უძველესი ნიმუში ქართული აკროსტიკული სისტემისა X ს. ჰიმნოგრაფს მიქაელ მოდრეკილს ეკუთვნის, მიქაელ მოდრეკილის ჰიმნოგრაფიულ კრებულს (S—425) დაუცავს ქართული კრიპტოგრაფიის უძველეს-

¹⁸⁹ V. Gardthausen, Griech. palaeogr. II, 1913, გვ. 300—301.

სი და ამასთანავე უნიკალური ნიმუშები: სათვალავადი, აკროსტიქული და სხვა დაწერილობის სისტემებისა.

S—425 ხელნაწერი გადაუწერია რამდენიმე პირს: მიქაელ მოდრეკილს, ეფთვიმეს და ანონიმს¹⁹⁰. ნუსხაში დასტურდება არა ერთი ანდერძი მიქაელ მოდრეკილისა. ერთ-ერთი ასეთი ანდერძი მიქაელ მოდრეკილს ასოთა აკროსტიქული განლაგებით დაუწერია (154 რ).

მეორე ნიმუში აკროსტიქული სისტემისა XVIII საუკუნისაა. S—172 ხელნაწერის (გადაწ. 1787 წ.) ქვედა ყდაზე XVIII ს. მხედრულით მიწერილია სამი სტრიქონი. თითოეულ სტრიქონში ცხრა-ცხრა ასოა, რომლებიც ერთმანეთისაგან გამოყოფილია წერტილებით (იხ. კატალოგი). სტრიქონების თავსა და ბოლოში დასმული ნიშნები (I) სტრიქონის დასაწყისსა და დასასრულს აღნიშნავს. კრიპტოგრაფული მინაწერი არ არის დაწერილი მოგონილი პირობითი ნიშნებით, იგი ქართული ანბანითაა შესრულებული, მაგრამ მისი წაკითხვა ჩვეულებრივ, მარცხნიდან მარჯვნივ უაზრობაა.

საყურადღებოა, რომ კრიპტოგრაფის ავტორს სამივე სტრიქონი დაუწერია ისე, რომ აკროსტიქულად მისი წაკითხვა გაძნელებულიყო. მეორე სტრიქონი უფრო ღრმად, მარჯვნივ არის შეწეული, ვიდრე პირველი, ასევე მესამე სტრიქონიც უფრო მარჯვნივაა გაწეული, ვიდრე მეორე. მაშასადამე, კრიპტოგრაფის მთელი საიდუმლოება მდგომარეობს ასოთა თავისებურ განლაგებაში. სამივე სტრიქონის აკროსტიქულად, ზემოდან ქვემოთ წაკითხვის შემდგომ კრიპტოგრაფმა ასე ამოიხსნება:

„სარდალი დავით ბრძანდება დ[ა] იმისია“.

კრიპტოგრაფიაში მოხსენიებულია ხელნაწერის მფლობელი დავით სარდალი.

ერთი და იმავე ასოს განმეორებით მიღებული სისტემა

ძველ ქართულში საიდუმლო დამწერლობისათვის გამოუყენებიათ ერთი მეტად მარტივი ხერხი: აღებულია ქართული ანბანის ერთი რომელიმე ასო, რომელსაც იმეორებენ საიდუმლოდ დასაწერი სიტყვის ყოველი ასოს შემდგომ. ასეთ ასოს წერენ ზოგჯერ ორ-ორს, სამ-სამს, და ა. შ. ასეთი სიტყვის წაკითხვა ერთი დახედვით ძნელია. ამ სისტემის რამდენიმე კრიპტოგრაფმა შემოუნახაეს მზეხათუნისეულ „ვეფხისტყაოსანს“, რომლებიც ამოხსნა და გამოაქვეყნა გ. მიქაძემ¹⁹¹. ხელნაწერზე ეს კრიპტოგრაფები მის მფლობელებს დაუწერიათ დაახლოებით XVIII ს. ბოლოს.

¹⁹⁰ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, S კოლექცია, I, 1960, გვ. 544.

¹⁹¹ გ. მიქაძე, ვეფხისტყაოსნის მზეხათუნისეული ხელნაწერისათვის, ძველ ქართულ მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები, VI, 1974, გვ. 145.

ამავე სისტემისაა ერთი XIX ს. კრიპტოგრამა (ცენტრარქივი № 130). თუ მზეხათუნისეული „ვეფხისტყაოსნის“ კრიპტოგრამებში ასო ჩ იყოს აღნიშნული განმეორებისათვის, ამ უკანასკნელში უხმარიათ ასო ნ, რომელიც ხან ერთხელ არის ჩართული ასოებს შორის, ხან კი ორჯერ. ხელნაწერი ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნია, კრიპტოგრამაშიც მითითებულია ხელნაწერის რაობა.

ეს სისტემა XVIII—XIX სს-ში ჩანს ჩამოყალიბებული.

სიტყვათა დაპარაგმებით მიღებული სისტემა

ძველ ქართულში სიტყვების დაქარაგმებაც გამოუყენებიათ საიდუმლო დამწერლობისათვის. მთელ წინადადებას ან წინადადების რამდენიმე სიტყვას წერდნენ დაქარაგმებულად, რაც წინადადების ამოკითხვას ართულებდა. ამიტომაც ასეთ ძნელად გასაგებ წინადადებასთან ერთ სინურ ხელნაწერში (Sin—78) ჯერ კიდევ XVII ს-ში მიუწერიათ: „ნეტარ რას იტყ(ვ)ის ესე ზემო ასოები, არა ვიცი, თავი სით უც“. ასეთ კრიპტოგრამებში შესაძლოა თითო-ოროლა სიტყვის გახსნა. სრულად წინადადების ამოკითხვას კი ზოგჯერ ხელს უწყობს ხელნაწერში არსებული სხვა მინაწერები.

საქართველოში ეს სისტემა ძლიერ გავრცელებული არ უნდა ყოფილიყო. უძველესი ნიმუში ზემოთ დასახელებული Sin—78 ხელნაწერის კრიპტოგრამაა (XVI—XVII სს.). ეს სისტემა სცოდნია აგრეთვე XVIII ს. პოეტს გოგია ბატონიშვილს (გიორგი ბაგრატიონს), რომელსაც მზეხათუნისეულ „ვეფხისტყაოსანზე“ (W—17) ერთი ასეთი კრიპტოგრამა მიუწერია.

სიტყვათა დაქარაგმების ერთ-ერთი ტიპი — მხოლოასოიანი დაქარაგმება¹⁹² გამოუყენებიათ ძველი ქართული საიდუმლო დამწერლობისათვის. დ. გურამიშვილის „დავითიანის“ XIX ს. ხელნაწერზე (S—3696) ერთი მინაწერია, რომელშიც ექვსი ასოა. თითოეულ მათგანს ზემოდან ქარაგმა აქვს და ერთმანეთისგან გამოყოფილია ორ-ორი წერტილით. ეს მინაწერი კრიპტოგრამული ანდერძია, მხოლოასოიანი დაქარაგმებით შედგენილი. ხელნაწერს ერთვის არაკრიპტოგრამული ანდერძი (გვ. 261), საიდანაც ჩანს, რომ იგი გადაწერილია 1812 წ. პეტერბურგს. ამ ანდერძის მიხედვით გადამწერის ვინაობა უცნობია. გადამწერს თავისი ვინაობა მიუმაღავს კრიპტოგრამულ ანდერძში, რომელიც ასე ამოვსხენით: „ცოდვილი დიმიტრი მღვდლის ძის პეტერბურგს გადაწერილი“. როგორც არაკრიპტოგრამული ანდერძიდანაც ჩანს, იგი პეტერბურგს არის გადაწერილი. კრიპტოგრამაში რომ „დიმიტრი მღვდელი“ უნდა წა-

¹⁹² ივ. ჯ ა ე ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული პალეოგრაფია, 1949, გვ. 143.

ვიკითხოთ, ამას ადასტურებს შემდეგი: დიმიტრი მღვდლის გადაწერილ ხელნაწერებთან (H—258, 1824 წ. პეტერბურგი; S—142, 1823 წ. გორი) შეჯერებით გაირკვა, რომ S—3696 ნუსხა ხელით ემსგავსება მათ და ეს ხელნაწერიც დიმიტრი მღვდლის გადაწერილი უნდა იყოს. მაშასადამე, S—3696 ნუსხის კრიპტოგრამაში მიუმაღავს თავისი სახელი მის გადამწერს დიმიტრი მღვდელს, რომელსაც ეს ნუსხა გადაუწერია 1812 წ. პეტერბურგს.

ამავე ტიპის კრიპტოგრამა შეგვხვდა XVIII ს. „კონდაკზე“ (Q—299). როგორც ზედა საცავი ყდის შიგნით არსებული არაკრიპტოგრამული მინაწერიდან ირკვევა, ხელნაწერი მღვდლის იოანე სულხანოვის საკუთრება ყოფილა, რომელსაც 97 რ-ზე ასეთი მინაწერი გაუქეთებია: „მღვდლის იოანე. ს. ა. ე. წ. კ. კი“, რაც ასე ამოეხსენით: „მღვდლის იოანე სულხანოვის არის ეს წიგნი კონდაკი“. ეს კრიპტოგრამული მინაწერიც იმავე ხერხითაა შედგენილი, როგორც დიმიტრი მღვდლის კრიპტოგრამა. აქაც მხოლოასოიანი დაქარაგმების შემთხვევა გვაქვს სიტყვის დასაწყისი ასოებისა, ოღონდ ასოებზე ზემოდან ქარაგმები აღარ დაუწერიათ.

სიტყვაში ასოების გამოტოვებით მიღებული სისტემა

ბერძნულში ზოგჯერ მთელ წინადადებაში, სიტყვებში გამოტოვებდნენ ხოლმე რამდენიმე ასოს — ხმოვნებს ან თანხმოვნებს¹⁹³. ასე შედგენილი კრიპტოგრამა კი ძნელად ამოსაცნობი იყო. ძველად ქართველებს ეს ხერხიც სცოდნიათ. შეგვხვდა ასეთი ორი კრიპტოგრამა: XVIII ს-ისა (A—433) და XIX ს-ისა (S—1385). კრიპტოგრამებში სიტყვები ჩვეულებრივ მხედრულით წერია, მაგრამ იმის გამო, რომ შიგადაშიგ ასოები ამოღებულია, სიტყვების გაშიფრვა არ ხერხდება.

პირობითი ნიშნების სისტემა

პირობითი ნიშნების სისტემის ანბანების შესახებ

პირობითი ნიშნების სისტემა შედგენილობის თვალსაზრისით რთულია. ძველი ქართული საიდუმლო დამწერლობის სხვა სისტემებთან შედარებით ეს სისტემა თავისებურია. რომელიმე კრიპტოგრაფიული სისტემის ანბანი, ვთქვათ, ანჩინური, მისი ჩამოყალიბებიდან XIX ს. დასასრულამდე ძირითადად ერთი და იგივეა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმ ცვლილებებს, რაც ქართული ენის განვითარების შედეგად წარმოიშვა: კერძოდ, ორთოგრაფიულ სახეცვლილებებს.

¹⁹³ V. Gardthausen, Griech. Palaeogr. 1913, II, გვ. 303—304.

პირობითი ნიშნების სისტემა ყველა დანარჩენი სისტემისაგან განსხვავდება გასაღების შედგენის პრინციპით. პირობითი ნიშნების სისტემა არ არის ერთფეროვანი, იგი მხოლოდ ერთი დადგენილი ანბანით იფარგლება. ნებისმიერ პირს შესაძლებლობა ჰქონდა ამა თუ იმ პირობითი ნიშნების მეშვეობით მისთვის საჭირო საიდუმლო ანბანი შეექმნა. ავტორ-შემდგენლებს, როგორც ანბანების შესწავლამ დაგვანახვა, სრული თავისუფლება ჰქონიათ. სხვა ქართულ სისტემებში აშკარად იგრძნობა გარკვეული კანონზომიერებანი, რომელთაც იყენებს ამა თუ იმ სისტემის ანბანის შემდგენელი. ასე მაგ., ასოთა შენაცვლებით შედგენილ სისტემებში გათვალისწინებულია ასოთა მონაცვლეობის თავისებური კომბინაციები. ასევე სხვა სისტემებშიც: ყველა სისტემა გარკვეული კანონზომიერების საფუძველზეა შექმნილი და ამ სისტემათა ანბანები ძირითადად უცვლელად იხმარებოდნენ საუკუნეთა მანძილზე. პირობითი ნიშნების სისტემა კი ამ პრინციპს არ ემორჩილება. ეს სისტემა აერთიანებს უამრავ ასონიშნებს, მეტად მრავალფეროვანსა და ჰრესს. X

პირობითი ნიშნების სისტემისათვის გამოუყენებიათ სხვადასხვა ანბანები, ზოგიერთი ასო ამ ანბანებიდანაა ამოღებული, ჩვეულებრივ მათ თავისი მნიშვნელობა შეცვლილი აქვთ, ზოგჯერ კი შენარჩუნებული. იშვიათად ქართული ანბანიც გამოუყენებიათ — ნუსხური და მხედრული. ამასთანავე, შიგადაშიგ გამოგონილი ასონიშნებია ჩართული¹⁸⁴. ასე რომ, ამ სისტემის ერთ რომელიმე გასაღებში ერთდროულად შესაძლოა გქონდეს სხვადასხვა ანბანებიდან ამოღებული რამდენიმე ასო-ნიშანი, ქართული ანბანიდან რომელიმე ასო და აგრეთვე გამოგონილი ნიშანი — რომელიმე ასო სახეშეცვლილი მონახულობისა. ამიტომაც ეს სისტემა ასე რთული და თავისებური. ძირითადი სიმწლე პირობითი ნიშნების სისტემის კრიპტოგრაფული გასაღებებისა სწორედ ამ ასოთა დათქმული მნიშვნელობების ამოკითხვა-ამოცნობაში მდგომარეობს.

ორიოდე სიტყვა თვით სისტემის სახელწოდების შესახებ. ამ სისტემისათვის რაკი სხვა ანბანებიდან გადმოღებული ასო-ნიშნების გარდა ძირითადად გამოყენებულია პირობითი ნიშნები, რომლებსაც სხვადასხვა ენებში მნიშვნელობებიც განსხვავებული აქვთ, ამიტომ ამ სისტემას პირობითი ნიშნების სისტემა ჰქვია. სხვათა შორის, ამ სახელწოდებითაც ცნობილი იგი რუსულ პალეოგრაფიებშიც. განცალკევებული ანბანებისაგან შემდგარ სისტემას ექ. თაყაიშვილი უწოდებს პირობითი ნიშნების სისტემას¹⁸⁵. „ფანტაზიორ ანბანებს“ უწოდებს მათ კოპტურსა და ბერძნულში ენ დორესი¹⁸⁶ და სხვ.

¹⁸⁴ ივ. ჯაფარიშვილი, ქართული პალეოგრაფია, 1949, გვ. 134; ე. თაყაიშვილი, პარიზის ნაც. ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები..., გვ. 9.

¹⁸⁵ ე. თაყაიშვილი, პარიზის ნაც. ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები... გვ. 8.

¹⁸⁶ M. Jean Dorese, Cryptographie copte et cryptographie grecque, Bulletin de l'Institut d'Egypte, t. XXXIII, 1952, გვ. 217.

გამოვლენილი კრიპტოგრამების შესწავლამ გვიჩვენა, რომ პირ-
ბითი ნიშნების სისტემა მრავალფეროვანი და უამრავი სახეობებისაგან
ყოფილა შემდგარი. ხელნაწერებში დადასტურდა ზოგი მათგანის კრიპ-
ტოგრამული გასაღებებიც. მაგალითად, პარიზის ნაციონალური ბიბლიო-
თეკის XVIII ს. მხოლოდ ერთ ქართულ ხელნაწერში (№ 1) ამ სისტემის
16 კრიპტოგრამული გასაღებია მოთავსებული. სულ ოცდაათამდე სახეო-
ბის კრიპტოგრამული გასაღებია ამოკრებილი ჩვენ მიერ ხელნაწერები-
დან. რაც შეეხება ამ სისტემის სხვა სახეობებს, რომელთა გასაღები ხელ-
ნაწერებში არსებული კრიპტოგრამების მიხედვით შევადგინეთ, მათი
რაოდენობაც საკმაოდ დიდია: 70-მდე სახეობის გასაღები იქნა შედგე-
ნილი ჩვენ მიერ. მაშასადამე, პირობითი ნიშნების სისტემის დაახლოებით
100 სახეობა გამოვლინდა ჩვენს ხელნაწერებში. აქვე ისიც უნდა გავითვა-
ლისწინოთ, რომ ზოგი სახეობა განიცდის განვითარებას: ზოგჯერ შეცე-
ლილია ასო-ნიშანთა მოხაზულობა, ზოგჯერ ერთდროულად ერთი და
იმავე ქართული ასოს აღსანიშნავად ორი ნიშანი იხმარება — ერთი ამ
სახეობისა, მეორე კი სხვა, ახლად შემოტანილი. ამის მიხედვით იქმნება
გარკვეული ქვეტიპები თითოეული სახეობისათვის. ამასთანავე, გრაფი-
კულად მსგავსი მოხაზულობის ნიშნები დასტურდება როგორც ერთი
წარმოშობის გასაღებებში, ასევე სრულიად სხვადასხვა ტიპის გასაღე-
ბებში. ეს ვითარება ნათლად ჩანს ჩვენ მიერ შედგენილ „კრიპტოგრამულ
ანბანებში“.

როგორც ჩანს, ეს სისტემა ძველი ქართული საიდუმლო დამწერ-
ლობის სისტემებს შორის ყველაზე პოპულარული ყოფილა, ოღონდ უფ-
რო მოგვიანებით — XVIII—XIX სს-ში. ჩვენ მიერ აღნუსხულია ამ
სისტემის 330-მდე კრიპტოგრამა, დაახლოებით მესამედი კრიპტოგრა-
მების საერთო რაოდენობისა. საგულისხმოა, რომ თუ ადრეულ, XII—
XVII სს-ში ამ სისტემის სხვადასხვა სახეობის თითო-ოროლა, სულ ოც-
დაათიოდენ ნიმუში დაიძებნა ხელნაწერებში, XVIII—XIX სს-ში ისე შე-
მოსულა ხმარებაში უცხო ნიშნებით კრიპტოგრამების წერა, რომ მათი
დიდი უმრავლესობა ამ საუკუნეებზე მოდის (დაახლოებით 300-მდე კრიპ-
ტოგრამა).

როგორც აღვნიშნეთ, პირობითი ნიშნების სისტემის 100-ოდენ სა-
ხეობის გასაღები გამოვლინდა, ამათგან დაიძებნა თვით ხელნაწერებში
ჩაწერილი 30-მდე გასაღები. ისმის კითხვა: როგორი გამოყენება ჰქონდა
ამ გასაღებებს, ყველა მათგანი თანაბრად პოპულარული იყო, თუ ზოგი
მათგანი მხოლოდ მისი შემდგენელის საკუთრებას წარმოადგენდა? გა-
ირკვა, რომ ამ უამრავი გასაღებებიდან მხოლოდ თხუთმეტიოდენ ანბანი
ყოფილა უფრო გავრცელებული, რომელიმე ერთი ტიპის გასაღებით
შედგენილი კრიპტოგრამები ხუთ, ექვს და მეტ ხელნაწერშია ჩაწერილი
სხვადასხვა გადამწერთა და მფლობელთა მიერ. რაც შეეხება დანარჩენ

გასაღებებს, ისინი წარმოდგენილია ხელნაწერებში თითო-თითო კრიპტო-გრამით.

საინტერესოა, ის გასაღებები, რომლებიც უფრო პოპულარული ყოფილა, სტაბილურია თუ რაიმე ცვლილებებს განიცდის? გაირკვა, რომ თითქმის იშვიათია ისეთი შემთხვევები, როდესაც ეს გასაღებები უცვლელია და ზუსტად ერთი და იმავე მოხაზულობის ასო-ნიშნებია გამოყენებული ერთი ტიპის სხვადასხვა კრიპტოგრამებში. კრიპტოგრამის დამწერნი, რომელნიც იყენებენ სხვის მიერ შედგენილ გასაღებს, ანბანის ზოგი ასოს მოხაზულობას თავისებურად ცვლიან, ანდა ზოგი ქართული ასოს აღსანიშნავად ახალი ნიშანიც შემოაქვთ. ამიტომაც, რომ ერთი და იმავე ტიპის კრიპტოგრამული ანბანები არ არის ერთფეროვანი. ზოგჯერ ამ სახის ცვლილებების შედეგად, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, წარმოიშობა სხვადასხვა ქვეტიპები.

პირობითი ნიშნების სისტემის ხმარება ჩვენში, როგორც ჩანს, ადრევე დაუწყიათ. მართალია, ეს სისტემა ისე ძველი არ უნდა იყოს, როგორც ანჩინური ან სათვალავადი სისტემები, მაგრამ იგი არც თუ ისე გვიანაა ჩამოყალიბებული. ამ სისტემის უძველეს ნიმუშად უნდა მივიჩნიოთ XI საუკუნის ერთ ხელნაწერზე (H—1711) წარწერილი ორი კრიპტოგრამა, რომელთაც ხელის მიხედვით XII—XIII საუკუნით ვათარილებთ. ამ სახეობის სხვა ნიმუში ხელნაწერებში არ შეგვხვედრია. ამ ნიმუშების გარდა ხელნაწერებში დაიძებნა კიდევ ერთი სახეობის ანბანით შედგენილი კრიპტოგრამები. ირკვევა, რომ ეს უკანასკნელი ანბანიც პირობითი ნიშნების სისტემის ერთ-ერთ უძველეს ტიპს წარმოადგენს.

XII ს. რიგის სახარებაში (A—447, 97 v) დაცულია ერთი მინაწერი, რომელშიც პირველი სამი სიტყვა მხედრულია, ხოლო მომდევნო ორი იმავე ხელით ნაწერია, ოღონდ კრიპტოგრამულად. მხედრულით ნაწერი სიტყვები XV ს-ით უნდა დავათარილოთ. ამის მიხედვით დათარიღდება ორი კრიპტოგრამული სიტყვაც. მაშასადამე, მთელი წინადადება XV ს-საა¹⁹⁷. კრიპტოგრამა ასე ამოიხსნება: „ჩემთვი[ს] კარგი ჰყოს, ავალი აღლ[ე]გრძელ[ე]“. მასში მოხსენებული „ავალი“ შესაძლოა ხელნაწერის მფლობელი იყოს.

A—447 ხელნაწერში დაცულია სამი არაკრიპტოგრამული მინაწერი, რომელთაგან ორ მინაწერში იხსენიება ავალი:

164 v: ღმერთ უშველე ავალსა, აწყურისა მლთისმშობელო.

207 v ღმერთ უშველე ავალსა, მადლო საზრებისო.

სამივე მინაწერი ერთი და იმავე პირის მიერ არის დაწერილი დაახლოებით XVI ს. დასასრულსა თუ XVII ს. დასაწყისში. ეს მინაწერები

¹⁹⁷ ხელნაწერში 40 v-ზე გვხვდება იმავე ხელით შესრულებული მეორე კრიპტოგრამა, რომელიც ნაწილობრივ ამოვხსენით.

ხელით განსხვავდება 97 v-ზე მიწერილი კრიპტოგრაფიის მხედრულად ნაწერი სიტყვებისაგან. ცხადია, ამ გვიანდელი მინაწერების ავტორმა შექმნა ამოეკითხა XV ს. კრიპტოგრაფიული მინაწერი, რომელშიც მოხსენებულია ავალი, და მასში დაშიფრული პირის მოსახსენებლები მიაწერა იმავე ხელნაწერს. ამრიგად, A—447 ხელნაწერში დაცულია XV ს. კრიპტოგრაფია, ერთ-ერთი უძველესი სახეობის ნიმუში პირობითი ნიშნების სისტემისა. ამასთანავე, ეს ხელნაწერი წარმოადგენს იმის ნიმუშსაც, თუ როგორ გადაეცემოდა ცოდნა კრიპტოგრაფიული დამწერლობისა ერთი თაობიდან მეორეს. აღნიშნული ტიპის ანბანი რომ სკოლნიათ ქართველებს და შემდგომაც გამოუყენებიათ, ეს შემდეგიდანაც ჩანს: ამ გასაღებით შედგენილი კრიპტოგრაფიები XV ს. შემდგომ, XVI—XVIII სს-შიც, დასტურდება. ამ ტიპის ანბანით არის შედგენილი ერთი მეტაფრასული კრებულის (ქუთ. მუზ. № 4) კრიპტოგრაფიები, რომლებიც 1565 წ. დაუწერია ხელნაწერის გადამწერს მანოელ ინანიკაშვილს. ასევე მსგავსი ანბანით დაუწერია კრიპტოგრაფიები XVII ს. დასასრულსა თუ XVIII ს. დასაწყისში ვინმე იონათამს (ქუთ. მუზ. K—435). ამ ტიპის ნიმუშები შეგვხვდა XVIII ს. S—4936 და Q—1068 ხელნაწერებში. ამრიგად, აღნიშნული ტიპის ანბანი ერთ-ერთი უძველესი ჩანს სხვა ანბანებთან შედარებით.

ბერძნულის გარდა ცნობილია საიდუმლო დამწერლობები კობტურ, სომხურ, გერმანულ, რუსულ და სხვ. ენებზე. საინტერესოა, რომ აღნიშნულ კრიპტოგრაფიებში შეინიშნება სისტემათა შექმნის მსგავსი კანონზომიერებანი. მაგ., სისტემათა ერთ წყებას სხვადასხვა ენაში საფუძვლად უდევს ასოთა მონაცვლეობა, ცხადია, ამ ენათა თავისებურებების გათვალისწინებით (შდრ. ერთი მხრივ, ბერძნული ატბაშური და, მეორე მხრივ, ქართული ანჯანური და ანჰოეური). ამავე დროს ყოველ ენაში დასტურდება მრავალი ორიგინალური სისტემაც. საგულისხმოა, რომ პირობითი ნიშნებით შედგენილი სისტემა თითქმის ყველა ენაზე არსებულ კრიპტოგრაფიაში დასტურდება მეტნაკლები სახეობებით. ქართულშიც, როგორც აღნიშნეთ, ჩვენამდე მოაღწია ამ სისტემის მრავალმა სახეობამ, თუმცაღა საფიქრებელია, რომ ამ სახეობებს გარდა კიდევ გვქონდა სხვა ანბანებიც.

ძველ ქართულში სხვადასხვა შინაარსის მქონე ძეგლები, ნათარგმნი თუ ორიგინალური, ქართული ანბანით არის შესრულებული. რომელიმე ასტროლოგიური შინაარსის ძეგლი დაწერილია ქართული ნუსხურით ან მხედრულით. ასევე შელოცვების წიგნები XVIII ს-ში მხედრული ანბანითაა ნაწერი. მაგრამ ბერძნულში სხვა ვითარებაა: ალქიმური, მაგიური, ასტროლოგიური ხასიათის ტექსტები დაწერილია არა ბერძნული ანბანით, არამედ სხვადასხვა მოხაზულობის მქონე ასონიშნებით. ეს ანბანები, როგორც გარკვეულია, ჩვეულებრივი ანბანის ფორმაშეცვლილ

სახეობას კი არ წარმოადგენენ, არამედ აქ ისინი შეცვლილი არიან პირობითი ნიშნებით¹⁹⁸.

ამრიგად, ძველ ქართულ ხელნაწერებში ტექსტები, მათი შინაარსის მიუხედავად, ჩვეულებრივ ქართული ანბანითაა დაწერილი: მრგოლოვანით, ნუსხურით, მხედრულით. ცნობილია ქართული დამწერლობის სახეობები: „ხელოვნებითი დამწერლობანი“, როგორც ივ. ჯავახიშვილი უწოდებს, ივულისხმება კიდურყავილოვანი, კიდურწვეტიანი დამწერლობები, ასევე თხზული დამწერლობა, რომელთა ნიმუშების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ისინი ხელნაწერთა გასაფორმებლად ყოფილა ნახმარი და არა ამა თუ იმ ძეგლის ტექსტის დასაწერად.

რაც შეეხება „სიმიათდამწერლობას“ ანუ მალემწერლობას, ქართულ ჰაგიოგრაფიულ ძეგლებსა და საისტორიო მწერლობაში დასტურდება მხოლოდ ამ დამწერლობის აღმნიშვნელი ტერმინები „სიმიათმწერალი“, „მალემწერალი“.

როგორც ივ. ჯავახიშვილი მიუთითებს, საქართველოში მისი არსებობის არავითარი კვალი არ არის აღმოჩენილი. თუმცა ივ. ჯავახიშვილის ვარაუდით შესაძლებელია, რომ XI—XII სს. საქართველოს სახელმწიფო ცხოვრების აღმშენებელი ძეგლების დაღუპვასთან ერთად ქართული მალედამწერლობის ნიშანწყალიც გამქარაიო¹⁹⁹.

დროთა განმავლობაში ქართული ასოების გარდა სხვადასხვა ნიშნებიც გაჩნდა: განკვეთილობისა და სასვენი ნიშნები, ქარაგმის ნიშნები, საგალობელი ნიშნები. მათ სხვადასხვა მიზნით ხმარობდნენ: აზრის გაგების გასაადვილებლად, სიტყვების შესამოკლებლად, საგალობელთა ჰანგის გადმოსაცემად²⁰⁰.

აღნიშნული ნიშნების გარდა ხელნაწერებში გვხვდება სხვა ნიშნებიც, რომელთაც ივ. ჯავახიშვილი პირობით ნიშნებს უწოდებს. ესენია, ქანწილი და ჯვარი (ტექსტის დასაწყისისა და დასასრულის აღმნიშვნელი), „ჩიტისთული“, იოანე-ზოსიმეს კალენდარში ნახმარი ნიშნები „ღამისთევის“, „უამისწირვის“ და სხვათა აღმნიშვნელნი, ასევე სულხან-საბა ორბელიანის „ქართულ ლექსიკონზე“ დართული პირობითი ნიშნები²⁰¹.

XI—XII სს-იდან ქართულ ხელნაწერებში გამოჩნდა პირობითი ნიშნების ახალი წყება. ეს ნიშნები, როგორც გარკვეულია, იხმარებოდა ქართულ კომენტარებთან ხელნაწერებში კომენტარის ტექსტთან დასაკავშირებლად. გამოთქმულია ვარაუდი, რომ აღნიშნული ნიშნები ქარ-

¹⁹⁸ M. Jean Doresse, *Cryptographie copte et cryptographie grecque*, Bulletin de l'Inst. d'Egypte, 1952, გვ. 222.

¹⁹⁹ ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, 1949, გვ. 131.

²⁰⁰ იქვე, გვ. 136.

²⁰¹ იქვე, გვ. 146—148.



თულად თარგმნის პროცესშია გადმოღებული ბერძნული ხელნაწერებიდან²⁰².

ისმის კითხვა: რა მიმართება არსებობდა ზემოთ ჩამოთვლილ ნიშნებსა და ქართულ კრიპტოგრაფიაში გამოყენებულ პირობით ნიშნებს შორის?

კრიპტოგრაფიულ ანბანებში გადმოუტანიათ პირობითი ნიშნები — ქანწილი, ჭვარი, ჩიტისთვალი, მაგრამ საყურადღებო გამოდგა კომენტარებიან ხელნაწერთა პირობითი ნიშნები. კრიპტოგრაფულ ანბანებში ნახმარი პირობითი ნიშნების ერთი წყება კომენტარებიდან ხელნაწერთა პირობითი ნიშნების მსგავსია. ზოგჯერ ასოთა მოხაზულობა აბსოლუტურად იდენტურია, ზოგჯერ კი მცირეოდენი ნიუანსებით სხვაობენ. მაგ:

o o l p q o და სხვ. ასო-ნიშნები ერთნაირი მოხაზუ-

ლობით გვხვდება როგორც კომენტარებიან ხელნაწერებში, ასევე კრიპტოგრაფულ ანბანებში. ამავე დროს დასტურდება ისეთი შემთხვევები, როცა კრიპტოგრაფულ ანბანში ამა თუ იმ ნიშნის მოხაზულობა ოდნავ სახეცვლილია კომენტარებიან ხელნაწერებთან შედარებით.

აქვე მოგვაქვს ტაბულები იმ მსგავსი პირობითი ნიშნებისა, რომლებიც დასტურდება ქართულ კომენტარებიან ხელნაწერებსა და ქართულ კრიპტოგრაფიაში.

ასო-ნიშანთა ასეთი მსგავსება ბუნებრივად სეამს კითხვას: რა მიმართებაა კომენტარებიან ხელნაწერთა და ქართულ კრიპტოგრაფულ ანბანში გამოყენებულ პირობით ნიშნებს შორის?

აღნუსხული და გამოქვეყნებულია კომენტარებიანი ხელნაწერების პირობითი ნიშნები (დაახლოებით ორასი ასო-ნიშანი)²⁰³. კრიპტოგრაფული ანბანისათვის, რასაკვირველია, ყველა ასო-ნიშანი არ გადმოუღიათ, მაგრამ ამჯერად ჩვენთვის მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ქართულ კომენტარებიან ხელნაწერებში დადასტურებული ასო-ნიშნები, რომლებსაც სულ სხვა დანიშნულება ჰქონიათ, პარალელს პოულობს კრიპტოგრაფულ ანბანებში, სადაც მათ უკვე ქართული ანბანის ასოების მნიშვნელობა აქვთ მინიჭებული.

როგორც ირკვევა, კომენტარებიან ხელნაწერებში დადასტურებული პირობითი ნიშნები ბერძნულიდან გადმოუღიათ. ბერძნულში ამ ნიშნებს სხვადასხვა დანიშნულებით იყენებდნენ. მათ ხმარობდნენ კრიპტოგრაფული ანბანისათვის, ტაქიგრაფიისათვის, სხვადასხვა სამეცნიერო ტექს-

²⁰² ლ. ქაჯაია, პირობითი ნიშნები ქართულ კომენტარებიან ხელნაწერებში, პალეოგრაფიული ძიებანი, II, 1969, გვ. 32—35.

²⁰³ ლ. ქაჯაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 33.



კომენტარები და ნიშნები	კრიპტოგრაფიული გამოყენებულნი პირობითი ნიშნები
1. ა ბ გ დ ე ვ ზ	1. ა) ს ბ) ტ ვ) ი ძ) რ
2. მ მ	2. მ
3. თ ბ პ წ	3. ა) თ ბ) ი ვ) ყ ლ) ე) თ ა) ბ ვ) წ
4. რ	4. რ
5. ს ს	5. ა) ს ბ) ს
6. P P P P P P	6. P ბ ბ ბ P ბ ბ P რ. ლ ბ ბ
7. H O T	7. ა) H O ბ) H O ვ) O T T
8. F	8. F
9. ✱ ✱ ✱ ✱ ✱ ✱ ✱ ✱	9. ა) X X X ბ) ✱ ✱ ✱ ვ) ✱ ✱ ღ) ✱ ✱ ✱
10. o o oo	10. ა) o ბ) o ვ) o ლ) o ე) o ვ) o ზ) o
11. —	11. —
12. r u	12. ა) r ბ) u ვ) r u ღ) r
13. l s	13. ა) l ბ) s
14. f z	14. ა) f ბ) z ვ) z
15. sh sh	15. ა) sh ბ) sh ვ) sh ლ) sh

1 ასო-ნიშნები ამოწერილია კრიპტოგრაფიული ანბანებიდან. ასო-ნიშნებთან მითითებული რიცხვები გულისხმობს პირობითი ნიშნების სისტემის კრიპტოგრაფიული ანბანების სახეობებს. 1. ა) № 34, 82. ბ) № 84. ვ) № 5, 83. ლ) № 34. ჯ. № 57, 76, 98. ა. ა) 38, 53, 82, 83 ბ) № 83, ვ) № 27, 57, 98. ლ) № 6. ე) № 4. ვ) № 30. 4. № 16, 39. 5. ა) № 83. ბ) № 6, 29, 58, 63. ს. № 5, 8, 9, 18, 32 აბგ, 36, 37, 38, 39 41, 43, 61, 75, 79, 99 7. ა) № 82. ბ) № 83. ვ) № 83. ს. № 5. 8. № 5. 9. ა) № 6, 9, 15, 18, 20, 32 ა, 33, 35, 37, 38, 42, 44, 46, 85, 90, 97. ბ) № 32 ა. ვ) № 22. ლ) № 29. 10. ა) № 3, 5, 6, 8, 9, 11, 15, 16, 18, 20, 21, 22, 25, 28, 29, 31, 32ა, ბ, ვ; 33, 35, 36, 37, 38, 39, 40, 42, 43, 44, 45, 46, 47, 52, 54, 55, 62, 63, 65, 66, 72, 74, 75, 76, 82, 83, 84, 85, 87, 88, 89, 90, 93, 94, 95, 97, 98, 99, 100. ბ) № 5. ვ) № 3. ლ) № 29. ე) № 32 ბ. ვ) № 58. ზ) № 31. 11. № 40, 41. 12. ა) № 5, 9, 13, 16, 24, 27, 32ა, ბ, ვ; 33, 37, 38, 41, 45, 46, 57, 58, 85, 86, 94. ბ) № 15, 21, 23, 30, 33, 40, 50, 58, 71, 82, 96. ვ) № 9, 28, 43, 65; 54, 99. ლ) № 9, 13, 77, 81. 13. ა) № 44, 53. ბ) № 15. 14. ა) 5, 9, 16, 35, 37, 40, 42, 57, 64, 76, 78, 85. ბ) № 5, 37, 41, 75, 78, 86. ვ) № 5. 15.) № 44. ბ) № 39, ვ) № 24, 32, ა, ბ, ვ; 36, 37, 38, 39, 41, 45, 57, 82, 85, 93, 94, 95, 98. ლ) № 6, 12, 34, 44, 89.



ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ԶՆԱՆՔԱԳՐԱԿԱՆ ԵՎ ՄԵԹՈԴԻԿԱԿԱՆ ԿԵՆՏՐՈՆ	ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ԶՆԱՆՔԱԳՐԱԿԱՆ ԵՎ ՄԵԹՈԴԻԿԱԿԱՆ ԿԵՆՏՐՈՆ
16. Ջ Ր	16. յ) Ջ խ) Ր
17. Մ	17. Մ
18. Տ Տ	18. յ) Տ Տ խ) Ն յ) Ն
19. + - /	19. յ) / խ)) յ) + / յ) յ) -
20. I II	20. յ) I II III խ) =
21. Թ Թ	21. յ) Թ խ) Թ
22. ∞	22. ∞
23. ա	23. յ) ա խ) ես յ) Ե
24. թ	24. թ
25. Δ	25. Δ
26. ↓	26. ↓
27. †	27. †
28. ∴	28. ∴
29. ա	29. ա
30. ա	30. ա
31. Վ	31. յ) Վ խ) Վ յ) Վ
32. □	32. յ) □ խ) □
33. Թ	33. Թ
34. Կ	34. յ) Կ խ) Կ

10 յ) № 8, 12, 15, 20, 22, 23, 28, 32 յ, 33, 38, 42, 56, 90, 96. Ն) 6, 18, 19, 49, 53, 65, 98, 100. 17. № 39. 18. յ) № 32 Ն, 33, 37, 44, 52, 64, 72. Ն) № 13, 23, 32, 33, 40, 50, 63, 100. զ) № 12, 13, 32 յ, 55, 58, 60, 86., 10. յ) № 91. Ն), № 31. զ) № 93. ը) № 31. յ) № 6. 20. յ) № 19, 38, 66. Ն) № 13, 63. 21. յ) № 53, 82. Ն) 26, 30, 82. 22. № 2, 5, 33, 82, 83, 84. 23. յ) № 24, 82, 83. Ն) № 84. զ) № 19. 24. № 33. 25. № 30, 32, յ, 43. 26. № 46. 27. № 44. 28. № 31. 29. № 3, 5, 12, 14, 30, 32, 36, 38, 42, 44, 46, 52, 59, 63, 75, 77, 78, 82, 83, 88, 92. 30. № 5, 9, 16, 29, 30, 32 յ, 33, 37, 38, 57, 62, 65, 75, 84, 87, 89. 31. յ) № 13, 21, 36, 55, 68, 83, 85, 86, 87, 98., Ն) № 37, 76, 85., զ) № 5, 15, 35, 38, 59. 32. յ) № 17, 54, 77. Ն) № 34. 33. № 5. 34. յ) № 15. Ն) № 84.

ქვედაცნობიანი ხაზი ნახევარი კონკრეტული ნიშნები	კენტი ცნობიანი ნახევარი კონკრეტული ნიშნები
35. ო	35. ა) ო ბ) ო ბ) ო
36. H	36. H
37. H	37. ა) H ბ) H ბ) H
38. E	38. E
39. J	39. ბ ბ
40. V	40. V ზ ზ
41. A	41. ა) ფ ბ) ფ
42. K	42. K
43. P	43. P
44. B	44. B
45. P	45. P
46. T	46. ა) T ბ) T ბ) T ე) T
47. H	47. H
48. /	48. /
49. Z	49. Z
50. F	50. ა) F ბ) F
51. C	51. ა) C ბ) C
52. F	52. F F
53. G	53. G
54. T	54. T
55. M	55. ა) M ბ) M
56. F	56. ა) F ბ) F ბ) F
57. G	57. G
58. T	58. ა) T ბ) T
59. C	59. C

85. ა) № 13, 42. ბ) № 9. გ) № 89. 86. № 5, 10, 15, 16, 18, 21, 25, 32, 33, 33, 37, 38, 39, 40, 43, 50, 52, 76, 77, 78, 82, 85, 93, 100. 87. ა) № 5, 6, 21, 32, 33, 38, 56, 76, 78, 79, 81, 93, 98. ბ) № 18. გ) № 12, 14, 18, 44, 53, 68, 85, 88. № 10, 12. 88. № 3, 30, 37, 58, 82, 86, 94. 40. № 5, 15, 35. 41. ა) № 5, ბ) 86. 42. № 1, 9, 14, 16, 18, 38, 39, 62, 78, 79. 43. № 3. 44. № 32 ა, ბ, გ, 37, 39, 41. 45. № 39, 54, 72, 98. 46. ა) № 18, 39, 79. ბ) № 3, 4, 7, 15, 19, 35. გ) № 72. დ) № 13, 29. 47. № 76, 100. 48. № 91. 49. № 27. 50. № ა) 82 ბ) № 19. 51. ა) № 5, 76, 85, 94, 97. ბ) № 54. 87. 52. № 3, 21, 23. 53. № 33, 47. 54. 54. № 64. 55. ა) № 8, 16, 24, 33. ბ) № 8. 56. ა) № 39, 55. ბ) № 90. გ) № 13. 57. № 72. 58. ა) № 49. ბ) № 29. 59. № 31.

ტების ჩასაწერად და სხვ.²⁰⁴ საინტერესოა ქართულ კრიპტოგრაფიაში ნახმარი ის პირობითი ნიშნები, რომელთაც პარალელები დაექვებნა კომენტარებიან ხელნაწერთა პირობით ნიშნებთან, ხომ არ არის უშუალოდ ბერძნულიდან შემოსული, მით უმეტეს, რომ ბერძნულ კრიპტოგრაფიაშიც არსებობს მსგავსი სისტემა, სხვადასხვა ასო-ნიშნებით შედგენილი²⁰⁵. პირობით ნიშანთა ამ თვალსაზრისით შესწავლამ სხვაგვარი სურათი წარმოაჩინა. როგორც აღვნიშნეთ, ქართულ კომენტარებიან ხელნაწერებში გამოყენებული ნიშნები ბერძნულში სხვადასხვა დანიშნულებით ყოფილა ნახმარი: კრიპტოგრაფულ ანბანებში, ასტროლოგიურ, ალქიმიურ, მაგიურ ტექსტებში და სხვ. ქართულ კრიპტოგრაფულ ანბანებში (იგულისხმება პირობითი ნიშნების სისტემა) დასტურდება ზოგი ისეთი ასო-ნიშანი, რომელიც ბერძნულ კრიპტოგრაფულ ანბანებში არ იხმარებოდა და იყენებდნენ მაგიურ, ალქიმიურ, ასტროლოგიურ და სხვ. ტექსტებში. მასასადამე, ასეთი ნიშნების არსებობა ქართულ კრიპტოგრაფულ ანბანებში საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ქართულ კრიპტოგრაფულ ანბანებში გამოყენებულ პირობითი ნიშნების ერთ წყებას საფუძვლად დასდებია ქართულ კომენტარებიან ხელნაწერთა პირობითი ნიშნები.

ამრიგად, საფიქრებელია, რომ მას შემდეგ, რაც ქართულ კომენტარებიან ხელნაწერებში გაჩნდა სხვადასხვა მოხაზულობის ასო-ნიშნები, დაახლოებით XI—XII სს. შემდგომ პერიოდში, ქართული კრიპტოგრაფული ანბანების შემდგენელთ ეს ნიშნებიც გამოეყენებინათ.

ქართულ კომენტარებიან ხელნაწერთა და ქართული კრიპტოგრაფული სისტემის მსგავსი პირობითი ნიშნების ურთიერთმიმართების შესწავლის დროს ყურადღება მიიქცია შემდეგმა გარემოებამ: როგორც სამეცნიერო ლიტერატურიდან არის ცნობილი, ბერძნულში პირობითი ნიშნებით უწერიათ სხვადასხვა ხასიათის ტექსტები, მათ შორის კრიპტოგრაფიებიც. ქართულ კომენტარებიან ხელნაწერებში გვხვდება ეს ბერძნული კრიპტოგრაფიული ასო-ნიშნები, ორიოდე კოპტური კრიპტოგრაფული ასოც. საგულისხმოა, რომ ყველა ის ნიშანი, რომლებიც ბერძნულ-

Ⲙ Ⲛ Ⲟ Ⲡ ⲡ Ⲣ ⲣ Ⲥ ⲥ Ⲧ ⲧ Ⲩ ⲩ Ⲫ ⲫ Ⲭ ⲭ Ⲯ ⲯ Ⲱ ⲱ Ⲳ ⲳ Ⲵ ⲵ Ⲷ ⲷ Ⲹ ⲹ Ⲻ ⲻ Ⲽ ⲽ Ⲿ ⲿ Ⲱ ⲱ Ⲳ ⲳ Ⲵ ⲵ Ⲷ ⲷ Ⲹ ⲹ Ⲻ ⲻ Ⲽ ⲽ Ⲿ ⲿ

²⁰⁴ იქვე, გვ. 35.

²⁰⁵ V. Gardthausen, Griech. Palaeogr. 1913, გვ. 306.

კობტური კრიპტოგრაფიიდან გადმოუღიათ ქართულ კომენტარებიან ხელნაწერებში, დასტურდება ქართულ კრიპტოგრაფიაშიც²⁰⁶. (აქვე, გვ. 126).

რაკი აღნიშნული ნიშნები ქართულ კომენტარებიან ხელნაწერებში მოხვედრილა, საფიქრებელია, რომ ისინი კომენტარებიან ხელნაწერთა ყველა ზემოთ მითითებულ ნიშანთან ერთად ქართულ კრიპტოგრაფიაში კომენტარებიანი ხელნაწერების მეშვეობით იქნა გადმოტანილი.

ამრიგად, პირობითი ნიშნების სისტემის გასაღებების ერთ-ერთი წყარო თვით ქართულ ხელნაწერებში დაიძებნა: ეს ქართული კომენტარებიანი ხელნაწერებია. მაგრამ პირობითი ნიშნების სისტემის გასაღებებში უამრავი ასო-ნიშანია. კომენტარებიან ხელნაწერთა პირობითი ნიშნების მსგავსი ნიშნები ამ ასო-ნიშანთა ერთ ნაწილს წარმოადგენს (იხ. კომენტარებიან ხელნაწერებსა და ქართულ კრიპტოგრაფიაში გამოყენებული პირობითი ნიშნების ტაბულები). მაშასადამე, კვლავ საძიებელია დანარჩენი ასო-ნიშნების წარმომავლობა. ვინაიდან სხვა ერების კრიპტოგრაფიის მსგავსად ქართულ საიდუმლო დამწერლობის ჩამოყალიბებაზე ბერძნულ კრიპტოგრაფიას მოუხდენია გარკვეული გავლენა, ბუნებრივია, პირობითი ნიშნების სისტემის წარმოშობა ქართულში ბერძნულს უნდა დავუკავშიროთ.

სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ბერძნულში პირობითი ნიშნების სისტემის ანბანები მრავალრიცხოვანია და ძირითადად ისინი გვხვდებიან ბიზანტიურ ალქიმიურ და ასტროლოგიურ ხელნაწერებში. ჩვენ შესაძარებლად გამოვიყენეთ ვ. გარდტჰაუზენის „ბერძნულ პალეოგრაფიაში“ დაბეჭდილი პირობითი ნიშნების სისტემის კრიპტოგრაფული ანბანები XIV ს. ხელნაწერებიდან (სულ 3 გასაღები)²⁰⁷, აგრეთვე ჟან დორესის ბერძნული და კობტური კრიპტოგრაფიისადმი მიძღვნილი ნაშრომი²⁰⁸, რომელშიც გამოქვეყნებულია უძველესი ანბანები, კერძოდ, მიჩიგანის უნივერსიტეტის ერთი ბერძნული პაპირუსიდან ჩვ. წ. III ს-ისა და ლეიდის მაგიური პაპირუსის ორი ბერძნული კრიპტოგრაფული ანბანი III ს-ისა. ბერძნულის გარდა ნაშრომში მოთავსებულია კობტური კრიპტოგრაფული ანბანიც.

ქვემოთ წარმოდგენილია ქართული პირობითი ნიშნების სისტემის ის ასო-ნიშნები, რომელნიც პარალელს პოულობენ ამავე ტიპის ბერძნულ კრიპტოგრაფიულ სისტემაში.

²⁰⁶ V. Gardthausen, Griech. Palaeogr., 1913, II, გვ. 306. M. Jean Dorresse, Cryptographie Copte... ტაბ. II.

²⁰⁷ ვ. გარდტჰაუზენი მიუთითებს აგრეთვე სხვა ავტორებს, რომელთაც სხვადასხვა ანბანები აქვთ გამოცემული.

²⁰⁸ M. Jean Dorresse, Cryptographie copte et cryptographie grecque, Bulletin de l'Institut d'Egypte, t. XXXIII, 1952.

ასო-ნიშნები ბერძნული კრიპტოგრაფიიდან ვ. გარდტაუზენისა და ჟან დორესის მიხედვით და ქართული კრიპტოგრაფიული პაროზითი ნიშნები

ასო-ნიშნები ბერძნული კრიპტოგრაფიიდან ვ. გარდტაუზენის მიხედვით	კრიპტოგრაფიული ნიშნები ქართულ კრიპტო- პაროზითში
1. ρ	1. ρ ρ ρ ρ ρ
2. Ϸ	2. Ϸ
3. ν	3. ა) ν ბ) ς
4. Ϸ	4. ა) Ϸ ბ) Ϸ
5. ϥ	5. ϥ
6. Ϻ	6. ა) Ϻ ბ) Α ვ) Ϻ ე) Ϻ ე) Ϻ
7. ϧ	7. ϧ
8. Ϩ	8. Ϩ
9. ϩ	9. ϩ
10. ϫ	10. ϫ
11. Ϭ	11. ა) Ϭ ბ) ϫ
12. ϭ	12. ა) ϭ ბ) ϭ ვ) ϭ
13. Ϯ	13. ა) Ϯ ბ) Ϯ ვ) Ϯ
14. ϯ	14. ϯ
15. ϰ	15. ϰ
16. ϱ	16. ϱ
17. ϲ	17. ϲ
18. ϳ	18. ϳ
19. ϴ	19. ა) ϴ ბ) ϴ
20. ϵ	20. ϵ
21. ϶	21. ϶
22. Ϸ	22. Ϸ
23. ϸ	23. ϸ
24. Ϲ	24. Ϲ
25. Ϻ	25. Ϻ

1. № 32 ბ, 36, 38, 63, 82, 85. 2. № 15, 18, 38, 72, 93. 3. ა) № 21, 36, 76, 81, 83, 85, 86, 87, 98. ბ) № 13. 4. ა) № 34, 38, 43, 100. ბ) № 15, 62, 83, 84, 95. ვ. № 38, 55. 6. ა) № 38, ბ) № 32 გ, 37, 52, 78, 79, ვ) № 89. დ) № 85, 93. ე) № 18. 7. № 38. 8. № 38. 9. № 6, 42, 82, 83, 100. 10. № 6, 19, 20, 26, 32 ა ბ, 34, 56, 82. 11. ა) № 82. ბ) № 89. 12. ა) № 36. ბ) № 36. ვ) № 87. 13. ა) № 36, ბ) № 10, 16. გ) 72. 14. № 5, 22, 34, 40, 44, 54, 57, 85. 15. № 15. 16. № 15, 34, 39, 75. 17. № 3, 16, 72. 18. № 37. 19. ა) № 54, 83, ბ) № 98, 20. № 13, 63. 21. № 30, 46. 22. № 64. 23. № 91. 24. № 2. 25. № 40.

ანბნ-ნიშნები ზედაპირული კრიტერიუმების მიხედვით	პროცენტული კრიტერიუმების მიხედვით
1. Z	1. Z ზ
2. 4	2. ა) 4 ბ) 9 გ) 2
3. 8	3. ა) 8 ბ) 8 გ) 8
4. C	4. C
5. —	5. —
6. I	6. ა) I ბ) I
7. 2	7. ა) 2 ბ) 2
8. 5	8. 5
9. 4	9. 4
10. 1	10. 1
11. ∞	11. ∞
12. III	12. III
13. M	13. M
14. N	14. N
15. φ	15. φ
16. 4	16. 4
17. 9	17. ა) 9 ბ) 9
18. 2	18. ა) 2 ბ) 2
19. T	19. T
20. 0	20. 0
21. h	21. h
22. 5 Σ	22. ა) 5 ბ) 5

1. № 26, 34, 36, 52, 61, 72, 75, 79, 82, 85. 2. ა) № 26, 38, 40, 87, 89. ბ) № 20, 23, 32 ა, 45. გ) № 18. 3. ა) № 16, 18, 19, 32 ა ბ, 82 88, 98. ბ) № 84. გ) № 65. 4. № 11, 18, 33, 37, 40, 41, 44, 79, 82. 84, 85. 5. № 82, 83, 85, 93. 6. ა) № 3, 4, 6, 16, 32 ა ბ, 33, 38, 41, 45, 46, 47, 54, 56, 71, 72, 77, 79, 94. ბ) № 64. 7. ა) № 5, 36. ბ) № 55. 8. № 36, 9. № 3, 4, 5, 10, 54. 10. № 5, 12, 30, 40, 41, 43, 57, 100. 11. № 5, 12. № 15, 77, 85, 94. 18. № 15, 32 ა ბ, 40, 79. 14. № 15, 54, 56, 75, 79. 15. № 3, 4, 18, 21, 29, 32 ა ბ, 37, 40, 43, 45, 85., 16. № 3, 37, 43, 74., 17. ა) № 45, 55. ბ) № 81. 18. ა) № 18, 79. ბ) № 18. 19. № 2, 27, 53, 57. 20. № 79. 21. № 46, 85, 93. 22. ა) № 8 ბ) № 8.

ქართული პირობითი ნიშნების შედარებამ ანალოგიური ბერძნული კრიპტოგრაფიული სისტემის ანბანებთან გამოავლინა, რომ ერთი წყება პირობითი ნიშნებისა უშუალოდ ბერძნულიდანაა გადმოღებული ქართული კრიპტოგრაფიაში, რაც საფუძველს გვაძლევს, ვიფიქროთ, რომ ქართულში პირობითი ნიშნების სისტემის წარმოშობაში გარკვეული როლი ბერძნულ კრიპტოგრაფიასაც შეუსრულებია.

აქვე ისმის საკითხი: განიცდიდა თუ არა ცვლილებას ბერძნული კრიპტოგრაფიული ანბანების ასო-ნიშნები ქართულად გადმოღებისას მნიშვნელობისა და მოხაზულობის თვალსაზრისით? ქართული პირობითი ნიშნების სისტემისა და ბერძნული ანალოგიური კრიპტოგრაფიული სისტემის მსგავსი ასო-ნიშნების ურთიერთმიმართების საკითხი ფრიალ საინტერესოა. ქართულ-ბერძნულ კრიპტოგრაფიაში არსებული მსგავსი ნიშნების შედარებითი შესწავლის შედეგად გაიჩვენა, რომ ქართული კრიპტოგრაფიული ანბანების შემდგენელთ ბერძნულიდან ამა თუ იმ ნიშნის გადმოღებისას პირველ რიგში მნიშვნელობები შეუცვლიათ. მაგ., ბერძნული კრიპტოგრაფიული ანბანის ასო χ , რომელიც ბერძნულში უდრის χ -ს, ქართულ კრიპტოგრაფიულ ანბანში აღნიშნავს დ-ს (№ 83), ჰ-ს (№ 84), ჰ-ს (№ 15). ასევე ბერძნული კრიპტოგრაფიული ასო ζ , რომელიც ბერძნულში ბ-ს მიაგებია, ქართულ კრიპტოგრაფიაში სხვადასხვა ავტორებს შემდეგი ასოების მნიშვნელობით უხმარიათ: უ (№ 82), ა (№ 32 ა, ბ), რ (№ 34), ყ (№ 19), კ (№ 20) და სხვ.

რაც შეეხება ქართულში ბერძნულიდან გადმოღებული კრიპტოგრაფიული ანბანების ასო-ნიშნების მოხაზულობას, უნდა შევნიშნოთ, რომ განსხვავება გრაფიკული თვალსაზრისით არ არის მკვეთრად გამოხატული, თუმცაღა გარკვეული ცვლილებები ზოგი ასოს მოხაზულობაში მაინც შეიმჩნევა: ბერძნული Π ნიშანი ქართულში ასეთი ვარიანტებით გვხვდე-

ბა: Π Π Π

ამრიგად, პირობითი ნიშნების სისტემის ანბანთა შესწავლამ გამოავლინა ის ორი ძირითადი წყარო, რომლითაც უსარგებლიათ ამ სისტემის მრავალფეროვანი სახეობების გასაღებების შემდგენლებს. ესენია: ქართული კომენტარებიანი ხელნაწერების პირობითი ნიშნები და პირობითი ნიშნების ბერძნული კრიპტოგრაფიული სისტემა.

ქართული პირობითი ნიშნების სისტემა მხოლოდ კომენტარებიანი ხელნაწერთა მსგავსი ნიშნებისა და ბერძნული კრიპტოგრაფიული ანბანებიდან გადმოღებული ნიშნების კონგლომერატს არ წარმოადგენს, არამედ ამ ნიშნებში შეიმჩნევა აგრეთვე ისეთი ასო-ნიშნები, რომელნიც გარკვეულ მსგავსებას გვიჩვენებენ სხვადასხვა ერის ანბანებთან. პირობითი ნიშნების სისტემის ქართულ ანბანებში შეიძლება ამოვკრიბოთ

ცალკეული ასო-ნიშნები, რომლებიც გამოვლენილი უნდა იყოს ბერძნული ანბანიდან, არაბულიდან და სხვა ენების ანბანებიდან.

უცხო ენათა ანბანები ქართველებს საერთოდ გამოუყენებიათ დღემდე და მათი მეშვეობით ცალკე სისტემატუ მუქმნიათ, კერძოდ, სხვადასხვა წილობის სისტემა. მაგრამ პირობითი ნიშნების სისტემასა და სხვადასხვა წილობის სისტემაში სხვადასხვაგვარად უხმარიათ აღნიშნული ანბანები. სხვადასხვა წილობის სისტემაში უცხო ენათა ანბანები გამოუყენებიათ სრულად. იღებდნენ ერთ რომელიმე ანბანს, ვთქვათ, ბერძნულს და ამ ენის სრული ანბანით წერდნენ ქართულ ტექსტს (ქართულ სპეციფიკურ ასოებს ტოვებდნენ ტექსტში). ცხადია, ამ ანბანის უცოდინარისათვის იგი ძნელად ამოსაკითხი და უცნობი იყო და ამდენად საიდუმლო ანბანს წარმოადგენდა. რაც შეეხება პირობითი ნიშნების სისტემას, აქ უცხო ენათა ანბანებიდან გამოყენებულია მხოლოდ ცალკეული ასოები. შეინიშნება განსხვავება სხვა მხრივაც. სხვადასხვა წილობის სისტემაში ქართული ანბანისათვის შემდგენიერად მიუსადაგებიათ უცხო ენათა ანბანები. მაგ., ქართული ა-ს შესატყვისად უხმარიათ ბერძნული α, ქართული ბ-ს ნაცვლად ბერძნული β და ა. შ. სხვა ვითარებაა პირობითი ნიშნების სისტემაში. აქ არ არის აუცილებელი, რომ უცხო ენათა ანბანებიდან ამოკრებილი ასოები მნიშვნელობის თვალსაზრისით ქართულს შეესატყვისებოდეს. მაგ., A, B ასოები ერთ ქართულ კრიპტოგრაფულ ანბანში უ და ტ ასოთა მნიშვნელობითაა ნახმარი, მაგრამ იმავე ანბანში Φ-სთვის თავისი მნიშვნელობა დაუტოვებია კრიპტოგრაფული ანბანის შემდგენელს და ქართული ფ-ს მაგიერ შეუტანია (Q—225, H—2359, S—2632, H—2077).

ამრიგად, უცხო ენათა ანბანები გამოუყენებიათ ქართული კრიპტოგრაფული ანბანების შესაქმნელად როგორც სრულად (იხ. სხვადასხვა წილობის სისტემა), ასევე ნაწილობრივ, ცალკეული ასოები (იხ. პირობითი ნიშნების სისტემა).

პირობითი ნიშნების სისტემის კრიპტოგრაფულ ანბანებში კომენტარებიან ხელნაწერთა პირობითი ნიშნების მსგავსი ნიშნების დაძებნა, როგორც დაეინახეთ, უსაფუძვლო არ უნდა იყოს. ქართულ ხელნაწერთა მფლობელთ ან გადამწერთ, რომელთაც სურდათ პირობითი ნიშნების სისტემისათვის ანბანის შედგენა, ხელი მიუწვდებოდათ ქართულ ხელნაწერებზე და შეეძლოთ ესარგებლათ კომენტარებიან ხელნაწერებში არსებული ასო-ნიშნებით. ასევე, უსაფუძვლო არ გვეჩვენება ქართულში ბერძნული პირობითი ნიშნების არსებობა, რასაც, პირველ რიგში, ქართულ-ბერძნული ლიტერატურული ურთიერთობა უწყობდა ხელს, ამასთანავე, ქართველთა მიერ საერთოდ ბერძნული კრიპტოგრაფიის ცოდნა (იხ. აქვე, ბერძნული კრიპტოგრაფები ქართულ ხელნაწერებში). როგორც გაირკვა, ქართველებს არა მხოლოდ უძველესი ბერძნული კრიპ-

ტოგრაფიული „Gewöhnlichste“ სისტემა სცოდნიათ, რომელიც შედგენილია ასოთა შენაცვლებით, არამედ ბერძნული პირობითი ნიშნების კრიპტოგრაფიული სისტემაც გამოუყენებიათ და იქიდან ცალკეულ ასო-ნიშნები მოუხშიათ ქართული პირობითი ნიშნების სისტემის შედგენისას. მაგრამ პირობითი ნიშნების სისტემის ანბანებში კვლავ რჩება ერთი წყება ასო-ნიშნებისა, რომელიც უცხოენოვანი წარმოშობისა ჩანან, მაგრამ თუ როგორ მოხვდა ქართულში ესა თუ ის ნიშანი ამ ენებიდან, ამის გარკვევა ჭირს. მაგალითად, ფაქტია, რომ ქართული პირობითი ნიშნების სისტემის რამდენიმე ანბანში (H—2794, № 85; H—1090, № 85; Q—1134, № 85) დასტურდება ასო-ნიშანი σ , რომელიც ეთიოპური ანბანის ერთ-ერთი ასოა²⁰⁹. ასევე, ქართულში გვხვდება ნიშანი ρ (A—994, A—134, A—646, S—1587, № 5), რომლის მსგავსი ასო სომალის ანბანში დასტურდება²¹⁰. ასევე, ეტრუსკული ანბანიდან

ρ 8: ნიშნები დასტურდება ქართულში (S—1203, № 88; პარიზ. № 1,

№ 21; პარიზ. № 1, № 15; S—4541, № 80). ასევე შეიძლება ამოვკრიბოთ სხვა ანბანებიდანაც ასო-ნიშნები, რომლებიც ქართული პირობითი ნიშნების სისტემის კრიპტოგრაფიული ანბანების მსგავსი მოხაზულობისაა. უცხო ენების ანბანებთან ურთიერთობის საკითხის განხილვის დროს ქართულ პირობითი ნიშნების სისტემის კრიპტოგრაფიულ ანბანებში ბერძნული, ლათინური, არაბული ენების ანბანებიდან ამოღებული ასო-ნიშნების არსებობა ბუნებრივი ჩანს, ვინაიდან ეს ფაქტი ასახავს იმ ურთიერთობას, რომელიც ჰქონდა ქართულს ამ ენებთან. მაგრამ ჩვენ არა გვაქვს არაერთი საბუთი, რომელიც ნათელს მოჰქვენდა ქართულ კრიპტოგრაფიულ ანბანებში ისეთი ნიშნების არსებობას, როგორიცაა, ვთქვათ, ასო-ნიშანი სომალის ანბანიდან და ზოგი სხვა ანბანიდან, ამასთანავე, ჩვენ არ ვიცით, გარდა ზემოთ მითითებული წყაროებისა, რით უსარგებლიათ ჩვენს წინაპრებს. ჩვენთვის ძნელია ამის დადგენა თვით გვიანდელ, XIX ს. ანბანების კვლევის დროსაც კი. აღსანიშნავია, რომ არც პირობითი ნიშნების სისტემის ანბანთა შემდგენლები (მათ შესახებ იხ. ქვემოთ) არ უთითებენ იმ წყაროებს, რომელთა მეშვეობით შეუდგენიათ მათ ანბანები.

ამრიგად, პირობითი ნიშნების სისტემის ანბანთა შესწავლამ გამოავლინა, რომ მათ შესადგენად ქართველ ავტორებს ძირითადად გამოუყენებიათ ქართული კომენტარებიანი ხელნაწერების პირობითი ნიშნები, ბერძნული კრიპტოგრაფიული ანბანები და უცხო ენათა სხვადასხვა ანბანები.

²⁰⁹ Д. Дирингер, Алфавит, М., 1963, с. 280.

²¹⁰ იქვე, გვ. 351.

2. პირობითი ნიშნების კრიპტოგრაფიული სისტემის ანბანთა ზოგი შემდგენლის შესახებ

ძველი ქართული კრიპტოგრაფიული სისტემების შემდგენელთა ვინაობის შესახებ ჩვენამდე ძალზე ძუნწი ცნობებია მოღწეული. მაგალითად, არ ვიცით, ვინ იყო შემომღები უძველესი ანჩინური, სათვალავადი, სარკისებრი და სხვა კრიპტოგრაფიული სისტემებისა. შედარებით გვიან ჩამოყალიბებული ზოგი სისტემის ავტორთა შესახებ ცნობები დასტურდება ხელნაწერებში. პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის № 1 ქართულ ხელნაწერში რამდენიმე კრიპტოგრამულ გასაღებზე მიწერილია ამ გასაღებების შემდგენელთა ვინაობა: ანტონ კათალიკოზისა, არჩილისა, კაჭხაური, თაქალთოიანთა, სულხანისა, ჩხეიძისა, მუხრანელთა. როგორც ე. თაყაიშვილი ვარაუდობს, აქ უნდა იგულისხმებოდეს ანტონ I, არჩილ მეფე, სულხან-საბა ორბელიანი, ისტორიკოსი სეხნია ჩხეიძე, მუხრან-ბატონები²¹¹. ასევე ხელნაწერი S—174 ანჯანური სისტემის შემომღებად მიიჩნევს ფარსადან გორგიჯანიძეს. ხელნაწერებშია დაცული ცნობა აგრეთვე პირობითი ნიშნების სისტემის ერთი სახეობის შემდგენლის იოანე ორბელიანის შესახებ (იხ. პირობითი ნიშნებისა და უკუღაწერილობის კომპილაციური სისტემა).

ამჯერად შევეხებით პირობითი ნიშნების სისტემის ანბანების რამდენიმე შემდგენელს. პირობითი ნიშნების სისტემა ძალზე მრავალფეროვანია შედგენილობის თვალსაზრისით. სხვადასხვა ასო-ნიშნების მეშვეობით შეუდგენიათ მრავალგვარი სახეობის გასაღებები, რომელთა ავტორების ვინაობა ძირითადად უცნობია, თუმცაღა მანაც ხერხდება ზოგი მათგანის ვინაობის დადგენა.

სულხან-საბა ორბელიანი

პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის № 1 ხელნაწერში კრიპტოგრაფიულ გასაღებებზე მიწერილ სხვა ავტორებთან ერთად მოხსენიებულია სულხანი (მე-9 გასაღები). ე. თაყაიშვილის აზრით, იგი სულხან-საბა ორბელიანი უნდა იყოს²¹². სწორია თუ არა პარიზული № 1 ხელნაწერის ცნობა? ხელნაწერში მოხსენიებული სულხანი არის თუ არა, მართლაც, სულხან-საბა ორბელიანი და შეადგინა თუ არა მან აღნიშნული კრიპტოგრაფიული გასაღები?

საფიქრებელია, რომ სულხან-საბა, მართლაც, იყო ამ ანბანის შემდგენელი. „ქართული ლექსიკონის“ უძველეს ავტოგრაფულ ნუსხაში

²¹¹ ე. თაყაიშვილი, პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები და ოცი ქართული საიდუმლო დამწერლობის ნიმუხი, 1933, გვ. 5—8.

²¹² იქვე, გვ. 9.



(H—416) განსამარტი სიტყვების ერთი წყება სულხან-საბას საიდუმლო ანბანით დაუწერია. ლექსიკონის დასაწყისში ისინი ჩვეულებრივ: მხედრულით ჩაუწერია, ხოლო შემდგომ ამოუფხვრია რამდენიმე სიტყვა და ზემოდან წაუწერია იგივე სიტყვები, ამჯერად საიდუმლო ანბანით. ამ ტიპის დანარჩენ განსამარტი სიტყვებს სულხან-საბა ხელნაწერში შემდგომ ჩაწერს იმავე საიდუმლო ანბანით.

რა ხასიათისაა ეს სიტყვები, რომლებსაც სულხან-საბა გამოჰყოფს ცალკე? რატომ წერს მათ საიდუმლო ანბანით? ეს ასო-ნიშნები რომელი სახეობის კრიპტოგრაფული ანბანია? სულხან-საბა ორბელიანს საიდუმლო ანბანით ჩაუწერია ლექსიკონის ამ ნუსხაში ე. წ. უბადო სიტყვები²¹³. ამ სიტყვების ლექსიკონში შეტანის აუცილებლობას, რა თქმა უნდა, სულხან-საბა უთუოდ გრძნობდა, რათა ქართული ენის ლექსიკური მარაგი მთელი სისრულითა და სიზუსტით გადმოეცა. ამის გამო მიუთითებდა იგი თავის ანდერძში: „ამა წიგნთა შინა არიან სახელნი კეთილნი და ბოროტნი, საქებელნი და საძაგებელნი, უბადონი და ცუდნი. არათუ კიცხვისათვის აღმიწერია, რათა საქირდლად იპყრათ, არამედ ენისა სისრულისათვის აღესწერე“²¹⁴.

H—416 ნუსხის კრიპტოგრაფული ანბანის შესწავლისას გაირკვა, რომ ეს ანბანი პირობითი ნიშნების სისტემისაა და რომ მისი მსგავსი ანბანი დაცულია პარიზის № 1 ხელნაწერში (მე-6 გასაღები), რომლის ავტორად იქვე დასახელებულია არჩილი, ე. თაყაიშვილის ვარაუდით არჩილ მეფე²¹⁵.

სულხან-საბას ავტოგრაფულ ხელნაწერში (H—416) გამოყენებული საიდუმლო ანბანის გასაღები და პარიზული № 1 ხელნაწერის მე-9 გასაღები, რომლის ავტორად დასახელებულია სულხანი, პირობითი ნიშნების სისტემისაა, მაგრამ შედგენილობით ისინი განსხვავებულნი არიან: ორივე გასაღებში სხვადასხვა ასო-ნიშნები უხმარიათ ანბანისათვის.

სულხან-საბას რაეი თავის ლექსიკონში გარკვეული მიზნით, „უბადო“ სიტყვების დასაფარავად გამოუყენებია საიდუმლო ანბანი, რა თქმა უნდა, შესაძლებელია, რომ მას ახალი ანბანიც მოეგონებინა, შეედგინა. არ არის გამოორიციხული, რომ პარიზულ № 1 ხელნაწერში (№ 9 გასა-

²¹³ „ქართული ლექსიკონის“ H—416 ნუსხის ამ თავისებურებისათვის ყურადღება მიუქცევია ვლ. მეტრეველს (სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის უძველესი ავტოგრაფი, აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XIX B, 1956, გვ. 13). მისი აზრით, აღნიშნული სიტყვები ბერძნული ტრანსლიტერაციითა შესრულებული.

²¹⁴ ს.-ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, თბულებანი, ტ. IV, 1965, გვ. 33—34.

²¹⁵ ე. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 9.

ლები) მითითებული ავტორი საიდუმლო ანბანისა ს უ ლ ხ ა ნ ი, მართლაც, სულხან-საბა ორბელიანი იყოს.

ამრიგად, გაირკვა, რომ სულხან-საბა ორბელიანს ლექსიკონის ერთ-ერთ უძველეს ავტორგრაფულ ნუსხაში (H—416) ე. წ. „უბადო“ სიტყვების ჩასაწერად გამოუყენებია საიდუმლო ანბანი, რომელიც იდენტური გამოდგა პარიზული № 1 ხელნაწერის იმ გასაღებისა (№ 6), რომლის ავტორად მიჩნეულია არჩილი. მაშასადამე, სულხან-საბა საჭიროების შემთხვევაში იყენებს საიდუმლო ანბანს. ეს გარემოება კი მხარს უჭერს ე. თაყაიშვილის მიერ გამოთქმულ ვარაუდს იმის შესახებ, რომ პარიზული № 1 ხელნაწერის მე-9 გასაღების ავტორი ს უ ლ ხ ა ნ ი უნდა იყოს სულხან-საბა ორბელიანი.

თ ე ი მ უ რ ა ზ ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი

პირობითი ნიშნების სისტემის საიდუმლო ანბანი შეუდგენიათ ძმებს თეიმურაზ და დავით ბაგრატიონებს²¹⁶. თეიმურაზ ბატონიშვილის მიერ შედგენილი კრიპტოგრამები დაცულია ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ქართულ ხელნაწერთა კოლექციიაში²¹⁷, რამდენიმე ნიმუში დაიქვანა ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებშიც (H—2358, S—3644, A—1763 ა, A—131)²¹⁸.

თეიმურაზ ბატონიშვილს, როგორც რ. ორბელი აღნიშნავს, ორი ტიპის ანბანი შეუდგენია, თუმცა იგი სარგებლობდა მხოლოდ ერთი ანბანით, მისი ყველა კრიპტოგრამა ამ ანბანითაა ნაწერი. გასაღები პირველი ტიპის ანბანისა შეადგინა და გამოაქვეყნა რ. ორბელმა²¹⁹.

²¹⁶ P. P. Орбелн. Из криптографированных записей Теймураза Багратиони: Ученые записки Института востоковедения. XVI, 1958, с. 393—403.

²¹⁷ იქვე, გვ. 396.

²¹⁸ თეიმურაზ ბაგრატიონისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში (თეიმურაზ ბაგრატიონი, ცხოვრება, 1972, გვ. 175) გ. შარაძეს ჩამოთვლილი აქვს თეიმურაზის კრიპტოგრამები. ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერთან ერთად მითითებულია ხელნაწერთა ინსტიტუტის ერთადერთი ნუსხა S—371 (მონტესკიე, გულისხმის-ყოფისათვის სჯულთსა). ხელნაწერი S—371 დავით ბატონიშვილის ავტოგრაფია. დავით ბატონიშვილს S—371 და S—370 ხელნაწერი, რომელიც ამ თხზულების დასაწყისია, უთარგმნა და დაუწერია, ხოლო შემდგომ ორივე ხელნაწერი თეიმურაზ ბატონიშვილს მიუერთმეგია დავით დადიანისათვის (ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, S კოლექცია, I, 1960, გვ. 428—430). ხელნაწერში მოთავსებული კრიპტოგრამა არ ეკუთვნის თეიმურაზ ბატონიშვილს, იგი დაუწერია იაკობ ზუბალოვს (ეს კრიპტოგრამა განხილული გვაქვს აქვე, იხ. ანჯანური სისტემა).

²¹⁹ რ. ო რ ბ ე ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 396.

ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ	თ	ი	კ	ლ	მ	ნ	ო	პ	ჟ	რ	ს	ტ
ყ	შ	ჩ	ც	ძ	წ	ჭ	ხ	ც	ც	ც	ც	ც	ც	ც	ც	ც	ც	ც

მეორე ტიპის ანბანის მხოლოდ გასაღები ცნობილი (ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერი, C—9). როგორც რ. ორბელი აღნიშნავს, თეიმურაზ ბატონიშვილს ეს გასაღები არ გამოუყენებია კრიპტოგრამებისათვის²²⁰.

ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ	თ	ი	კ	ლ	მ	ნ	ო	პ	ჟ	რ	ს	ტ
ყ	შ	ჩ	ც	ძ	წ	ჭ	ხ	ც	ც	ც	ც	ც	ც	ც	ც	ც	ც	ც

რ. ორბელის ვარაუდით, პირველი ტიპის ანბანი, რომლითაც თეიმურაზ ბატონიშვილი წერდა კრიპტოგრამებს, მან შეადგინა პეტერბურგში გადასვლის შემდეგ 1811—20 წლებში, როცა ის იწყებს ლიტერატურულ მოღვაწეობას. ხელნაწერთა შესწავლა სხვაგვარ სურათს გვიჩვენებს. როგორც აღვნიშნეთ, პირველი ტიპის კრიპტოგრამები ხელნაწერთა ინსტიტუტის ნუსხებშიც გამოვლინდა. ამათგან პირველი ტიპის გასაღების დათარიღებისათვის მნიშვნელობა აქვს A—131 ხელნაწერის კრიპტოგრამას (იგი ამოხსნა კ. გრიგოლიამ)²⁶¹. თეიმურაზ ბატონიშვილი კრიპტოგრამაში აღნიშნავს, რომ მას „ქართლის ცხოვრების“ ეს ხელნაწერი საკითხავად უთხოვია წინამძღვარ ეფთვიმესაგან და კრიპტოგრამაც მიუწერია მასზე „ქკს უპზ, წელსა ჩღბთ“. კ. გრიგოლიაც მიუთითებს, რომ თარიღში შეცდომაა, „ჩღბთ“ წლის ნაცვლად უნდა გვქონდეს „ჩღეთ“, ვინაიდან ქორონიკონი „უპზ“ (487) უღრის „ჩღეთ“ (1799 წელს). ამასთანავე, როგორც თვით თეიმურაზიც აღნიშნავს, ამ კრიპტოგრამის დაწერისას იგი იყო „ათჯიღმეტისა წლისა“. თეიმურაზი კი დაბადებულა 1782 წელს (1782+17=1799 წელს). თარიღში დაშვებული ეს შეცდომა შემდეგი მიზეზით აიხსნება: როგორც გაირკვა, კრიპტოგრამის დაწერისას თეიმურაზს მოსვლია უნებლიე შეცდომა — სიტყვაში „ჩღბთ“ (სურ. 1) ასო პ (იხ. სურ. 2) ჩაუწერია ჟ-ს (სურ. 3) ნაცვლად, რომელიც გრაფიკულად პ-ს მსგავსია. ასო ჟ (სურ. 3) განსხვავდება პ ასოსაგან (სურ. 2) მხოლოდ იმით, რომ იგი გადმობრუნებულია.

²²⁰ რ. ო რ ბ ე ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 396.

²²¹ კ. გ რ ი გ ო ლ ი ა, ნარკვევები საქართველოს ისტორიის წყარომცოდნეობიდან, I, ახალი ქართლის ცხოვრება, 1954, გვ. 171.

სურ. 1 სურ. 2 სურ. 3

ამრიგად, 1799 წელს, როდესაც თეიმურაზ ბატონიშვილი ჭერ კიდევ საქართველოში იმყოფებოდა, დაუწერია კრიპტოგრამა პირველი ტიპის გასაღებით. ამ დროისათვის უნდა ვივარაუდოთ პირველი ტიპის საიდუმლო ანბანის შედგენაც თეიმურაზის მიერ.

რაც შეეხება ანბანის მეორე ტიპს, ამ ანბანის შედგენას რ. ორბელი ვარაუდობს XVIII ს. დასასრულს თუ XIX ს. დასაწყისში²²². თეიმურაზ ბატონიშვილს, როგორც რ. ორბელი მიუთითებს, ამ ტიპის ანბანით არ დაუწერია კრიპტოგრამები და მხოლოდ ანბანი ჩაუწერია ერთ ლენინგრადაულ ხელნაწერში (C—9).

ჩვენი აზრით, ამ გასაღების ავტორი თეიმურაზ ბატონიშვილი არ უნდა იყოს, რასაც ადასტურებს შემდეგი: ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში გამოვლინდა რამდენიმე ხელნაწერი, რომელთაც ამ ანბანით შედგენილი კრიპტოგრამები დაუცავთ (S—2684, S—390, S—1284, S—1746, S—2391, H—197, H—885, H—1655). ეს კრიპტოგრამები სხვადასხვა პირთა მიერ არის დაწერილი. მაგ., ეგნატე თუმანიშვილის ასულს ანას მის მიერ გადაწერილი ორი ხელნაწერი დაუშვებენ ამ სახეობის კრიპტოგრამებით (S—2391, ყარამანიანი, 1811 წ. და S—1746, ბარამგულანდამიანი, XIX ს.). ამავე ანბანით დაუწერია ანდერძი ერთ ხელნაწერზე მის მფლობელს ნინო ერისთავს (H—197, XIX ს.); პეტრე ლარაძეს ლექსების ბოლოს თავისი სახელი კრიპტოგრაფიულად მიუწერია (S—390) და სხვ.

თეიმურაზ ბატონიშვილს რაკი მხოლოდ პირველი ტიპის ანბანით უსარგებლია და არც ერთი მისი კრიპტოგრამა მეორე ტიპის ანბანით არ არის ნაწერი, ამასთანავე მეორე ტიპის ანბანით შედგენილი ყველა კრიპტოგრამა სხვადასხვა პირთა მიერაა დაწერილი, იგი საქართველოში გავრცელებული ჩანს, ეს საფუძველს გვაძლევს, ვიფიქროთ, რომ თეიმურაზ ბატონიშვილი ამ ანბანის შემდგენელი არ უნდა იყოს. მართალია, თეიმურაზ ბატონიშვილს ერთ-ერთ ავტოგრაფულ ხელნაწერში (C—9) ჩაუწერია ამ კრიპტოგრამული ანბანის გასაღები, მაგრამ იგი მისი მოგონილი მაინც არ ჩანს. ეგვევ კრიპტოგრამული ანბანი გვხვდება XVIII ს. სხვა ხელნაწერშიც (S—2684)²²³. ეს ფაქტი გვაფიქრებინებს, რომ თეი-

²²² რ. ო რ ბ ე ლ ი. დასახ. ნაშრომი, გვ. 397.

²²³ S—2684 ხელნაწერში ანბანს მოჰდევს კრიპტოგრამა, საიდანაც ჩანს, რომ კრიპტოგრამა 1801 წელსაა დაწერილი. მამასადაჟე, ანბანიც ამავე წლით დათარიღდება.

შურაზს ეს ანბანი სხვა ხელნაწერიდან უნდა გადმოეწერა და იგი არ არის შემდგენელი. მეორე ტიპის ანბანი რომ არ არის თეიმურაზის შემდგენილი, ეს შემდეგიდანაც ჩანს: ერთ ხელნაწერში (ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტ. K—9, ანტონ I, გრამატიკა), რომელიც გიორგი XII-ის დაკვეთითაა გადაწერილი, ხოლო შემდგომ დავით და თეიმურაზ ბაგრატიონების საკუთრება ყოფილა²²⁴, სხვა მინაწერთა შორის, რომლებიც დავითს და თეიმურაზს შეუსრულებიათ, საყურადღებო ჩანს მათ მიერვე დაწერილი ორი კრიპტოგრაფული ანბანი. თეიმურაზს ხელნაწერში ჩაუწერია კრიპტოგრაფული ანბანი, რომელიც, როგორც სამართლიანად აღნიშნავს რ. ორბელი, უცნობი ავტორის მიერაა შედგენილი.

ჲ	И	М	ა	ჳ	ი	ჲ	ა	ლ	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა	ა
ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ	თ	ი	კ	ლ	მ	ნ	ო	პ	ჟ	რ	ს	ტ	ც
ნ	ბ	ა	ფ	ყ	ქ	რ	გ	ს	ვ	ბ	ღ	ყ	რ	წ	ჭ	ც	ც	ც	ჭ
ს	ტ	ყ	ფ	ქ	ღ	ყ	ფ	რ	ც	ძ	წ	ჭ	ც	ც	ც	ც	ც	ც	ჭ

K—9 ხელნაწერის კრიპტოგრაფული ანბანის მსგავსი ანბანი საქართველოში ძალზე გავრცელებული ყოფილა. ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში ასეთი ანბანით ნაწერი მრავალი კრიპტოგრამა დაიძებნა.

ამრიგად, თეიმურაზს თავისი კოლექციის ხელნაწერებში არა მარტო თავისი საკუთარი ანბანით შედგენილი კრიპტოგრამები უწერია, არამედ სხვათა მიერ შედგენილი კრიპტოგრაფული ანბანებიც შეუტანია.

აღექსი და დავით მესხიშვილები

ერთ ლექსთა კრებულში (A—1164), რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში „მცირე ანთოლოგიის“²²⁵ სახელითაა ცნობილი, გვხვდება კრიპტოგრამები. გარკვეულია, რომ „ანთოლოგია“ შედგენილია მესხიშვილთა ოჯახში, კერძოდ, ალექსი და დავით მესხიშვილების მიერ. ანთოლოგია, როგორც ლ. ქუთათელაძე მიუთითებს, „სხვადასხვა დროს მოპოვებული მასალისა და გაგონილის საფუძველზე“ შეუდგენიათ მამა-შვილს საკუთარი მოთხოვნებისა და საჭიროებისათვის²²⁶. კრიპტოგრამები დასტურდება როგორც ალექსის გადაწერილ ნაწილში, ასევე დავითისაში. ისინი გაუშიფრავს თ. ეორდანიას და ხელნაწერშივე ჩაუწერია მათი ამოხსნა. კრიპტოგრამების ერთი წყება გამოცანების ამოხსნაა. საიდუმლო ანბანითაა ნაწერი ერთი სტროფი ვახტანგ VI-ის „მაჯამიდან“²²⁷: „აღმართნა

²²⁴ Р. Р. Орбели, Грузинские рукописи Института востоковедения АН СССР, 1956, Л., с. 149.

²²⁵ ლ. ქუთათელაძე, დავით რექტორისეული ანთოლოგია. 1821—1823 წწ., მრავალთავი, IV, 1975, გვ. 106.

²²⁶ იქვე.

²²⁷ გ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, II, 1952, გვ. 491.

ბროლი სვეტისა...“ ამთ გარდა ხელნაწერში მივაკვლიეთ ერთ კრიპტო-გრამას. ამოხსნისას გაირკვა, რომ დაშიფრულია თარიღი: „ნოემბერს 6 ქკს უნთ“. ე. ი. 1771 წლის 6 ნოემბერს.

რაც შეეხება ამ კრიპტოგრამების ავტორს, ყველა კრიპტოგრამა ტექსტის ხელითაა დაწერილი. დავით რექტორის ეკუთვნის კრიპტოგრამები — გამოცანების ამოხსნა 1 v, 90 v-ზე, ხოლო ალექსი მესხიშვილს — კრიპტოგრამულად დაწერილი ლექსი „აღმართა ბროლი სვეტისა“ (55 r) და საიდუმლო ანბანით დაშიფრული თარიღი (94 r). საყურადღებოდ გვეჩვენება უკანასკნელი კრიპტოგრამა, რომელიც თარიღს აღნიშნავს. თარიღის დაშიფრვა საიდუმლო ანბანით უცხო არ ყოფილა ქართველებისათვის. ხელნაწერის 93 r—94 r-ზე მოთავსებულია არჩილის „ანბანლექსნი ამოცანად სათარგმანებელნი...“ ტექსტი დაწერილია ორ სვეტად. ეს ნაწილი ხელნაწერისა, როგორც ლ. ქუთათელაძე მიუთითებს, ალექსი მესხიშვილის გადაწერილია²²⁸. 94 r-ზე სვეტებს შორის ვერტიკალურად ჩაწერილი კრიპტოგრამა ხელის მიხედვით იდენტურია ალექსის ხელთან, მაშასადამე, იგი ალექსის დაწერილია. ლ. ქუთათელაძე „ანთოლოგიის“ შედგენას ვარაუდობს XVIII ს. II ნახევარში. შემდგომ, XIX ს. 10-იან წლებში იგი შეუუესია დავით რექტორს²²⁹. ჩვენს კრიპტოგრამაში დაშიფრული თარიღი „1771 წ. 6 ნოემბერს“ უთუოდ იმის მანიშნებელია, რომ ალექსი მესხიშვილი სწორედ 1771 წ. მუშაობს აღნიშნულ ხელნაწერზე.

ამრიგად, A—1164 ხელნაწერის კრიპტოგრამები დაუწერიათ ალექსი და დავით მესხიშვილებს²³⁰. მართალია, A—1164 ხელნაწერში არსად არ გვხვდება რაიმე მინიშნება ამ ანბანის შემდგენლის ეინაობის შესახებ, მაგრამ ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია, რომ ალექსი მესხიშვილს, თავისი დროისათვის დიდად განათლებულ პიროვნებას, მივაწეროთ აღნიშნული საიდუმლო ანბანის შედგენა. საგულისხმოა, რომ მამის მიერ შედგენილი ანბანი გამოუყენებია დავით რექტორსაც.

და ვ ი თ თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი

ცნობილ კალიგრაფს დავით ეგნატეს ძე თუმანიშვილს 1805—1806 წწ. პეტერბურგში გადაუწერია H—396 ხელნაწერი, ხოლო 1807 წელს თბილისში H—382. ორივე ხელნაწერში დავითს ჩაუწერია პირობითი

²²⁸ ლ. ქუთათელაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 106.

²²⁹ იქვე, გვ. 106.

²³⁰ პირობითი ნიშნების სიტემის კრიპტოგრამული ანბანის ის სახეობა, რომელიც მესხიშვილებს გამოუყენებიათ, დასტურდება გვიანდელ, XIX ს. რამდენსავე სხვა კრიპტოგრამაშიც (S—1582, S—1613, A—1123, Q—820, H—2358).



ნიშნების სისტემის ერთი სახეობის კრიპტოგრაფული ანბანი და კრიპტოგრაფები.

Н—396 ხელნაწერი კრებულია: „მეტოლოღია“ თარგმნილია დავით ბატონიშვილის მიერ, ხოლო „ნუსხა წამლისა ელექსერისა, გრძლად მაცოცხლებელისა და თვსებისა მისისა“ იოანე ბატონიშვილის მიერ. ხელნაწერის ერთი მინაწერიდან (41 r^v) ჩანს, რომ ამ „წამლის ნუსხის“ დედანი დაბეჭდილი ყოფილა 1805 წ. პეტერბურგს და ერთი ექიმის ოჯახში მიუგნიათ მისთვის. ხელნაწერში მითითებულია, რომ წამალთა სახელწოდებები წარმოდგენილია ლათინურად, რუსულად და ქართულად. ნუსხის შესწავლამ გამოავლინა, რომ რუსული და ქართული სახელწოდებები წამლებისა დაწერილია კრიპტოგრაფულად, სულ 10 დასახელება (38 r)²³¹. იმავე გვერდზე, ფურცლის ზედა ნაწილში, გვირგვინისებური ფორმით დავით თუმანიშვილს ჩაუწერია ამ კრიპტოგრაფის გასაღები, ცხადია, კრიპტოგრაფების ამოკითხვის გასაადვილებლად.

საგულისხმოა ამ ხელნაწერში დაცული ერთი კრიპტოგრაფა, რომელიც დავით თუმანიშვილს დაუწერია. იგი ასე გავხსენით: „ანბანი არის დავითისი“. საფიქრებელია, რომ კრიპტოგრაფაში მოხსენიებული დავითი დავით თუმანიშვილია. იგი საგანგებოდ უსვამს ხაზს, რომ ეს კრიპტოგრაფული ანბანი მისი შედგენილია, მაგრამ დავით თუმანიშვილი არ უთითებს, თუ რა წყაროებით ისარგებლა ანბანის შედგენისას.

დავით თუმანიშვილს ამავე სახეობის ანბანით დაუწერია კრიპტოგრაფა „სამართლის წიგნების“ ერთ ნუსხაზე (Н—382). როგორც ჩანს, მის ავტორს ზოგი რამ არ მოსწონებია „სამართლის წიგნებში“ და თავისი აზრი ამიტომ მიუფარავს.

ამრიგად, დავით თუმანიშვილი ჩანს შემდგენელი იმ კრიპტოგრაფული ანბანისა, რომელიც Н—382 და Н—396 ხელნაწერებში დასტურდება.

და ვ ი თ ი

ხელნაწერი А—994 გადაწერილია XVII ს-ში, 1711 წელს კი იგი შეუქსიათ²³². ხელნაწერის როგორც ძირითად ნაწილში, ასევე გვიანდელში, შევსებულ ფურცლებზე გვხვდება კრიპტოგრაფები. ყველა კრიპტოგრაფა ერთი პირის მიერაა დაწერილი. მაშასადამე, ისინი 1711 წლის შემდგომ დაუწერიათ. ხელის მიხედვით ეს მინაწერები XVIII ს-ის I ნახევრისაა. გაირკვა, რომ კრიპტოგრაფები დაუწერია ვინმე დავითს (იხ. კრიპტოგრაფები 181 r-ზე). დავითი არა მარტო დამწერი ყოფილა ამ

²³¹ მე-6 დასახელებაში დავით თუმანიშვილს ლათინური სახელწოდებაც კრიპტოგრაფით დაუწერია.

²³² მ. ჭ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, Описание, III, 1908, გვ. 251.

კრიპტოგრაფებისა, არამედ შემდგენელი, როგორც თვითონ მიუთითებს: „ესე წიგნი ჩემ დავითის მოგონილი არის, ვინც ისწავლოთ, შენდობას მიბძანებდეთ“. საინტერესოა ამ საიდუმლო მინაწერში ტერმინი წიგნის ხმარება. წიგნი აქ ანბანის მნიშვნელობით არის ნახმარი. ცნობილია, რომ ძველ ქართულში ასოს უწოდებდნენ წიგნს²³³. საგულისხმო ჩანს აგრეთვე დავითის მეორე კრიპტოგრაფა იმავე გვერდზე, სადაც იგი თავის შედგენილ ანბანს აფხაზურს უწოდებს: „დავით ვწერ ამ წიგნს, რომელსა აფხაზური ეწოდების“.

ცხადია, აქ აფხაზური გულისხმობს კრიპტოგრაფულ ანბანს, მაგრამ რატომ შეარქვა დავითმა ამ ანბანს აფხაზური, არ არის ნათელი. დავითის ვინაობის შესახებ სხვა რაიმე ცნობა ხელნაწერში არ დაიძებნა.

გიორგი ავალიშვილი

XVIII ს. დასასრულისა და XIX ს. პირველი ნახევრის მოღვაწეს გიორგი ავალიშვილს ერთ ავტოგრაფულ ნუსხაში (S—1508), რომელიც 1787 წელს გადაუწერია მოსკოვს, ჩაუწერია საიდუმლო ანბანი და ხუთ-სტრიქონიანი კრიპტოგრაფა (185 r). კრიპტოგრაფის ამოხსნის შემდეგ გაირკვა, რომ პირველი ოთხი სტრიქონი ლექსია. გ. ავალიშვილს ამოუღია ერთი სტროფი თეიმურაზ I-ის პოემიდან „ქება და მკობა ხელმწიფის ალექსანდრესი და დედოფლის ნესტან-დარეჯანისა“²³⁴.

ვინ მზეს ნახავს, მას დასახავს, იტყვიან, თუ ალვის ხია,
მუშა-ამბარისა სული მას სდის, მგონი ყველა ზედ ასხია,
ეხვეწების ცისა მნათი, შუქნი შენნი გვევასხია,
და ვგრე ბრძანებს მის ხელმკმნელი, სისხლი მისთვის დასხია.
გიორგი ავალიშვილის დაწერილია“.

კრიპტოგრაფის მეხუთე სტრიქონის მითითება, რომ იგი გიორგი ავალიშვილის დაწერილია, საყურადღებოა. როგორც აღვნიშნეთ, გიორგი ავალიშვილს ხელნაწერში ჩაუწერია პირობითი ნიშნების სისტემის საიდუმლო ანბანი. ვფიქრობთ, რომ გ. ავალიშვილმა შეადგინა აღნიშნული ანბანი და თეიმურაზ I-ის პოემის ერთი სტროფიც ამიტომ დაშიფრა ამ ანბანით. სხვა მიზანი მას არ უნდა ჰქონოდა, ვინაიდან არავითარ საიდუმლო შინაარსს არ შეიცავს თეიმურაზ I-ის პოემის ეს სტროფი. მსგავსი ანბანით ნაწერი სხვა კრიპტოგრაფა არ შეგვხვედრია. ამრიგად, გ. ავალიშვილი შემდგენელი ჩანს პირობითი ნიშნების სისტემის ერთ-ერთი სახეობისა.

²³³ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1960, გვ. 36.

²³⁴ ლ. ათაბეგლიშვილი, ქართულ ხელნაწერთა რამდენიმე კრიპტოგრაფის შესახებ, მრავალთავი, III, 1973, გვ. 63.



პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის № 1 ხელნაწერში ანბანის ერთ-ერთ შემდგენლად დასახელებულია „თაქალთოიანი“. ეს გვარი ქართულში იშვიათი ხმარებისა ჩანს, თუმცა სამეცნიერო ლიტერატურაში დაიძებნა მცირეოდენი ცნობები ამ გვარის წარმომადგენლებზე.

პლ. იოსელიანის ცნობით თეიმურაზ მეორის ქვრივი და ერეკლე II-ის დედინაცვალი ყოფილა ანახანუმ თაქალთოიანი²³⁵. ანა იყო ასული ბეჟან იოთამიშვილისა და იესე მეფის დეიდაშვილი²³⁶. ბეჟან იოთამიშვილს მოიხსენიებს ვახუშტი ბატონიშვილი, როგორც თაქალთოიანს: „მაშინ მოვიდა ყენილამ ბეჟან თაქალ-თოიანი, რათა უკუნ-იქცეს მეფე მათგან“²³⁷. არ არის გამორიცხული, რომ თაქალთოიანთა გვარის რომელიმე წარმომადგენელი იგულისხმებოდეს პარიზულ № 1 ხელნაწერში, როგორც ერთ-ერთი კრიპტოგრაფული ანბანის შემდგენელი.

3. ხელნაწერების გადამწერთა და მფლობელთა კრიპტოგრამები

პირობითი ნიშნების სისტემა XVIII—XIX სს-ში ძლიერ გავრცელებულია საქართველოში, მაგრამ ანდერძებისათვის ხელნაწერთა გადამწერებსა და მფლობელებს იგი შედარებით იშვიათად უხმარიათ. პირობითი ნიშნებით უმეტესად სხვადასხვა ხასიათის მინაწერები ჩაუწერიათ ხელნაწერებში — ლექსები, გამოცანების ამოხსნა, დაუშიფრავთ თარიღები, კრიპტოგრამებით ჩაუწერიათ კომენტარები, წერილები და სხვ. განვიხილოთ ზოგი მათგანი.

პირობითი ნიშნებით ანდერძები გადამწერებს იშვიათად უწერიათ. როგორც ჩანს, გადამწერები იყენებდნენ ერთგვარად დაკანონებულ და უფრო ცნობილ სისტემებს (მაგ., ანჩინური, სათვალავადი და სხვ.) და შედგენილობით რთულ სისტემას პირობითი ნიშნებისას უფრო ნაკლებად მიმართავდნენ. დაახლოებით ათიოდე კრიპტოგრაფული ანდერძი შეგვხვდა, რომლებშიც გადამწერთა სახელებია დაშიფრული. უძველესი კრიპტოგრამა, რომელშიც გადამწერის სახელია მოხსენებული, XVI სისაა. გადამწერ მანოელ ინანიკაშვილს ანჩინური და უკუდაწერილობის სისტემათა გარდა სცოდნია პირობითი ნიშნების სისტემაც (იხ. კრიპტო-

²³⁵ პლ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, აკ. გაწერელის შესავალი წერილით, რედაქციითა და შენიშვნებით, 1936, გვ. 10—11, შწმ. 4.

²³⁶ მ. ქავთარიანი, XVIII ს. ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან, 1977, გვ. 180.

²³⁷ ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ქართლის ცხოვრება, IV, 1973, გვ. 498.

გრამული ანდერძები ერთ მეტაფრასულ კრებულში, ქეთ. მუზ. K—4)²²⁸ ხელნაწერში არსებული არაკრიპტოგრამული ანდერძიდან ცნობილი იყო მისი გადამწერის ვინაობა, მაგრამ მანოელის მიერ ლამაზი, კალიგრაფიული ხელით შესრულებული კრიპტოგრამული ანდერძები მხოლოდ იმის მომასწავებელია, რომ მას სურს გამოამჟღავნოს თავისი ცოდნა ძველი ქართული საიდუმლო დამწერლობისა. გადამწერთა მიერ ანდერძების არაკრიპტოგრამულად და კრიპტოგრამულად წერის ეს მეთოდი, როგორც ენახეთ, სხვა სისტემებთანაც დადასტურდა. მანოელ ინანიკაშვილის კრიპტოგრამული ანდერძები არის პირობითი ნიშნებით ნაწერი ანდერძების უძველესი ნიმუშები.

XVII ს. მხოლოდ ერთი კრიპტოგრამული ანდერძი შემორჩენილა (A—913). კრიპტოგრამა დაზიანებულია, ნაწილობრივ იკითხება. ანდერძი, როგორც გაირკვა, ვინმე თეოდორეს დაუწერია.

XVIII ს. გადამწერს სტეფანესაც ანდერძების წერის ცნობილი ხერხი გამოუყენებია: არაკრიპტოგრამული ანდერძის გარდა კრიპტოგრამით ჩაუწერია თავისი სახელი ხელნაწერებში (H—1070, H—172). როგორც H—172 ხელნაწერის ანდერძიდან (114 v) ირკვევა, სტეფანე მისი საერისკაცო სახელი ყოფილა: „სტეფანე ყოფილი ბერი ტიმეოს მომიხსენეთ, ქეანნო“. ალბათ, ამიტომ დაუშიფრავს მას თავისი სახელი.

საინტერესო ჩანს ერთი კრიპტოგრამული ანდერძი (H—929, ამირანდარეჯანიანი, 168 r). ამ კრიპტოგრამის შინაარსი ასეთია: „დასრულდა წიგნი ესე ამირანდარეჯანიანი ხელთა ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილის ხელითა“²²⁹. კრიპტოგრამის მიხედვით გადამწერი თითქოს ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილია, მაგრამ ხელნაწერი ფაქტიურად გადაწერილია ნიკოლოზის შვილის კორნილიოსის მიერ. ხელნაწერს აქვს მისი ანდერძი: „განსრულდა ამირან დარეჯანისძე ხელთა ჩაჩიკაშვილის მღვდლის ძის კორნილიოსისათა. ნუმცა დასრულდება მწერლისა ამის შვილი და შვილისშვილის ხსენება ქვეყანასა ზედა. ვინც იხილოთ, მშვიდობასა და დღეგრძელობასა ყოფდეთ ჩემთვის. დაიწერა ივლის კვ, ქკს უო“, ე. ი. 1782 წელს. როგორც ხელის შესწავლა გვიჩვენებს, ტექსტის გადამწერი ნამდვილად კორნილიოს ჩაჩიკაშვილია. რატომ მიაწერა ნიკოლოზმა, კორნილიოსის მამამ, ასეთი შინაარსის კრიპტოგრამული ანდერძი, გაურკვეველია.

თეიმურაზ I-ის „ლეილმეჯნუნიანის“ (H—485, XVIII ს. II ნახ.) გადამწერი უცნობი იყო. ტექსტის დასასრულს არსებული კრიპტოგრა-

²²⁸ კრიპტოგრამები ამოხსნა ნ. მარმა: Н. Марр, Один вид грузинского криптографического письма, Христианский Восток, III, в. 1, 1914, с. 205—207.

²²⁹ კრიპტოგრამა ამოხსნა გ. მიქაძემ: ძველი ქართული საიდუმლო დამწერლობის უცნობი ნიმუშები, საიუბილეო კრებული ქ. ქველიძეს დაბადების 80 წლისთავზე, უნივერსიტეტის გამოცემა, 1959, გვ. 280.

მიდან ირკვევა, რომ ხელნაწერი გადაუნუსხავს ვინმე ალექსანდრეს (ვინმე ალექსანდრეს დამიწერია“).

გიორგი ბაგრატიონს „ხუმბარდიანის“ ავტოგრაფულ ნუსხაზე პირობითი ნიშნების სისტემის სხვადასხვა ტიპის ასო-ნიშნებით შესრულებული ორი სიტყვა დაუწერია. ერთი მათგანი ამოხსნა და გამოაქვეყნა გ. მიქაძემ²⁴⁰. იგი აღნიშნავს გადამწერის სახელს „გიორგის“. აღსანიშნავია, რომ მეორე კრიპტოგრაფული სიტყვაც იმავე სახელს „გიორგის“ აღნიშნავს. ამრიგად, გიორგი ბაგრატიონს სცოდნია პირობითი ნიშნების სისტემის ორი განსხვავებული ტიპი და ავტოგრაფულ ნუსხაზე ამ ტიპის კრიპტოგრაფებით საკუთარი სახელი „გიორგი“ დაუწერია.

1816 წ. გადაწერილ ხელნაწერის ანდერძში პირობითი ნიშნების კრიპტოგრაფით დაუწერია თავისი სახელი კვლავ ვინმე გიორგის²⁴¹.

ძველი ქართული საიდუმლო დამწერლობა, როგორც ჩანს, ქართველ ჯადამწერ ქალებსაც სცოდნიათ. მწიგნობარ თუმანიშვილთა ერთ-ერთი წარმომადგენელი ანა ეგნატეს ასული თუმანიშვილი-ამილახვარი „ბარამგულანდამიანის“ (S—1746) ანდერძს კრიპტოგრაფულად წერს²⁴². პირობითი ნიშნების სისტემის კრიპტოგრაფებში მხოლოდ რამდენიმე კრიპტოგრაფა შეგვხვდა, რომლებშიც მფლობელთა ვინაობაა მიფარული.

ერთ-ერთი უძველესი კრიპტოგრაფა XV ს-ისა, რომელშიც ხელნაწერის მფლობელია მოხსენებული, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, A—447 ხელნაწერშია დაცული.

XVII ს-ში გადაუწერია ხელნაწერი ქუთაისის მუზ. K—435 ვინმე ფილიმონს. ხელნაწერში არსებული კრიპტოგრაფები, რომლებიც XVII—XVIII სს-ით დავათარიღეთ, ამ ნუსხის მფლობელს ვინმე იონათამს ეკუთვნის.

როგორც ერთი ხელნაწერი კრებულის (S—4529, XVII ს.) კრიპტოგრაფიდან ჩანს, XVII ს. დასასრულსა და XVIII ს. დასაწყისში ამ ნუსხის მფლობელი ყოფილა მარიამ ერისთავი.

XVIII ს. კიდევ ერთი მფლობელი, ვინმე ნოდარი, გამოავლინა 1669 წლის ხელნაწერი კრებულის კრიპტოგრაფამ (H—1064).

XVII ს. „ვეფხისტყაოსნის“ ორ ხელნაწერს უორდროპისეულსა

²⁴⁰ გ. მიქაძე, ძველი ქართული საიდუმლო დამწერლობის უცნობი ნიმუშები, საიდუმლო კრებული კ. კეკელიძეს დაბადების 80 წლისთავზე, უნივერსიტეტის გამოც. 1959, გვ. 281.

²⁴¹ კრიპტოგრაფა ამოხსნა გ. მიქაძემ: ქართული კრიპტოგრაფია, დროშა, 1953, № 6.

²⁴² კრიპტოგრაფა ამოხსნა გ. მიქაძემ: ძველი საქართველოს პოეტი ქალები, ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები, IV, 1973, გვ. 45.

(W—17) და S—2829-ს დაუცავთ კრიპტოგრამები, რომლებიც ამ ხელნაწერის მფლობელებს, ზურაბ წერეთლის ოჯახის წევრებს, ეკუთვნით²⁴³.

XVI ს. ბიბლიის ერთ-ერთ ხელნაწერს (A—646) გარდა ანჩინური სისტემის კრიპტოგრამისა, რომელიც ზემოთ განვიხილეთ, დაუცავს ერთი მეტად საინტერესო შინაარსის პირობითი ნიშნების სისტემის კრიპტოგრამა: „მირიან მოვიდა თელავს. ამ წიგნს მოყვა საწერლად“. კრიპტოგრამაში მოხსენიებული მირიან ერეკლე II-ის ვაჟი მირიან ბატონიშვილი უნდა იყოს.

კრიპტოგრამის ცნობა საყურადღებო ჩანს. ირკვევა, რომ მირიან ბატონიშვილი თელავში ჩასულა და თან წაუღია ეს ხელნაწერი ბიბლია.

პირობითი ნიშნების ეს კრიპტოგრამა, რომელშიც მირიან ბატონიშვილზეა საუბარი, ადასტურებს, რომ ხელნაწერში არსებული ანჩინური სისტემის კრიპტოგრამაში მოხსენიებული მარამ ბატონიშვილი ერეკლე II-ის ასულია. ორივე კრიპტოგრამის მნიშვნელობა კი მეტად დიდია. მათი მეშვეობით ირკვევა, რომ ბიბლიის ეს ხელნაწერი ერეკლე II-ის სამეფო წიგნთსაცავის კუთვნილება ყოფილა ერთხანს.

ხელნაწერის შემდგომ ბედზე მასში არსებული ერთი მინაწერი მიანიშნებს: „ეს თვესა ივლისის 1-ს, 1888 წელს, ეს ძვირფასი წიგნი ვიპოვე მე თელავის საკრებულო ტაძარში და ჩავაბარე კრებულთ წარსადგენად თფილისის საეკლესიო მუზეუმში დ. ბაქრაძის მიერ. თ. ჟორდანიას“ (398 r).

ამრიგად, როგორც კრიპტოგრამიდან გამოჩნდა, ხელნაწერი მირიან ბატონიშვილს წაუღია თელავში და იქ სამეფო ბიბლიოთეკაში ყოფილა დაცული. შემდგომ თ. ჟორდანიას მიუგნია მისთვის და ჩაუბარებია საეკლესიო მუზეუმისათვის გადასაცემად თბილისში. როგორც ჩანს, თ. ჟორდანიას ეს თხოვნა დაუკმაყოფილებიათ. ამჟამად ეს ნუსხა ხელნაწერთა ინსტიტუტის ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ფონდშია დაცული (A—646).

XVIII ს. კრიპტოგრამულმა მინაწერებმა გამოავლინეს მფლობელთა ერთი წყება. მაგ., XII ს. ისკეტიკური კრებულის (A—528) მფლობელი ყოფილა ონოფრი ტფილელი, ვინმე სალომე — S—2632 ხელნაწერისა, დავით ბერი — H—1352 ხელნაწერისა. „სადღესასწაულოს“ ერთი ხელნაწერის (A—683) კრიპტოგრამების გაშიფრვის შემდეგ ნათელი გახდა, რომ ამ „სადღესასწაულოს“ მფლობელს არქიმანდრიტ სოფრონი-

²⁴³ კრიპტოგრამები ამოხსნა გ. შიქაძემ: ვფხისტყაოსნის მზეხათუნისეული ხელნაწერისათვის, ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები, VI 1974, გვ. 144—145; მისივე, ვფხისტყაოსნის ხელნაწერთა კრიპტოგრამები, შოთა რუსთველი, საიუბილეო კრებული, შ. რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის გამოცემა, 1966, გვ. 356—359.

ოსს მიუერთმეგია იგი „ყ“დ უსამღუდელოების“ ნიკოლაოსისათვის. კრიპტოგრაფული მინაწერების მიხედვით XIX ს. მფლობელები ყოფილან: ნინო ერისთავი (H—197), პრაპორშოიკი იოვან დავითის ძე აბაშიძე (Q—779).

4. პირობითი ნიშნების სისტემის სხვადასხვა მინაწერები

კ რ ი პ ტ ო გ რ ა მ ე ბ ი ა ნ ი გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი

ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში დაცულია ქართული გამოცანების კრებულები. ერთ-ერთ კრებულში გამოცანებს ამოხსნა კრიპტოგრამებით აქვს მიწერილი, რაც ერთგვარად ართულებს მათ ამოცნობას. ამ რიგის გამოცანებისათვის პირველად მიუგნია თ. ჟორდანიას ერთ კრებულში (A—1164, 1 v), რომელიც დავით რექტორს გადაუწერია²⁴⁴. კრიპტოგრამები გაშიფრა თ. ჟორდანიამ (A—1164, 55 r). ამ კრებულის გარდა, ასეთი კრიპტოგრამებიანი გამოცანები დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტის კიდევ ორ ნუსხაში. ესენია: S—1582²⁴⁵ და H—1050²⁴⁶.

S—1582 ხელნაწერი XIX ს. I მეოთხედისა ჩანს²⁴⁷, H—1050 XIX ს. I ნახევრისაა. ორივე ხელნაწერში გამოცანები ამოხსნილია კრიპტოგრამებით. S—1582 ხელნაწერის კრიპტოგრამები პირობითი ნიშნების სისტემისაა, H—1050 ხელნაწერის კრიპტოგრამები კი სათვალავადი სისტემისა²⁴⁸ (ამ კრიპტოგრამების შესახებ იხ. სათვალავადი სისტემა).

S—1582 ხელნაწერი კრებულია, რომელშიც XVIII—XIX სს-ში გადაწერილი ხელნაწერებია შეყიძული. ხელნაწერი ზაზა გაბაშვილის ოჯახის საკუთრება უნდა იყოს, რასაც ადასტურებს შემდეგი მინაწერი: „აჲ ეს წიგნი მდივანის გაბაშვილის ზაზასია“ (32 r). გარდა ამისა, ხელნაწერში დაცულია „ანბანთქება“: „თქმული ზაზა გაბაშვილის ასულის მაიასი გამოცანა ანბანზე“ (1 v—6 r)²⁴⁹. „ანბანთქების“ ბოლოს მიწერილია: „გასრულდა მაიას ნათქვამი, ღმერთო, აცხონე“ (5 v).

²⁴⁴ გ. შ ი ქ ა ძ ე, ქართული ხელნაწერების შესწავლა და აღწერა, 1957, გ. 10—17.

²⁴⁵ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, S კოლექცია, ტ. III, 1963, გვ. 41.

²⁴⁶ გ. შ ი ქ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, H კოლექცია, III, 1948, გვ. 49.

²⁴⁷ S—1582 ხელნაწერში ჩვენითვის საინტერესო გამოცანები მოთავსებულია 39 v—42 r-ზე. ამ ფურცლების ჰვირნიშანია 1796 წ. (ფფ. 40, 41). ამიტომ გამოცანებისა და კრიპტოგრამების თარიღი XIX ს. დასაწყისი უნდა იყოს.

²⁴⁸ ლ. ა თ ა ნ ე ლ ი შ ე ი ლ ი, ქართული კრიპტოგრამებიანი გამოცანები, მრავალთავი, IV, 1975, გვ. 35—56.

²⁴⁹ სათაურში სიტყვები „ზაზა გაბაშვილის ასულის მაიასი“ დაწერილია მაია გაბაშვილის ხელით, ხოლო დანარჩენი სიტყვები: „თქმული... გამოცანა ანბანზე“ და აგრეთვე „ანბანთქების“ ტექსტის ნაწილი (1v—3r; 3r-ზე ფურცლის ნახევარი) დაწერილია სხვა ხელით. ლ. ასათიანს კი მიაჩნია, რომ „ანბანთქების“ დედანი დაკარგულია და S—1582-ში

ამრიგად, S—1582 ხელნაწერი ზაზა გაბაშვილის ოჯახის საკუთრებად უნდა ყოფილა. საფიქრებელია, რომ იგი ამ ოჯახში შეუკინძავთ ცალკეული ხელნაწერების ფრაგმენტებიდან, მათა გაბაშვილს კი თავისი „ანბანთუწყისი“ კებით“ შეუესია.

S—1582 ხელნაწერში ზემოთ მოხსენებული კრიპტოგრამების გარდა გვხვდება პირობითი ნიშნების სისტემის იმავე სახეობით ნაწერი ერთი კრიპტოგრამა, რომელიც წარწერილია 39 v-ზე „გამოცანების“ დასაწყისში, ფურცლის ზედა კიდეზე. კრიპტოგრამა ასე ვავხსენით: მ ა ი ა ვ და ვ ა რ დ- ბ უ ლ ბ უ ლ თ ქ მ ა ო.

საფიქრებელია, რომ კრიპტოგრამაში მოხსენებული მათა — მათა გაბაშვილია, ზაზა გაბაშვილის ასული. ამას გვაეარაუდებინებს ის ფაქტი, რომ ხელნაწერი S—1582 ზაზა გაბაშვილის ოჯახში ინახებოდა ერთხანს. S—1582 ხელნაწერის კრიპტოგრამებიანი გამოცანების უცნობ ავტორს, ჩანს, მათა გაბაშვილისთვის შეუდგენია ამ სახით გამოცანები. ამაზე მიანიშნებს ზემოაღნიშნული კრიპტოგრამა, რომელიც მას სათაურად წაუშმძღვარებია გამოცანებისათვის: „მათავ და ვარდ-ბულბულ თქმაო“.

ამავე უცნობი ავტორისა ჩანს ერთი გამოცანაც, რომელიც მიწერილია მეორე ნუსხაზე: S—1613. ხელნაწერი კრებულია, გადაწერილია 1726 წელს. 174-ე გვერდზე, ფურცლის ზედა კიდეზე, მიწერილია ორსტრიქონიანი გამოცანა:

„სახლი მაქვს აგეთ-აგეთი, ხურო კაჭკაჭის წაგები,
შიგ უზივარ, ამოვიძახე, კარი არა მაქვს საღები“.

ამ გამოცანას მოჰყვება კრიპტოგრამა²⁵⁰:

ამოხსნა:

„ჩემო მათავ, ასე დაწერე“.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ ეს ორსტრიქონიანი ტექსტი ხელის მიხედვით ემსგავსება S—1582 ხელნაწერის გამოცანების ტექსტს. ვფიქრობთ, რომ S—1613 ხელნაწერის ორსტრიქონიანი გამოცანისა და S—1582 ხელნაწერის გამოცანების გადაწერი ერთი და იგივე პირია.

S—1613 ხელნაწერის კრიპტოგრამაში მოხსენებული მათა უნდა იყოს მათა გაბაშვილი. ამას პირველ რიგში მიანიშნებს S—1582-ის გამოცანებისა და S—1613 ხელნაწერის ორსტრიქონიანი გამოცანის ტექსტის ხელის იგივეობა და, ამასთანავე, ორივე კრიპტოგრამაში პირობითი ნიშნების სისტემის მსგავსი სახეობის ანბანის გამოყენება. თუმცა აქვე უნდა

დაცული ტექსტი პირია (იხ. ლ. ასათიანი, ძველი საქართველოს პოეტური ქალები, 1936, გვ. 182).

²⁵⁰ კრიპტოგრამა ამოხსნა და გამოაქვეყნა გ. მიქაძემ: ქართული კრიპტოგრაფია, ყურნ. დროშა, 1953, № 6.

შეენიშნოთ, რომ S—1582 და S—1613 ხელნაწერთა კრიპტოგრამები ხელით ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. S—1613 ხელნაწერის კრიპტოგრამა უფრო მრგვალი ასოებითაა ნაწერი. იგი შესრულებულია უნდა იყოს იმ პირის მიერ, რომელსაც ხელნაწერთა ინსტიტუტის ერთ ნუსხაზე (H—2295) მიუწერია კრიპტოგრამა და ზმა, რასაც ადასტურებს S—1613 ნუსხის კრიპტოგრამისა და H—2295 ხელნაწერის კრიპტოგრამისა და ზმის წერის ერთნაირი მანერა. ამასთანავე, H—2295 ხელნაწერის ზმასა და კრიპტოგრამაშიც მოხსენებულია მიაი. (H—2295 ხელნაწერის კრიპტოგრამის შესახებ იხ. ანრეური სისტემა). H—2295 ხელნაწერში მოხსენებული მიაი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ (იხ. ანრეური სისტემა), ზაზა გაბაშვილის ასული უნდა იყოს, რასაც ამ ხელნაწერის კრიპტოგრამის შინაარსი ადასტურებს: კრიპტოგრამის ავტორი მიმართავს მიაიას: ხელმწიფეო ჩემო, დაო მიაი, რატომ არ სწყალობთ ჩემს ძმას და უწყალოს ტანჯვით სტანჯავო. როგორც ჩანს, აქ მიაიას სატრფიალო ამბებია დაფარული. H—2295 ხელნაწერის ამ ჩვენებას მხარს უჭერს აგრეთვე შემდეგი გარემოება: S—1582 კრებულში, რომელიც მიაი გაბაშვილის ოჯახის კუთვნილება ყოფილა, გარდა მიაიას ანბანთქებისა (1 v—5 v), მიაიას ხელითვე დაწერილია ფურცლები 15 v—18 v. 16 r—17 v-ზე მოთავსებულია ლექსი: „განშორება ორთა მიჯნურთა ურთიერთისაგან“ და 17 v—18 v-ზე: „ჩახარხარული (!) მუხანაზი, თქმული გარსე[ვან] ყორლა[ნოვის] მ[იერ]“.

ჩვენი ყურადღება მიიქცია ლექსმა „განშორება ორთა მიჯნურთა ურთიერთისაგან“:

„ვაი, რად დავკარგე ძვირფასი ლალი,
სისხლის ცრემლი მდის, არ შრება თვალი...“

ცნობილია, ამ ლექსის რამდენიმე ვარიანტი: S—3192 ბ; H—559 ა; H—823 ა; H—2692; H—2817²⁵¹. ეს ხელნაწერებიც XIX ს-შია გადაწერილი, მაგრამ S—1582 ხელნაწერის მიაი გაბაშვილისეული ვარიანტი მათზე უფრო ადრეულია. ამ ხელნაწერებში ეს ლექსი ნაკლულია, შედარებით უფრო სრულია იგი H—2817 ხელნაწერში.

ჩვენი ყურადღება მიიქცია ამ ლექსის ბოლო სტროფმა, რომელიც მხოლოდ მიაიასეულ ხელნაწერშია (S—1582) დაცული. ამ სტროფში მისი ავტორი მიუთითებს წელსა და დღეს, როდესაც სატრფოს მოაშორეს:

„თებერვლის თოთხმეტს შაფათ შავს დღესა
მე მამაშორევეს მნათობსა მზესა.
წელსა ათასსა რვა ასს, მი, ოცდაერთსა,
სამართალსა ვსთხოვ მოწყალე ღმერთსა“.

²⁵¹ ხელნაწერებზე მიგვიითთა ხელნაწერთა ინსტიტუტის მეცნიერმა თანამშრომელმა ია გაჩეილა ძემ.

საფიქრებელია, რომ ეს სტროფი მიაა გაბაშვილს ეკუთვნის, ვინაიდან იგი მხოლოდ მიაისეულ ნუსხაშია დაცული და არ გვხვდება არც ერთ სხვა ვარიანტში, ყველაზე სრულ H—2817-შიც კი.

შესაძლებელია, მიაა გაბაშვილმა თავისი მძიმე სულიერი მდგომარეობა ამ ლექსით გადმოსცა, იგი იყოს მისი ავტორი, მაგრამ სათაურში არ დაასახელა თავისი თავი, როგორც ავტორი, დამალა რა თავისი სატრფიალო ამბავი.

ამრიგად, S—1582 ხელნაწერის კრიპტოგრამებიანი გამოცანები და S—1613 ხელნაწერის ორსტრიქონიანი გამოცანა ეკუთვნის ერთ პირს. ისინი მიაისადმია მიძღვნილი, მაგრამ საიდუმლოდ, მიუთარვით, რასაც გამოცანებს წამძღვარებული კრიპტოგრამა „მიაივ და ვარდ-ბულბულ თქმაო“ მიგვანიშნებს. მეორეს მხრივ, კრიპტოგრამები (S—1613 და H—2295 ხელნაწერებისა) და ზმა (H—2295 ხელნაწერში) ამჟღავნებენ ამ საიდუმლოს — მიაის სატრფიალო ამბავს. საყურადღებო ჩანს აგრეთვე მიაა გაბაშვილის ლექსიც, რომელიც ერთგვარად ნათელს ჰფენს კრიპტოგრამებში მიმალულ ამბებს.

ამრიგად, ქართულმა კრიპტოგრამებმა გამოავლინეს ცნობები მიაა გაბაშვილის ბიოგრაფიის შესახებ. კრიპტოგრამებში მიმალული მიაის სატრფიალო ამბავის გამოძვლავნება გვაფიქრებინებს, რომ ლექსი „ვაი, რად დავკარგე ძვირფასი ლალი, / სისხლის ცრემლი მდის, არ შრება თვალი...“ მიაა გაბაშვილის დაწერილი უნდა იყოს.

ერთი კრიპტოგრამული იამბიკოს შესახებ.

ქართული ჰაგიოგრაფიული კრებული H—2077 (ხელნაწერთა ინსტიტუტის ნუსხა) გადაწერილია 1736 წელს ალექსი მესხიშვილის მიერ. ხელნაწერის 225 r-ზე მოხატულ ჩარჩოში ჩაწერილია ხუთსტრიქონიანი კრიპტოგრამა, რომელსაც უძღვის იმავე ხელით, კრიპტოგრამულად დაწერილი სამი სიტყვა: „ღთო, შენ წარმიმართე“. კრიპტოგრამა ამოხსნა ა. შანიძემ²⁵².

ამოხსნა:

ღთო შენ წარმიმართე.
გონებათ რჩეულ მგველოვნესა ძესა
გიტყვი უუთქესა სათქვოდ საწყურად ზესა.
უუცნაურსა ზესთ გონებათა მზესა,
მაგრა მაკურეად სურვისა წინა ჯთქვესა.
იოსებ ვითხოვ შეწვეწასა პრთულედსა.

²⁵² ა. შანიძე, კრიპტოგრაფიული მასალები, მიმოხილველი, I, 1926, გვ. 241—242. ა. შანიძის ხელით დაწერილი ამოხსნილი კრიპტოგრამის ტექსტი ჩაკრულია H—2077 ხელნაწერში (224 v).

როგორც ხელის შესწავლამ დაგვანახვა, კრიპტოგრამა სხვა პირს უნდა დაუწერა. ასოთა მოხაზულობა და მელანი ამ კრიპტოგრაფიული ჩანაწერისა განსხვავდება H—2077 ხელნაწერის ხელისაგან, ე. ი. ალექსი მესხიშვილის ხელისაგან.

H—2077 ხელნაწერი მხატვრულად გაფორმებულია. 224—231 ფურცლებზე მოთავსებულია:

1. თხზული ასოებით შესრულებული მინაწერი ალექსი მესხიშვილისა (224 რ). იგი ამოკითხული და გამოქვეყნებულია ამ ხელნაწერის აღწერილობაში²⁵³: „უუსასოესო წმიდაო ლეთისმშობელო, ნუ უგულუშელს ჰყოფ წინასა ნაწილსა შრომასა ჩემსა. უღირსი დეკანოზი ალექსი“.

2) 226—231 ფურცლებზე მოთავსებულია წმინდანთა სურათები, რომელთა მომხატავი ალექსი მესხიშვილი ჩანს²⁵⁴.

3) ალექსი მესხიშვილის მოხატული უნდა იყოს აგრეთვე ის ჩარჩო (225 რ), რომელიც ზემოთ აღნიშნულ კრიპტოგრამაზე ირგვლივ არის შემოვლებული. ამას ადასტურებს კრიპტოგრამის ჩარჩოს და მოხატულ წმინდანთა სურათების საღებავის ერთნაირობა.

ამგვარად, ცალკე ფურცელზე სხვა პირს ლამაზად, კალიგრაფიული ხელით დაუწერია კრიპტოგრამა, ხოლო შემდგომ ალექსი მესხიშვილს მოუხატავს ეს ფურცელი (იგულისხმება კრიპტოგრამის ჩარჩო) და თავის ხელნაწერში ჩაუკინძავს კიდევ (225 რ). საგულისხმოა ის გარემოება, რომ ეს ფურცელი არის მთლიანი ხელნაწერის შემადგენელი ნაწილი. მას იგივე ჰვირნიშანი აქვს (სამი ნახევარმთვარე), რაც H—2077 ხელნაწერის სხვა ფურცლებს. ამასთანავე, გადასაწერად ისევეა მომზადებული, როგორც ამავე ხელნაწერის სხვა ფურცლები. ფურცელი დახაზულია ორ სვეტად. თითოეული სვეტი შედგება 40 სტრიქონისაგან, ისევე როგორც ამ ხელნაწერის ალექსის მიერ დაწერილი სხვა ფურცლები. შავსადაამე, აშკარაა, რომ ალექსი მესხიშვილს ამ ხელნაწერისთვის მომზადებული ერთ-ერთი დაუწერელი ფურცელი გადაუცია სხვა პირისთვის, რომელსაც ჩვენი კრიპტოგრამა დაუწერია, შემდგომ ალექსის იგი მოუხატავს და ბოლოს ჩაუკინძავთ ხელნაწერში.

ისმის კითხვა: თავისი დროის შესანიშნავმა კალიგრაფმა ალექსი მესხიშვილმა მის მიერვე გადაწერილსა და მოხატულ ხელნაწერში რატომ მოათავსა სხვა ხელით დაწერილი ეს კრიპტოგრამიანი ფურცელი? ალექსიმ იგი მხოლოდ ხელნაწერის სამკაულად გამოიყენა, თუ ამ ფურცელზე მოთავსებულ კრიპტოგრამას სხვა დანიშნულება ჰქონდა? ამ კითხვაზე პასუხს, ვფიქრობთ, თვით კრიპტოგრამის შინაარსი გავცემს:

²⁵³ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, H კოლექცია, V, 1949, გვ. 47.

²⁵⁴ ი. გაჩეჩილაძე, XVIII — XIX საუკუნეების ქართველ კალიგრაფთა მოღვაწეობა: მესხიშვილთა კალიგრაფიული სკოლა და მათი საოჯახო წიგნსაცავი (სადისერტიციო ნაშრომი), 1975, გვ. 54.

კრიპტოგრაფია წარმოადგენს იამბიკოს. იგი ასე იწყება:

„გონებათ რჩეულ მეველოვნესა ძესა
გიტყვი უთქვესა სათქვოდ საწყურად ზესა“ ...



ჩვენი ყურადღებაც სწორედ ამ დასაწყისმა სტრიქონებმა მიიქციეს. იამბიკოს დამწერი მიმართავს ვინმე „მეველოვნესა ძესა“ და სურს მის შესახებ სადიდებელი სიტყვის თქმა: „გიტყვი უთქვესა სათქვოდ საწყურად ზესა“. ვინ უნდა იყოს „მეველოვნეს ძე“?

სიტყვები „მეველოვნესა ძესა“, ვფიქრობთ, ალექსი მესხიშვილს უნდა გულისხმობდეს. ალექსი H—2077 ხელნაწერის ანდერძში (334 v) თავის თავს ასე მოიხსენიებს: „ველოან მხატვრის მღვდლის ძე“, იგულისხმება გრიგოლ მხატვრის ძე. ასე უწოდებს თავის თავს იგი სხვა ხელნაწერთა ანდერძებშიც („ველოან მხატვრის ძე“) S—2715, S—3630 და სხვ.

ტერმინი „ველოანი, ველოვანი“ ძველ ქართულში ხელოსანს, ოსტატს აღნიშნავს (ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, 1973, გვ. 568). როგორც ე. მაჭავარიანიც მიუთითებს, მინიატურისტი-მხატვარი „ველოანის“ ტერმინით იხსენიება²⁵⁶. ჩვენს შემთხვევაშიც „ველოანი მხატვარი“ ამასვე ნიშნავს — ოსტატი მხატვარი.

„ველოანი“ და „მეველოვნე“ ერთი და იგივე ძირიდან წარმომდგარი სიტყვებია, ოღონდ ნაწარმოებია სხვადასხვაგვარად: ამასთანავე მათ ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვთ: ოსტატი. მაშასადამე, „მეველოვნეს ძე“ ხელოვანის, ამ შემთხვევაში ოსტატის ძეს გულისხმობს.

თუ ჩვენი დაკვირვება სწორია, მაშინ ეს კრიპტოგრაფულად ნაწერი იამბიკო ერთგვარი მიძღვნა უნდა იყოს „მეველოვნისა ძისა“ ალექსი მესხიშვილისადმი.

კრიპტოგრაფიაში იამბიკოს ავტორიც ჩანს. ბოლო სტრიქონი ასე იკითხება:

„იოსებ ვითხოვ შეწვენასა პრთულელსა“.

მაშასადამე, ირკვევა, რომ კრიპტოგრაფული იამბიკო დაუწერია ვინმე იოსებს. საინტერესოა იოსების ვინაობის დადგენა. ამთავითვე ცხადია, რომ ამ პიროვნებას ახლო ურთიერთობა ჰქონია ალექსი მესხიშვილთან. ამას ცხადყოფს კრიპტოგრაფული იამბიკოს ჩართვა ალექსი მესხიშვილის ავტოგრაფში. ცხადია, ალექსი მესხიშვილს, კალიგრაფიული სკოლის ფუძემდებელს, მწიგნობარს, საკმაოდ განათლებულსა და ხელნაწერი წიგნის დიდ თაყვანისმცემელს, აგრე რიგად ვერავინ გაუბედავდა მისავე გადაწერილ ხელნაწერში ჩაერთო რაიმე ზედმეტი ფურცელი მი-

²⁵⁶ ე. მაჭავარიანი, გადაწერსა და მხატვარს შორის შრომის განაწილების საკითხისათვის ხელნაწერი წიგნის მხატვრული კომპოზიციის შექმნის დროს, მრავალთავი, IV, 1975, გვ. 33.

სი სურვილის წინააღმდეგ. როგორც დავინახეთ, აღნიშნული კრიპტოგრაშიანი ფურცელი ხელნაწერის თავდაპირველი შემადგენელი ნაწილია. იგი არაა შემდგომში ჩართული. რაც მთავარია, თვით ეს პიროვნებაც, იოსებიც, საკმაოდ გაწაფული კალიგრაფია, რასაც ადასტურებს ჩვენი კრიპტოგრაშიის ხელი: იგი ნაწერია ლამაზი, კალიგრაფიული ხელით. ამასთანავე, იოსები ამ კრიპტოგრაშიული იამბიკოს ავტორია.

ამრიგად, მხოლოდ იმ დროის კარგ კალიგრაფსა და მწიგნობარს შეეძლო ალექსი მესხიშვილის ავტოგრაფული ნუსხა შეევსო თავისი ნაწერი იამბიკოთი. ამრიგად, გაირკვა, რომ იოსები ალექსი მესხიშვილის თანამედროვეა და ალექსისთან თანაშრომლობს.

იოსების, კრიპტოგრაშიული იამბიკოს ავტორის, ვინაობის დადგენისას გამოვლინდა ჩვენთვის მეტად საინტერესო ფაქტი. ეგვევ იამბიკო, ოღონდ არაკრიპტოგრაშიულად, მხედრულით შესრულებული დაიძებნა ხელნაწერთა ინსტიტუტის ერთ XVIII ს. ნუსხაში (Q—225)²⁵⁶. ეს ხელნაწერი პატარა ზომისაა, შეიცავს ვახტანგ VI-ის კვინკლოსს. ხელნაწერში შიგადაშიგ თავისუფალი ფურცლებია, რომლებზეც მოთავსებულია ცნობები გაბაშვილების ოჯახის წევრების შესახებ. ხელნაწერის შესწავლისას ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ Q—225 ყოფილა გაბაშვილთა საოჯახო ხელნაწერი. ამ ხასიათის ყველა მინაწერი ერთი ხელითაა დაწერილი. იამბიკოსა და ამ მინაწერთა ხელის შესწავლამ გამოაჩინა, რომ იგი ერთ პირს დაუწერია ლამაზი, კალიგრაფიული ხელით, ზოგან სინგურით, ზოგან — შავი მელნით. როგორც იამბიკოდან გამოჩნდა, მისი ავტორი ვინმე იოსებია. მაშასადამე, აღნიშნული მინაწერებიც იოსებს ეკუთვნის.

საყურადღებოა, რომ Q—225 ნუსხაში 90 რ-ზე იმავე იოსებს დაუწერია კრიპტოგრაშიული ანბანი მუქი, მოყავისფრო მელნით. ზემოდან ღია შავი ფერის მელნით ყოველ ასოს თავისი მნიშვნელობა აქვს წარწერილი. საყურადღებოა აგრეთვე, რომ ამავე ხელნაწერში, 4 რ-ზე კრიპტოგრაშია იმავე ხელით სინგურით შესრულებული²⁵⁷.

ამრიგად, Q—225 ხელნაწერში ვინმე იოსებს ჩაუწერია კრიპტოგრაშია (4 რ) და კრიპტოგრაშიული ანბანი (90 რ) და ეს ანბანი არის გასაღები ამ ხელნაწერში მოთავსებული კრიპტოგრაშიისა (4 რ).

Q—225 ხელნაწერის ანბანისა და კრიპტოგრაშიის შედარებამ ალექსი მესხიშვილისეული ხელნაწერის H—2077 კრიპტოგრაშიასთან გაარკვია, რომ მათი დამწერი ერთი და იგივე პირია, ზემოთ აღნიშნული იოსები. ამას ადასტურებს, პირველ რიგში, ხელის მსგავსება, იგივეობა მელნისა—

²⁵⁶ იამბიკო გამოქვეყნებულია ქართულ ხელნაწერთა აღწერილობაში, Q კოლექცია I, 1957, გვ. 237.

²⁵⁷ კრიპტოგრაშიის ამოხსნა გამოქვეყნებულია: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, Q კოლექცია, I, 1957, გვ. 237.

მუქი, მოყავისფრო-მოშავო ფერისა; და, რაც მთავარია, კრიპტოგრამული ანბანის მსგავსება. პირობითი ნიშნების სისტემის ამ სახეობის ანბანი XVIII ს-ში საკმაოდ გავრცელებულა საქართველოში, ამისი ნიმუშები დღემდე ბევრი შემორჩა (იხილეთ მეტი). ამ სახეობის კრიპტოგრამებში გასაღები ყველგან ერთნაირია და მისი მეშვეობით შექმელით ყველა კრიპტოგრამის ამოხსნა. ამ სახეობის კრიპტოგრამული გასაღები-თაა შედგენილი H—2077 და Q—225 ხელნაწერთა კრიპტოგრამები, მაგრამ ამ ორი ხელნაწერის კრიპტოგრამები ნაწილობრივ მანაც განსხვავდება აღნიშნული სახეობის გასაღებისგან მცირედენი ნიუანსებით. სამაგიეროდ, ორივე ხელნაწერის ანბანი აბსოლუტურად იდენტურია ერთმანეთისა. ეს ფაქტი კი თავის მხრივ იმის მანიშნებელია, რომ H—2077 და Q—225 ხელნაწერთა კრიპტოგრამები ერთი პირის დაწერილია²⁵⁸.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, Q—225 ხელნაწერში ცარიელი ფურცლები ყოფილა, რომლებიც შემდგომ ნაწილობრივ შეუვსია მის მფლობელს იოსებს სხვადასხვა დროს.

ამრიგად, იოსები ამ ხელნაწერის მფლობელია. ვინაიდან იოსები გადმოგვცემს ზაქარია გაბაშვილისა და მისი ოჯახის წევრების შესახებ რამდენიმე მეტად მნიშვნელოვანი ეპიზოდის აღწერას, ცხადია, ის ამ ოჯახთან ახლო ურთიერთობაშია, სავსებით დასაშვებია, რომ გვარად გაბაშვილიც იყოს²⁵⁹. ამას კი შემდეგი გარემოება უჭერს მხარს: იოსებს კრიპტოგრამით, მიფარვით გადმოუცია Q—225-ში ზაქარია გაბაშვილის ცხოვრებიდან ერთი მეტად მნიშვნელოვანი ამბავი: კერძოდ, აქ საუბარია ზაქარია გაბაშვილის დასჯაზე. როგორც ჩანს, კრიპტოგრამის ავტორი ზაქარია გაბაშვილს თანაუგრძნობს, მის პოზიციებზე დგას: იგი ზაქარია გაბაშვილის მტრების უწყალოებაზე ლაპარაკობს, ხოლო ზაქარიას უწოდებს კეთილ კაცს, რომელიც დაუზოგავად დასაჩეს მისმა მტრებმა.

მაშასადამე, ირკვევა, რომ H—2077 ხელნაწერის კრიპტოგრამული იამბიკოსა (225 r) და Q—225 ხელნაწერის იამბიკოს ავტორი და დამწერი იოსები. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ალექსი მესხიშვილისადმი მიძღვნილი კრიპტოგრამულად ნაწერი იამბიკო იოსებს თავის საოჯახო ხელნაწერში (Q—225) მხედრულით ჩაუწერია.

ვინ არის იოსები და რა კავშირი აქვს მას მწიგნობარ გაბაშვილთა ოჯახთან?

ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში დაცულია ზაქარია გაბაშვილის ოჯახის ნაქონი რამდენიმე ხელნაწერი:

- 1) H—2955. კრებული XVIII საუკუნისა. ხელნაწერს აქვს ალბომის

²⁵⁸ H—2077 და Q—225 ხელნაწერთა კრიპტოგრამული ანბანის მიხედვით მოგვიანებით, XVIII ს. II ნახევარში შეუდგენიათ ორი სხვა ხელნაწერის კრიპტოგრამები.

²⁵⁹ იოსებს გაბაშვილად მიიჩნევს აგრეთვე ე. მეტრეველი; შდრ. ქართულ, ხელნაწერთა აღწერილობა, Q კოლექცია, I, 1957, გვ. 237.

ფორმა. ეს ე. წ. საოჯახო ალბომი როგორც ზაქარიას, ასევე მის შვილებსა თუ შთამომავალთ შეუდგენიათ სხვადასხვა ნაწარმოებებით და შეუვსიათ სალექსიკონო მასალით, ციტატებით სხვადასხვა თხზულებებიდან. გვხვდება აგრეთვე წამლების შემზადების წესები. ხელნაწერი ამ თვალსაზრისით მეტად საინტერესოა. იგი მწიგნობარ გაბაშვილთა ფართო განათლების მანიშნებელია.

ეგვე ხელნაწერი ყურადღებას იქცევს აგრეთვე ქრონიკალური ცნობების სიჭარბით.

2) Q—225. XVIII ს. ვახტანგ VI, კვინცლოსი. ხელნაწერში დაცულია ზემოხსენებული იამბიკო მხედრულით ნაწერი, კრიპტოგრამა (4 r) და კრიპტოგრამული ანბანი (90 r) და მინაწერები, შესრულებული იოსების მიერ, რომლებიც გაბაშვილთა ცხოვრების ზოგ მომენტს ასახავს.

3) S—2574. XIII—XIV სს. იოანე დამასკელი, თხზულებები. მინაწერებიდან ირკვევა, რომ იგი ზაქარია გაბაშვილის საოჯახო წიგნი ყოფილა, რომელიც შემდგომ ზაქარიას შთამომავლებს მემკვიდრეობით მიუღიათ.

4) S—2562. XIII—XIV სს. კრებული. ზაქარია გაბაშვილის ნაქონია. ხელნაწერის თავისუფალ ფურცლებზე გაბაშვილთა მინაწერებია.

5) S—2563. პერიარმენია. 1764 წ. გადამწერი ანჩისხატის დეკანოზი მღვდელი გიორგი ალექსის ძე [მესხიშვილი]. ეს ხელნაწერიც შემდგომში გაბაშვილთა საკუთრება გამხდარა.

ამ ხელნაწერებს შემოუნახავთ ქრონიკალური ცნობები გაბაშვილთა ოჯახის წევრების შესახებ. ქრონიკებში მოხსენიებულია რამდენიმე იოსები: იოსებ ზაქარიას ძე (Q—225, 3 r; H—2955, 2 vr), იოსებ ნიკოლასის ძე (H—2955, 2 r; S—2562. 3 r; S—2563, 116 v და S—2574, გვ. 300), იოსებ ნიკოლასი (H—2955, 2 r), იოსებ (S—2563, 118 v; S—2574, გვ. 1 და 71), იოსებ გაბაონი (H—2955, 107 v).

აქ მოხსენებული ყველა იოსები გაბაშვილია. ხომ არ არის რომელიმე ამთგანი ჩვენი კრიპტოგრამის ავტორი? განვიხილოთ თითოეული ცალცალკე.

იოსებ ზაქარიას ძე არის თეიმურაზ II-ის კარის მოძღვრის, თავისი დროისათვის დიდად განათლებულისა და მწიგნობრის, ზაქარია გაბაშვილის შვილი. დადგენილია, რომ იოსები ზაქარიას უფროსი შვილია და რომ იოსები და იოსე ერთი და იგივე პირი არ არის²⁶⁰. იოსების დაბადების თარიღი არ არის ცნობილი. გარდაცვლილა იგი მამაზე, ზაქარია გაბაშვილზე, უფრო ადრე (ზაქარია გარდაიცვალა 1783 წელს)²⁶¹.

²⁶⁰ ნ. შაიხურაძე, ზაქარია გაბაშვილი, მონოგრაფია (მანქანაზე გადაბეჭდილი) 1948, გვ. 93. მისივე, მწიგნობარ გაბაშვილთა ოჯახი..., გვ. 90.

²⁶¹ ნ. შაიხურაძე, ზაქარია გაბაშვილი..., გვ. 93—94; მისივე, მწიგნობარ გაბაშვილთა ოჯახი..., გვ. 91.

აღსანიშნავია, რომ გაბაშვილთა ერთ-ერთ საოჯახო ხელნაწერში (H—2955, 2 v), რომელიც ჰარბად შეიცავს ცნობებს ზაქარიასა და მის შთამომავალთა შესახებ, იოსების ძმას ოსეს ჩაუწერია: „იოსებ გაბაშვილი მი(ი)ცვალა ფებერვალს ოცსა, ქ^ესითგან ჩლომ (1778 წ.), პირველი მარხვის მეორე დღესა, გ შაბათსა“²⁶². რა თქმა უნდა, სარწმუნო უნდა იყოს ოსე გაბაშვილის ცნობა, რომლის მიხედვითაც მისი უფროსი ძმა იოსები გარდაცვლილა 1778 წ. 20 თებერვალს.

იოსებ ნიკოლაოსის ძე გაბაშვილი არის ზაქარია გაბაშვილის შვილიშვილი, ნიკოლოზის²⁶³ შვილი. გაბაშვილთა იმავე საოჯახო ხელნაწერის მიხედვით (H—2955, 2 r) იგი დაბადებულა 1790 წ. 2 თებერვალს. S—2562, S—2563 და S—2574 ხელნაწერებს შემოუნახავთ მისი მინაწერები, რომლებიც გვაუწყებენ, რომ იოსებ ნიკოლაოსის ძეს ეს წიგნები წაუკითხავს 1811-სა და 1816 წლებში.

იოსებ ნიკოლას ძე იმავე საოჯახო ხელნაწერის (H—2955, 2 r) ცნობით დაბადებულა 1802 წ. 22 ნოემბერს. იოსებ ნიკოლაოსის ძე და იოსებ ნიკოლას ძე სხვადასხვა პირია. როგორც აღვნიშნეთ, იოსებ ნიკოლაოსის ძე არის ზაქარია გაბაშვილის შვილიშვილი, დაბადებული 1790 წელს. ვინ არის ნიკოლა, იოსების მამა?

H—2955 ხელნაწერში ვკითხულობთ: „ნიკოლა დათასი იშვა 1759 წ. 15 თებერვალს“ (2 v). სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია, რომ ზაქარია გაბაშვილს ჰყავდა ძმა დავითი, რომელსაც ჰყოლია ვაჟი ნიკოლოზ²⁶⁴. აი, ეს დავითი უნდა იყოს დათა, ხოლო მისი შვილი ნიკოლოზი — ნიკოლა დაბადებული 1759 წ. ჩვენთვის საინტერესო იოსებ ნიკოლას ძე კი ამ ნიკოლას შვილია.

რაც შეეხება ქრონიკებში მოხსენებულ იოსებსა (S—2563, 118 v; S—2574, გვ. 1, 71) და იოსებ გაბაონს (H—2955, 107 v), მათი წარმომავლობის დაზუსტება ვერ მოხერხდა.

ამგვარად, ქრონიკებში შეგვხვდა რამდენიმე იოსებ გაბაშვილი. შესაძლებელია თუ არა ზემოჩამოთვლილი რომელიმე იოსების მიჩნევა ჩვენი კრიპტოგრამის ავტორად? რა თქმა უნდა, არა.

ჩვენი კრიპტოგრამა ჩაწერილია 1736 წელს გადაწერილ ხელნაწერში და, როგორც ვაიჩკვა, კრიპტოგრამაც თანადროულია ხელნაწერისა, ე. ი. თარიღდება 1736 წლით.

²⁶² H—2955 ხელნაწერის ეს ცნობა გამოუყენებია ლ. მე ნ ა ბ დ ე ს: ძველი ქართული მწერლობის კერები, I, ნაკვ. 2, 1962, გვ. 544, შგშ. 4.

²⁶³ ნიკოლოზი H—2955 ხელნაწერის ცნობით 1785 წლის 8 თებერვალს დაქორწინებულა, ამავე წელს უკუთხებათ მთავარდიაკონად, ხოლო 1787 წ. 3 აპრილს მღვდლად „ქელდასხმულ იქნა“. იგი ეცხალა 1820 წელსაც (S—2562, 1 v).

²⁶⁴ ნ. შ ა ი ს უ რ ა ძ ე, ზაქარია გაბაშვილი, 1948, გვ. 91, სქემა № 2. მისივე, მწიგნობარ გაბაშვილთა ოჯახი..., გვ. 100.

ზემოთ მითითებულ პირთაგან იოსებ ნიკოლაოსის ძე დაბადებულა 1790 წელს, ხოლო იოსებ ნიკოლას ძე — 1802 წელს. ცხადია, ვერცერთი ამათგანი ვერ იქნებოდა ამ კრიპტოგრაფიის ავტორი. რაც შეეხება ზაქარია გაბაშვილის უფროს შვილს — იოსებს, იბადება კითხვა: ხომ არ არის ეს იოსები დასახელებული კრიპტოგრაფიის ავტორი? იოსების დაბადების თარიღი უცნობია. სამაგიეროდ, ცნობილია იოსების მამის, ზაქარიას დაბადების წელი — 1707 წ.²⁶⁵ 1736 წელს, 29 წლის ზაქარიას, რა თქმა უნდა, უფროსი შვილი იოსები არ ეყოლებოდა იმ ასაკისა, რომ მას შეძლებოდა შეეთხზა იამბიკო და მიეძღვნა იგი ალექსი მესხიშვილსადმი და, რაც მთავარია, მას, ასე მცირეწლოვანს, საეპქოა, რომ სცოდნოდა ქართული კრიპტოგრაფიული დამწერლობა.

მაშასადამე, იოსებ ზაქარიას ძესაც ვერ მივიჩნევთ ჩვენი კრიპტოგრაფიის ავტორად.

ამრიგად, ჩვენს ქრონიკებში მოხსენებულია რამდენიმე იოსები, მაგრამ 1736 წელს, როდესაც კრიპტოგრაფია დაიწერა, მათი ავტორობა მოსალოდნელი არ არის.

მაშასადამე, არსებობდა კიდევ სხვა იოსები, რომელიც ახლო ნათესაურ კავშირში უნდა ყოფილიყო ზაქარია გაბაშვილთან. იოსები რომ ახლობელია ზაქარიას ოჯახისა, ამას ადასტურებს Q—225 ხელნაწერის მინაწერები. ეს ხელნაწერი იოსების საკუთრება ყოფილა, რომელშიც მას თავისი გამოთქმული იამბიკო, მიძღვნილი ალექსი მესხიშვილისადმი, ამგვრად არაკრიპტოგრაფულად, მხედრულით ჩაუწერია. ამავე ხელნაწერშია ჩაწერილი რამდენიმე მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი ზაქარიას ცხოვრებიდან და ქრონიკალური ცნობები გაბაშვილთა ოჯახის წევრებზე.

საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ იოსები საიდუმლოდ, მიუარვით, კრიპტოგრაფიით გადმოგვეცემს თავის სიმბათიებს ზაქარია გაბაშვილისადმი. იგულისხმება კრიპტოგრაფია (4 r): „უწყალოებასა მათსა, რამეთუ უმსჯავროდ დასაჯეს კეთილი კაცი“. როგორც ჩანს, მისთვის ზაქარიას გაძევება საკმაოდ მტკივნეული ყოფილა.

საფიქრებელია, რომ ჩვენი იამბიკოს ავტორი იოსები გაბაშვილია და იგი ზაქარიას ერთ-ერთი ძმაც არის. მით უმეტეს, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია: „ზაქარიას რომ რამდენიმე ძმა ჰყოლია, ამას თვითვე ადასტურებს იგი ასტრახანის ეპისკოპოსისადმი გაგზავნილ მოხსენებაში: „მივედი ჯალაბთან, რომელიც ოცი სულისგან შესდგებოდა, მათ შორის ჩემი შვილების და ძმების (ხაზი ჩვენია — ლ. ა). ცხრა ბავშვი იყო“²⁶⁶.

²⁶⁵ კ. გეგელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1958, გვ. 661 E. მანისურაძე, ზაქარია გაბაშვილი..., 1948, გვ. 8. მისივე, მწიგნობარ გაბაშვილთა ოჯახი... გვ. 91.

²⁶⁶ ნ. მანისურაძე, მწიგნობარ გაბაშვილთა ოჯახი..., გვ. 95. ციტატი ზაქარიას

არსებობდა თუ არა მართლაც XVIII ს. I ნახევარში რეალურად ვინმე იოსები, რომელიც გვარად გაბაშვილი იყო და რამდენად შეიძლება მისი მიჩნევა ჩვენი იამბიკოს ავტორად? გვაქვს თუ არა ამის შესახებ რაიმე ცნობა?

ხელნაწერთა ინსტიტუტის S კოლექციაში ინახება XVIII ს. ერთი ხელნაწერი (S—1377, ხრონოლოგია), რომელიც გადაწერილი იოსებ წინამძღვარს გადაუხუსხავს (155 v). ამავე იოსებ წინამძღვარს მოიხსენიებს მისი ძმისწული გლახა მრწემი ერთ ანდერძში: „აღიწერა შემოკლებული ღრამბატია ესე... კელითა გლახა მრწემისა, წინამძღურის იოსების ძმისწულისათა, მხილველნო, შენდობას გემოქენები ყოველთა ჩემთვის და ბიძისა ჩემისათვის, რათა თქვენცა განიყსნეთ ყოველთა ბრალთა კრულებისაგან მდლითა ყრმაებულისა ძისა ლთისათა და მეოხებითა დედისა მისისა... (Q—367, 24 v. ანტონ I, გრამატიკა-სიმეტნე. XVIII ს.).

საინტერესოა ერთი დოკუმენტი: 1748 წლის საეკლესიო კრების დადგენილება (ხელნაწერთა ინსტიტუტის ნუსხა, Q—412)²⁶⁷. ამ დადგენილებას ხელს აწერენ: ერეკლე II, ანტონ I, ნიკოლოზ ამბა ალავერდელი, არსენ სამთავროსა და გორის მთავარეპისკოპოსი, ათანასი ტფილელი... იოსებ წინამძღვარი ქართველთა მეფისა, ზაქარია ხუცესი, მეფეთა და პატრიარქის მოძღვარი, გაბრიელ დეკანოზი და სხვ.

აქ, გარდა იმისა, რომ იოსებ წინამძღვარია დასახელებული, ჩვენ საინტერესოდ გვეჩვენება მისი ზაქარია ხუცესთან, ე. ი. ზაქარია გაბაშვილთან ერთად მოხსენიება.

უგვევ იოსებ წინამძღვარი უნდა იყოს დასახელებული ერთ ისტორიულ დოკუმენტში, ოღონდ აქ იოსები მოიხსენიება როგორც მოძღვარი: მოზარების წიგნი „1737 წ. აპრილის 13. ქ. მამებარა მე, სარიდანს ყაფლანიშვილი ბატონის ვახტანგისაგან, მოსკოვიდამ რომ ამანათი გამოეგზავნა ხაზოასა, ერთი შალი თუთხმეტი ადლი, ქათანი ერთი, ტანი ჩითი. ეს მამებარა მოძღვარი იოსების მოწმობითა“...²⁶⁸.

როგორც გაირკვა, ეს იოსებ წინამძღვარი გვარად გაბაშვილი ყოფილა, რასაც XVIII საუკუნის შემდეგი ისტორიული დოკუმენტები მოწმობენ:

1) 1712 წ. საკომლოს სითარხნის წიგნი, მიცემული ვახტანგ VI-ის მიერ წინამძღვარი იოსებ გაბაშვილისადმი: „ნებითა

მოხსენებიდან იხ. იას. ლორთქიფანიძე, მასალები საქართველოს ისტორიისათვის (მე-18 საუკ.), მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1940, ნაკვ. II, გვ. 23.

²⁶⁷ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, Q კოლექცია, I, 1957, გვ. 416.

²⁶⁸ საქართველოს სიძველენი, ე. თაყაიშვილის რედაქციით, II, 1909, გვ. 390.

და შეწვევნითა მღ[უ]თისათა ჩვენ, საქართველოს მქონებელმან იესიამ და ვითიან-სოლომონიანმან (ბაგრატიონმა) ბატონიშვილმან პატრონმან ვახტანგ, თანამეცხედრემან ჩვენმან ჩერქეზის ბატონის ასულმან დედოფალთ-დედოფალმა პატრონმან რუსუდან, პირმშომან და სასურველმან ძემან ჩვენმან ბატონიშვილმან ბატონმან ბაქარ შეგიწყალებთ და გიბოძებთ შენ გაბაშვილს წინამძღვარს იოსებს. მაჟამსა, ოდეს ენაგეთს აბულაშვილის საკომლოს სითარხნეს დაგვეჯენით, ჩვენცავისმინეთ აჯა და მოკსენება თქვენი და ასე გაგითარხნეთ, რომე არაფერი საჩვენო სათხოვარი და გამოსაღები არა გეთხოვბოდეს რა... დაიწერა ბრძანება და ნიშანი ქორონიკონს ქართულსა ე, ქრისტეს აქეთ ჩლიბ, კელითა თუმანიშვილის დავითისითა²⁶⁹.

2) ვენახის შეწირულებს წიგნი, მიცემული დავით აბაშიშვილის მიერ მაცხოვრის ხატისადმი: 1705 წ. „ნებითა და შეწვევნითა მღვთისათა, მეოხებითა ყოვლად წმინდისა ღმრთისმშობელისათა და მარადის ქალწულის მარიამისათა... შემოგწირეთ ჩვენ აბაშიშვილმა სუფრაჯმა დავით და ძმამან ჩვენმა სუფრაჯმა აბაშ... თქვენ ყოვლად პატიოსანს ხატსა მაცხოვრისა ქვემო ვარსიმაშვილისა ვენაკი, ესიტაშვილს რომ უჭირავს, იმას გარდა ნონიაშვილების ვენაკი საკულუხით... არის ამისი მოწამე ხეცის ცხოველის წინამძღვარი გაბაშვილი ბატონი იოსებ; ჩვენი აზნაურშვილი ბლორძელი, სალთხუცესი ზურაბი... მე, მცხეთის კანდელაკიშვილს ათანასეს დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი, ქკსა ტეგ“²⁷⁰.

ამრიგად, მოტანილი მასალიდან გამოჩნდა, რომ წინამძღვარი იოსებ გაბაშვილი ერთხანს სვეტიცხოვლის წინამძღვარია 1705 წ. დოკუმენტის მიხედვით, მას თვით ვახტანგ VI აძლევს საკომლოს სითარხნის წიგნს, იგი მონაწილეობს 1748 წლის საეკლესიო კრებაში და მის დადგენილებასაც აწერს ხელს. ამავე დროს წინამძღვარი იოსებ გაბაშვილი მწიგნობარიცაა. როგორც ვნახეთ, ნუსხურად გადაწერილი მისი ერთი ხელნაწერი დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტის S კოლექციაში (S—1377). ამ ხელნაწერში არსად არ არის მხედრული მინაწერი ტექსტის ხელით. იმის გამო, რომ ეს ხელნაწერი ნუსხურია, ხოლო ჩვენი იამბიკო Q—225-ში მხედრულითაა ნაწერი, მათი შედარება უშედეგოა. ჩვეულებრივ, ერთი და იმავე კალიგრაფის ნაწერი მხედრული და ნუსხური საკმაოდ განსხვავდება ერთმანეთისაგან (შდრ. ნ. ჩაჩიკაშვილის მხედრული და ნუსხური ხელი), თუმცაღა Q—225 ხელნაწერის იამბიკოს ხუთივე სტრი-

²⁶⁹ ხელნაწერთა ინსტიტუტის დოკუმენტი Hd—2000. დაბეჭდილია: დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, 1940, გვ. 153. საქართველოს სიძველენი, I, 1920, ე. თაყაიშვილის რედაქციით, გვ. 128.

²⁷⁰ ხელნაწერთა ინსტიტუტის დოკუმენტი, Hd—2506. დაბეჭდილია: საქართველოს სიძველენი, I, 1920, ე. თაყაიშვილის რედაქციით, გვ. 126. დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, 1940, გვ. 380.

ქონის საზედაო ასოების შედარებამ ამ ხელნაწერის ხელთან, დაგვანახვა, რომ წერის მანერა ერთნაირია: ასოები წყვეტილად არის ნაწერი; ასობუნს წყვეტილად უერთდება მისი შემადგენელი ელემენტები.

ამრიგად, H—2077 ხელნაწერის კრიპტოგრაფიული იამბიკოს ავტორი ჩანს იოსებ გაბაშვილი. ჩვენი ვარაუდით, იგი ზაქარია გაბაშვილის ძმა უნდა იყოს. იოსებ გაბაშვილი მწიგნობარ გაბაშვილთა ოჯახის ერთ-ერთი პირველი წარმომადგენელია. იგი ალექსი მესხიშვილის თანამედროვე და მასთან დაახლოებული პირი ჩანს. იოსებ გაბაშვილის, როგორც კალიგრაფის, მემკვიდრეობა ძალიან მცირეა შემორჩენილი, ერთი კი ცხადია: იგი ავტორია აღნიშნული იამბიკოსი, აქვს ლამაზი კალიგრაფიული ხელი, დაუფლებულია ძველ ქართულ საიდუმლო დამწერლობას.

როგორც ვაირკვა, ჩვენი კრიპტოგრაფია ჩაწერილია ალექსი მესხიშვილისეულ ხელნაწერში და წარმოადგენს მიძღვნას, რაც, უდავოდ მიანიშნებს კალიგრაფ მესხიშვილთა და გაბაშვილთა მწიგნობრულ ურთიერთობაზე.

საინტერესოა შემდეგი ფაქტი: თვით ალექსი მესხიშვილისეული ხელნაწერი H—2077, რომელშიც აღნიშნული კრიპტოგრაფია მოთავსებული, შემდეგში ზაქარია გაბაშვილის საკუთრება გამხდარა, რასაც მოწმობს თხზული ასოებით შესრულებული მონოგრაფია: „ზახარიასია“ (გვ. 1), რაც შესრულების მანერით ზაქარია გაბაშვილის ხელწერას წარმოადგენს (შდრ. ზაქარიას მიერ S—2574, გვ. 71, ხელნაწერში ჩაწერილი მონოგრაფია თხზული ასოებით, სადაც ზ ასოში ადამიანის სახის გამოსახულებაა). იქვე, თხზული ასოების ქვეშ, გაბაშვილთა ხელით მინაწერია: „ქკს უნგ (1765 წ.) თა სეკდენბერსა კდ, დღესა შაბათსა, სარტყელი ძაძისა მოენიქა მას“. ვის ეხება ეს მინაწერი, არ ჩანს. ხელნაწერის ერთ-ერთი მინაწერის მიხედვით 1765 წ. 30 ნოემბერს გაათავისუფლეს იოსებ, რომელიც 1764 წ. დააპატიმრეს მამასთან ერთად. საფიქრებელია, რომ აქ ზაქარიას და იოსების მძიმე მდგომარეობა იყოს გადმოცემული.

ხელნაწერი H—2077 შემდეგში ბაგრატ ბატონიშვილის საკუთრებაც გამხდარა („მეფის ძის ბაგრატიისა ვარ“ 3 რ).

როგორც შემდეგი დროის მასალებმა დაგვანახვეს, გაბაშვილთა და მესხიშვილთა ურთიერთობა ტრადიციული გახდა²⁷¹. ორივე გვარის მწიგნობრებს ერთმანეთთან საქმიანი ურთიერთობა ჰქონიათ. შემთხვევითი არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ იოსებ წინამძღვრის [გაბაშვილის] გადაწერილი ხელნაწერი (S—1377) მესხიშვილებთან მოხვედრილა, რასაც

²⁷¹ გაბაშვილთა და მესხიშვილთა ურთიერთობის ამსახველია ბესიკისა და დავით მესხიშვილის (რექტორის) მეგობრობა. ისინი სიყრმის მეგობრები ყოფილან (ალ. ბ ა რ ა - შ ი ძ ე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, 1940, გვ. 377, 383; ბ. ლ ე ო ნ ი ძ ე, გამოკვლევები და წერილები, 1958, გვ. 308).

შემდეგი მინაწერები ადასტურებს: „ეს წიგნი ეკუთვნის იოელ ალექსანდრეს“ (5 r), „ქ. ხრონოლოგი ესე დავით რექტორისა არის“ (255 v)²⁷². ხოლო გიორგი მესხიშვილის 1764 წ. გადაწერილი ხელნაწერი (S—2563) გაბაშვილთა ოჯახის საკუთრება გამხდარა: „მაღლითა ყოვლად უსაზღვრომსა ლთისათა ვისწავე წერა და ბლარჯვა ამისთანა, იენისის 20, წელთა 1816. იობიანთ ნათესავე ზე დეკანოლისა იოსებ გაბაევი (116 v). „ეს დიალექტიკა მამაჩემა მომბარა მე, იოსებს“ (118 v). აქ მოხსენიებული იოსებ გაბაევი (გაბაშვილი) ნიკოლაოსის ძეა, რასაც ადასტურებს ამ მინაწერის ხელის მსგავსება S—2562-ში იოსებ ნიკოლაოსის ძის მინაწერის ხელთან (3 r), ე. ი. იგი ზაქარია გაბაშვილის შვილიშვილია.

მესხიშვილებთან რომ გაბაშვილებს ახლო ურთიერთობა ჰქონიათ, ეს შემდეგიდანაც ჩანს: ხელნაწერი S—1593, სვიმეონ ჭულფელის „დიალექტიკა“, გადაწერილია 1778 წელს. გამწერი უცნობია. გვ. 1-ზე აქვს მინაწერი სვიმონ გაბაშვილისა: „ანჩისხატის დეკანოზმა, რომელიც ამას ქვეით სწერია, ეს წიგნები მომცა:

ქ. ამონიოს. ქ. პერიარმენია. ქ. საზღურის წიგნი. ქ. ნემესოს ქ. რიტორება. ქ. სიმეტნე. ქ. ქმნულების ცნობა. ქ. დაწყება დიალიკტიკისა. ქ. მჭერმეთქვეობა. ქ. რუსული და მოლდავეანური კითხვა-მიგება. გაბაონი სვიმონ.

ჩამოთვლილ თხზულებებში ჩვენი ყურადღება მიიქცია ორმა მათგანმა: „პერიარმენია“ და „დაწყება დიალიკტიკისა“. ჩვენი ვარაუდით, ანჩისხატის დეკანოზი უნდა იყოს გიორგი ალექსის ძე მესხიშვილი. ამას შემდეგი ადასტურებს: გიორგი მესხიშვილის 1764 წ. გადაწერილი ხელნაწერი (S—2563) — დავით უძლეველის არისტოტელეს „პერიარმენიას“ განმარტება — გაბაშვილთა ოჯახში მოხვედრილა (იხ. იოსებ გაბაშვილის მინაწერები). საფიქრებელია, რომ სვიმონ გაბაშვილის მითითებული ხელნაწერი „პერიარმენია“ სწორედ S—2563 ნუსხა იყოს, რომელიც, მართლაც, ანჩისხატის დეკანოზის გიორგის გადაწერილია. როგორც ჩანს, საკუთარი ნუსხა მას სვიმონისთვის გადაუცია.

რაც შეეხება სვიმონ გაბაშვილის მიერ დასახელებულ მეორე თხზულებას „დაწყება დიალიკტიკისა“, შესაძლოა, იგი S—1593 ხელნაწერს გულისხმობდეს. ხელნაწერი შეიცავს სვიმეონ ჭულფელის „დიალექტიკას“, გადაწერილია 1778 წელს. გამწერი უცნობია, თუმცა ხელნაწერის ხელი გიორგი მესხიშვილის ხელს ჰგავს.

მასმასაღამე, ჩანს, სვიმონ გაბაშვილისთვის ანჩისხატის დეკანოზს გიორგის მიუცია მის მიერ გადაწერილი ორი ხელნაწერი, რაც მათი ოჯახების ტრადიციული მეგობრობის ერთგვარი გამოძახილი უნდა იყოს.

²⁷² ეს მინაწერები თვით დავით რექტორს არ მიუწერია, სხვა ხელია.

მანოელ ინანიკაშვილის ერთი კრიპტოგრამის შესახებ

მანოელ ინანიკაშვილს პირობითი ნიშნების სისტემის კრიპტოგრამით ერთი მეტად საინტერესო ცნობა ჩაუწერია მის მიერ გადაწერილ ხელნაწერში (ქუთ. მუზ. K—4, 1565 წ.). ხელნაწერი მეტაფრასული კრებულია. კრიპტოგრამა მიწერილია წმ. მოწამის დიმიტრის საკითხავის დასასრულს. მისი შინაარსი ასეთია: „ეს წმიდის დიმიტრის საკითხავი სხუის დედისაგან დამიწერია. უფალო ჩემო, ონოფრე დამაწერინა. წყევასა ნუ ვინ შემამთხუევთ ღმრთისათვის. გვედრები, ძმანო და მამანო“ (593 v).

ამ კრიპტოგრამის ისტორია ასეთია: 1914 წელს, როდესაც კ. კეკელიძე გელათის მონასტრის წიგნთსაცავის ხელნაწერებს სწავლობდა, № 4 ხელნაწერში შეუნიშნავს კრიპტოგრამები, რომლებიც პირობითი ნიშნებით ყოფილა ნაწერი²⁷³. კ. კეკელიძეს მათი ფოტოები ამოსახსნელად გაუგზავნია ნ. მარისტვის პეტერბურგში, რომელმაც ყველა კრიპტოგრამა ამოხსნა და გამოაქვეყნა²⁷⁴, მათ შორის წმ. დიმიტრის საკითხავთან მიწერილი კრიპტოგრამაც.

ამჟამად კრიპტოგრამა ხელნაწერიდან ამოკრილია. ეინ ამოკრა იგი, ან როდის — არ არის ცნობილი. ჩვენ ვისარგებლეთ ნ. მარის პუბლიკაციით და ჩვენს კატალოგშიც იქიდან გადმოვიღეთ.

კრიპტოგრამის შინაარსი მეტად საგულისხმოა: როგორც ირკვევა, ამ კრებულში დიმიტრის საკითხავის დედანი სხვა ყოფილა, ვიდრე მთელი ხელნაწერისა. იქვე მითითებულია აგრეთვე, რომ ვინმე ონოფრეს დახმარებითა და შემწეობით დაუწერია მანოელ ინანიკაშვილს დიმიტრის საკითხავი. ამ მეტაფრასული კრებულის ტექსტის დადგენისას უთუოდ გასათვალისწინებელია ჩვენი კრიპტოგრამის ცნობა. საინტერესოა, როგორი წარმომავლობისაა ეს საკითხავი, არის თუ არა, მართლაც, რედაქციული სხვაობა დიმიტრის საკითხავში და სხვ.

ამრიგად, K—4 მეტაფრასული კრებულის კრიპტოგრამა შეიცავს მეტად მნიშვნელოვან ცნობას ტექსტის დედნის შესახებ და ამდენად ანგარიშგასაწევია ამ კრებულის ტექსტის შესწავლისას.

წერილები

XVIII—XIX სს-ში პირობითი ნიშნების სისტემის სხვადასხვა სახეობის ანბანები გამოუყენებიათ აგრეთვე მცირე ზომის წერილებისათვის.

²⁷³ ეს კრიპტოგრამები მანოელ ინანიკაშვილს დაუწერია. ამათვან სამი კრიპტოგრამა მანოელის ანდერძებია (იხ. პირობითი ნიშნების სისტემა, გადამწერები), ხოლო მეოთხე ზემოაღნიშნული დიმიტრის საკითხავთან მიწერილი კრიპტოგრამაა.

²⁷⁴ Н. Марр, Один вид грузинского криптографического письма, Христианский Восток, III в. 1, 1914, с. 205—207.

ამ სახის წერილები შემდეგ ხელნაწერებში შეგვხვდა: S—2684, Q—1346, S—4500, H—2520. განსაკუთრებით საყურადღებო ჩანს S—2684-ში დაცული წერილი, რომლის ავტორი უცნობია. საიდუმლო ამბავი დაშიფრული ამ წერილში.

ერთი სახეობის ანბანითაა დაწერილი Q—1346-ში პატარა ზომის მოკითხვის ბარათები, რომელთა ადრესატები არიან ვინმე ეფთვიმე და იოვანე მდივანი. ამავე ხელნაწერში ჩაწერილია: „შო, რასა იქ, ჩემო ბატონო“ (39 r). ხელის შესწავლამ დაგვანახვა, რომ კრიპტოგრამა გადაწერ მიხეილ გიორგის ძე მესხიშვილის დაწერილი ყოფილა²⁷⁵.

სატრფიალო ხასიათისაა XIX ს. ერთი კრიპტოგრამული წერილი (H—2520).

ლექსები

პირობითი ნიშნების სისტემის სხვადასხვა სახეობის ანბანებით დაუწერიათ ხელნაწერთა მფლობელებს ლექსებისა და პოემების ცალკეული სტროფები, ზოგჯერ მხოლოდ ტაეპები. მაგ., ანა ეგნატეს ასულ თუმანიშვილს კრიპტოგრამულად დაუწერია ვახტანგ VI-ის „სატრფიალოდან“ ერთი სტროფი (S—2391), ასევე გ. ავალიშვილსაც ერთი სტროფი ამოულია თეიმურაზ I-ის პოემიდან („ქება და მკობა ხელმწიფის ალექსანდრესი და დედოფლის ნესტანდარეჯანისა“, S—1508). ცხადია, ისინი ამით ამელავენებენ ამა თუ იმ ანბანის ცოდნას. კრიპტოგრამულად შესრულებული ლექსები გვხვდება აგრეთვე შემდეგ ხელნაწერებში: Q—1346, S—418, A—1605, S—428.

ამელი ქართული კრიპტოგრაფიისათვის დამახასიათებელი ერთი მოვლენის შესახებ

კრიპტოგრამების ამოხსნის დროს ჩვენი ყურადღება მიიქცია ერთმა საინტერესო ფაქტმა. ასოთა შენაცვლების პრინციპით შედგენილ კრიპტოგრამებსა და აგრეთვე სხვა სისტემის კრიპტოგრამებშიც ზოგჯერ მეტი საიდუმლოებისათვის არ წერდნენ სიტყვაში ყველა ასოს შესაბამისი კრიპტოგრამული ანბანით და ტოვებდნენ არაკრიპტოგრამულ ასოებს. ეს კი ერთგვარად აძნელებდა კრიპტოგრამის სწორად ამოკითხვას. ეს თავისებური მოვლენა, რომელიც ჯერ კიდევ X ს. ანჩინური სისტემის კრიპტოგრამებსა და სარკისებრი დაწერილობის ამავე საუკუნის კრიპ-

²⁷⁵ შტრ. გადამწერთა ფოტოილუსტრირებული კატალოგი, შედგენილი ია ვაჩიჩილაძის მიერ. კატალოგი დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში.

ტოგრამაში გამოჩნდა, როგორც ხელნაწერთა შესწავლამ დაგვანახა, შემდგომი საუკუნეების კრიპტოგრამებშიც დასტურდება. როგორც ჩანს, ასეთი მეთოდით კრიპტოგრამების წერა XVIII—XIX სს. გადამწერთათვისაც არ ყოფილა უცხო²⁷⁶. ამ მოვლენის ნიმუშები განხილული გვაქვს. თითოეულ სისტემასთან.

²⁷⁶ ამ მოვლენაზე მი უთითებენ აგრეთვე ბერძნულ-კოპტურ კრიპტოგრაფიაშიც. იხ. M. Jean Doresse-ს ლასახ. ნაშრომი, გვ. 219.

ღამაბეზა

1. ბერძნული კრიპტოგრაფიები ქართულ ხელნაწიხებში

ძველი ქართული საიდუმლო დამწერლობის ცალკეული სისტემების შესწავლამ გამოავლინა ქართული კრიპტოგრაფიის მიმართება ბერძნულთან. მაგალითად, ასოთა შენაცვლებით შედგენილი ბერძნული ატბაშურისა და „gewöhnlichste kryptographie“-ს მსგავსად ქართულშიც იქმნება რიგი სისტემებისა, რომელნიც ემყარებიან ძირითადად ასოთა ურთიერთმონაცვლეობას.

ბერძნულ კრიპტოგრაფიასთან ასეთი მჭიდრო კონტაქტი ქართულისა არა მხოლოდ ბერძნულის მსგავსი ერთი წყება კრიპტოგრაფიული სისტემების ჩამოყალიბებაში გამოიხატება, არამედ ბერძნულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის მეტად საინტერესო შემთხვევად მიგვაჩნია ის ფაქტი, რომ X ს. ქართულ უნიკალურ ხელნაწერებში აღმოჩნდა ბერძნული კრიპტოგრაფიები. საყურადღებოა ის გარემოება, რომ ორ უძველეს ქართულ ხელნაწერში (კლარჯული მრავალთავი — A—144 და აგიოგრაფიული კრებული — Sin—11) ასოთა შენაცვლებით შედგენილი ქართული ანჩინური სისტემის კრიპტოგრაფებთან ერთად გამოჩნდა ბერძნული კრიპტოგრაფიებიც, რაც იმის მანიშნებელია, რომ საკუთარი, ორიგინალური ანჩინური კრიპტოგრაფიული სისტემის გარდა ქართველებს არა მხოლოდ სცოდნიათ, არამედ ხმარებაშიც ჰქონიათ ერთ-ერთი ბერძნული კრიპტოგრაფიული სისტემა, ზემოაღნიშნული „gewöhnlichste kryptographie“.

ეს კრიპტოგრაფიული სისტემა, როგორც ვ. გარდტჰაუზენი მიუთითებს, ძალიან ძველია. იგი დასტურდება IV ს. ერთ ეგვიპტურ პაპირუსში¹.

აღნიშნული სისტემა აღმოსავლეთში იხმარებოდა უკვე IX ს.-ში. ვატიკანის ბიბლიოთეკის ერთ არაბულ ხელნაწერში (ახალი აღთქმა), რომელსაც IX ს. მიაკუთვნებენ, დაცულია ამ ბერძნული კრიპტოგრაფიული ანბანით შესრულებული გადამწერის ანდერძი². ვ. გარდტჰაუზენმა „ბერ-

¹ V. Gardthausen, Griech. Palaeogr. II, 1913, გვ. 312.

² იქვე, გვ. 312.

ძნულ პალეოგრაფიაში“ გამოაქვეყნა ამ სისტემის მრავალი ნიმუში⁶. შემდგომ საუკუნეებში ეს სისტემა ძლიერ გავრცელებულა საბერძნეთში, განსაკუთრებით XVI ს-ში⁴.

აღნიშნული ბერძნული კრიპტოგრაფიული სისტემა პოპულარულყოფილა არა მარტო საბერძნეთში, არამედ იგი ქართველებსაც შეუსწავლიათ და ქართულ ხელნაწერებში ბერძნული კრიპტოგრაფები ჩაუწერიათ. და რაც მთავარია, ქართველები ამ სისტემას ეცნობიან არა მთავიანო საუკუნეებში, არამედ ძალზე ადრე. კერძოდ, ქართულ ხელნაწერებში დადასტურებულ ბერძნულ კრიპტოგრაფებს ჩვენ IX ს.-ით ვათარილებთ.

ორ უნიკალურ ქართულ ხელნაწერში (Sin—11 და A—144) დასტურდება ანჩინური სისტემის უძველესი კრიპტოგრაფები. ამავე ხელნაწერებში დაცულია ბერძნული მინაწერებიც, რომლებსაც ამჟერად განვიხილავთ.

სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის წიგნთსაცავის X ს. ხელნაწერში (Sin—11) გვხვდება ტექსტის ხელით შესრულებული რამდენიმე ბერძნული მინაწერი. საინტერესოა 179r-ზე მოთავსებული მინაწერი, რომელიც გამოაქვეყნა ე. გარიტმა⁵, მაგრამ, როგორც ჩანს, ამ სიტყვის მნიშვნელობა მისთვის უცნობია. იგი მიწერილია ფურცლის მარჯვენა კიდეზე ასომთავრულით (უნციალით) და იკითხება ასე: HAEC. ეს სიტყვა ბერძნული კრიპტოგრაფია⁶, შედგენილი ზემოაღნიშნული კრიპტოგრაფიული სისტემით (gewöhnlichste kryptographie)⁷. თუ ამ ბერძნული კრიპტოგრაფიული სისტემის გასაღებს მივუსადაგებთ აღნიშნულ სიტყვას, იგი ასე ამოიხსნება Βααα, რაც ქართულად ნიშნავს „ვღალაღებ“. კრიპტოგრაფის ამოხსნისას მივიღეთ Βααα, ვინაიდან ამ კრიპტოგრაფიული სისტემის ანბანით ε-ს ენაცვლება ε. საგულისხმოა ის გარემოება, რომ Βααα დამახინჯებული ფორმაა, მის ნაცვლად უნდა გვექონოდა სწორი ფორმა Βααα. ამის შესაბამისად კრიპტოგრაფიაშიც აღვადგენთ Θ-ს, რადგანაც ამ კრიპტოგრაფიული სისტემის ანბანით Α-ს მონაცვლეა Θ. მაშასადამე, HAEC კრიპტოგრაფის მაგიერ გვექნებოდა HAΘC. მართლაც, აქ ვადაწერის შეცდომასთან გვაქვს საქმე. გრაფიკულად მსგავსი ორი ასოს Θ და Ε-ს აღრევის გამო⁸, Θ-ს მაგიერ Sin—11-ის ვადაწერს კრიპტოგრაფიაში ვადაწერს ორი ე.

³ იქვე, გვ. 312—314.

⁴ იქვე, გვ. 314.

⁵ G. Garitte, Catalogue des manuscrits géorgiens littéraires du mont Sinai, Louvain, 1956, გვ. 44.

⁶ ლ. ათანელიშვილი, ერთი სინური ხელნაწერის კრიპტოგრაფების შესახებ, მეცნ., ენისა და ლიტ. სერია, 1972, № 4, გვ. 169—171.

⁷ V. Gardthausen, Griech. Palaeogr., 1879, გვ. 235.

⁸ IX—X სს. ბერძნულ ხელნაწერებში ეს ორი ასო გრაფიკულად მსგავსია.

ამრიგად, ბერძნული კრიპტოგრამა HAEC Sin—11-ში დამახინჯებულია და გამოწერილი ასოთა გრაფიკული მსგავსების გამო. იგი სწორი დაწერილობით HAOC სახით იქნებოდა წარმოდგენილი ამ ხელნაწერის დედანში.

რაც შეეხება ბერძნული კრიპტოგრამის თარიღს. რა დროისაა იგი? როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ ხელნაწერში ანჩინური სისტემის კრიპტოგრამაც გვხვდება, რომელიც IX ს.-ით დავათარიღეთ (იხ. ანჩინური სისტემა). გაირკვა, რომ ბერძნული კრიპტოგრამაც ქართული კრიპტოგრამის მსგავსად დამახინჯებულია. იგი შეეცდომითაა გადმოწერილი გადაწერის მიერ. მაშასადამე, ბერძნული კრიპტოგრამაც Sin—11-ის დედნისეულია. ვინაიდან ქართული და ბერძნული კრიპტოგრამები დამახინჯებულია და შეეცდომით გადმოწერილი Sin—11-ში და რაკი გაირკვა, რომ ქართული კრიპტოგრამა IX ს.-შია შესრულებული, ბუნებრივია, ბერძნული კრიპტოგრამაც ამ საუკუნეში იქნება დაწერილი. ვ. გარდტ-ჰაუზენი მიუთითებს ამ სისტემის IV ს. ბერძნულ კრიპტოგრამაზე, თუმცა ამ სისტემის უძველესი ნიმუშები, რომლებიც მან გამოაქვეყნა, IX საუკუნისაა. Sin—11 ხელნაწერის ბერძნული კრიპტოგრამაც, როგორც აღვნიშნეთ, IX საუკუნით თარიღდება. მაშასადამე, ქართულ ჰაგიოგრაფიულ კრებულში (Sin—11) დაცული ბერძნული კრიპტოგრამაც ერთ-ერთი უძველესი ნიმუშია ბერძნული „gewöhnlichste kryptographie“ სისტემისა.

ამრიგად, Sin—11 ნუსხაში გვხვდება ბერძნული „gewöhnlichste kryptographie“ სისტემისა და ქართული ანჩინური სისტემის კრიპტოგრამები. გაირკვა, რომ ორივე კრიპტოგრამა Sin—11-ში დედნისეულია. საფიქრებელია, რომ მათი ავტორი ერთი და იგივე პირი იყო. Sin—11-ის დედნის ქართველი გადაწერი, რომელმაც, ბუნებრივია, იცის ქართული ანჩინური სისტემა, პარალელურად დაუფლებული ჩანს ბერძნულ კრიპტოგრაფიასაც.

ასოთა შენაცვლების პრინციპით შედგენილი ქართული და ბერძნული კრიპტოგრამები დაიძებნა აგრეთვე X ს. ერთ ქართულ მრავალთავში, რომელსაც „კლარჯულ მრავალთავს“ უწოდებენ (კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ნუსხა A—144)⁹, იოანე ოქროპირის ერთ-ერთი საკითხავის სათაურთან „საკითხავნი ამალღებისანი“ (97 r) ტექსტის ხელით მიწერილია ორი დაქარაგმებული სიტყვა ქართულად და ბერძნულად (იხ. სურ. 1). ქართული მინაწერი ჩვენ ანჩინური სისტემის

⁹ ლ. ათანელიშვილი, ბერძნული კრიპტოგრამა ქართულ ხელნაწერში, მაცნე, ენისა და ლიტ. სერია, 1971, № 3, გვ. 159—162. M. van Esbroeck, Les plus anciens homéliaires géorgiens. Louvain, 1975, გვ. 40—41.

კრიპტოგრამა და ნიშნავს „ა^ნ“ (=ამენ). ეს კრიპტოგრამა სათანადო ამოხსნით გამოსცა ა. შანიძემ¹⁰. რაც შეეხება ბერძნულ ასოებს, მან ისინი კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა.

$\overset{\sim}{\Gamma}\overset{\sim}{\Phi}\overset{\sim}{\Theta}\overset{\sim}{\Delta}$ $\overset{\sim}{\Delta}$ $\overset{\sim}{\Sigma}$ $\underset{1}{\Gamma}$ $\underset{2}{\Delta}$ $\underset{3}{\Sigma}$ $\underset{4}{\Gamma}$ $\underset{5}{\Theta}\overset{\sim}{\Sigma}$ $\overset{\sim}{\Sigma}$

რაც შეეხება ბერძნულ ასოებს, თუ წარმოვიდგინოთ, რომ დაქარაგმებულია სიტყვის დასაწყისი ასო და შემდგომ ნებისმიერად აღებული რომელიმე შუა ასო, ამ შემთხვევაში დელტა, შეიძლება გვეფიქრა, რომ ეს ორასოიანი დაქარაგმებული სიტყვა გადმოსცემს საკუთარ სახელს „თევდორე“¹¹. მაგრამ X ს. ხელნაწერებში დაქარაგმების ასეთი შემთხვევებია არა ჩანს¹². ჩვენი აზრით, აქ საკუთარი სახელის დაქარაგმებული ფორმა კი არ უნდა გვქონდეს, არამედ ბერძნული კრიპტოგრამის ნაშთი. სახელდობრ, აქ ბერძნულში გავრცელებული კრიპტოგრაფიული სისტემის (gewöhnlichste kryptographie) ერთ-ერთი უძველესი ნიმუში უნდა იყოს შემორჩენილი.

განვიხილოთ პალეოგრაფიულად ორივე ასო. თეტა ასეთი მოხაზულობით გვხვდება IX—X სს. ბერძნულ ხელნაწერებში. მაგრამ აქ პალეოგრაფიულად საინტერესოა მეორე ასო დელტაც, რომელსაც თავზე ქარაგმა უზის (იხ. სურ. 2). აქ ქარაგმიანი დელტა კი არ უნდა გვქონდეს, არამედ Ξ (ქსი), რომლის ერთ-ერთი უძველესი დაწერილობა სხვაგვარია (იხ. სურ. 3). ასეთი მოხაზულობით ეს ნიშანი დამოწმებული აქვს ვ. გარდტჰაუზენს „ბერძნულ პალეოგრაფიაზე“ დართულ ტაბულებში¹³. № 2 ტაბულაში განხილულია ბერძნული უნციალური (ასომთავრული) დამწერლობის ნიმუშები უძველესი ბერძნული ხელნაწერების მიხედვით. მათ შორის ყურადღება მიიქცია 880 წლის ხელნაწერის ქსი ასოს მოხაზულობამ (იხ. სურ. 3). როგორც ჩანს, ჩვენს გადამწერს დედანში ასეთი მოხაზულობის ქსი ჰქონდა, და როცა ბერძნული სიტყვის გადაწერა დაიწყო, Θ-ს შემდეგი ნიშანი დამახინჯებით გადმოიღო და ჩაწერა ქარაგმიანი დელტა (იხ. სურ. 2). ჩვენი მრავალთავის (A—144) ქართულ დედანში რომ უძველესი მოხაზულობის ქსი ასო

¹⁰ ა. შანიძე, კრიპტ. მასალები, მიმოხილველი, I, 1926, გვ. 238.

¹¹ ბერძნულ სიტყვას ასე კითხულობს მ. ჯანაშვილი: იოანე ბოლნელ ეპისკოპოსის ქადაგებანი, 1911, გვ. V.

¹² Ц. А. Чанкиева, Правила сокращения в памятниках древнегрузинской письменности (по рукописным книгам и эпиграфическим памятникам V—X вв. и историческим документам XI—XII вв.), автореферат канд. дисс., Тб., 1967.

¹³ V. Gardthausen, Griech. Palaeogr. 1879, Taf. 2, par. 510, Ca. 880.



უნდა გვექონოდა (იხ. სურ. 3), ამაზე მიუთითებს ამ ასოსა და ქარაგმიანი დელტას (იხ. სურ. 2) გრაფიკული მსგავსება. ძირითადი სხვაობა იმაშია, რომ ქსის (იხ. სურ. 3) მარჯვენა შემკვრელი ხაზი არა აქვს. აქ რომ ასეთი მოხაზულობის ქსი უნდა ყოფილიყო, ამას ისიც ადასტურებს, რომ დამატებითი ხაზი (იხ. სურ. 4), რომელიც მას ზემოდან აქვს დართული, გადამწერმა ქარაგმად მიიჩნია და დელტას წინ მოათავსა; ასე რომ, უნებურად მიიღო დაქარაგმებული სიტყვა, რომელიც ფაქტიურად დამახინჯებულია. აქ ქარაგმა რომ არ უნდა გვექონდეს, იქიდანაც ჩანს, რომ ასე დაქარაგმებული სიტყვა არაფერს არ ნიშნავს და არც ქარაგმა იხსნება.

განსახილველი ბერძნული სიტყვა (იხ. სურ. 1) კრიპტოგრაფიის ნაშთი უნდა იყოს. იგი შედგენილი ჩანს ბერძნული კრიპტოგრაფიული სისტემით *gewöhnlichste kryptographie*. ამ კრიპტოგრაფიული სისტემის ანბანით¹⁴ Θ-ს ენაცვლება α, ხოლო Ξ იხმარება μ-ის მაგიერ, ე. ი. თუ ამ სისტემით გავხსნით აღნიშნულ კრიპტოგრაფიას, გვექნება αμ, რაც ბერძნული αμψν-ის ნაშთი უნდა იყოს. ამას ადასტურებს შემდეგი გარემოებაც: ვ. გარდტაუზენმა „ბერძნულ პალეოგრაფიაში“ გამოაქვეყნა ასეთი სისტემის სხვადასხვა საუკუნეების კრიპტოგრაფიები¹⁵. მათ შორის არის ორი კრიპტოგრაფია „ამენ“ სიტყვისა: ()ΞBN¹⁶. როგორც ვხედავთ, ჩვენი კრიპტოგრაფაც ასე იწყება (იხ. სურ. 5), შემდგომ აკლია BN. ეს სიტყვა იოანე ოქროპირის საკითხავის სათაურში სულ ბოლოს ზის, ამიტომ სავარაუდებელია, რომ ბოლო ორი ასო, რომელიც ალბათ ფურცლის კიდესთან ახლოს იყო, ხელნაწერის დაზიანების გამო აღარ ჩანდა. ამიტომ ჩვენი მრავალთავის გადამწერმა მხოლოდ დასაწყისი ორი ასოლა გადმოიტანა და ზემოდან ქარაგმაც დაუსვა.

ზემოთ განხილულ ბერძნულ სიტყვაში (იხ. სურ. 1) რომ ქარაგმიანი დელტა შეცდომით არის გადმოწერილი, ამას შემდეგი გარემოებაც უჭერს მხარს: ზემოთ აღნიშნული ბერძნული კრიპტოგრაფიული სისტემის ანბანიდან დელტა საერთოდ ამოღებულია და არ იხმარება¹⁷.

აქ რომ ბერძნული კრიპტოგრაფია გვაქვს, ამას, ვფიქრობთ, მის წინ მდგომი ქართული ანჩინური სისტემის კრიპტოგრაფიაც ჩ"ფ ადასტურებს, რაც იმავე ამენ-ს ნიშნავს; ე. ი. ამ კრიპტოგრაფიების ავტორს ამენ სიტყვა ორგვარად დაუწერია: ქართულად და ბერძნულად.

დაბოლოს, ბერძნული კრიპტოგრაფიის თარიღის შესახებ: რა დროისაა იგი? ბერძნული კრიპტოგრაფია X ს. მრავალთავში (A—144) ჩაწერი-

¹⁴ V. Gardthausen, Griech. Palaeogr. 1879, გვ. 235.

¹⁵ იქვე, გვ. 235—237.

¹⁶ იქვე, გვ. 236, 237.

¹⁷ იქვე, გვ. 235.

ლია გადამწერის ხელით, მაგრამ საფიქრებელია, რომ იგი X საუკუნეზე ადრეული უნდა იყოს. ამას გვახარაუდებინებს ის გარემოება, რომ A—144 მრავალთავში იგი დამახინჯებული ფორმითაა წარმოდგენილი. ეს კრიპტოგრამა სწორი დაწერილობით, ცხადია, A—144 ხელნაწერის დედანში უნდა გვექონოდა. ამაზე მიუთითებს ქსი ასოს მოხაზულობა (იხ. სურ. 3). ასეთი დაწერილობის ქსი, როგორც ვ. გარდტჰაუზენი აღნიშნავს, „ბერძნულ პალეოგრაფიაზე“ დართულ № 2 ტაბულაში¹⁸ მხოლოდ IX ს-ში დასტურდება, X ს-დან კი უკვე განსხვავებული დაწერილობისაა, ზედა დამატებითი ხაზი შეერთებულა ასოს ბუნთან (იხ. სურ. 6). ვინაიდან ქსი ასო ზემოთ განხილული მოხაზულობით (იხ. სურ. 3) მხოლოდ IX ს-ში დასტურდება, ჩვენი ბერძნული კრიპტოგრამაც ამ საუკუნეში უნდა იყოს ქართულ ხელნაწერზე მიწერილი, ე. ი. იმ ხელნაწერზე, საიდანაც შემდგომ იქნა გადაწერილი A—144 ნუსხა.

ბერძნული კრიპტოგრამა IX ს-ით თარიღდება. შესაძლოა ამავე საუკუნით დავათარიღოთ ქართულიც, რადგან ქართული კრიპტოგრამა ჩუგ A—144 ხელნაწერში (და საფიქრებელია მის დედანშიც) ბერძნულის წინაა მოთავსებული (იხ. სურ. 1) და იმავე მნიშვნელობისაა.

A—144 მრავალთავის დედანიც შეიძლება ამის მიხედვით დავათარიღოთ. იგი უთუოდ IX ს. უნდა იყოს.

თუმცა ვ. გარდტჰაუზენი მიუთითებს ბერძნული კრიპტოგრაფიული სისტემის (Gewöhnlichste kryptographie) უძველეს, IV ს. კრიპტოგრამაზე ეგვიპტურ პაპირუსში, მაგრამ, როგორც ავტორი აღნიშნავს, აღმოსავლეთში მხოლოდ IX ს-დან გვხვდება მისი ნიმუშები. ჩვენი მრავალთავის ბერძნული კრიპტოგრამაც ამ ძველი ბერძნული კრიპტოგრამების რიგში დგება, როგორც ერთ-ერთი უძველესი ნიმუში ამ სისტემისა.

A—144 ნუსხაში კრიპტოგრამების თანმიმდევრობა ასეთია: ქართული და ბერძნული. საფიქრებელია, რომ ამ კრიპტოგრამების დაწერილი ერთი და იგივე პირი იყოს, ე. ი. ქართველმა გადამწერმა ერთ-ერთი საკითხავის სათაურს ქართული ანჩინური სისტემის კრიპტოგრამასთან ერთად მიაწერა ასოთა შენაცვლებით შედგენილი ბერძნული კრიპტოგრამაც.

ამ კრიპტოგრამების ავტორი რომ ქართველი უნდა იყოს, ამას ადასტურებს კლარჯულ მრავალთავში არსებული მეორე ბერძნული მინაწერიც. თეოდორე პარანელ ეპისკოპოსის ერთი საკითხავის („მთისათვის თაბორისა და ფერისცვალებისათვის უფლისა და ორთა ბუნებისათვის“, 190 r) სათაურის შემდგომ, ტექსტის ხელით, სინგურით, ჩაწერილია ბერძნული სიტყვა, რომელშიც პირველი ორი ასო ქართულია. ქართული

¹⁸ V. Gardthausen, Griech. Palaeogr. 1879, Taf. 2.



ასოები ასომთავრულითაა ნაწერი, ბერძნული კი — უნციალით. ბერძნული სიტყვა დაქარაგმებულია.

TΩHΓIΩEΔ.

გაირკვა, რომ ბერძნული სიტყვა კრიპტოგრამაა. იგი შედგენილია ზემოაღნიშნული ბერძნული კრიპტოგრაფიული სისტემით („gewöhnl. krypt.“). ბერძნულ სიტყვაში ქართული ასოები არაკრიპტოგრამულია, ხოლო პირველ ბერძნულ ასოს Η-ს აღნიშნული ბერძნული კრიპტოგრაფიული სისტემით ენაცვლება β. ამრიგად, ბერძნული სიტყვის დასაწყისის ასე ვხსნით: „იოზ“. ჩანს, მისი ავტორისთვის არ ყოფილა უცხო ეს კრიპტოგრაფიული სისტემა და ქართულით დაწყებული სიტყვა ბერძნული კრიპტოგრამით დაუსრულებია.

ჩვენი კრიპტოგრამის ავტორისთვის რომ ბერძნული კრიპტოგრაფიული სისტემა ცნობილია და იყენებს მას, ეს კარგად ჩანს ამავე ხელნაწერში დაცული მეორე ბერძნული კრიპტოგრამიდან (იხ. ზემოთ), რომელიც ქართული ანჩინური სისტემის კრიპტოგრამასთან ერთად არის ჩაწერილი ხელნაწერში და აღნიშნავს „ამენ“-ს.

ჩვენს კრიპტოგრამაში პირველი სიტყვის მხოლოდ ერთი ნაწილია კრიპტოგრაფიულად წარმოდგენილი, ამ შემთხვევაში ბერძნული კრიპტოგრაფიული სისტემით. ეს მოვლენა არ არის უცხო ძველი ქართული კრიპტოგრაფიისათვის. ძველ ქართულში დასტურდება მსგავსი შემთხვევები, როცა სიტყვის მხოლოდ ერთი ნაწილია კრიპტოგრამული. მაგ., Jer—33-ისა და სხვ.

როგორც ზემოთ აღენიშნეთ, კრიპტოგრამა დაქარაგმებულია. გარდა ზემოთ მოთავსებული ორი ქარაგმისა, სიტყვას ქვემოდანაც უზის ქარაგმის მსგავსი ნიშანი. ამ ნიშანს სიტყვის გამოყოფის ფუნქცია უნდა ჰქონდეს. როგორც კრიპტოგრამის ამოხსნამ დაგვანახვა, ეს ნიშანი, მართლაც, მეორე სიტყვის დასაწყის ასოსთან ზის.

მეორე სიტყვის ამოხსნისას გამოჩნდა, რომ კრიპტოგრამა დამახინჯებულია. იგი გადმოწერილია შეცდომებით. კრიპტოგრამა გადმოხატულის შთაბეჭდილებას უფრო ტოვებს. ასე რომ, კრიპტოგრამა A—144 ხელნაწერის დედნისეულია და A—144-ის გადამწერი არ არის მისი ავტორი.

ბერძნული სიტყვის მეორე ნახევარში სამი ერთნაირი მოხაზულობის ასოა, რომელთაგან პირველ ორს ზემოდან ქარაგმები აქვთ დასმული, სიტყვის ბოლო ასო კი უქარაგმოა. (იხ. სურ. 1).

Ω Ω Ω Σ

სურ. 1. სურ. 2.

საფიქრებელია, რომ პირველი ორი ასო შეცდომითაა გადმოწერილი. აქ დედანში უნდა გვექონოდა ძე ტ ა (იხ. სურ. 2). A—144 ხელნაწერის გადამწერს გადმოწერისას ძე ტ ა ასოს ზედა ნაწილი ქარაგმად მიუჩნევია და ამიტომ ასოს ეს ნაწილი შეუკრავი დაუტოვებია.

ამრიგად, A—144 ხელნაწერის დედანში აღნიშნული ორი ასოს ნაცვლად უნდა ყოფილიყო ძე ტ ა (იხ. სურ. 2), ხოლო შემოსხენებული ბერძნული კრიპტოგრაფიული სისტემით Z-ს ნაცვალაა ყ. კრიპტოგრაფიაში გადამწერს შეცდომა მოსვლია აგრეთვე E-ს გადმოწერისას. Θ-სა და E-ს მსგავსი გრაფიკული მოხაზულობის გამო A—144 ხელნაწერის გადამწერს დედნისეული Θ გადმოუღია E-დ¹⁹. IX—X სს. ბერძნულ ხელნაწერებში ეს ორი ასო, როგორც ვიცით, გრაფიკულად მსგავსია. Θ-სა და E-ს აღრევის მსგავსი შემთხვევა დასტურდება X ს. ერთი სინური ხელნაწერის (Sin—11) ბერძნულ კრიპტოგრაფიაშიც, რომელიც ზემოთ განვიხილეთ. ამ სისტემით Θ ენაცვლება A-ს. კრიპტოგრაფის ბოლო ასო კი კოპაა C, რომელიც I-ს მონაცვლეა.

ყურადღებას იქცევს კიდევ ერთი გარემოება: კრიპტოგრაფიაში O არაკრიპტოგრაფულადაა წარმოდგენილი და იგი არაა შეცვლილი მისი მონაცვლე λ-თი. ძველ ქართულ კრიპტოგრაფიაში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დასტურდება ისეთი შემთხვევები, როდესაც კრიპტოგრაფის ამოხსნის გასაძნელებლად განზრახ არ ცვლიან ამა თუ იმ ასოს შესაბამისი კრიპტოგრაფიული ასოთი. იგივე მოვლენა შევნიშნეთ ბერძნულ კრიპტოგრაფიაშიც, კერძოდ, ზემოთ აღნიშნული სისტემის (gewöhnlichste kryptographie) ნიმუშებში. 1001 წლის ბერძნული კრიპტოგრაფია ასე იკითხება²⁰:

... ἐν σὺ ϑ Θ ἀλξκψλχ, რაც ნიშნავს: ... ἐν χάρη ἀγύπτου.

სიტყვაში ἀγύπτου ამ სისტემის მიხედვით ყველა ასო შეცვლილია სათანადო კრიპტოგრაფიული ანბანით, გარდა აქ კომპლექსისა. ἀλξκψλχ-ის ნაცვლად მოსალოდნელი იყო ΘCλ'χκψλχ კრიპტოგრაფია.

XVI ს. ბერძნულ ხელნაწერში კრიპტოგრაფულია გადამწერის ანდერძი:... Ἐν ψενCλω ἢ ἀνεπεθω... კრიპტოგრაფია ასე იხსნება: Ἀντανωδ ἢ ζενεαζ²¹.

არტიკლი ἢ კრიპტოგრაფის დამწერს არ შეუუცვლია შესაბამისი λ-თი, ვთქვათ ისე, როგორც ერთ XIV ს. ხელნაწერშია შეცვლილი:

αἰψὺλω λ ψῖεξθ'სλω იხსნება ასე: πἑτρωδ ἢ τειεμάχι²².

აქ ἢ არტიკლი სწორადაა შენაცვლებული შესაბამისი λ ასოთი

¹⁹ E-ს დეფორმირებულ θ-ად მიიჩნევს მ. ვან ესბროკი (იხ. მისი ქვემოთ დასახლებული ნაშრომი, გვ. 42).

²⁰ V. Gardthausen. Griech. Palaeogr. 1879, გვ. 236.

²¹ იქვე, გვ. 237.

²² იქვე, გვ. 236.

კრიპტოგრაფის ავტორს არ დავიწყებია ლ-ზე ფშვინვიერობის აღმნიშვნელი ნიშნის დაწერაც.

ანალოგიურია ჩვენი ბერძნული კრიპტოგრაფია. აქაც მის დაწერას უცვლელად დაუტოვებია ო ასო და არ შეუცვლია ლ-თი.

ამრიგად, ბერძნულ კრიპტოგრაფიაში გვაქვს ორი ერთნაირი მოხაზულობის ასო (იხ. სურ. 1), რომელთა ნაცვლად Z უნდა ყოფილიყო მის დედანში. უცვლელადაა დატოვებული O, ხოლო Θ-ს მაგიერ შეცდომით გადმოღებულა E.

მაშასადამე, ბერძნული კრიპტოგრაფია თავდაპირველად შემდეგი დაწერილობით იქნებოდა წარმოდგენილი A—144 ხელნაწერის დედანში —

ΓΩΗΖΟΖΘϚ კრიპტოგრაფას ასე ვხსნით: იოზ გოგაი.

აქვე საჭიროა, აგრეთვე, გავარკვიოთ ბერძნული კრიპტოგრაფის ავტორის ვინაობა. ვინ არის იგი — ქართველი თუ ბერძენი? მრავალთაგანში ამენის აღმნიშვნელი ბერძნული კრიპტოგრაფია ქართული ანჩინური კრიპტოგრაფის შემდგომ არის დაწერილი. შესაძლოა გვეფიქრა, რომ იგი A—144-ის დედანში მიწერილია ვინმე ბერძენი გადაწერის მიერ და არა იმ პირის მიერ, ვინც ქართული ანჩინური სისტემის კრიპტოგრაფა დაწერა. მაგრამ, ვინაიდან ორივე კრიპტოგრაფა — ქართულიც და ბერძნულიც — ერთნაირი შინაარსისაა, აღნიშნავს ამენ სიტყვას, ცხადია, გამორიცხულია, რომ კრიპტოგრაფები სხვადასხვა პირს ეკუთვნოდეს, ვთქვათ, ქართველს და ბერძენს. ორივე კრიპტოგრაფა A—144-ის დედანში უნდა დაეწერა ერთსა და იმავე პირს, ამასთანავე — ქართველს. იგი ჯერ ქართული ანჩინური სისტემის კრიპტოგრაფას წერს, შემდეგ — იმავე შინაარსის ბერძნულ კრიპტოგრაფას. კრიპტოგრაფების ავტორი რომ ქართველია, იქიდანაც ჩანს, რომ მეორე ბერძნული კრიპტოგრაფა („იოზ გოგაი“) ქართული ასომთავრულით იწყება: არაკრიპტოგრაფული ΓΩ ასოებით. და რაც მთავარია, ბერძნული კრიპტოგრაფის ავტორი რომ უთუოდ ქართველი უნდა იყოს, ვფიქრობთ, ამას კრიპტოგრაფის მეორე საკუთარი სახელი „გოგაი“ ამტკიცებს. ქართული საკუთარი სახელი გოგაი, რომლის მსგავსი სახელები (გაბრიელ პატარაი, კრავაი, ხორგაი, გოგოფაი — A—1101 ხელნაწერის გადაწერი და სხვ.) ამ საუკუნეების საქართველოში იხმარება, ბერძნულ კრიპტოგრაფიაში მის ავტორს ამავე ფორმით შეუტანია, გამოუყენებია რა იმ დროს საბერძნეთში გავრცელებული ბერძნული კრიპტოგრაფიული სისტემა, რომელიც საქართველოშიც ცნობილი ყოფილა.

რაც შეეხება ბერძნული კრიპტოგრაფის თარიღს, A—144 ხელნაწერში, როგორც აღვნიშნეთ, ამ კრიპტოგრაფის გარდა დაცულია ბერძნული კრიპტოგრაფა „ამენ“ სიტყვისა. საფიქრებელია, რომ ორივე კრიპ-

ტოგრამა ერთსა და იმავე პირს ეკუთვნის. გაირკვა, რომ ორივე კრიპტოგრამა დამახინჩებულია და შეცდომებითაა გადმოწერილი A—144 ხელნაწერში. ამენის აღმნიშვნელი ბერძნული კრიპტოგრამის პალეოგრაფიული თვალსაზრისით შესწავლამ დაგვანახვა, რომ მისი დედანი IX ს-ზე გვიანდელი არ შეიძლება იყოს. თუ ვივარაუდებთ, რომ A—144-ის დედანში „იობ-გოგაის“ ბერძნული კრიპტოგრამაც იმავე პირმა ჩაწერა, ცხადია, ეს უკანასკნელიც IX ს-ით დათარიღდება.

საინტერესოა, ვისი სახელება მიფარული კრიპტოგრამაში? საკუთარი სახელი „გოგაი“ A—144 ხელნაწერში ორჯერ შეგვხვდა. ერთ-ერთი საკითხავის სათაურის ბოლოს ნუსხურით, სინგურით, ტექსტის ხელით მიწერილია: „ო-ო-შ-ე გ-ო-გ-ა-ა-ა-ნ“ (47 v). ასევე ტექსტის ხელით, სინგურით, ოლონდ ასომთავრულით ერთი საკითხავის ტექსტის ბოლოს მინაწერია: „ი-ვ: ქ-მ: ა-კ-მ: შ-ენ: მი[ე]რითა: კ-წ-ითა: გ-ო-გ-ა-ი“ (136 r).

საფიქრებელია, რომ მითითებული ანდერძები A—144 ხელნაწერის გადამწერს არ ეკუთვნის. ანდერძები ამ ხელნაწერის დედნისეული უნდა იყოს, რასაც, ჩვენი აზრით, აღნიშნული ბერძნული კრიპტოგრამა უჭერს მხარს. კრიპტოგრამასა და ანდერძებში მოხსენიებული სახელი გ-ო-გ-ა-ი ერთი და იგივე პირი უნდა იყოს.

ამრიგად, გ-ო-გ-ა-ი A—144 ხელნაწერის დედნის გადამწერი ჩანს. მას თავისი თავი ხელნაწერში მოუხსენებია როგორც არაკრიპტოგრამულ ანდერძებში, ასევე კრიპტოგრამულადაც.

ვის უნდა გულისხმობდეს კრიპტოგრამაში მოხსენიებული მეორე საკუთარი სახელი ი-ო-ბ? ხომ არ არის იგი ტექსტის მთარგმნელი? ასეთი ვარაუდის დაშვება შესაძლებლად მიგვაჩნია შემდეგი გარემოების გამო: XII ს. ერთ კრიპტოგრამაში (H—1349, შიომღვიმის ტიპიკონი, იხ. ზემოთ, ანჩინურ სისტემასთან) გადამწერს თავისი სახელის გარდა კრიპტოგრამულად დაუწერია აგრეთვე მთარგმნელის სახელიც.

ი-ო-ბ გ-ო-გ-ა-ის კრიპტოგრამის შესახებ სხვაგვარ ინტერპრეტაციას გვთავაზობს ბელგიელი მეცნიერი მ. ვან ესბროკი²³. მისი აზრით, წარწერაში ასოები ბერძნულია, მაგრამ სტილიზებულია ქართულის გავლენით. მ. ვან ესბროკი წარწერას სხვაგვარად კითხულობს:²⁴ ΩΗCOCEC.

²³ ივ. ჭავჭავაძის მიხედვით კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის საიუბილეო კრებულში „მრავალთავი“, V, 1976, წ. დაიბეჭდა ჩვენი სტატია „კლარკული მრავალთავის ბერძნული და შიომღვიმის ტიპიკონის ქართული კრიპტოგრამები“, სადაც განვიხილეთ „იობ გოგაის“ ბერძნული კრიპტოგრამა. წერილი აწყობილი იყო დასაბეჭდად, როდესაც მოვიღეთ მ. ვან ესბროკის წიგნი «Les plus anciens homéliers géorgiens», Louvain, 1975.

²⁴ მ. ვან ესბროკის დასახ. ნაშრომი, გვ. 41—42.

მისი ვარაუდით აქ მიმართვის ფორმა უნდა გვექონდეს:

Ω HSO(γ)Σ Θ(EO)Σ

როგორც ვხედავთ, მ. ვან ესბროკი ბერძნული წარწერის დასაწყისში კითხულობს ω-ს, ფაქტიურად კი, ხელნაწერში აშკარად იკითხება ქართული Ω, რაც, როგორც ვნახეთ, ბერძნული კრიპტოგრაფიის პირველი სიტყვის „იობის“ დასაწყისია.

ბერძნული წარწერა რომ კრიპტოგრაფია და იგი სხვაგვარად უნდა წაეკითხოთ, ამას გვაფიქრებინებს აგრეთვე აქ არსებული ქარაგმის მსგავსი ნიშნების ფუნქცია. ერთი ნიშანი, რომელიც სიტყვას ქვემოდან აქვს მიწერილი, მოხაზულობით ქარაგმას წააგავს, მაგრამ აქ იგი მხოლოდ სიტყვათა გამყოფის ფუნქციისა უნდა იყოს. და მართლაც, აქედან, წარწერის მეოთხე ასოდან, იწყება კრიპტოგრაფიის მეორე სიტყვა (გოგაი), რაც შეეხება იმ ორ ქარაგმას, რომლებიც ზემოდან დაესმის სიტყვას, ისინი მართლა სიტყვის დასაქარაგმებლად უხმარია მათ ავტორს, თუ რაიმე სხვა მნიშვნელობა აქვთ? პირველი ქარაგმა დასმულია მეოთხე ასოზე, ხოლო მეორე — მეექვსე ასოზე (იგი ოდნავ გადაწეულია მარცხნივ). მ. ვან ესბროკის ვარაუდით, აქ უნდა გვექონდეს სიტყვა HCOC და ალადგენს Π-ს. ერთი შეხედვით, მართლაც, დასაშვებია, რომ ერთ სიტყვას ორი ქარაგმა დაესმის და იგი დაქარაგმებულია, ხოლო ბოლო ორი ასო EC, რომელსაც მ. ვან ესბროკი ალადგენს როგორც Θ(EO)Σ, უქარაგმოდ დარჩენილა. მაგრამ აქ სულ სხვა რამ ჩანს საყურადღებო. კერძოდ, ეს ორი ქარაგმა რომელ ასოებთანაა მოთავსებული? წარწერაში ერთი შეხედვით სამი ერთნაირი მოხაზულობის ასო გვაქვს (იხ. სურ. 1), რომელთაც მ. ვან ესბროკი მიიჩნევს ბერძნულ C-დ (იხ. გვ. 170, სურ. 1).

მაგრამ თუ დავუკვირდებით ამ ასოებს, შევნიშნავთ, რომ პირველ ორს თავი შეუკრავი აქვს, ხოლო მესამე თავშეკრულია. აი, ამ თავშეკრავ ასოებს ზემოდან დაესმის ქარაგმა. როგორც ზემოთ აღნიშნული გვაქვს, ბერძნული წარწერა მთლიანად კლარჯული მრავალთავის დედნიდან არის გადმოწერილი. ჩანს, გადმოწერისას შეცდომა მოსვლია გადამწერს და ბერძნული Z-ის ზედა ნაწილი ქარაგმად მიუჩნევია და სამაგიეროდ თავშეკრავი დაუტოვებია ორივე ასო, რომლებიც, ერთი შეხედვით, ბერძნულ C-ს გვაგონებს.

ამრიგად, გაირკვა, რომ ქარაგმის მსგავსი ნიშნებიდან პირველი, სიტყვის ქვემოთ მოთავსებული, სიტყვათა გამყოფის ფუნქციით უხმარიათ, ხოლო ორი დანარჩენი ბერძნული უწყიალის Z-ის ზედა დამატებითი ხაზია ო. ბერძნულ წარწერაში რომ ერთი შეხედვით მოხაზულობით მსგავსი ასოები (იხ. სურ. 1) C-ს არ უნდა აღნიშნავდეს, ეს შემდეგიდანაც ჩანს: მ. ვან ესბროკი, მართალია, შენიშნავს, რომ ბერძნული წარწერა ერთგვარად სტილიზებულია ქართულის გავლენით, მაგრამ სიტყვის თავისებური დაწერილობა ვერ აიხსნება ქართულის გავლენით. აშკარაა,

რომ კლარჯული მრავალთავის გადამწერს მისთვის უცნობი შინაარსის წარწერა დახვდა დედანში და გადმოწერისას დაუშვა შეცდომა. გადამწერს შეცდომა მოსვლია აგრეთვე, როგორც ვნახეთ, ამავე ხელნაწერს მეორე ბერძნული კრიპტოგრამის გადამწერისას. მაშასადამე, აშკარაა, რომ გადამწერმა იცის ბერძნული, მაგრამ ვერ ერკვევა დედანში არსებული ბერძნული სიტყვების მნიშვნელობაში და მეტად გულდასმით იწერს, თითქმის გადმოხატავს ორივე ბერძნულ კრიპტოგრამას.

ამრიგად, ბერძნული წარწერა კლარჯული მრავალთავისა რომ კრიპტოგრამაა და იგი სხვაგვარად იკითხება, ვფიქრობთ, ამას შემდეგი გვიჩვენებს:

1. ბერძნული სიტყვის დასაწყისში პირველი ორი ასო ქართული ასომთავრულია და არა ბერძნული უნციალი. 2. ბერძნულ წარწერაში გვხვდება ქარაგმის მსგავსი ნიშანი, რომლის დანიშნულება სიტყვათა ერთურობისაგან გამოყოფა უნდა ყოფილიყო. მართლაც, იგი წარწერისათვის ქვემოდან მოუწერიათ, იქ, სადაც იწყება მეორე სიტყვა (იგულისხმება გ ო გ ა ი).

3. ბერძნულ წარწერაში ერთნაირი მოხაზულობის სამი ასო, რომელთაც მ. ვან ესბროკი C-დ მიიჩნევს, ერთი და იგივე ასო რომ არ უნდა იყოს, ამას ადასტურებს პირველ რიგში ასოთა მოხაზულობა: პირველი ორი მათგანი თავშეუკრავია, ხოლო მესამე თავშეკრული. ამასთანავე, თავშეუკრავ ასოებს ზემოდან ქარაგმის მსგავსი ნიშნები უზის, ხოლო თავშეკრულ ასოს — არა. როგორც გაირკვა, ქარაგმიანი ასოები და უქარაგმო ასო შინაარსით განსხვავებულნი არიან. ქარაგმიანი ასოები Z-ს აღნიშნავენ, უქარაგმო კი C₁-ს.

ამრიგად, X ს. მეტად მნიშვნელოვან ორ ქართულ ხელნაწერში გამოვლინდა ბერძნული კრიპტოგრამები, რაც იმის მაჩვენებელია, რომ X ს-ში და, როგორც ირკვევა, უფრო ადრეც, საქართველოში იყენებდნენ ასოთა შენაცვლებაზე დამყარებულ უძველეს კრიპტოგრაფიულ სისტემებს: ქართულ ანჩინურთან ერთად ბერძნულ კრიპტოგრაფიულ სისტემას „gewöhnlichste kryptographie“. ბერძნული კრიპტოგრამების გამოვლენა ქართულ ხელნაწერებში მოწმობს ბერძნული კრიპტოგრაფიის ერთგვარ გავლენას ძველ ქართულ კრიპტოგრაფიაზე.

2. სომხური კრიპტოგრაფიული ანბანი ორ ქართულ ხელნაწერში

კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ერთ ნუსხაში (Q—1459, გვ. 345, XVIII—XIX სს.), რომელიც „ახალციხურ ქრონიკას“ წარმოადგენს, ჩაწერილია სწორი, ასწერივი ხაზებითა და წერტილებით შედგენილი კრიპტოგრაფიული ანბანი. ეს ანბანი ნიმუშია სომხური კრიპტოგრაფიის ერთ-ერთი სისტემისა, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში ცნო-

ბილია „*სიონასკისთაფქრ ძამქაფქრ*“-ის სახელით²⁵. ეს სისტემა, ე. წ. „სვეტოვან-წერტილოვანი“, ყველაზე მეტად გავრცელებული სისტემა ყოფილა სომხურში.

Q—1459 ხელნაწერში ანბანი XIX ს-ში ჩანს ჩაწერილი. ანბანი სრულია: ერთეულები გადმოცემულია ერთი ხაზით — თავზე წერტილებით, ათეულები — წერტილებიანი ორი ხაზით, ასეულები — წერტილებიანი სამი ხაზით, ათასეულები — წერტილებიანი ოთხი ხაზით. კრიპტოგრაფული ანბანის ყოველ ნიშანს მიწერილი აქვს მისი შესატყვისი სომხური ანბანი.

სომხური კრიპტოგრაფა ქართველის დაწერილი ჩანს. ამას გვაფიქრებინებს თვით ხელნაწერის შედგენილობა. იგი ქრონიკას წარმოადგენს. ხელნაწერში დაცულია სომხურით ნაწერი ტექსტებიც. მაგ., კარაბადინიდან ნაწყვეტები ქართულად და იქვე, მის პარალელურად სომხური თარგმანი და სხვ. კრიპტოგრაფული ანბანის ავტორი რომ უთუოდ ქართველი უნდა იყოს, ამას ისიც ადასტურებს, რომ მას ქართული კრიპტოგრაფიის ნიმუშებიც შეუტანია Q—1459 ხელნაწერში.

ანბანს ახლავს მინაწერი: „გავზანაგირი ამას ჰქვიან, [პარ]თეველი-საგან შემოღებული: და სომეხთაგან დიად დიად მიჩნებულ-მეწყნარებელი, და ვითარცა ფილასოფო(ს)თ შერაცხილი მეცნი[ერებად]“.

ამ მინაწერის მიხედვით Q—1459 ხელნაწერის სომხური კრიპტოგრაფული ანბანი „გავზანაგირის“, ანუ როგორც სომხურ კრიპტოგრაფიაში ეს სისტემა ცნობილი, *ვაქაყანაფქრ*-ის²⁶ („კვერთხოვანი“ სისტემის) ნიმუშად არის გამოცხადებული. ამ ანბანის დამწერი არასწორ ინტერპრეტაციას იძლევა. ჩვენი ხელნაწერის სომხური კრიპტოგრაფული ანბანი არ არის კვერთხის მსგავსი ნიშნებით შედგენილი და, მაშასადამე, იგი არ მიეკუთვნება *ვაქაყანაფქრ ძამქაფქრ*-ს, არამედ იგი *სიონასკისთაფქრ ძამქაფქრ*-ის ნიმუშია.

მსგავსი კრიპტოგრაფული ანბანი გამოვლინდა კიდევ ერთ ქართულ ნუსხაში. XVII ს. ხელნაწერში („რუსულდანიანი“, S—436, 251 v) ტექსტის შიგნით, გვერდის თავისუფალ, დაუწერელ ადგილას მოთავსებულია კრიპტოგრაფული ანბანი. იგი XIX ს-ში ჩანს შესრულებული. ანბანი შედგენილია სწორი ხაზებისა და წერტილების მეშვეობით. ამ ანბანის შედარებამ Q—1459 ხელნაწერის სომხურ კრიპტოგრაფულ ანბანთან გაარკვია, რომ S—436 ხელნაწერშიც სომხური კრიპტოგრაფული ანბანია ჩაწერილი, კერძოდ, ანბანის დასაწყისი.

ანბანი ორსტრიქონიანია. ორივე სტრიქონი ერთნაირი შედგენილობისაა: აღებულია ერთი ხაზი და თავზე დაესმის სხვადასხვა რაოდენობის

²⁵ მ. ზ. მერაზიანი, ლაიფ ფქრ ხქ ფილიპოვის, ხრქან, 1973, გვ. 245.

²⁶ იქვე, გვ. 253.

წერტილები. კრიპტოგრაფიულ გასაღებში წარმოდგენილია ერთეულების აღმნიშვნელი ასოების კრიპტოგრაფული ანბანი (ა-დან ჰ-ს ჩათვლით), აგრეთვე ათეულების აღმნიშვნელი მხოლოდ პირველი ორი ასო (ხედავით ორე სტრიქონის დასასრული).

ისმის კითხვა: ვინაიდან ერთი სახეობის სომხური კრიპტოგრაფული ანბანია ჩაწერილი ორ სხვადასხვა ქართულ ხელნაწერში, ხომ არ არის მათი ავტორი ერთი და იგივე პიროვნება? ორივე ხელნაწერის ანბანების შედარებამ დაგვანახვა, რომ ისინი ერთ პირს არ ჩაუწერია ამ ხელნაწერებში. ამას პირველ რიგში ადასტურებს ის ფაქტი, რომ ორივე ხელნაწერში ანბანები განსხვავებულადაა ჩაწერილი, ხაზებზე წერტილები სხვადასხვანაირადაა განლაგებული. ეს ფაქტი იმის მანიშნებელია, რომ ქართველებს თავისი ცოდნა სომხურ კრიპტოგრაფიაშიც გამოუმჯლავებიათ.

კ ა ტ ა ლ ო გ ი

ანტიური სისტემა

1. [IX ს.] A—144; მრავალთავი; X ს.; 97 რ.

ⲒⲪ Ⲟⲓⲁ :

ამოხსნა: ან (=ამენ).

შენიშვნა: კრიპტოგრამა მიწერილია იოანე ოქროპირის ერთ-ერთი საკითხავის სათაურთან ტექსტის ხელით. ბერძნული კრიპტოგრამა IX ს-ით თარიღდება (იხ. გამოკვლევა). ქართული ᲒⲪ კრიპტოგრამაც მისი თანადროული ჩანს, რადგანაც ორივე კრიპტოგრამის ავტორი ერთი და იგივე პირია.

ლიტერატურა: ქართული კრიპტოგრამა ამოხსნა ა. შანიძემ: ა. შანიძე, კრიპტოგრაფიული მასალები, მიმომხილველი, I, 1926, გვ. 237—243; ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, A კოლექცია. I, 1976, გვ. 188; ლ. შენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, I, ნაკ. 1, გვ. 83, შნშ. 4; M. van Esbroeck, Les plus anciens homéliers géorgiens, Louvain, 1975, გვ. 40.

2. [IX ს.] Sin—11; წმიდათა ცხოვრებანი; X ს.; 78 რ.

:უყყ: ყუზ: ოა:

ამოხსნა: ილ^რცე ბეზიელ (=ილოცე ბეზიელ).

შენიშვნა: კრიპტოგრამა მიწერილია ფურცლის კიდეზე ტექსტის ხელით. კრიპტოგრამა Sin—11-ის დედნისეულია და შეცდომითაა გადმოწერილი დედნიდან. დედანში უნდა გეჟონოდა: უ^რყყ ყუზოა:

ლიტერატურა: G. Garitte, Catalogue des manuscrits géorgiens littéraires du mont Sinaï, 1956, გვ. 44. კრიპტოგრამა გამოქვეყნებულია აღწერილობაში, როგორც მინაწერი. ლ. ათანელი შვილი, ერთი სინური ხელნაწერის კრიპტოგრაფების შესახებ, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1972, № 4, გვ. 169—170.

3. 954 წ.; Sin—26; მცირე იადგარი; 954 წ.; 185 რ.

ქ-რ: მ-რ: აქ-ფს:

ამოხსნა: ქე შე ივნე (=ქრისტე, შეიწყალე ივანე).

შენიშვნა: კრიპტოგრაფია ჩაწერილია გადამწერის მიერ სათაურთან „ლიტერატურა“.

ლიტერატურა: კრიპტოგრაფია ამოხსნა ა. შანიძემ: ა. შანიძე, კრიპტოგრაფიული მასალები, მიმომხილველი, I, 1926, გვ. 238; ი. ჯავახიშვილი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, 1947, გვ. 50. კრიპტოგრაფია გამოქვეყნებულია აღწერილობაში. ლ. ათანელიძე, ქართულ ხელნაწერთა რამდენიმე კრიპტოგრაფიის შესახებ, მრავალთავი, III, 1973, გვ. 61—63; ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, სინური კოლექცია, I, 1979, გვ. 86. კრიპტოგრაფია გამოქვეყნებულია აღწერილობაში.

4. 954 წ.; Sin—26; მცირე იადგარი: 954 წ.; 185 r.

ა-ს: ყ-ს: 74-ძს

ამოხსნა: ქე შე ივნე (=ქრისტე, შეიწყალე ივანე).

შენიშვნა: კრიპტოგრაფია ჩაწერილია გადამწერის მიერ ფურცლის ქვედა კიდეზე. სიტყვაში „იხ-ფჳ“ ი არაკრიპტოგრაფიულია. კრიპტოგრაფიის გასაღებში ქ-ს ენაცვლება ა.

ლიტერატურა: კრიპტოგრაფია ამოხსნა ა. შანიძემ: ა. შანიძე, კრიპტოგრაფიული მასალები, მიმომხილველი, I, 1926, გვ. 238; ი. ჯავახიშვილი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, 1947, გვ. 50. აღწერილობაში ეს კრიპტოგრაფია სხვაგვარადაა გამოქვეყნებული. ლ. ათანელიძე, ქართულ ხელნაწერთა რამდენიმე კრიპტოგრაფიის შესახებ, მრავალთავი, III, 1973, გვ. 61—63; ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, სინური კოლექცია, I, 1979, გვ. 86. კრიპტოგრაფია გამოქვეყნებულია აღწერილობაში.

5. X ს.; A—144; მრავალთავი; X ს.; 11 r.

ა-ს აუც ყენ

ამოხსნა: ქე ქზ ვლო (=ქრისტე ქებულო).

შენიშვნა: კრიპტოგრაფია ტექსტის ხელითაა დაწერილი. გასაღებში ა ენაცვლება ქ-ს. ვ (=უ) არაკრიპტოგრაფიულია, არაა შენაცვლებული შესაბამისი მ-ით.

ლიტერატურა: კრიპტოგრაფია ამოხსნა ა. შანიძემ: ა. შანიძე, კრიპტოგრაფიული მასალები, მიმომხილველი, I, 1926, გვ. 238. კრიპტოგრაფია ა. შანიძემ ამგვარად გამოაქვეყნა: „აქ აც ლტლ ჩფ“, რაც ასეა ამოხსნილი: „ქე ქზო(ვ)ლო ან“. კრიპტოგრაფიაში კი ჩფ სიტყვა არ დასტურდება. ამასთანავე, „აქ ვტლ“ სიტყვის მაგიერ დაბეჭდილია „აქ ლტლ“. ამგვარადვე გამოაქვეყნა აღნიშნული კრიპტოგრაფია მ. ვანესბროკმაც.

„იქჷაღ ლტლ“: M. van Esbroeck, Les plus anciens homéliaires géorgiens. Louvain, 1975, გვ. 40; ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, I, ნაკ. 1, გვ. 83, შნშ. 4; მ. ჭანაშვილი, იოანე ბონელ ეპისკოპოსის ქადაგებანი, 1911, გვ. V. კრიპტოგრამას იგი ასე კითხულობს: „აქჷაღ ლტლ ჩფ“.

6. X ს.; A—144; მრავალთავი; X ს.; 26 რ.

ჩფ

ამოხსნა: ან (=ამენ).

შენიშვნა: კრიპტოგრამა ტექსტის ხელითაა შესრულებული. იგი მიწერილია ანდერძის შემდგომ: „გლხისა სტუნმსთუს ლოცვა ყაეთ წინო ლთისანო“.

ლიტერატურა: M. van Esbroeck, Les plus anciens homéliaires géorgiens. Louvain, 1975, გვ. 40.

7. 1065 წ.; Sin—17; პარაკლიტონი; 1065 წ.; 221 v.

აღ უყჩხო იძაჟ

ამოხსნა: მეოხ გუყვენით იომე.

შენიშვნა: კრიპტოგრამა ჩაწერილია ტექსტში „აღდგომის დასდებლის“ წინ ტექსტის ხელით გადამწერ გაბრიელი ს მიერ. კრიპტოგრამაში მ-ს ენაცვლება უ.

8. 1066 წ.; A—134; კრებული: იოანე სინელის კლემაქსი, ბაგრატ ტავრომენიელის ცხოვრება და სხვ.; 1066 წ.; 22 რ.

ან ყვ რვ ჩფ აჰაჩღ:—

ამოხსნა: ქე შე თე ან იყავ (= ქრისტე შეიწყალე თეოდორე, ამენ იყავ).

შენიშვნა: კრიპტოგრამა დაუწერია გადამწერ სემიონ დვალს ტექსტში, აბზაცის ბოლოს. კრიპტოგრამის გასაღებში ა ენაცვლება ქ-ს, ბ იხმარება თ-ს ნაცვლად.

9. XI ს. II ნახევარი; Jer—73; ეპისტოლენი წმ. მაკარისნი; XI—XII სს.; 47 რ.

ან: ყვ რვ ჩფ

ამოხსნა: ქე შე თე ან (=ქრისტე, შეიწყალე თეოდორე, ამენ).

შენიშვნა: კრიპტოგრამა ტექსტის ხელითაა შესრულებული, ჩაწერილია ტექსტის შიგნით. კრიპტოგრამის გასაღებში ა ენაცვლება ქ-ს, ბ ენაცვლება თ-ს.

10. XI ს. II ნახევარი; Jer—73; ეპისტოლენი წმ. მაკარისნი; XI—
XII სს.; 58 r.

აწ: ყწ: რწ: ქწ: ძწ:

ამოხსნა: ქე შე ღთ აწ იყვ (=ქრისტე, შეიწყალე ღვთის, ამენ
იყავ).

შენიშვნა: კრიპტოგრაფია შესრულებულია ტექსტის ხელით, მიწერილია ტექსტში, აბზაცის ბოლოს. კრიპტოგრაფიის გასაღებში ა ენაცვლება ქ-ს, ხოლო ჰ იხმარება თ-ს მაგიერ.

11. XI ს. II ნახევარი; Jer—73; ეპისტოლენი წმ. მაკარისნი; XI—
XII სს.; 81 v.

აწ: ქწ: რწ:

ამოხსნა: ქე აწ ღვთ (=ქრისტე, აღიღე ღვთის).

შენიშვნა: კრიპტოგრაფია შესრულებულია ტექსტის ხელით, მიწერილია ტექსტში, აბზაცის ბოლოს. კრიპტოგრაფიის გასაღებში ჰ იხმარება თ-ს მაგიერ, ა კი ქ-ს ნაცვლად.

12. XI ს. II ნახევარი; Jer—73; ეპისტოლენი წმ. მაკარისნი; XI—
XII სს.; 84 r.

აწ: ქწ რწ აოწ იოწ

ამოხსნა: ქე აწ თე ქოთათელი (=ქრისტე, აღიღე თეოდორე ქოთათელი).

შენიშვნა: კრიპტოგრაფია შესრულებულია ტექსტის ხელით, ჩაწერილია ტექსტში, აბზაცის ბოლოს. კრიპტოგრაფიის გასაღებში ა ენაცვლება ქ-ს, ჰ იხმარება თ-ს ნაცვლად.

13. XI ს. II ნახევარი; Jer—73; ეპისტოლენი წმ. მაკარისნი; XI—
XII სს.; 146 v.

აწ: ყწ რწ ქწ ძწ

ამოხსნა: ქე შე თე აწ იყვ (=ქრისტე, შეიწყალე თეოდორე, ამენ იყავ).

შენიშვნა: კრიპტოგრაფია ტექსტის ხელითა ჩაწერილი აბზაცის ბოლოს. კრიპტოგრაფიის გასაღებში ა იხმარება ქ-ს მაგიერ, ჰ კი თ-ს მაგიერ.

14. XI—XII სს.; H—1345; ანდრია სალოსის ცხოვრება; XI—
XII სს.; 149 r.

ქწ ქწ ქწ ქწ
ქწ ქწ ქწ ქწ

ამოხსნა: სწსა ნაობისა შწ ღწ მწსა მეუღლესა თუყუიენს შწ ღწ (=სულსა ნაობისა შეუწდვენ ღმერთმან, მათსა მეუღლესა თუყუიენს შეუწდვენ ღმერთმან).

შენიშვნა: კრიპტოგრაფია ტექსტის ხელითაა შესრულებული. კრიპტოგრაფიაში მოხსენებული ნაობ ხელნაწერის გადამწერია (შდრ. ამავე ხელნაწერის კრიპტოგრაფია 201 v-ზე). კრიპტოგრაფიაში 3 ენაცვლება თ-ს, უ ენაცვლება მ-ს.

ლიტერატურა: ლ. ათანელიშვილი, ქართულ ხელნაწერთა რამდენიმე კრიპტოგრაფიის შესახებ, მრავალთავი, III, 1973, გვ. 61.

15. XI—XII სს.; H—1345; ანდრია სალოსის ცხოვრება; XI—XII სს.; 201 v.

აქშვრღჳი ფიორღჳ ყფ აძ ხძ:

ამოხსნა: მწერლსა ნაობს შნ ღნ ან (=მწერალსა ნაობს შეუნღვენ ღმერთმან, ამენ).

შენიშვნა: კრიპტოგრაფია ტექსტის ხელითაა შესრულებული. ხელნაწერის გადამწერი უცნობი იყო. კრიპტოგრაფიაში მოხსენებული ნაობი გადამწერია. კრიპტოგრაფიაში 3 ენაცვლება უ-ს.

ლიტერატურა: ლ. ათანელიშვილი, ქართულ ხელნაწერთა რამდენიმე კრიპტოგრაფიის შესახებ, მრავალთავი, III, 1973, გვ. 61.

16. XII ს.; A—365; იოანე ოქროპირი, მათეს თავის სახარების თარგმანება; XII ს.; 292 r.

ანვ: ყვ: ქსყ:

ამოხსნა: ქე შე მკზ (=ქრისტე, შეიწყალე მარკოზ).

შენიშვნა: კრიპტოგრაფია ტექსტის ხელითაა მიწერილი სინგურით სათაურთან: „სწავლაჲ მზ. გულისკმის-ყოფისათჳს წერილთაჲსა და სათნობათათჳს“. სათაური ასომთავრულითაა შესრულებული, კრიპტოგრაფია კი ნუსხურით. კრიპტოგრაფიაში მოხსენებული მარკოზი გადამწერია. კრიპტოგრაფიის გასაღებში 2 ენაცვლება ქ-ს, მ-ს აღსანიშნავად ნახმარია ჳ.

17. XII ს.; A—365; იოანე ოქროპირი, მათეს თავის სახარების თარგმანება. XII ს.; 333 v.

ანვ: ყრ: ჳღჳი: რჳი:

ამოხსნა: ქე შე სლი ჩი (=ქრისტე შეიწყალე სული ჩემი).

შენიშვნა: კრიპტოგრაფია ტექსტის ხელითაა მიწერილი სინგურით სათაურთან „სწავლაჲ რე: ქებაჲ მონაზონთაჲ რნი მდის გლოვასა შნა არიან და ვსენებასა სკნოჲსა სასჯელისასა“. სათაური ასომთავრულითაა შესრულებული, კრიპტოგრაფია კი ნუსხურით. კრიპტოგრაფიის გასაღებში 2 იხმარება ქ-ს ნაცვლად. სიტყვაში „ყრ“ (=შე) უ არაკრიპტოგრაფულია, მის ნაცვლად უნდა გვქონოდა „ყვ“.

18. XII ს.; A—365; იოანე ოქროპირი, მათეს თავის სახარების
თარგმანება; XII ს.; 471 v.

ა¹ვ: ყ²ვ: ქ³ყ:

ამოხსნა: ქ³ე შ²ე მ¹კზ (=ქრისტე, შეიწყალე მარკოზ).

შენიშვნა: კრიპტოგრაფია ტექსტის ხელითაა მიწერილი სინგურით
სათაურთან: „სწავლაჲ პა: ძურუქსენებლობისათჳს“. კრიპტოგრაფიის გა-
საღებში **ა** იხმარება ქ-ს ნაცვლად. **მ**-ს აღსანიშნავად უხმარიათ **ვ**. კრიპ-
ტოგრაფიაში მოხსენებული **მ** **ა** **რ** **კ** **ო** **ზ** **ი** გადამწერია.

19. XII ს.; Q—1322; ოთხთავი; XII ს.; 18 v.

ქ³პ³ჰხ: ქ³შ²უ²ჩ²ღ: ჩ¹ო: ყოყღღ: ძ³შ: რუღჟჟ:
ღოყღჟჟ: ქოიხ³ბ³ფ³ფ³ღ: შ²ჟ²: აა³ჩ³ჟ: უ²:
აჟ: რ³აჟ³ჩ³ყ³: შ²ღღ³ჩ³რ³:

ამოხსნა: ამ³სი მწერალი ფ²დ ცოდვ²ლი გ¹ი ტეჩნაჲ ლოცვასა მო-
იესენეთ, წ²ნო ლ²ისნო, რა ლ²ნ თქ²ნთსცა წყლბა²ყოს (=ამისი მწერალი
ფრიად ცოდვილი გიორგი ტეჩნაჲ ლოცვასა მოიესენეთ, წმიდანო
ღმრთისანო, რაჲთა ღმერთმან თქუენთსცა წყალობა ყოს).

შენიშვნა: კრიპტოგრაფია ტექსტის ხელითაა მიწერილი ფურცლის
ქვედა კიდეზე. როგორც კრიპტოგრაფიიდან ჩანს, გიორგი ტეჩნაჲ
ხელნაწერის გადამწერია. კრიპტოგრაფიის სამ სიტყვაში „ჩმ³კ³. ვღჟი ჩტი.
ღბტ³ცკ³პ³ღს“ ზოგიერთი ასო შეუცვლელადაა დატოვებული, არ არის
შეცვლილი შესაბამისი ანჩინური სისტემის ანბანით. კერძოდ, „ჩმ³კ³“
სიტყვაში (=ამ³სი) შეუცვლელია მ ასო, „ვღჟიჩტი“ სიტყვაში (=მწერალი)
უქანასკნელი ი ასო, ხოლო „ღბტ³ცკ³პ³ღს“ სიტყვაში (=წყლბაყოს) ს
ასო. კრიპტოგრაფიის გასაღებში **მ**-ს აღსანიშნავად იხმარება **ვ**, **ა**-ს ნაცვ-
ლად იხმარება **ქ**, **თ**-ს ნაცვლად **კ**.

ლიტერატურა: ლ. ათანელიშვილი, ქართულ ხელნაწერთა რა-
მდენიმე კრიპტოგრაფიის შესახებ, მრავალთავი, III, 1973, გვ. 62.

20. XII ს.; A—256; იოანე ოქროპირი, სახარების თარგმანება;
XII ს.; 13 r.

უ² უ²უ

ამოხსნა: ი²ე ძე¹ო (=იოანე ძეო).

შენიშვნა: კრიპტოგრაფია ტექსტის ხელითაა მიწერილი ფურცლის
კიდეზე. სიტყვაში უ²უ ი არაკრიპტოგრაფულია, მოსალოდნელი იყო
ა²უ.

21. XII—XIII სს.; Jer—53; თვენი; XII—XIII სს.; 16 v.

ა¹ვ: ყ²ვ: რ³ა³ჰ:

ამოხსნა: ქ³ე შ²ე ოქ¹რი (=ქრისტე, შეიწყალე ოქროპირი).

შენიშვნა: კრიპტოგრამა ჩაწერილია ტექსტის ხელით საფურცლის შემდეგ. კრიპტოგრამაში მოხსენიებული ოქროპირი გადამწერია, რასაც ადასტურებს ტექსტის ხელით შესრულებული მინაწერი: „ცოდვილი ოქროპირი პეტრეს ძე ლოცვასა მომიხსენე“ (205 r). კრიპტოგრამის გასაღებში **ა** ენაცვლება **ქ**-ს.

22. XII—XIII სს.; A—148; მარხვანი; XII—XIII სს.; 235 v.

რქ აყყბჯოყ აჰჰჰ: რქ უჰჰ აჰჰჰჰ:

ამოხსნა: და მეცკედრე მისი და ძენი მისნი.

შენიშვნა: ხელნაწერის ანდერძის მეორე ნახევარი გადამწერ ენუქს კრიპტოგრამულად დაუწერია. ანდერძი სრულად ასე იკითხება: „ქე შე ენუქ და მშზლნი მისნი: და მეცკედრე მისი და ძენი მისნი“. კრიპტოგრამის გასაღებში **მ**-ის მონაცვლეა **უ**.

ლიტერატურა: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, A კოლექცია, I₂, 1976, გვ. 203.

23. XII—XIII ს.; A—635; სვინაქსარი; XII—XIII სს.; 85 r.

აწ ყწ რჱჱჱჱჱ ღჱჱ.

ამოხსნა: ქე შე რომანოზ ბერი (=ქრისტე, შეიწყალე რომანოზ ბერი).

შენიშვნა: კრიპტოგრამა შესრულებულია ტექსტის ხელით. კრიპტოგრამის გასაღებში **ა** ენაცვლება **ქ**-ს, **ჟ** იხმარება **მ**-ს მაგიერ.

კრიპტოგრამაში მოხსენიებული რომანოზი ხელნაწერის დამკვეთი უნდა იყოს.

24. XII—XIII სს.; A—635; სვინაქსარი; XII—XIII სს.; 147 r.

აწ ყწ რჱჱჱჱჱ: შჰჰჰჰჰჰჰ:—

ამოხსნა: ქე შე რომანოზ წინმძღრი (=ქრისტე, შეიწყალე რომანოზ წინამძღვარი).

შენიშვნა: კრიპტოგრამა ტექსტის ხელითაა ნაწერი. კრიპტოგრამის გასაღებში **ა** ენაცვლება **ქ**-ს, **ჟ** იხმარება **მ**-ს ნაცვლად.

კრიპტოგრამაში მოხსენიებული რომანოზი წინამძღვარი ხელნაწერის დამკვეთი უნდა იყოს.

25. XII—XIII სს.; A—635; სვინაქსარი; XII—XIII სს.; 194 v.

ყსრაოჱ ყრჱ ქწ ყოყსჱჱჱ აწ ყწ რჱჱჱჱჱ

ამოხსნა: ბასილი შე მე ცოდვილი. ქე შე რომანოზ (=ბასილი შემიწყალე მე ცოდვილი. ქრისტე, შეიწყალე რომანოზ).

შენიშვნა: კრიპტოგრამა ტექსტის ხელითაა მიწერილი. კრიპტოგრამის გასაღებში **ჟ** ენაცვლება **მ**-ს, **ა** ენაცვლება **ქ**-ს.

კრიპტოგრაფიაში მოხსენებული რომანოზი ხელნაწერის დამკვეთია, ბასილი ამ ხელნაწერის გადამწერი უნდა იყოს.

26. XII—XIII სს.; A—635; სვინაქსარი; XII—XIII სს.; 203 რ.

ბრი: ႠႠႡ: ႠႠႠႠ: ႠႠႠႠ:—

ამოხსნა: წონის მშბლო შე (=წმიდაო ღმრთისმშობელო, შემწყალებ).
შენიშვნა: კრიპტოგრაფია ტექსტის ხელითაა შესრულებული. კრიპტოგრაფიის გასაღებში უ (Ω) ენაცვლება მ-ს.

27. XII—XIII სს.; A—635; სვინაქსარი; XII—XIII სს.; 227 რ.

ანვ ყვჲ ႠႠႠႠ

ამოხსნა: ქე შე რომანოზ (=ქრისტე, შეიწყალებ რომანოზ).

შენიშვნა: კრიპტოგრაფია ტექსტის ხელითაა მიწერილი ხელნაწერზე. კრიპტოგრაფიის გასაღებში ჯ ენაცვლება ქ-ს, ჴ კი მ-ს.

კრიპტოგრაფიაში მოხსენებული რომანოზი ხელნაწერის დამკვეთია.

28. XIV ს.; S—4814; ზატყი; XIV ს.; 19 რ.

ႠႠႠႠႠႠ ႠႠႠ ႠႠႠ ႠႠႠ

ႠႠ ႠႠႠႠႠႠႠႠ.

ამოხსნა: ბარნაბს შონ ღონ ან ფდ ცდვლსა (=ბარნაბს შეუნდვენ ღმერთმან, ამენ, ფრიად ცოდვილსა).

შენიშვნა: კრიპტოგრაფია ტექსტის ხელითაა შესრულებული. გადამწერ ბარნაბს თავისი თავი ანდერძშიც (20 რ) მოუხსენებია და კრიპტოგრაფიაშიც.

ლიტერატურა: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, S კოლექცია, ტ. VI, 1969, გვ. 124; ლ. ათაბეგლიშვილი, ქართულ ხელნაწერთა რამდენიმე კრიპტოგრაფიის შესახებ, მრავალთავი, III, 1973, გვ. 61.

29. XIV—XV სს.; Jer—33; ლიტურგიკული და ჰაგიოგრაფიული კრებული; XIII—XIV სს.; 160 რ, ქვედა კიდეზე.

ჲჲ შხსსსს'რუჲ

ამოხსნა: ეს წავ[ი]კითხე.

შენიშვნა: კრიპტოგრაფიას უძღვის ასომთავრულით ნაწერი თხზული ასოები. კრიპტოგრაფიის დამწერს ამოუკითხავს ისინი და ამის აღსანიშნავად კრიპტოგრაფია მიუწერია.

კრიპტოგრაფიის გასაღებში მ იხმარება თ-ს ნაცვლად.

30. XV ს.; A—613; კრებული; XII და XV სს.; 8 რ.

ბოლოში:
წმსტოფა:

ამოხსნა: სოლომონ. დუკატნი.

შენიშვნა: კრიპტოგრაფია ტექსტის ხელითაა დაწერილი შემდეგ კონტექსტში: „ზურგი იკავე მამო: სოლომონ. მცონარებდა აღარ მოჰკდების თუ: დუკატნი“.

ხელნაწერის ერთი ნაწილი XII ს-შია გადაწერილი, ნაწილი XV ს-ში. კრიპტოგრაფია ამ უკანასკნელის ერთ-ერთ ფურცელზეა (8r) მიწერილი.

კრიპტოგრაფიის გასაღებში უენაცვლება მ-ს.

მ1. XV ს.; Jer—33; ლიტურგიკული და ჰაგიოგრაფიული კრებული; XIII—XIV სს.; 164 v.

რასა უსიხასოუ ყნი იშოროუ ხენშოთეხი სჟოთა ენი:

ამოხსნა: წმიდაო პროკოპე, ცო ოდვილი კანდელაკი სემიონ[6] ამენ.

შენიშვნა: ხელნაწერის 164 v—190 v-ზე მოთავსებულია წმ. პროკოპეს წამება. სემიონ კანდელაკი შეწყალებას სთხოვს წმ. პროკოპეს. ანდერძში ერთი სიტყვის რამდენიმე ასოა კრიპტოგრაფული.

სემიონ კანდელაკის აღნიშნული კრიპტოგრაფია ხელით განსხვავდება ამ ხელნაწერის 160 r-ზე მიწერილი ანჩინური სისტემის კრიპტოგრაფიისაგან.

მ2. XV ს. II ნახ; Jer—17; წმიდათა ცხოვრებანი (მეტაფრასული); XII ს.; 84 v.

ქ: დურფნლ: ფრსლტლზ: ურუმტტ: ცწხრტკა:.

ამოხსნა: წმინდო ნიკოლოზ, მიშუელე ცდვილსა.

შენიშვნა: ხელნაწერის 63 v—84 v-ზე მოთავსებულია წმ. ნიკოლოზის ცხოვრება. კრიპტოგრაფიის დამწერი მას სთხოვს შეწყალებას.

კრიპტოგრაფიის გასაღებში მ და უ ენაცვლებიან ერთმანეთს.

სიტყვაში „ფრსლტლზ“ (=ნიკოლოზ) ბოლო ზ ასო არაკრიპტოგრაფულია. სიტყვაში „ცწხრტკა“ (=ცდვილსა) და ც და ა არაკრიპტოგრაფულია.

კრიპტოგრაფიის შემდეგ ტექსტი გრძელდება იმავე ხელით: „ორნი ლარიბნი დედიდა-დისწულნი მოვედით აქ. მწუე უქონელნი ვიყავით [...რომე]ლნიც მწუენი ლარიბნი და ვიყავით დისწულისაგანი. ღმერთი გამირისხდა, თუ ვინმე გამისია (!) ...ვს... (84 v).

მ3. XV—XVI სს.; S—4958; ფსალმუნი; XV—XVI სს.; 124 r.

ღასიქი: ყვბუაღვქი ღღფფჭ ყწ:

ამოხსნა: მისსა მეულღესა ელენეს შ^ნ (=მისსა მეულღესა ელენეს შეუნდვენ).

შენიშვნა: ტექსტის ბოლოს გადამწერს ანდერძის ერთი ნახევარი არაკრიპტოგრაფულად დაუწერია და მეორე კი კრიპტოგრამით. ანდერძი სრულად ასე იკითხება: „ამისსა მწერალსა შიოსს და მშობელთა მი[სთა. და] მისსა მეულღესა ელენეს შეუნდვენ“.

კრიპტოგრამის გასაღებში მ-ს ენაცვლება ო „ორკჩ“ სიტყვაში, ამასთანავე ვეაქვს მ-სა და უ-ს მონაცვლეობა.

ლიტერატურა: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, S კოლექცია, 1969, VI, გვ. 265. კრიპტოგრამა ამოხსნილთურთ გამოქვეყნებულია აღწერილობაში.

34. XV—XVI სს.; ქუთაისის მუზ. K—79; მარხვანი; XV—XVI სს.; 5 r.

ფს^ნყ^ნ: ყ^ნ: ო^ნ—

ამოხსნა: ნ^კლ^ზს შ^ნს ღ^ნ (=ნიკოლოზს შეუნდოს ღმერთმან).

შენიშვნა: კრიპტოგრამა ტექსტის ხელითაა მიწერილი ტექსტში, აბზაცის ბოლოს. ამ ხელნაწერის გადამწერი უცნობი იყო. კრიპტოგრამაში მოხსენებული ნიკოლოზი გადამწერი უნდა იყოს.

35. XV—XVI სს.; ქუთაისის მუზ. K—79; მარხვანი; XV—XVI სს.; 128 r.

ფს^ნყ^ნ: ყ^ნ: ო^ნ—

ამოხსნა: ნ^კლ^ზს შ^ნ(!) ღ^ნ (=ნიკოლოზს შეუნდოს ღმერთმან).

შენიშვნა: კრიპტოგრამა ტექსტის ხელითაა მიწერილი ხელნაწერზე. ნიკოლოზი ამ ხელნაწერის გადამწერი უნდა იყოს. კრიპტოგრამაში დაშვებულია შეცდომა: ყ^ნის (=შ^ნ) მაგიერ უნდა ყოფილიყო ყ^ნ (=შ^ნ — შეუნდოს).

36. XV—XVI სს.; ქუთაისის მუზ. K—376; ოთხთავი; XV—XVI სს.; 84 v.

ა^ნვ ყ^ნვ

ამოხსნა: ქ^ე შ^ე (=ქრისტე, შეიწყალე).

შენიშვნა: კრიპტოგრამა ტექსტის ხელითაა შესრულებული. კრიპტოგრამის გასაღებში ა ენაცვლება ქ-ს.

37. 1565 წ.; ქუთაისის მუზ. K—4; მეტაფრასი; 1565 წ.; 44 v.

ა^ნვ: ყ^ნვ: ქრ^იქ^ყ: ვ^სა^ნქ^ი: ს^სქ^იქ^დს^იო^ყ: ვ^დო^ყა^ქ:

ამოხსნა: ქ^ე შ^ე აფხაზეთისა კათალიკოზი ევ^დმს (=ქრისტე, შეიწყალე აფხაზეთისა კათალიკოზი ევდემოს).

შენიშვნა: კრიპტოგრამა ჩაწერილია გადამწერ მანოელ ინანიკაშვი-

ლის მიერ სათაურის შემდეგ, სინგურით. კრიპტოგრაფიაში მოხსენებულ აფხაზეთის კათალიკოზი ევდემოს ხელნაწერის დამკვეთია.

კრიპტოგრაფიის გასაღებში **ა** ენაცვლება **ქ**-ს, **მ** იხმარება **თ**-ს მაგიერ, უ ენაცვლება **შ**-ს.

ლიტერატურა: ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. I, 1953, გვ. 31. აღწერილობაში გამოქვეყნებულია კრიპტოგრაფიის ამოხსნა.

38. 1575 წ.; Q—657; მარხვანი; 1575 წ.; 377 რ.

*აწ^აჭ^ა ზქსოპაქიქ აქოღი რი შ^აი ა^ასიქ
აქღ^აღი ავფაქი უსიქოსიქ^ა თსიქ^არუ ზქ...
იფ^აქიქ რი რქაქ^ავქიქი რი ზქსოქოქოქ
რი თსიქიქოქ აქაქაქოქოქ... ზქსიქი*

ამოხსნა: ქ^აეს საიდუმლოს მადლო და წ^აო ღ^აის მშ^აბელო, შენის რისხით მკითხე სა...ან(შ)ასა (!) და (შ)ამთეცასა (!), რა საყუარლად და ტკბილად მამეპრო რა... წიგ...

შენიშვნა: გადამწერ მანოელ ინანიკაშვილს დაუწერია ეს კრიპტოგრაფია. კრიპტოგრაფია დაზიანებულია ფურცლის მოხვევის გამო. კრიპტოგრაფიის გასაღებში **ა** ენაცვლება **ქ**-ს, **მ** იხმარება **უ**-ს ნაცვლად, **მ** გვხვდება **თ**-ს ნაცვლად. **შ**-ს მნიშვნელობა გაურკვეველია.

ლიტერატურა: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, Q კოლექცია, ტ. II, 1958, გვ. 114.

39. XVI ს.; ქუთაისის მუზ. K—52; სწავლანი და მოძღვრებანი თეოდორე სტოდელისა; XVI ს.; 131 რ.

აღ^აჭ^ა ა^აჭ^ა ა^აჭ^ა.

ამოხსნა: ქ^აბნს შ^ას ღ^ან. უნდა იყოს: „ა^აჭ^ა ა^აჭ^ა ა^აჭ^ა“ ქ^ათნს შ^ას ღ^ან (=ქეთონს შეუნდოს ღმერთმან).

შენიშვნა: კრიპტოგრაფია დაწერილია ტექსტის ხელით. ხელნაწერის მცირე ნაწილი გვიან, XVII—XVIII ს-შია გადამწერილი, ძირითადი ნაწილი კი XVI ს-საა, გადამწერ გაბრიელის მიერ შესრულებული. კრიპტოგრაფია მიწერილია ხელნაწერის ძირითადი ნაწილის ერთ-ერთი ფურცლის კიდეზე.

კრიპტოგრაფიის გასაღებში **ა** ენაცვლება **ქ**-ს, **მ** კი **თ**-ს.

40. XVI ს.; H—1721; ოთხთავი; 1520 წ.; 89 რ.

აქსიქი აქსაღვქი ავსიოქი ა^აჭ^ა ა^აჭ^ა.

ამოხსნა: მისსა მეუღლესა ქეთონს შ^ანს ღ^ან (=მისსა მეუღლესა ქეთონს შეუნდენეს ღმერთმან).

შენიშვნა: კრიპტოგრაფია დაუწერია ამ ხელნაწერის შემკავმავს

ენ უქს, რომელსაც ხელნაწერისთვის დაურთავს ანდერძი და რამდენიმე სიტყვა კრიპტოგრაფულად ჩაუწერია. ანდერძი სრულად ასე იკითხება: „ამა წიგნისა შემკაზმავსა ფრიად ცოდვილსა ენ უქს შეუნდენეს ღმერთმან. მისსა მეუღლესა ქეთაონს შეუნდენეს ღმერთმან. მისთა დედა-მამათა და მისთა ცოცხალთა და მიცვალბულთა შეუნდენეს ღმერთმან. ვინცა შენდობა ბრძანოთ, თქუენცა შეგინდენეს ღმერთმან“.

კრიპტოგრაფის გასაღებში უ ენაცვლება მ-ს, ა ენაცვლება ქ-ს, ჰ იხმარება თ-ს ნაცვლად.

ხელნაწერი ჩამოტანილია სავანის ეკლესიიდან.

ლიტერატურა: კრიპტოგრაფია ამოხსნა ა. შანიძემ: ა. შანიძე, ქართული კრიპტოგრაფიის ახალი ნიმუშები, საქართველოს მუზეუმის მოამბე, I, 1922, გვ. 66; Г. Церетели, Археологическая прогулка по Квирильскому ущелью. Саванская базилика; Материалы по арх. Кавказа, вып. VII, М., 1898, с. 104. ა. შანიძეს, როგორც თვითონვე შენიშნავს, უსარგებლია გ. წერეთლის მიერ დაბეჭდილი კრიპტოგრაფით. გ. წერეთლის მიერ გამოცემულ კრიპტოგრაფიაში რამდენიმე სიტყვა სხვაგვარად იკითხება: უ რ კ კ მ ნაცვლად კრიპტოგრაფის უ რ კ კ ჩ-ისა, უ ქ მ ო ტ ქ კ მ ნაცვლად უ ქ მ ო ტ ქ კ ჩ-ისა, ა ქ მ ღ ფ კ ნაცვლად ა ქ მ ჩ ღ ფ კ-ისა. ა შანიძეს პირველ ორ სიტყვაში გაუსწორებია შეცდომა, რაც მ-სა და ჩ-ს გრაფიკული აღრევის გამო იყო გამოწვეული, ხოლო ა ქ მ ღ ფ კ სიტყვა უცვლელად გადმოუბეჭდია, თუმცა ეჭვს გამოთქევამს მისი არასწორი დაწერილობის გამო. მართლაც, კრიპტოგრაფიაში მის მაგიერ იკითხება ა ქ მ ჩ ღ ფ კ.

41. XVI ს.; A—4; გამოკრებილი (რიგის) სამოციქულო; XVI ს.; 175 გ.

ა^ნ ვ^ს ძ^სლ ჩ^ფ:

ამოხსნა: ქ^ე შ^ე ი^კბ ა^ნ (=ქრისტე, შეიწყალე იაკობ, ამენ).

შენიშვნა: კრიპტოგრაფია ტექსტის ხელითაა მიწერილი სინგურით სათაურის დასასრულს: „ეზისტოლე კათოლიკე იაკობისი“. ხელნაწერის გადამწერი უცნობი იყო. კრიპტოგრაფიაში მოხსენებული იაკობ გადამწერიო.

კრიპტოგრაფის გასაღებში ა ენაცვლება ქ-ს.

42. XVI ს. საქართ. ცენტრ. არქივი, ფ. 1446, № 220. გამოკრებილი სამოციქულო-სახარება. XVI ს.; 26 ვ.

ა^ნ ვ: ჩოხოვ: ყხოოფახ: ყ^ნყაღ:

ამოხსნა: ქ^ე აღიდე პატრონი მ^შტლ (=ქრისტე, აღიდე პატრონი მშეტალ).

შენიშვნა: კრიპტოგრამა ჩაწერილია ტექსტში გადამწერის მიერ სა-
თაურის წინ.

კრიპტოგრამის გასაღებში **ა** ენაცვლება **ჟ-ს**, **უ** იხმარება **მ-ს**; მაგერ.

43. XVI ს.; საქართველოს ცენტრ. არქივი, ფ. 1446 № 220; გამო-
კრებილი სამოციქულო-სახარება; XVI ს.; 61 v.

ა^ა ვ^ა წ^ა: ნ^აო: ყოღ^ასღ: ს^ასღ:

ამოხსნა: ქ^აე შ^აე ფ^ად ცდ^ავილ ი^აკბ (=ქრისტე, შეიწყალე ფრიად
ცოდვილი იაკობ).

შენიშვნა: კრიპტოგრამა ჩაწერილია ტექსტში სათაურის წინ გადამ-
წერის მიერ. ხელნაწერის გადამწერი უცნობი იყო. კრიპტოგრამისეული
ი ა კ ბ ი გადამწერია.

კრიპტოგრამის გასაღებში **ა** ენაცვლება **ჟ-ს**.

ამ ხელნაწერის გადამწერი ი ა კ ბ ი და A—4 ხელნაწერის გადამ-
წერი ერთი და იგივე პირია. ამიტომ ამ ხელნაწერს XVI ს-ით ვათარილებთ.
ხელნაწერი № 220 ცენტრარქივის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა-
ში (ტ. I, 1949 წ. გვ. 202) არასწორადაა დათარიღებული XVIII საუკუ-
ნით.

44. XVI ს.; საქართ. ცენტრ. არქივი, ფ. 1446, № 220; გამოკრებილი
სამოციქულო-სახარება; XVI ს.; 64 v.

ა^ა წ^ა ხო^აოფს ყხო^აოფს ყყფად:

ამოხსნა: ქ^აე აღიდე პატრონი მზექ^ალ (=ქრისტე, აღიდე პატრონი
მზექალ).

შენიშვნა: კრიპტოგრამა ჩაწერილია ტექსტში სათაურის წინ გადამ-
წერის მიერ.

კრიპტოგრამის გასაღებში **ა** ენაცვლება **ჟ-ს**, **უ** კი **მ-ს**. სიტყვაში
„ყოხოოფს“ (=პატრონი) შეცდომაა, ყ-ს ნაცვლად უნდა იყოს ყ.

45. XVI ს.; A—743; გულანი (მოქვის); XVI ს.; 173 r.

ა^ა წ^ა ს^აწ:

ამოხსნა: ქ^აე შ^აე ი^აე (=ქრისტე, შეიწყალე იოანე).

შენიშვნა: კრიპტოგრამა ტექსტის ხელითაა მიწერილი ტექსტში სა-
თაურის შემდგომ: „ბრწყინვალესა აღესებასა საკითხავი თქმული იოანე
ოქროპირისაჲ. გუაკურთხენ, მამაო“. იო ა ნ ე ხელნაწერის ამ მონაკვე-
თის გადამწერია. შდრ. ამავე ხელნაწერის კრიპტოგრამას 479 v-ზე.

კრიპტოგრამის გასაღებში **ა** ენაცვლება **ჟ-ს**.

46. XVI ს.; A—743; გულანი (მოქვის); XVI ს.; 479 v.

**ა^ა წ^ა წ^ა ნ^აო ყოღ^ასღს ქასქს ყშუ^ასღს ს^აწ
ქ^აფ^აოქ ასქსქს^აოვოქს^აქსქსქს^აყფ^აოფ^ა ა^აფ^აქ^აფ:**

ამოხსნა: ქე შე ფდ ცოდვილი ამის მწერალი იე ან და მისთა დედა-მამათა შენდნს ღნ ან (=ქრისტე, შეიწყალე ფრიად ცოდვილი ამის მწერალი იოანე, აჲენ. და მისთა დედა-მამათა შეუნდენეს ლმერთმან, ამენ).

შენიშვნა: კრიპტოგრაჲა ტექსტის ხელითაა დაწერილი გადამწერი იოანეს მიერ. კრიპტოგრაჲის გასაღებში ა ენაცვლება ქ-ს, უ იხმარება მ-ს მაგიერ, ხოლო მ გვხვდება თ-ს ნაცვლად. კრიპტოგრაჲა მიწერილია ხელნაწერის იმ მონაკვეთზე, რომელიც ადრე ცალკე ინახებოდა A—824 ნომრით და შემდგომ შეუერთდა A—743-ს, როგორც მისი შემადგენელი ნაწილი.

ლიტერატურა: კრიპტოგრაჲა ამოხსნა ა. შანიძემ: ა. შანიძე, ქართული კრიპტოგრაფიის ახალი ნიმუშები, საქართველოს მუზეუმის მოამბე, I, 1922, გვ. 66—67; მ. ჯანაშვილი, Описание, III, 1908, გვ. 18. კრიპტოგრაჲა პირველად გამოაქვეყნა მ. ჯანაშვილმა საეკლესიო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობაში ცოტაოდენი ცვლილებებით. კერძოდ, „ბლწხრტრ“ სიტყვის ნაცვლად „ბიწხრტრ“, „ჩუტკ“-ის ნაცვლად „ქურტკ“, „ურკმჩ“-ის ნაცვლად „ურკჩმ“, „ქჭფწჟ“-ის ნაცვლად „უჭფღჟ“, „ოფ“-ის ნაცვლად „აფ“. მისივე, იოანე ბოლნელ ეპისკოპოსის ქადაგებანი, 1911, გვ. V. მ. ჯანაშვილს კრიპტოგრაჲა უცვლელად გადმოუბეჭდავს აღწერილობიდან. ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, I, ნაკ. 1, გვ. 83. შნშ. 4.

47. XVI ს.; A—54; იოანე ოქროპირი, მათეს სახარების თარგმანება; XVI ს.; 253 r და 307 v.

აწ ყწ ჰყოხი

ამოხსნა: ქე შე ანდრია (=ქრისტე, შეიწყალე ანდრია).

შენიშვნა: კრიპტოგრაჲა დაწერილია ტექსტის ხელით. ხელნაწერის გადამწერი უცნობი იყო. კრიპტოგრაჲაში დასახელებული ანდრია გადამწერია. კრიპტოგრაჲის გასაღებში ა ენაცვლება ქ-ს.

ლიტერატურა: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, A კოლექცია, I, 1974, გვ. 147. აღწერილობაში გამოქვეყნებულია კრიპტოგრაჲა ამოუხსნელად.

48. XVI ს.; A—144; მრავალთავი; X ს.; 171 v.

წჟეოგუქლო: იიჩკოჯკუღ

ამოხსნა: ჯუარცმაო ქრისტესო.

შენიშვნა: კრიპტოგრაჲის გასაღებში ა ენაცვლება ჯ-ს, მ იხმარება უ-ს მაგიერ, ა ენაცვლება ქ-ს. მ აქ ჩ-ს აღმნიშვნელი გრაფემაა.

ლიტერატურა: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, A კოლექცია, I, 1976, გვ. 198.

49. XVI—XVII სს.; S—4930; კრებული; XVI—XVII სს.; 315 v.

აწვ ყწვ ჰწვს რჳსს ჰწჳ:—

ამოხსნა: ქე შე სლი ჩემი აწ (=ქრისტე, შეიწყალე სული ჩემი, ამენ).

შენიშვნა: კრიპტოგრამა დაწერილია ტექსტის ხელით, გადამწერ ან დ რ ი ა ს მიერ. გასაღებში უ ენაცვლება მ-ს.

ლიტერატურა: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, S კოლექცია, ტ. VI, 1969, გვ. 183, 185. აღწერილობაში გამოქვეყნებულია კრიპტოგრამა ამოხსნილთურთ.

50. XVI—XVII სს.; S—4930; კრებული; XVI—XVII სს.; 358 r.

აწვ ყწვ ჰყოხს

ამოხსნა: ქე შე ანდრია (=ქრისტე, შეიწყალე ანდრია).

შენიშვნა: კრიპტოგრამა დაწერილია ტექსტის ხელით. კრიპტოგრამაში მოხსენებული ან დ რ ი ა გადამწერია.

ლიტერატურა: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, S კოლექცია, ტ. VI, 1969, გვ. 183, 185. აღწერილობაში გამოქვეყნებულია კრიპტოგრამა ამოხსნილთურთ.

51. XVI—XVII სს.; S—4930; კრებული; XVI—XVII სს.; 460 r.

აწვ ყწვ ჰყოხს ჰწჳ:—

ამოხსნა: ქე შე ანდრია, აწ (=ქრისტე, შეიწყალე ანდრია, ამენ).

შენიშვნა: კრიპტოგრამა დაწერილია ტექსტის ხელით. კრიპტოგრამაში მოხსენებული ან დ რ ი ა გადამწერია.

ლიტერატურა: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, S კოლექცია, ტ. VI, 1969, გვ. 185, აღწერილობაში გამოქვეყნებულია კრიპტოგრამა ამოხსნილთურთ.

52. XVI—XVII სს.; Q—1314; საწინასწარმეტყველო; XVI—XVII სს.; 157 v.

ოუჟიჰდ: მუხტტტ: ჩუ: დრძფრკ: ცაღღღჯჩ:.

ამოხსნა: ღმერთო, უშველე ამ წიგნის ბატონსა.

შენიშვნა: კრიპტოგრამა ტექსტის ხელითაა დაწერილი. კრიპტოგრამის გასაღებში უ ენაცვლება მ-ს, ჰ ენაცვლება თ-ს.

იმავე, 157 v-ზე ნუსხურით, ოლონდ იმავე მეღნით მიწერილია: „ღო, შე სლი ფდ ცდვილისა მნოელი სი აწ“. ხომ არ არის მანოელი ამ კრიპტოგრამის ავტორი?



ახრქაღლი:

ამოხსნა: ივანბსო (!)

შენიშვნა: კრიპტოგრამა დაწერილია ტექსტის ხელით შემდეგ კონტექსტში: „ყოველი ცხორებამ ჩემი ცოდვასა შინა წარვაგე და არა არს კეთილი ჩემ თანა. მიმე სულო ცოდვილო. ივანბსო“.

ლიტერატურა: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, H კოლექცია, ტ. II, 1951, გვ. 311. კრიპტოგრამა გამოქვეყნებულია აღწერილობაში. 54. 1674 წ.; H—1452; ყანჩაეთის ქამნ-გულანი; [1674 წ.] 272 v.

ჩ^რფ

ამოხსნა: ა^ნ (=ამენ).

